

4 | 2015

644
2015

សាស្ត្រ
សាស្ត្រ

A large graphic featuring the Hebrew word 'בָּיִת' (Beyt) in stylized blue letters. To the right of the letters is the year '1852' in a smaller blue font. The background consists of black and white diagonal stripes.

1852

The image is a detailed black and white line drawing with some color highlights. It depicts a woman from the side, facing left. Her hair is long and flowing, with intricate, wavy patterns. A large, stylized bird, possibly a heron or crane, is integrated into the composition, appearing behind her head and neck. The bird's long beak and flowing feathers are rendered with fine lines. In the upper right corner, there is large, bold blue text that reads '1852' and '19'. The background is light, and there are some darker, more abstract shapes and patterns on the right side. The overall style is artistic and somewhat surreal.



2015/4

ყოველთვიური ლიცეის აცემული –
სამართლის შეტნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართალი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ბალათერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელზა მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ქეთევან მერკვილაძე

გრაფიკული ილუსტრაციები
მარიამ გოგილიძესა

გარეკანის პირველ გვერდზე –
რუსუდან ფეტვიაშვილი
„ქალი ჩიტით“

გარეკანის მეოთხე გვერდზე
– ფოტოკოლაჟი რუსუდან
ფეტვიაშვილის გამოფენიდან

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი
ნაირა ბეპიევი
ლევან ბრეგაძე
დავით თელორაძე
ზვიად კვარაცხელია
ესმა კოკოსკერია
გიორგი ლობუანიძე
ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ნინო სადლობელაშვილი
თამაზ ტეემალაძე
რეზო ჭეიიშვილი
თემურ ჭკუსელი
ბესიკ ხარანაული


ქუთამარი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მსარბელაჭრით



სარჩევი

მერაბ კოსტავა	3	სრიბისა	
რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა		ლელა ჯიყაშვილი აღიარებითი ჩვენება	87
პოეზია		მაკა ჯოხაძე	91
ლელა ცუცქირიძე გენრი დოლიძე	19 27	როცა ჭრილობა გალობს ვახტანგ გურული	
პროზა		გოდერძი ჩიხელის „ადამიანთა სევდა“	99
ვანო ჩხიკვაძე მოთხოვები	31		
პოეზია		„ცისხარი 1852“ – საოლას	
ალინა ქადაგიშვილი- ოქროპირიძე მზია ხეთაგური	57 60	აკავი ბაქრაძე ავთანდილის სახე „ვეფხისტაოსანში“	106
პროზა		ახალი თარგმანები	
ბექა ადამაშვილი როდესაც ღმერთს დეპრესია ეუფლება	64	დინო ბუცატი მოგზაურობა ჩვენი დროის ჯოჯოხეთში თარგმნა ლაშა ხეცურიანმა	110
თვით უკლავება მშვინიარსა სალში მდგომარეობს მარია ფილინა	69	თემურ ჭკუასელი – აფხაზურ ენაზე სიყვარულის კარდიოგრამა თარგმნა ესმა კოკოსკერიამ	138
დიალოგი		არტოვისი	
ანდრო ბუჩიძე – გაგა ლომიძე საუბარი საჭირბოროტო თემაზე	78	მარიკა კახაძე რეპორტაჟი საგამოფენო დარბაზზებიდან (რუსულან ფეტვიაშვილი, თამარ კვესიტაძე)	154
ესეისტისა			
გიორგი ლორთქიფანიძე უმბერტო ეკო – ევროპის რეკვიემი	82	ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომრებზე: 591 20 25 40; 599 56 56 44; 591 30 75 09	

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



მექაბ კოსტან

მექაბ კოსტანაშვილის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე დაწერილი ნარკევევი, რომლის შემოქლებულ ვარიანტსაც გთავაზობთ, თავისებური ცდაა ამ რომელი საკითხის გააზრებისა. ეროვნული მოძრაობის ლიდერი ცდილობს, იყოს ბოლომდე მიუკერძოებელი, ობიექტურად შეაფასოს საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი. ამიტომაც ამბობს, მეტი ობიექტურობისთვის საშუროდ მივიჩნიე ამ საკითხთან მიახლოება არა მარტოოდენ ქართველი კაცის, არამედ ეროვნებით რუსი და აგრეთვე მსოფლიო მოქალაქის პოზიციიდან.

მართლაც ასეა: მექაბ კოსტანაშვილის იმ ავ-კარგს, რაც რუსეთიან დაკავშირებამ მოუტანა საქართველოს. ფიქრობთ, რომ სადღეისოდ სწორედ ამგვარმა, გააზრებულმა პოზიციამ შეიძლება აღძრას ინტერესი მკითხველში. ათმაგად სანტერესოა ეს ტენდენციურობას არიდებული, მოუკერძოებელი ნერილი იმით, რომ მისი ავტორი საბჭოთა იმპერიასთან რადიკალურად დაპირისპირებული, განსაციიზრებლად უკომპრომისო მამულიშვილი მექაბ კოსტანაშვილი.

ავტორი თვალს მიადგენებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყოველ ეტაპს, მოყოლებული გეორგიევსკის ხელშეკრულების დადებიდან მეოცე საუკუნის ოთხმოცანი წლების დასახუისამდე (ნერილი ინტერებოდა 1976-84 წლებში). მექაბ კოსტანაშვილის მოვლენებს არა მარტო მაქსიმალური ობიექტურობით აფასებს, არამედ ამ ურთიერთობის მოვარების მოსურნე იმ გულდინზე ანალიტიკოსის პოზიციიდანაც, რომლის გათვალისწინება თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს, ისე რუსეთის სახელმწიფო მინისტრი ინტერესებისათვის.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა*

გეორგიევსკის ტრაქტატი, საქართველოს და რუსეთის ნარმომადგენლებმა ხელი 1783 წელს რომ მოაწერეს, იყო არა მარტოოდენ საბაბი ამ ერების ერთობლივი ისტორიისა, არამედ მთელ შემდგომი დროის მანძილზე დღემდე მათი ურთიერთობის უცდომელი მორალური საზომი, სიტყვაზე მტკიცედ მდგომთა მხარის გამმაგრებელი, სიტყვის გამტეხთა მქენჯნელი და მამხილებელი.

თავიდანვე უნდა აღვინიშნო გეორგიევსკის ტრაქტატის ერთობ მყარი და მა-

ღალი მორალური საფუძველი, რაც ამ ერთა ურთიერთშემობისა და შემატებილების საქმეს კარგ დასაწყისს და ჩინებულ გაგრძელებას უქადა, ტრაქტატი სამოკავშიროდ, ხოლო ფიზიკურ ძალთა არათანაფარდობის მიუხედავად, საქართველო რუსეთის მოკავშირედ იწოდებოდა და არა ქეშეგრძომად. ოდნავადაც არ ირლევოდა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტი. ძალაში რჩებოდა ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა, გვირგვინის მირონით კურთხევა,

*იბეჭდება შემოქლებით.

ავტოკეფალურობა ეკლესიისა, საქუთარი მონეტების მოჭრა. ქართული ენა სახელმწიფო ენად რჩებოდა და ქართული შეხედრობა ერთს საზღვართა და ღირსებათა დამცველად; სავალდებულოდ ითვლებოდა ორივე მხარისათვის პარტნიორის მოყვასისა მოყვრად, ხოლო მტრისა მტრად შერაცხვა, სამხედრო და მორალური ურთიერთდახმარება.

სახელმწიფოთა შორის ამგვარი ხელშეკრულების დადების თარიღი დასაცრომ ზარ-ზეიმით აღნიშვნის ღირსია; მაგრამ რისი ღირსია ის, რაც ტრაქტატის ხელმონერის შემდეგ მოხდა? რაც შემდეგ მოხდა, ამისათვის მრავალი საარქივო და სამწერლო მასალა ღალადებს და რაც მთავარია, ამ ამბავს დანწრილებით აღნერს ივანე ჯავახიშვილი თავის საქართველოს ისტორიის მე-5 ტომში. მე მგონი მისი, როგორც მეცნიერის კომპეტენტურობასა და როგორც ადამიანის სინდისისერეგბაში ზედმეტია ეჭვის შეტანა. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ კრნანისის ომში გაურკვეველი მიზეზების გამო, არც თუ შორს დაბანაკებულმა რუსეთის ჯარმა არ გაუწია ერკეყებრივე მეორეს ტრაქტატით გათვალისწინებული სამხედრო დახმარება, თუმცა არა ერთი მალემსრბოლი აფრინეს მათთან. ხოლო ერკელეს ვაჟის, გიორგი მეცამეტის სიკვდილისთანავე, რუსეთის იმპერატორის, პავლე პირველის საიდუმლო ბრძანებით, უკვე საქართველოში დაბანაკებულმა რუსეთის ჯარის სარდლობამ, აღარ დაუშვა მისი ჩივილი ძის მეფედ კურთხევა, დედოფალი მარიამი ძალმომრეულად გადააყენა ტახტიდან, დაატყვევა კველა ბატონიშვილი, როგორც მოსალოდნელი პრეტენდენტი ქართლ-კახეთის ტახტისა და დედოფალთან ერთად გადაასახლა საცხოვრებლად პეტერბურგში, რის შემდეგაც გააუქმა საქართველოს სამეფო და რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ პერიფერიულ პროვინციად აქცია. ამას მოჰყვა რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფა, აკ-

რძალვა ქართულად მღვდელმთსახურებისა, ქართული სკოლების დახურვა და დევნა ქართული ენისა ახლათგახსნილ რუსული ტიპის სკოლებში, ძველთუმეცვლესი ქართული ფრესკების გადაღებვა ტაძრებსა და ეკლესიებში რუს მღვდელთმსახურთა მიერ, რუს ჩინოვნიკთა და სამხედრო პირთა მზვაობრული თვითნებობა და აღვირასინილობა, რაც ცოცხლად აქვს აღნერილი თავის ქმნილებებში ალექსანდრე ყაზბეგს.

ერთი შეხედვით მოხდა საკვირველება. ქრისტიანულმა რუსეთმა სამეფოს გაუქმებით, ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფით და ქართულ ენის დევნით, ერთმორნმუნე საქართველოს გაუკეთა ისეთი რამ, რაც არ ჩაუდენია თეთი სისხლის წიმების არაერთგზის დამყენებელთ თურქეთსა და სპარსეთს საქართველოში. და ეს ყოველივე ურთიერთობის დამყარებისთანავე მოხდა. რას მივანეროთ ეს ამბავი? მრავალ და მცირერიცხოვან სახელმწიფოებს შორის სხვაგვარი დამრიცდებულების შეუძლებლობას, თუ იმუამად აღორძინებული ზოგადევროპული კოლონიალიზმის უფრო დახვეწილი მეთოდებით მოქმედებას? უშევებდნენ კი საქართველოს მეფენი და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა ერკელე მეორე საქმის ამგვარად ნარმართვის შესაძლებლობას, როდესაც მთელის გულმოყვანებით ცდილობდნენ გამუდმებული შემოსევებისაგან დასუსტებული ქვეყანა გადაეკრინათ ერთმორნმუნე ჩრდილოელი მეზობლის შემწეობით?

ჩემის აზრით, არა, რადგან მათ არ იცოდნენ მათი თანმიმდევრულების მსოფლიო კოლონიალიზმის, პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორია; არა უწყობდნენ იმუამინდელ ევროპელთა მეთოდურობაზე, ორგანიზებულობასა და თანმიმდევრულობაზე სხვათა, თუ ახალ მიწებზე ფეხმოკიდების საქმეში, რაც სავსებით განსხვავდებოდა დროიბით შემოსევებისაგან დადასტურდნენ კვეყანა გადაეკრინათ ერთმორნმუნე ჩრდილოელი მეზობლის შემწეობით?

მილირების იმ უნარისა და მისნრაფების
შესახებ, მზარდ ახალგაზრდა ერებს რომ
გააჩინდათ.

რუსეთი და საქართველო თავიანთ
ისტორიულ გზათშესაყარზე ერთმანეთს
ერთობ ზერელედ, ან თითქმის არ იც-
ნობდნენ. საქართველოს რომ უძველესი
ისტორია და კულტურა გააჩნდა, რომე-
ლიც ჯერ კიდევ პრომეთე-ამირანის, ნო-
ეს კიდობანის, არგონავტთა ლაშქრობის
მითებიდან და ლეგენდებიდან იღებს სა-
თავეს, მის წარსულს სიქველითა და ვაჟ-
კაცობით კოდრისზე, ლეონიდეზე, ალექ-
სანდრე მაკედონელზე, კირისზე, კარ-
ლოს დიდზე, გუსტავ ადოლფზე, პეტრე
პირველზე, მილტიადეზე, თემისტოკლე-
ზე, ვილჰელმ ორანელსა და ალექსანდრე
ნეველზე არანაკლები მხევები და გმირე-
ბი რომ განადიდებდნენ. საქართველოს
და რუსეთს რომ ჰყავდათ ერთიდანგვევ
ქრისტიანი ნათლია, ანდრია პირველმო-
ციქული, საქართველო საბერძნეთთან და
სომხეთთან რომ ინანილებს პიონერობას
ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად
გამოცხადების საქმეში, საქართველოს
რომ გააჩნდა ძალზე მდიდარი ჰაგიოგ-
რაფიული, ბრძყინვალე საისტორიო და
დიდებული საერთო მნერლობა და პირვე-
ლი ქართული ლიტერატურული ძეგლი
მეხუთე საუკუნით რომ არის დათარიღე-
ბული, ქართული კულტურა რომ იკვეთე-
ბოდა უფლისციხის, დავით-გარეჯისა და
ვარძის კლდოვანებში, საქართველოს,
იერუსალიმის, ბულგარეთის, სინასა
და ათონის მთის მცუდრო სამონასტრო
ცხოვრებაში, საქართველოს ხელოვნებას
რომ ამშვენებდა დიდებული საეკლესიო
არქიტექტურა, ფრესკული და მინიატუ-
რული ფერწერა, ნარმართულ და ქრის-
ტიანულ ეპოქათა უნიკალური ოქრიძე-
ჭედლობა, საკუთარ სანოტო სისტემაზე
შექმნილი უძველესი მრავალხმიანი საგა-
ლობლები, ჯერ კიდევ წარმართულ ხა-
ნაში რომ დაარსებულა აკადემია ფოთის
მიდამოებში. ხოლო XI-ე საუკუნეში გე-
ლათსა და იყალთოში, სადაც ანტიკური

ფილოსოფიისა და ქრისტიანული თეოლოგიის გარდა, მთელ რიგ მეცნიერებებსაც ენაფვოდნენ, კანტიკუნტად, ან სულაც არ იკოდნენ არათუ მაშინდელი რესეტის შმართველმა წრეებმა, არამედ თვით პუშკინმა, ლერმონტოვმა, გრიბოედოვმა, ტოლსტიომ, კავკასიაში გადმოსახლებულმა ცნობილმა დეკარტისტებმა და ა. შ. მათ შემოქმედებაზე უჩვეულო გავლენას ახდენდა საქართველოს ბუნება, კავკასიონის ზევადი მწვერვალები. ისინი აქ პოლუობდნენ ახალ თემებს, იმუხტებოდნენ მძღვარი შემოქმედებითი იმპულსებით, ექცეოდნენ უჩვეულო პოეტური ინსპირაციის არეში.

ასე რომ, ერევლეს მარტოოდენ რუსეთის ჯარისთვის როდი გაუქსნია ვახტანგ გორგაბაძენის მიერ ოდესაც მტკიცედ ჩარაზული დარიალის კარიბჭე, არამედ რამდენადმე რუსული ლიტერატურის სტიმულირებისთვისაც. მაგრამ იმჟამად, რუს მოღვაწეთათვის საქართველოს ისტორიისა და კულტურის კარიბჭე დაბშული აღმოჩნდა. მათ საქართველო იზიდავდა უფრო როგორც აღმოსავლური ეგზოტიკის მხარე, ხილავდა ქართველთა სტუმარობიყვარეობა და სუფრის ლაზათი, მამაკაცთა რაინდული სიდარბასისლე და ქალთა კდემამოსილება, გულთბილი დამოკიდებულება და ის გაგება და თავისუფალი ატმოსფერო, რასაც ესოდენ მოკლებულნი იყვნენ თავინთ სამშობლოში. რა იცოდნენ საქართველოს დიდებულმა სტუმრებმა, რომ ამ ხალხს ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ჰყავდა ბუმბერაზი მსოფლიო პოეზიისა, შოთა რუსთაველი, რომელმაც ქართული პოეტური გენის პრიზმაში აღმოაპრინინა გასაოცარი სინთეზი ძველინდური, ძველსპარსული, ელინური, ქრისტიანულ-თეოლოგიური, შემდგომაღმოსავლური და ევროპის ქრისტიანულ-რაინდული კულტურებისა. ვინ იცოდა მონინავე რუსთაგან ქართული ენა იმდენად, რომ გაცნობოდა რუსთაველს, გურამიშვილს, სულხან-საბაძობელიანს, ქართლის ცხოვრებას, პაგი-

ოგრაფიულ ძეგლებს; ან საიდან მოეტანათ მათ რუსული თარგმანები?

რუსები, იმჟამად ენაფებოდნენ და თარგმნიდნენ ანტიურ და ახალ ევროპულ ლიტერატურას. გუვერნიორებთან, ლიცეუმებსა და უნივერსიტეტებში სწავლობდნენ მკვდარ და ახალ ევროპულ ენებს და ევროპული განათლებთ დატვირთულები, ქედმაღლურადაც კი უურებდნენ იმ ენასა და კულტურას, რომელიც მათთვის ამოუცნობ სფინქსს ნარმოადგნდა. ქართველოლოგის დარგი რუსეთში გვიან იშვა და ერთობ ზანტად ვითარდებოდა. მთელი XIX საუკუნე XX საუკუნის დასახწის ჩათვლით, ისევ ქართველებმა იპყრეს ხელთ რუსებისათვის ქართული კულტურის გაცნობის ინიციატივა. დაუღალავად იღწვოდნენ ამისათვის პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, კირიონ საძაგლიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე და სხვები.

რუსეთის ინტელიგენციის ჯერ ვერ დაეძლია იმპერიის მოქალაქისათვის დამახასიათებელი ქედმაღლობა, ხოლო ქართველებს სამართლიანი წყენა გეორგიესკის ხელშეკრულების დარღვევისა და მისი შედეგების გამო. აი, რა ამეტრუტებდ ქართველოლოგის განვითარების საქმეს რუსეთში. თუმცა, რას უნდა დაეძრა ეს ყინული, როდესაც თვით ქართველებს არ ჰქონიათ იმჟამად ბოლომდე აღმოჩენილი, აღნერილი, კლასიფიცირებული, ფილოლოგიურად დამუშავებული და გადმოცემული თავისი უზარმაზარი ლიტერატურული საგანძურო, არ ჰქონდათ ღრმად შესწავლილი თავისივე კულტურა. ერთი სიტყვით, რუსეთის ინტელიგენცია არ, ან ცუდად იცნობდა საქართველოს და მისი დიდი ნანილი ვერც გაიგებდა იმას, თუ რა ხდებოდა ქართველთა გულებში გეორგიესკის ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით. სამფონს გაუქმება, ენის ხელყოფა ცხადია მძიმე ასატანი იყო, მაგრამ ყველაზე აუტანელი

და შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო ის მოულოდნელი ვერაგობა და ცბიერება, იმთავითვე რომ ჩამოჰვლიჯა ნიღაბი მოყვრადმოსულის სახეს. ოდიოგან, ქართველების გაგებით საქართველოდ ინოდებოდა ქვეყანა, სადაც ღმერთმასახურება ქართულად სრულდებოდა. შესაძლოა ქვეყანა დროებით დაუპყრო დუშმანს და სახელმწიფო აპარატიც მოერღვია, მაგრამ სანამ ქართველი ქრისტიანად ირაცხებოდა და ეკლესიებში ქართული ნირვაიდან, ქვეყანას კვლავ საქართველო ერქვა.

ახლა კი, ქართველთა ნარმოდენაში აღარც საქართველო უნდა არსებულიყო. მაგრამ საქართველო არსებობდა და ერთი რამაც გულწრფელად უნდა ვალიაროთ: არ ვიცით სურდა თუ არ სურდა იმპერიის მთავრობას, მაგრამ ქართველობამ, მიუხედავად ენობრივ-სახელმწიფო-ებრივი უფლებების დაკარგვისა, თუმცა ფარულად, მაგრამ მხოლოდ რუსეთან შეერთების შემდეგ იგრძნო თავი ისეთ ერთიან ორგანიზმად, დავით აღმაშენებელისა და თამარის ეპოქაში რომ ჰქონდა ადგილი. ერთიან ორგანიზმად-მეთქი, რომ ვამბობ, როდი გულისხმობს იმდროინდელ დამოუკიდებლობასა და ძალმოსილებას. ვინმე რუსთაგანს ღრმად რომ სცოდნოდა, მაშინ საქართველოს ნარსული და იმაშინდელ ღონებმდე ჩამოქვეთების მიზეზი, შესაძლოა ქართველთა პრეტენზიებზე ასე კპასუხა: „განა ერთმა საქართველომ მოაწერა ხელი გეორგიესკის ხელშეკრულებას? არსებობდა იმჟამად ერთიანი საქართველო? რად იდგნენ ცალ-ცალკე ქართლ-გახეთისა და იმერეთის სამეფონ, აფაზეთის, სამეგრელოს და გურიის სამთავროები? ჩვენ გვსაყვედურებთ, სიტყვა რომ გავტეხეთ და ერეკლე მეორეს არ მივეჭველეთ და ერნანისის ომში, განა იმერთა სამეფო და სამთავროები მოეშველნენ? სადიყო კრნანისზე ის ორმოცდათათასიანი მხედრობა, თელავიდან მცხეთისკენ რომ მოაცილებდა უკანასკნელ გზაზე ერეკ-

ლეს ცხედარს? სად იყო დანარჩენი საქართველო, სამცხე-საათაბაგო და აჭარა რომ შთანთქა თურქეთმა? ჩვენ გვიკიფინებთ, საქართველოსათვის იმშამად სავსებით უცხოსა და უცნობ ერს: სიტყვა რად გატეხეთ, ტრაქტატით დადებული ხელშეკრულება რად დაარღვეოთ! განა მათი იგანე მრისხანის, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის ნინაშე დადებული ფიცი დავარღვეოთ: ვიძრძლოთ და ვიღვაწოთ რუსეთის იმპერიის გასაფაროთებლად და საკეთოლდელოდ! ასევე არ შევიერთოთ ვოლგისპირეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხები? ჩვენ რომ გვიკიფინებთ, მაშინ რაღა ვთქვათ თქვენივე თავისთვის მიცემული სიტყვის არაერთგზის გატეხვაზე? განა ურთიერთის ნინაშე დადებული ფიცის დარღვევა საკუთარი თავისათვის მიცემული სიტყვის გატეხვას არ ნიშნავს? თუ ასე არ არის, მაშინ გიორგი ბრწყინვალის დროიდან დღევანდლამდე კვლავ ერთიან სამეფოდ გაერთიანება რად ვერ შესძლით? რად ვერ შესწირეს თქვენმა მეცეებმა და მთავრებმა საკუთარი სიამაყისა და პრიორიტეტის გრძნობა ერთიანი საქართველოს იდეას? გაჭირვებამ რატომ გაგთიშათ უფრო და არ შეგრათ? შეკავშირებასა და ურთიერთდახმარებას ვიღა დაექტება: რატომ მტრობდით და ასუსტებდით ურთიერთს? ჩვენს მოსვლამდე, განა დაკარგული არ იყო ქართლ-კახეთისათვის სამეგრელო, აფხაზეთისათვის გურია და იმრეოთ და ა.შ.? განა ჩვენი მეობებით არ ჰპოვეს კვლავაც ერთმანეთი საქართველოს კუთხებმა? შესძლებდით უჩვენოდ კვლავ ერთიან ორგანიზმად შენიშვნებას? და ბოლოს, დაიბრუნებდით ოდესმე ჩვენს გარეშე თურქთაგან მიტაცებულ მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარას? ვინ მოგანიჭოთ საუკუნეების მანძილზე ნანატრი მშეიღობა, ქრილობათა მოშუშების, დასვენების, შრომისა და სწავლა-განათლების საშუალება? გეყოლებოდათ XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში იმგვარად განათლებული პიროვ-


ნებები, როგორიც იყვნენ პლატონ იმპელიანი, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი და ა.შ. ჩვენ რომ არ შეგვევემნა თქვენთვის პირობები ევროპულ კულტურასთან ზიარებისა? სად აღიჭურვენენ ცოდნის იარალით თერგდალეულები, თუ არა რუსეთში? მადლიერების გრძნობას თავი რომ დავანებოთ, სადაა თქვენი ობიექტურობა?!

- არა, - ვუპასუხებდით ჩვენ, - ქართველებს არც ობიექტურობა და არც ცოდვა-მადლის გრძნობა დაგვიკარგავს. ჩვენ კარგად ვიცით იმ დადგინითის ფასი, რუსეთთან ურთიერთობაში რომ მოგვიტანა, რაც თავის დროზე დაინახეს და აღნიშნეს კიდეც თავიანთ შემოქმედებაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა და გრიგოლ ორბელიანმა.

ვიცით, რომ მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარას რუსეთის გარეშე ვერ დავიბრუნებდით, მაგრამ მათი დაბრუნების მოტივი საქართველოში როდი იყო, არამედ რუსეთის იმპერიის გაფართოება. მაგრამ ამისთვისაც გმადლობთ! ვიცით, რომ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაუქმების შემდეგ, საქართველოს ცალკეულმა კუთხეებმა შეწყვიტეს შუღლი და მტრობა და ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მოქცეული, მჭიდროდ დაუახლოვდნენ ურთიერთს. გვახსოვს ნარსულში ჩვენი მთავრებისა და ფეოდალების მზაობრობა და გადაჭარბებული ინდივიდუალიზმი, არგონავტების მითისა არ იყოს, ვეშაპის კბილებიდან აღმოცენებული დევ-გმირებივით რომ ეპროდნენ ურთიერთს და ხშირად პირადულს ერთიანი საქართველოს იდეაზე მაღლა აყვანებდნენ, გვახსოვს, რომ ჩვენი ისტორიის მანძილზე, მხოლოდ იხეთი ზებუნებრივი ძალის მეფეებმა შესძლეს ქართული ინდივიდუალიზმის დალევეთ ქვეყნის გაერთიანება, როგორიც იყვნენ: ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარი და გიორგი ბრწყინვალე.

პირველობისათვის ბრძოლა და ში-

ნათგამცემლობა აქუცმაცებდა ქვეყანას, მაგრამ ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ ჩვენა გვაქვს უფლება თავს ვუსაყვედუროთ, რადგან ჩვენსავე თავს ვაზინებდით და არა სხვას; და მისა ზემოხსენებული არგუმენტები ვერ გამოდგება რუსეთისათვის იურიდიულ გამართლებად გეორგიესკის ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით. ვიცით ისც,



რომ მიუხედავად გათიშულობისა, საქართველო ნიადაგ მთლიანი იყო სულიერად, რადგან ქართული კელესია არასოდეს გათიშულა. და ბოლოს, ისც ვიცით, რომ სხვა, ჩვენს ადგილას არათუ სამეფოს, ასპათ, არსებობასაც ვერ შეინარჩუნებდა. ბიზანტიის იმპერიის ზურგს უკან, თურქებმა რომ იავარჲვეს, განა მოელივრობა არ იდგა?

დიახ! უდავოდ გვჭირდებოდა მშვიდობა და დასვენება, რადგან სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა საქართველო-სათვის ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის უკანასკნელ მილნევებთან ზარება, რაც მხოლოდ ისლამური გარემოცვის გამო ვერ მოახერხა თავის დროზე ქვეყანამ.

საქართველო უხსოვარი დროიდან იდგა უძველეს სამხრეთელ და უახლეს ჩრდილოელ ხალხებს შორის და არ აძლევდა მათ აღრევის საშუალებას. იგი არა მარტო სივრცულ, არამედ დროთა შორის წყალგამყოფსაც წარმოადგენდა, რადგან ამ ხალხების კულტურათა განვითარებას თავთავიანთი დრო უნდა ჰქონდა და მათი აღრევა არც მათი საკუთარი მისის და არც მსოფლიო კულტურის განვითარებისთვის იყო მიზანშეწონილი. ამით დაირღვეოდა ხალხების, და აქედან გამომდინარე, კულტურათა დროში თანმიმდევრობის ურყევი მსოფლიო კანონი. ამაში გამოიხატებოდა იმუად საქართველოს ეზოტერული მისია. გარდა ამისა, საქართველო აღმოსავლეულ და დასავლეულ კულტურათა შორის გარეული სინთეზისა და დამაკავშირებელი როლის ფუნქციასაც ასრულებდა.

მომდევნო პერიოდშიც ჩვენ და სომხები ვიდექით სადარაჯოზე კავკასიონის კარიბჭესთან, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ნამონეული ფორმოსტი ქრისტიანობისა და ვაკავებდით სამხრეთიდან დამრულ ისლამურ ურდოებს. საუბედუროდ, X-ე საუკუნეში სომხეთმა დაჰკარგა სახელმწიფო, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სარწმუნოება შეინარჩუნა, ასე რომ, დავრჩით ერთადერთ ქრისტიანულ სახელმწიფოდ კავკასიაში. ჩვენზე ბლაგვდებოდა სიბასრე ისლამურ ურდოთა მახვილისა. ჩვენ ვაცლიდით მათ კავკასიონის იმიერ მოქმედების უნარს.

რუსები სიამაყით აღნიშნავთ: რუსეთის შეკავენი მონღლოლა ურდოები და იხსნა ევროპა განადგურებისაგან. რად არ უკირდებით იმ ამბაეს, რომ რამდენად-მე ჩვენს გამო ვერ მიაღწიეს თქვენამდე არაბთა, თემურ-ლენგის, სპარსთა და ოტომანთა იმპერიის ურდოებმა. მონღლოლი დამპყრობლები საქართველოსაც შესევია და ამადაც კუნყოთ, რომ მათ არ ჰქონდათ რელიგიური სისტემა და ამიტომ რელიგიურ დევნას არ ენეოდნენ,

ასე რომ ქრისტიანულ რელიგიას რუსეთში თითქმის არ განუცდია დევნა. მაგრამ ზემოთა აღნიშნული ქვეყნების ისლამური მხედრობა რომ შესეოდა რუსეთს, შესძლებდა იგი ქრისტიანული რელიგიის შენარჩუნებას, ურომლისოდაც სამუდამოდ უნდა გამოისხოვებოდა ევროპულ კულტურასთან ზიარებას? მით უმეტეს, რომ ქრისტიანობა რუსეთში არც თუ დიდი ხნის წინათ იყო ფეხმოკიდებული და დამკიდრებული? ხომ შესძლეს სამხრეთელმა დამპყრობლებმა ჯერ კიდევ თემურ-ლენგის ხანაში ჩრდილოეთ კავკასიის გამუსლიმანება? რუსეთსაც რომ იგივე ხვედრი რგებოდა? ეს ურდოები, დამპყრობლურის გარდა, განა გააფირებულ რელიგიურ ომებსაც არ ენერდნენ? მოგვიანებით ოტომანთა იმპერიას, ევროპას რომ აზანზარებდა, სამი დაბრკოლება არ უღობავდა რუსეთისაკენ გზას: შავი ზღვა, კავკასიონი და საქართველოს სამეფო? მათ რომ საქართველოს სამეფო მოქალაქე, როგორც ეს პიზანტიის მიმართ ჩაიდინეს, მათ რომ ქართველები გამოსულიმანებინათ, რაღა შეუძლიდათ ხელს თავიანთი იმპერიისათვის შემომტკიცებინათ ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანი ხალხები და უშუალოდ ხმელეთიდნ დაკავშირებოდნენ ყირიმის სახანოს? მაშინ ხომ ფართი ფრონტითა და მთელის ძალებით უშუალოდ ხმელეთიდნ მიადგებოდნენ რუსეთს, პეტრეპირველმადელი რუსეთის სამეფოს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰყავდა ევროპულ ყაიდაზე განვრთნილი რეგულარული ჯარი და ფლოტი, და ყირიმის სახანოსაც კი ძლიერ უმელავდებოდა?

საქართველო თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ამონდ როდი იწევდა ხმალს ქრისტიანობის შესანარჩუნებლად. მას ჯერ ცეცხლთაყვანის მცემლურ, ხოლო შემდეგ მუსულმანურ გარემოცვაში უნდა შეენარჩუნებინა ქრისტიანული სამეფო, თუნდაც წერტილისოდენა არ ქრისტიანული სამყაროსი და არ მიეცა ამ გარემოცვისათვის რკალის შევიწროების

საშუალება და ამ ამბავთან არა მარტო მისი არსებობა და პრესტიული, არამედ რუსეთის ბედიც იყო მჭიდროდ გადანასკვული. ამაში გამოიხატებოდა იმშამად ქართველი ერისა და საქართველოს, როგორც სამეფოსა და სახელმწიფოს მისია..

უსამართლოზე უსამართლო იყო XIX-ე საუკუნეში კავკასიის უპირველესი გმირის, შამილის წინააღმდეგ რუსების მიერ წარმოებული ომი, მაგრამ გლობალური, თუნდაც რეგიონალური მასშტაბის კულტურულ-ისტორიული დილემების გადაწყვეტა უტრაგებილოდ და უმსხვერპლოდ არასოდეს მომხდარა...

დას, გმირული და სამართლიანი იყო დალესტანელთა ომი რუსეთის იმპერიის წინაღმდეგ, მაგრამ მანამდე, მეტადრე გმირული, ხანგრძლივი და სამართლიანი იყო ქართველთა ომი მუსულმანურ გარემოცვასთან და რომ არ მისცა ზემოხსენებულ მტრულ გარემოცვას იბერიაშ რკალის შევიწროების საშუალება, ამით და მხოლოდ ამით მოამზადა კავკასიაში ევროპულ კულტურისა და ცივილიზაციის უკანასნელ მიღწევათა დამკიდრების საფუძველი, იმ კულტურისა და ცივილიზაციის თავისი უტეხი წებისყოფის მეოხეობით რომ შემოიტანა და თითქმის ძალით დანერგა რუსეთში გეორგიევსკის ტრაქტატამდე თითქმის საუკუნით ადრე პეტრე დიდმა. უდავოა, ამგვარი საფუძვლის მომზადებაშიც გამოიხატება საქართველოს კულტურულ-ისტორიული მისია კავკასიაში. ამაოდ როდი იქცა XIX-ე საუკუნეში თბილისი ქართველ და სომებს მოღანეთა საასპარეზო სარბიელად; ქართველ, რუს და ევროპელ ინტელიგენტთა შეხების წერტილად. იმშამად მარტოოდენ ევროპის ლიტერატურასთან, ხელოვნებასთან და ფილოსოფიასთან ზიარება როდი კმაროდა.

საქართველოსთვის სასიცოცხლო პრობლემას წარმოადგენდა ევროპის მეცნიერულ, არქიტექტურულ-სამშენებლო, ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის და ა. შ. მიღ-

ნევათა ათვისებაც. და ნუ დაგვაყვედრით, რომ ყოველივე ეს რუსეთის გზით უნდა მიგველო, ნუ დაგვაყვედრით იმას, რაც საქართველომ უთუოდ დაიმსახურა თუნ-დაც იმით, საუკუნეების მანძილზე სხვის მოსაქნევ ხმალსაც თავად რომ იქნევდა. განა ევროპამ დააყვედრა, ან პეტრე დიდ-მა ქედის მოხრით უპასუხა ევროპას იმ სულელური ამაგისათვის, რუსეთისათვის რომ გაიღო? ხომ გაამართლა მან რეფორ-მაციის ეპოქის უპირველესი გმირის, გუს-ტავ ადოლფის, არცთუ უსაფუძვლო შიში რუსეთის მიმართ, რომელსაც ევროპა პე-გეგმონისათვის მებრძოლ საშიშ მეტოქედ აქცევდა, თუკი მისცემდა პატრიარქა-ლური ძილიდან გამოსვლის საშუალებას. განა არ დასჭირდა პეტრე პირველს მის მიერვე ნამონებული ილიადას მოგება, რათა შვედთა დამარცხებით ევროპისაკენ გაეჭრა კარი ბალტიის სანაპიროზე, განა არ გამოსტაცა მან ევროპას ახალი პალა-დოუმი, რომლის რუსეთში გადმოსატანად ტიტანური შრომის გაწევა მოუხდა?

დღის! საქართველომ რუსეთის მეოხე-
ბით მოიპოვა ხანგრძლივი მშვიდობა და
ეკროპულ კულტურასთან ზიარების სა-
შუალება და ჩვენც ამისათვის ყვირილით
ქვეყანას შევძრავდით ეს რომ ემაროვანეს
კომპენსაციად იმისა, რაც საქართველოს
იმუამად წაართვეს: გამოსტაცეს ენა და
სახელმწიფოებრიობა, ურომილისიდაც
გარდუვალია ნებისმიერი ერის დეგრადა-
ცია და გადაშენება. როგორ უნდა დაეშ-
ვა საქართველოს იმგვარი დეგრადაცია,
რომლის მსგავსი თვით სისხლის წვიმების
დროშიც არ განუცდია?

გეორგიევსკის ხელშეკრულების დარღვევისთანავე, საქართველომ დაიწყო კიდეც შინაგანი ბრძოლა რუსეთის ნინააღმდევე, ბრძოლა, რომლითაც რუსეთს კი არ ასუსტებდა, არამედ საკუთარ ძალთა მოპილიზებას ახდენდა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. რაღაც თქმა უნდა, მონინავე ქართველთა ერთადერთი მიზანი ტრაქტატით გათვალისწინებული უფლებების აღდგენა, ან

როსეთთან ურთიერთობამდე არსებული მდგომარეობის დაპრუნება უნდა ყოფილიყო. საქმემაც არ დაყოვნია: 1832 წელს შეიტმულება, საქართველოს ეროვნული ღირსებისადმი დიმიტრი ყიფიანის გამოქმნაგება, თერგდალეულთა მამულიშვილური საქმეები, ეკლესიის მსახურთა, კრიონ საძაგლიშვილისა და ლეონიდე ოქროპირიძის მცდელობანი ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დასაბრუნებლად — აი, გაუხვინარი ფურცლები საქართველოს ისტორიისა XIX-ე საუკუნის მანძილზე.

რით უპასუხა ძალმომრეობისადმი ქართველი ერის ამ ბუნებრივ რეაქციას იმპერიის ხელისუფლებამ? რეპრესიებით! მაგრამ რაც მთავარია, მიზანი გამოიკვეთა და მოხევის პასუხი იღია ჭავჭავაძის „მგზავრის ნერილებიდან“: – „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდვნოდეს“ – XIX საუკუნის სამოციანელთა და მთლიანად საქართველოს უმთავრეს სამოქმედო პროგრამად იქცა. საქართველოს სამეფო აღარ არსებობდა, მაგრამ სული ერისა კვლავ ფხიზლობდა და მნელბედობის მარწუხებიდან თავის დახსნას ლამბიდა. უპირატეს საზრუნვად თერგდალეულებმა მართისულად მიზნიერს ქართული ენის-ათვის ჩამორთმეული უფლებების დაბრუნება და არც შემცდარან, რადგან ენა იყო და მუდამ იქნება არა მკვდარი სიმბოლო, არამედ თავად ერის სიცოცხლის უმთავრესი ნიშან-სვეტი. ამ უტყუარი საშუალებით, თვითრწმენით ამაღლება, მონინააღმდეგის თვალში ავტორიტეტის ამაღლებასაც ნიშნავად, რაც შეუძლებელი იყო ახალი, მძლავრი ეროვნული ლიტერატურის შექმნის გარეშე. საქართველოს ნარსულის გმირული ფურცლების გაცოცხლებით, ახალი ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემების დაყენებით, ქართულმა მხატვრულმა და პუბლიცისტურმა ლიტერატურამ იმდენად დამუხტა მორალური ატმოსფერო, რომ საზოგადოებრივი აზრი ძირეული საჭირობოროტო საკითხების გადასაჭრე-

ლად მოამზადა, სწორედ ლიტერატურის ამ ახალი პოზიციებიდან დალაშქრეს თერგდალეულებმა თვითმმყრობელობის ერთის შეხედვით მიუდგომელი სიმაგრეები და გამოსაძლეს იმპერიის მთავრობას ქართული უურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემის, ქართული თეატრისა და სკოლების და ეროვნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დაარსების უფლება. ყოველივე ეს არ მომხდარი იოლად, ცენზურასთან და შოვინისტ რუს მოხელეებთან შეხელა-შემოხლის გარეშე; მაგრამ თავგამოდებულმა მამულიშვილურმა შემართებამ შეუძლებელი შესაძლებლად აქცია და გეორგიევსკის ტრაქტატის 100 წლის თავზე თუ პოლიტიკური არა, ქართველ ერს გარკვეული კულტურული ავტონომია მაინც მოუტანა.

ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა – ეს სამი სახელი ელავდა ყველაზე მკაფიოდ საქართველოს სულიერი ცხოვრების კაბადონზე. მიუხედავად დიდი გამჭრიახობისა, საყოველთაო ავტორიტეტისა და განსაკუთრებით კი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, ილია ჭავჭავაძის ორგანიზატორული ნიჭისა, რაც უთუოდ მისი მკველელობის უმთავრესი მიზეზი გახდა, ისინი არ ყოფილან პრაქტიკოსი პოლიტიკოსებზე და არც მიუმართავთ პოლიტიკური აქციებისათვის გეორგევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად, მაგრამ იმდენად დიდი იყო მათი დამსახურება ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების საქმეში, რომ ნაღვანი მათი მარადიულ საგზლად გაჰყვება საქართველოს შორეული მომავლის გზებზე.

ილია ჭავჭავაძე პოლიტიკური პრძოლისა და საკუთარი სურვილის გარეშეც აშეარად იყო აღიარებული ქართველი ერის მამად და სახელმწიფოებრიობის მოპოვების შემთხვევაში, მის გარდა არავის ხედებოდა ნილად ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წინამდებლობა.

მოვლენათა ფარული ურთიერთკავშირების გამო, მსოფლიო ისტორია საკეთა მოულოდნებლობებით. მოულოდნებლად დაპერგა საქართველომ სახელმწიფოებრიობა და მოულოდნებლად დაიბრუნა იგი 1918 წელს, დაკარგა გარეშე ძალის ჩარევით, ხოლო დაიბრუნა საკუთარი ძალის ჩაურევლად, სისხლისღრუის გარეშე. თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებმა მომალეს რუსეთის იმპერია, რასაც მისი არმიის რღვევა მოჰყვა, მალე რუსეთის ჯარის ნანილებმა დატოვეს საქართველო და ქვეყანა სახელმწიფოებრიობის რეალური დაბრუნების წინაშე დადგა. სრულდებოდა დიდი ხნის ნატერა, რუსეთის იმპერიის მიერ გეორგიევსკის ხელშეკრულების დარღვევის მერე რომ არ მოსცილებია ქართველების გონებას. მაგრამ იმ დროის თავკაცები, რატომ-დაც გაუბედაობას ავლენდნენ და აყოვნებდნენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას. ძნელია დადგენა – მორიდებულობას იჩენდნენ მისი გამო, რომ უბრძოლველად მიიღეს ამის საშუალება, თუ ეს იდეა ჯერაც არ დამტკიცებულიყო ქართველი ხალხის შეგნებაში, როგორც პოლიტიკური აუცილებლობა. მაგრამ მოსახლეონი მაინც მოხდა. ჯერ საქართველოს ეკლესიამ სცნო თავისი დამოუკიდებლობა, ალიგინა ავტოკეფალია და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ყოველთვის იყო ერთიანი და სუვერენული საქართველოს იდეის გამომხატველი. მის მაგალითს მაღლე თავკაცობის პრეტენდებამაც მიპახეს და 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. ეს მონაპოვარი არ წარმოადგენდა ძალთა მობილიზების უშუალო კულტობრივის, მაგრამ იგი უთუოდ ჩაითვლება იმ მიზნის განხორციელებად, რასაც XIX საუკუნის მანძილზე თავიანთი სულიერი ენერგია შეალიერი საქართველოს რჩეულმა შეიღებმა. ეს გახლდათ ლოგიკური და სამართლიანი პასუხი გეორგიევსკის ხელშეკრულების დამრღვევთა მიმართ.

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა. საქართველოს იმუამინდელ მთავრობას, ორი ომის მოგვრება მოუხდა; იგი ხალხის მხარდაჭერითაც სარგებლობდა, მაგრამ მაინც ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. მას არ ესმოდა ერთი ჭეშმარიტება, რომ ძნელია თავისუფლების მოპოვება, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია შენარჩუნება, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, საფრთხისა თუ უსაფრთხოების შემთხვევაში, აუცილებელია გადამწყვეტი ზომების მიღება..

საქართველოს იმუამინდელმა მესაჭუებმა, ახალი ქვეყნის შემოქმედად ვეღარ ივარგეს. მათ ვერ შეიძნეს და ხელიდან გაუშვეს ალალბედად ნაშოვნი თავისუფლება და 1921 წელს, ბოლშევიკებმა, შეიარაღებულ ძალთა მეშვეობით, საბჭოთა ხელისუფლება დამყარეს საქართველოში, ფარ-ხმალაყილი მთავრობა კი ემიგრაციაში წავიდა. ასე დასრულდა საქართველოს სამწლიანი დამოუკიდებლობა. გამარჯვებულებმა ამ ბრძოლას განმანთავისუფლებელი უწოდეს, ხოლო დამარცხებულებმა ინტერვენცია.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი რუსეთის ბოლშევიური ხელისუფლების სათავეში მოსვლისთვავე, იყო საკუთარი იდეოლოგიისა და სახელმწიფოებრივი წყობილების გავრცელება ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე, რუსული ენის გავრცელების არეში, ყველა იმ პუნქტში, სადაც კი როგორსმერილებური უჯრედი დაუარსებათ იდეოლოგიური მუშაობისა და პოლიტიკური აქციების განსახორციელებლად. მათ რიგებში იყვნენ ყოფილი იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან მოსული პირები, რომელთა პრეტიუისათვეს, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ იდეოლოგიისა და წყობილების გამარჯვებას მათი ყოფილი მოქმედების არეში. ის, ვინც მიესწრავის სოციალისტური წყობილების მთელს მსოფლიოში გავრცელე-

ბას, ცხადია დაინტებდა იქედან, სადაც ხელი უფრო იოლად მიუწვდებოდა. ამგვარი მიზნების განხორციელებას, რუსეთის ბოლშევიურმა მთავრობამ შემდეგი იურიდიული გამართლება მოუნახა. თუკი ნებისმიერ მიმდებარე ქვეყანაში მათი მომხრეებისაგან შემდგრი თვით უმცირესი ჯგუფიც კი სთხოვდა მას შეიარაღებულ დახმარებას ადგილობრივი წყობილების დასამხობად, საკუთარი იდეოლოგიისა და წყობილების ერთადერთ მართებულ წყობილებად მიჩნევის საუკეცელზე და პროლეტარულ-ინტერნაციონალური სოლიდარობის საპაბით, იგი ამგვარი ჩარევის უფლებას აძლევდა საკუთარ თავს, რაც ხსენებულ სახელმწიფოში შეიარაღებული ძალებით შექრას ნიშნავდა. იდეოლოგიურ, ან რელიგიურ საუკეცელზე სხვა ქვეყნის საქმეებში შეიარაღებული ჩარევის მსგავს პრცედენტებს, ადრეც ჰქონია ადგილი მსოფლიოს ისტორიაში და ეს ამბავი ბოლშევიკების გამონაგონი არ გახლავთ. სწორედ ამგვარი იდეოლოგიური მოტივით და მოქმედების ექსანსიური ფორმით შემოქრნენ და დამკიოდნენ ბოლშევიკები საქართველოში და იმის დასამტკიცებლად, რომ მათ მოქმედებას არაფერი აქვს საერთო ველიკორუსული დამპყრობლური პოლიტიკის გამოყლებასთან, როგორსაც ადგილი ჰქონდა გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევისას, გაუქმებული ქართული სახელმწიფოს ნაცვლად, მათ რაიმე ისეთი უნდა შემოეთავაზებინათ, რასაც მათის აზრით უნდა უვნებელეყო ამგვარი სახის მოსალოდენლი ბრალდება. რუსეთში შემავალ ოლქად საქართველოს გამოცხადების საკითხი არც კი წამოქრიდა, რადგან გაბათილების ნაცვლად, იგი აშკარად ცხადყოფდა ამგვარი ბრალდების სისწორეს. ხელალებით იქნა უარყოფილი ქართველ ბოლშევიკთა ერთი ჯგუფის მიერ შემოთავაზებული პროექტი, რომელიც ახლად დამყარებული წყობილების შენარჩუნებით საქართველოს რუსეთისაგან სრულ გამოცალევებას ითვალისწინებ-

და. და ვინაიდან უკლონისტებად სახელ-დებული ეს დაჯგუფება პრინციპულად მოითხოვდა ამ პროექტის განხორციელებას, ეს შენაპარტიული კონფლიქტი, ამ ჯგუფის ლიკვიდაციით დამთავრდა. როგორც ჩანს, ზემოხსენებული პროექტის უარმყოფლებს არ ჰქონდათ იმედი რუსეთს გარეშე საქართველოში აღლად დამყარებული წყობილების შენარჩუნებისა და ბოლოს, ბოლშევიკებმა ახალი ტიპის ექსპრიმენტული სახელმწიფო შესთავაზეს ხალხებს, რითაც პირველად გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯი დაახლოებით იმგვარი მრავალფეროვანი სახელმწიფოს შესაქმნელად, ასე საოცრად რომ ჩამოჰგავს გერმანელი ფილოსოფიოსის, ფრიდრიხის ემანუელ კანტის მიერ პარიორული მეთოდით მიკვლეული სახელმწიფოს პროექტს (მსგავსებას მხოლოდ ეროვნული სტრუქტურის თვალსაზრისთ აქვს ადგილი, რადგან სოციალურ სტრუქტურასა და იდეოლოგიურ საფუძველს კანტი არ შექმნია).

ეს იყო სხვადასხვა სახელმწიფოს გაერთიანებით შექმნილი ერთიანი სახელმწიფო, რომელშიც არ უნდა ჰქონოდა ადგილი თითოეული მათგანის სუვერენიტეტის ხელყოფას. უნინ რუსეთის იმპერიად სახელდებული ქვეყანა, ახლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად იწოდებოდა და ეროვნული სხვაობის მიხედვით, განიყოფოდა რესპუბლიკების კავშირით იწოდებოდა და ეროვნომიურ რესპუბლიკებად და ავტონომიურ ოლქებად. თითოეულ ამ სახელმწიფო ერთეულს ჰყავდა თავისი მთავრობა, რომელიც ექვემდებარებოდა კავშირით შექმნილი ერთიანი სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გამომხატველს. კანტის ნარმოდეგნით, სახელმწიფოები ნებაყოფლობით უნდა შეკრებილიყვნენ ერთი ძლიერი სახელმწიფოს გარშემო და ამგვარი კავშირი მათ შორის მუდმივი მშვიდობის გარანტიად უნდა ქცეულიყო. რესპუბლიკებად წილის კავშირით იწოდებოდა და ეროვნული სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გამომხატველს. კანტის ნარმოდეგნით, სახელმწიფოები ნებაყოფლობით უნდა შეკრებილიყვნენ ერთი ძლიერი სახელმწიფოს გარშემო და ამგვარი კავშირი მათ შორის მუდმივი მშვიდობის გარანტიად უნდა ქცეულიყო.

ფორმი, მათ შორის საქართველო, მართლაც, რსფსრ-ის გარშემო აღმოჩნდა შემოკრებილნი, თუმცა კანტის ფორმულა ნახსენებიც არ ყოფილა. აქვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ ამ ხალხების ხელახლი შემოკრება რუსეთის გარშემო, მოლაპარაკებებით არ მომხდარა და ამდენად არც ნებაყოფლობით ყოფილა. როგორც საქართველოს მაგალითზე ჩანს, იგი საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ჩარევით იქნა მიღწეული. მხოლოდ ამგვარი შემოკრების შემდეგ იქნა შეთავაზებული ერთიანი სახელმწიფოს ზემოხსენებული პროექტი, სახელმწიფოსი, რომელშიც დაცული უნდა ყოფილიყო მასში შემავალი რესპუბლიკების სუვერენიტეტი, სსრკ-ის კონსტიტუციით გარანტირებული უნდა ყოფილიყო მათი კავშირში შესვლისა თუ კავშირიდან გასვლის თავისუფლება. აგრეთვე თანასწორუფლებიანობა თითოეული ერისა, ნებისმიერ რესპუბლიკას უნდა ჰქონიდა სახელმწიფოებრობის აღმინშევნელი ყველა ატრიბუტი თუ საკუთარი სიმბოლო: კონსტიტუცია, დროშა, ჰიმნი, გერბი და ა. შ.

ერთაშორის ურთიერთადმოკიდებულების თვალსაზრისთ რაც დაწერა, უმაღლესი სამართლიანობის თვალსაზრისთ დაიწერა და ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ერთა შორის უძლიერესი როგორ გაატარებდა ცხოვრებაში ქალალდზე აღნიშნულს. მასზე იყო დამოკიდებული ყველა ნებაყოფლობოთობის ცხოვრებაში რეალიზება. რესპუბლიკათა თანმხლები სიტყვა „მოკავშირ“, საგესბით ებმიანებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის სულისკვეთებას, ხოლო სიტყვა „მმობა“, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გულისხმობდა. მაგრამ, მიუხედავად შემოთავაზებული პირობებისა, ქართველ ხალხს მანც არ დაუკლია მცდელობა დამოუკიდებლობის დაბრუნებისა, რადგან ძალმომრეობა, კავშირში მისა შეეცვანის დროს რომ ჰქონდა ადგილი, ნდობას უკარგავდა მას იმათ მიმართ, ვისზეც უშუალოდ იყო დამოკიდებული კონსტი-

ტუციით გათვალისწინებული ნებაყოფლობითობის ცხოვრებაში რეალიზება.

თაობას თაობა მოჰყვა და ურთიერთობებშიც ბევრი რამ გაირკა. ქართველმა ხალხმა რომ ვერ დაიბრუნა 1921 წლს დაკარგული სახელმწიფო, ამიტომ ხელებს ვერ დაიკრეიდა, კულტურულ, მეცნიერულ და მატერიალურ საქმეებს დათის ანაბრად ვერ დატოვებდა. მას ახალ, შემოთავაზებულ პირობებში უნდა ეცადა შემოქმედებითი ძალები, შეემოწმებინა თავისი სამოკავშირი უფლებების იურიდიული სისტემიდრე. მთავარი მოკავშირის მიმართებანი მისადმი და კონსტიტუციური ვალდებულებებისადმი. მას მერე ბევრი ხოტბა და საღლეგრძელო აღვლენილა, მოთმინების თასმებიც გაწყვეტამდე დაჭიმულა და პრეტენზიებიც ცხადია დაგროვდა. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან არათუ სახელმწიფოებს, ერთ ჭრექვეშ მცხოვრებ ორ ადამიანსაც კი უჩნდება ხმირად პრეტენზია ურთიერთის მიმართ. ზოგიერთი ეროვნებით რუსი საბჭოთა მოქალაქე სიტყვა პრეტენზის სხენებაზე ნამდვილად ვერ მოითმენდა და ასე მომიგებდა:

„თუ მართლაც სუბიექტურად არ უდგებით ჩვენი ერების ურთიერთობის საკითხს, რა პრეტენზია შეიძლება გქონდეთ ქართველებს რუსების მიმართ? რუსთის იმპერიის მიმართ უქმაყოფილება კიდევ გასაგებია და ჩვენც არაერთგზის დაგვიგმია ცარიზმის პოლიტიკა, მაგრამ დღეს განა თქვენც რესპუბლიკად წოდებულ ისტოსავე ერთეულს არ ნარმოადგენთ, და იმგვარივე ეროვნული მთავრობა არ გყავთ, როგორც ჩვენ? საკავშირო მთავრობის შემადგენლობაში განა იმთავითვე მრავლად არ შედიოდნენ სხვადასხვა ეროვნებათა ნარმომადგენლები და მათ შორის ქართველებიც, დიდი ხნის მანძილზე ნამყვანი ადგილები რომ ეკავათ? რატომ უნდა შევრაცხოთ მაინცდამანც რუსები ყოველივე კარგისა თუ ცუდის მიზეზად და არა ყველანი ერთად? განა რუსებისათვის იგივე კანო-

ნები არ იწერებოდა, რაც ქართველებისთვის? თუ ჭირისა თუ ლხინის მეტ-ნაელებობას ჰქონდა ადგილი? განა გუმილიოვის, მანდელშტამის თუ სხვათა სიკედოლის მიზეზს ისევ დუმილით არ უვლიან ამჟამად გვერდს ბოგრძოები, როგორც მიხეილ ჯავახიშვილისას, ტიციან ტაბიძისას, ვახტანგ კოტეტიშვილისას, ევგენი მიქელაძისას და სანდრო აბმეტელისას? განა ისევე არ უჭირდათ ოდესალაც ცვეტავას და ბულგაკოვს, როგორც დავით კაკაბაძეს, გუდიაშვილსა და გამასაურდას? განა არ უდრის პაოლო იაშვილის თვითმეცვლელი და გაბლატიონის უკანასკნელი ნახტომი მარადისობისაკენ, ესენინისა და მაიაკოვსკის მიერ საკუთარი ხელით თავში დახლილ ტყვიას? განა ისევე არ მოჰკითხეს აიგოდას, ეუოვს, აბაუშმიერსა და რიუმინს ცოდვები, როგორც ბერიას, გოგლიძეს, რაფაელსა და რუსაძეს? და თუ რამ საქართველომ ინვინია, რუსეთსაც იგივე გადახდა: თუ ჩვენთვის ვამერებდით, თქვენთანაც შენდებოდა, თუ რამეში დანაკლისს განიცდდით, ჩვენც განვიცდიდით. გეგმებით გმირთავდნენ? ჩვენც ვატერითვებოდით, თუ რამე გეერძალებოდათ, იგივე ჩვენც გვეერძალებოდა. თუკი რამ იმჟამდ სახელმწიფოში ხდებოდა, ინიციატორები ხელისუფლების სათავეში მდგომი ქართველებიც იყვნენ და თუ რამ არ მოგნონთ, მათაც უნდა მოჰითხოთ. მაგრამ ზადს თუ ხედავთ, ბარემ კარგიც დაინახეთ. მოკავშირობამ არ მოგანიჭათ ხანგრძლივი მშვიდობა მოცემულ რეგიონში? მშვიდობამ კი მეცნიერებისა და კულტურის მძღვანი აღმავლობა, აღმავლობა სახელობრი ეროვნული კულტურებისა? განა არნახული აღორძინება არ განიცადა თქვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ჩვენს დროში? განა იმგვარივე დარჩა მისადმი ინტერესი XIX საუკუნეში რომ ჰქონდა ადგილი? თითქმის მთლიანად არ ითარგმნა რუსულად თქვენი ძველი და უახლესი კლასიკური ლიტერატურა? ყოველმხრივ არ ვუწყობთ ხელს ქართული

ხელოვნების საერთაშორისო ასპარეზზე გატანას? იგივე არ ითქმის სხვა დარგებზე? განა ჩვენს დროში არ იქცა აგრარული საქართველო ინდუსტრიულად? რაშე დენი ინსტიტუტი და სპეცსასწავლებელი გაიხსნა: და რაც მთავარია, მოგცეათ საშუალება საკუთარი ქართული აკადემიის დაარსებისა, რაიც XII საუკუნის შემდეგ არ გლორებით. და ან გყოლით როდებები ამდენი მეცნიერი და მაღალევალიური ციური სპეციალისტი ნებისმიერ დარგისა? მაში რა გინდათ, რაღას გვემართლებით? ეგებ შენ და შენანირები საკუთარ ბოლმას ვერ მორევიხართ და ჩვენზე გადმოსანთხევად დაექცეთ მიზეზს? თუ ასე არ არის, მაში გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლის თავზე, ჩვენ რომ ვზეომობთ, ნაგავში რატომ იქექცით? რატომ ამჩნევ მხოლოდ აუგა და კარგის დანახვა არ გასურს?"

ამგვარი საყვედურის მთემელს მოსარგებ პასუხს დავუბარებ: „კარგად მესმის შენი მეგობარო, რადგან შენ თვალებითაც ძალმიძს ვუცეირო სამყაროს, მაგრამ პასუხს მხოლოდ ჩემი თვალთახედვის საწყალით მოგონყავა...“ არც ჩემი ერთი, არც მე, ბედის მგმობელები არასოდეს ვყოფილვართ, არამედ ვიყავით მხოლოდ შაკს ბედთან მებრძოლები. ამადაც ბოლმის ნთხევა უცხოა ჩვენთვის. არც თუ ნაგავში ქექვა გრევევია, მაგრამ თუ ჩვენი ურთიერთობის ისტორიის გახსენებისას როდესმე ნაგვისთვის ფეხი ნამომიკრავს, მერნმუნე იგი არც მე, არც ჩემს თვისტომებს არ დაგვიყრია. და თუ მის დანახვასა და აღნიშვნასაც ვერავნ დაგვასწრებს, მაღლიერების ნაკლებობას ვერავინ დაგვნამებს და არც გახსენება გვჭირდება პატივი მივაგოთ ბალმონტს, პასტერნაკს, ანდრე ბელის, ზაბოლოვცის, ნეიპაუზს, სიმონოვს, ახმადულინას თუ სხვა რუს მოლვანეებს საქართველოს, მისი ლიტერატურისა და ხელოვნების დაფასებისათვის. მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ ქართველი კაცი მშვიდობისანობისას ისევე მარჯვედ

ხმარობს კალამს, ფუნჯსა და გუთანს, როგორც იმიანობის დროს მახვილს. საქართველო, სხვა კულტუროსანი ერების მსგავსად ქმნიდა და თუკი ხელი არაფერმა შეუძალა, მომავალშიც შექმნის აზრისა და მშვენიერების საოცრებებს და მათ დამფასებელს თავად აწევა ფასი ლირსულის დაფასებისათვის. განა ბერძნებს მადლობის ძახილში უნდა ჩაუწყდეთ ხმა იმისათვის, მსოფლიოს ყველა კულტუროსანმა ერმა რომ თარგმნა ჰომეროსი მშობლიურ ენაზე, ასევე ინგლისელებს შექსპირისა და ბაირონის, გერმანელებს გორეთესა და შილერისათვის და ა. შ. განა ქართველებმა ქართული კულტურის ზემოხსენებულ დამფასებლებს არ მოუზღეს თავის დროზე სამაგიერო რუსული კულტურის დაფასებით? კულტურის სფეროში მისი თუკი ლირსული რამ იქმნება, თავზე მოხვევას არ საჭიროებს, რადგან იგი ყველასათვის მისანვდომ ადგილას ძევს და თვალზე ხელის ამფარებელი ბევრიც რომ აღმოჩნდეს, ზეანვდილი ჩირალდანი ბნელს მაინც გაანათეს. იგივე ითქმის მეცნიერებასა და ტექნიკაზე. მეცნიერული აზრი ერთი ერთი ერთია და სახელმწიფოს ჩარჩობით ვერ შემოისაზღვრება, რადგან მისი განვითარების საწინდარი მხოლოდ მსოფლიოს მეცნიერთა გამუდმებული კოორდინირებული მოქმედებაა, ამიტომ ქართული მეცნიერებაც ერთერთი რეკოლია მსოფლიო მეცნიერული აზროვნების ერთიანი ჯაჭვისა. დღეს, ნებისმიერი დარგი სათანადო მეცნიერებით თუ არ შეიარაღდა, ვერ მიაღწევს იმ დონეს, რა მოთხოვნასაც ეპოქა უყვენებს და რა გასაკვირია, თუკი იმ დარგებმა, რომელთა განვითარების საშუალებას საქართველო იძლევა, მძლავრი მეცნიერული აღმავლობა განიცადეს. გარდა ამისა, მეცნიერების, განსაკუთრებით კი ტექნიკის განვითარება მსოფლიოში, უპირატესად ორი სისტემის დაპირისპირებამ გამოიწვია; ორი სისტემის დაპირისპირებამ, სადაც ერთი მეორის მესაფლავედ, ან მესაფლავის ქომაგად მიიჩნევს თავს,

ნარმობულის უნდობლობა, ფარული თუ აშეარა შეჯიბრი შეიარაღებაში, რამაც ბიძგი მისცა ტექნიკის არნახულ განვითარებას; რადგან ისიც ცნობილია, რომ წარმობის საშუალებათა, დაზგათმშენებლობის, აგრეთვე ენერგიის წყაროთა მოძიების პრინციპი ერთიდაიგივეა სამხედრო, თუ სამოქალაქო ტექნიკისათვეს. ისიც არ უნდა დაგვავინყდეს, რომ თუ ერთი იდეოლოგიის პრიორიტეტი და ერთპარტიულობა რამდენადმე ამტებრუჭებს სიტყვის თავისუფლების საქმეს ჩვენში, სამაგიეროდ სწავლა-განათლების სისტემა ერთობ დემოკრატიულ პრინციპს ემყრება და ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა თავისი ნიჭის, სურვილისა და სიბეჭდითის შესაბამისი განათლება მიიღოს, რაც უდავოდ საიმედო ბაზისია ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებისათვეს.

გარდასული დროის უსიამოვნო ფაქტები იმიტომ როდი გავისხენ, რომ ნინაპართა ცოდვები ამჟამად მცხოვრებ რუსებს დავძირალო, რადგან ისიც კარგად ვიცი, რომ ისტორიისადმი ამგვარი მიღება სისხლის აღების წესზე უარესია. დამერნმუნებ, აღშფოთება ჩემი, მტრობას როდი ნიშნავს, როდი ნიშნავს სურველს რუსეთი ხელმოკარული ან დასუსტებული ვიხილო და ამით გული მოვიოხო, არამედ პირიქით, ვიხილო რუსეთი მართალი, თავმდაბალი, სიტყვისა და საქმის გამაიგივებული, უალრესად ზნეეკთილი და მორალურად ძლიერი, რადგან მის ფიზიკურ სიძლიერეში ეჭვი არავის ეპარება. ამიტომ ნუ გვიწყებ ჩენი პარტნიორი, თუ ორი-ოდე პილვილმოყრილი სიტყვით მივმართავთ იმ სატკივარისათვის, ძოლო ხანებში რომ დაგროვდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გასაბჭოების შემდეგ, ჩვენში არსებობდა ქართული ჯარის ნანილები. მეორე მსოფლიო ომში, ქართული დივიზიები იბრძოდნენ ფრონტზე, და არც თუ სხვაზე ნაკლებად. მაგრამ 1956 წლის 9 მარტის ამბების შემდეგ, რატომდაც სავსებით გააუქმეს ეროვნული ჯარის ნანილები.



ამ საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდში, იყო მცდელობა ქართული სკოლებისა და უმაღლესი სასახლებლების ქართულ განყოფილებაში ზოგიერთი საგნის რესულად სწავლის შემოღებისა. ქართული საზოგადოებრიობის აღშფოტებისა გამო, ეს ღონისძიება ვერ განახორციელება. აღშფოტება ერთობ ბუნებრივი და სამართლიანი იყო, რადგან ენა ქართული მარტოოდენ შაირებისთვის როდია ვარგისი, არამედ ნებისმიერი მეცნიერებისთვისაც. კარგად ვიცით, რომ მომავლის უნივერსალური ადამიანი, თანაბრად უნდა სწვდებოდეს, როგორც მხატვრულ ასევე მეცნიერულ სფეროებს. სამყაროს უნდა სტკრუტდეს ერთდროულად ხელოვანისა და ანალიტიკოსის თვალით, რაც აუცილებელია უმაღლესი შემცნებისათვის. ანდრე ბელის გამოთქმით, იგი თავად უნდა იყოს მრავალძალი, მრავალსიმიანი, რომ შეეძლოს მარადისობის საკარავზე დაკვრა. ამგვარი უნივერსალიზმის ეტალონები იყვნენ ნარსულში ლეონარდო და ვინჩი, გოტე, ლომონოსოვი, შტანერი და ა. შ. მაგრამ ისინი როგორც მხატვრულ, ასევე მეცნიერულ ქმნილებებს თავიანთ მშობლიურ ენაზე ქმნიდნენ, რადგან ნებისმიერი ენა განუყოფელია და თავისავე თავში ამთლინებს ცხოვრებასა და საქმიანობის პოლარულ მხარეებს. ჩვენი სამართლიანი და შეუმუსრავი სურვილია, მსგავსად ლიტერატურული ქმნილებებისა, ქართული მეცნიერებაც მუდამ ქართულად იქმნებოდეს და ქართულსავე ენას ამდიდრებდეს.

ენა წმინდათა წმინდათა წებისმიერი ერისათვის, მისი ღირსებისა და განუმეორებლობის ბეჭედი და მასთან მიმართება მოკრძალებასა და მოწინებას მოითხოვს. ამიტომაც, დაჭრილი აფთარივით წმინდენთებით ხოლმე, ჩვენი ერის უფლებამოსილებას თუკი ვინმე შეეხება. ამასთან დაკავშირებით, ერთი ამბავი უნდა გავიხსენ. 1978 წლის აპრილში, ქართველ ხალხს მრავალრიცხოვანი დემონსტრაცი-

ის მოწყობა დასჭირდა იმისათვის, რათა სსრკ-ს ახალი კონსტიტუციით საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად, მხოლოდ ქართული ენა ეღიარებინათ და არა ქართული, რესული და სხვა რესპუბლიკათა ენები, თითქოს მშობლიური ენა, სუვერენულობისა და სახელმწიფოებრიობის ისეთსავე, ან უფრო აღმატებულ ატრიბუტს არ წარმოადგენს, ვიდრე ეროვნული დროშა, გერბი, ჰიმნი და ა. შ. განა ქართული ეროვნული დროშისა თუ გერბის არსებობა აენინებს ჩვენს პატივისცემას სხვათა დროშებისა და გერბებისადმი? ასევე არ აენინებს, და უფრო ზრდის სხვა რესპუბლიკათა ენებისადმი პატივისცემას ჩვენი განმასხვავებელი სახელმწიფოებრივი ენის არსებობა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართველები რესულს ქართულზე არანაკლებ ფლობენ, ღრმად იცნობენ რესულ ლიტერატურასა და სათანადოდ აფასებენ ამ ენის დამასახურებასა და მხატვრულ ლირებებს. ნეტა, ამის მეთედი ქართული იცოდნენ საქართველოში მცხოვრებმა რუსებმა. ჩვენ დიახაც გვესმის რესული ენის საპატიო როლი, მრავალ ეროვნებათა შორის ურთიერთობის დამამყარებლისა, რაც სავსებით საქმარისია ამ ენის ღრმა პატივისცემისათვის.

ამ ენის შესათვისებლად, მშობლიური ენის შესწავლაზე არანაკლებ ენერგია გაგვიღია და ამიტომაც ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია, როცა კვლავაც და კვლავაც გვიყიშინებენ მისი შესწავლის აუცილებლობისათვის. ქართულ ენაზე უკეთესად, ჩვენ მას ვერც და არც შევისნავლით. ქართული ენა ქართველისათვის მუდამ უმთავრეს ენად დარჩება, რადგან ჩვენ იგი მიგვაჩნია ჩვენი ადამიანური და მოქალაქეობრივ-სახელმწიფოებრივი შეგნებისა და სინდისის უმთავრეს წმინდენთებიდან; ჩვენი წარსულისა და მომავლის გამამთლიანებელ სტიქიად. დღეს, რესტართველთა ურთიერთობის ორასი წლის თავზე, ღრმა ურთიერთგაცნობისა და თანამშრომლობისაგან მიღებული დიდი გა-

მოცდილების შემდეგ, სასაცილოცაა ისეთ რამეზე საუბარი, რაც თავისთავად ცხადი უნდა იყოს. თუ მხოლოდ ქართული არ იქნება საქართველოს სახელმწიფო ენა, თუ მცნიერებებს ქართულ ენაზე არ დავენაფებით სკოლებსა თუ უმაღლესებში და ქრონიკ მცნიერებსა ქართულის ბაზისზე არ განვავითარებთ, თუ სასწავლო დაწესებულებებში ღრმად არ შევისწავლით საქართველოს ისტორიას, როგორც ცალკე საგანს, თუ საქართველოში განლაგებულ ჯარის ნაწილებში ერთ ქართულსაც ვერ გავიგონებთ, მაში სადაური ქართველები ვყოფილვართ, ან სადღა უნდა ვპოვთ თავად საქართველო?

მხოლოდ თვითდამკვიდრებულ პარტნიორებს შორის შეიძლება ნაღდი, უმღლიქნელო მეგობრობა, სადაც ადგილი არ რჩება ფარული აზრებისა და განზრახვებისათვის. მეგობარმა, შენს სახლში რომ არც პატრონად და არც მორიდებულ სტუმრად იგრძნოს თავი, ამიტომ შენვე უნდა იყო შენს ჭერქვეშ შენივე თავის ბატონ-პატრონი და ჭეშმარიტი მასპინძელი. უმაღლურნი არ ვართ,

და სიკეთეს არავის დაცუკარგავთ, მაგრამ მოყვარულადვე პირში ვუძრახებთ, თუკი რამე არ მოგვინონები, ან მომავალში არ მოგვეწონება. ორი ადამიანის მეგობრობისას, იდეალურია იმგვარი ურთიერთობა, სადაც არც ერთის პიროვნული თავისუფლება არ კნიდება. მაგრამ აქ კიდევ დასაშვებია და ხშირად მოსანონიც, როდესაც ერთის საკეთილდღეოდ, მეორე თავისივე ნებით გაიღებს მსხვერპლად საკუთარ თავისუფლებას. მაგრამ სახელმწიფო პიროვნება როდია და ამიტომ, ორი ხალხის მეგობრობისას, უფლებრივი წონასწორობა რომ არ დაირღვეს, ბრძნულად და გულწრფელად უნდა იქნას განბჭობილ-გააზრებული ურთიერთობის თითოეული დეტალი; ურთიერთის გამაპრუებელი ხოტბით კი არ უნდა მიიჩქმალოს, არამედ ერთობლივი ანალიზით გასათვალჩინოვდეს და მორალურ სასწორად იდოს ნარსულის ყოველი დარღვევა, შეცდომა თუ გატეხილი სიტყვა, რათა შემდგომში მსგავსი რამ არ განმეორდეს.

ԷՎԱ ԱՎԵՄԱՆՈՒՄ



ԵՐԵՎԱՆԻ ՑԱՀԱՀԱՐՄԱՆ ԵՎ ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

Այսուլղեթլագ շնչար աֆայ գոլապարուան,
Ռոմ մթես ասենրո, Շենից մըդիագ ժորժլուան ցոշու.
Նշոմիս նյոլուտ პորո դականո,
Նյարոս նյոլուտ Շենից քադարա կոյա շնճա դառրուէլո,
Գագակուօք մեարծո ածցա,
Ածցաժո - դանա,
Մժագուս կայրո,
Կայլուս նալցո.
Եյլժո - մամուս դայրոլուու լամաժո չոռխո.
Սարկեմուց շնճա հանեցո,
Ցոցո ხար, տազո մոահիզոյ, Ռոմ պովոյ դոլուտ, Սանամ ցախալ,
Սարկուս Շենեցու դա ցագոյիրո:
Գամեդար լերոնչո մոյանազ որկոյինա, մոնգուրուս պազուու
ույ կարցուա, ույ լամաժո...
Օյրոնծոյրո տետրո կծուլուն
Ույ կարցուա, ույ լամաժո...
Ցայցունյ դա ցամենյ պանու տազո - ցամոցագցեթա.

...ցախալ ցնոժո,
Ընծուս ոյիտ ցեղուուցուան նեդղեսունուս Շեմցրոցը կլեցու:
Ունոնուց սենորուց Շեննաօրեցո - ցամեդար լերոնչո մոյանազ պազուուն
Օյրոնծոյրո տետրո կծուլուն.
Տէցենից ցըլյ ծոլույս մոյսցուցուտ դա մոմցուրուտ
Նեդղեսունուս Շեմցրոցը կլեցու մենարուլ մարմե.

...թոյ և մամացու ցամացուն ապահովութան.
Տարդուս ցամացուն եմաց կո ուսմուս հումուս ծուգուն.

Օպուտու կոնցսենս նաժուս մերյանս
(տույլուս ծյութիանս մոմյիրալու ժրայի) -
Եղանակուցուս նեդղեսուն
Դա ացրոցը տեսունուս ցոտունը.

დგას წიწვის სუნი,
უფრო სწორად, რუებივით მოწანწეარებს ნაძვებიდან და
ფიჭვებიდან.

დაიმახსოვრე ეს ჰაერი,
გამხდარ კისერზე ბამბის ძაფით ჩამოიკიდე
და თან ატარე, როგორც უანგბადის მწვანე ბალიში.

...თხილის ფოთლიდან – თუნუქის ქვაბში,
ცეცხლი – ნელია.
კონუსები რომ გალლვებიან,
გადაკეცავ ორპირად მარლას
და ამ მადანს ჩაანურავ თბილწყლიან თასში.
აიღე მერე, რხელსაშუა მოიქციე,
განელე, როგორც წიკო-წიკო – ციდა გარმონი.
ნახე, რა ხმა აქვს!
ჩიტების და ხმელი გირჩების,
ტყის და წიწვების,
ცვრის და წიწვების...
გაიჭვრიტე ოქროსფერი გარმონის იქით.

დაიმახსოვრე ეს წუთებიც,
ნაძვის კევივით რა ადეილად მზადდებოდა ბედნიერება
შემადგენლობით:
მზის ნაკუნი, წიწვების გემო,
გამჭვირვალე ჰაერის წვეთი, მხიარული მარშის ნოტები...

და ჯანდაბა!
ხომ შეიძლება ახლაც იყო ასე მარტივად ბედნიერი.
ასე მარტივად...

ეფრიტის ჩალის სიმღერა

ქალი ვიყავი. მდინარის ქალი.
თმა მქონდა – მდინარის უანგისფერი,
თვალებში ხავსის სინოტივე
ნყლიან სიმწვანედ მეშლებოდა.
მდინარეს, მარტოდ მიტოვებულს,
ვარწევდი, ჩუმად ვუმღეროდი,
ვარწევდი, ჩუმად ვუმღეროდი
მდინარეს, მარტოდ მიტოვებულს.

სავსემთვარეობას მოვიდნენ ქალები.
ჭაობის გველებივით მოვიდნენ ქალები.

სულა ცაცირიძე

მოვიდნენ მაშხალებით ჭაობის ქალები,
მოვიდნენ გველები, ტანზე შემომევლნენ.
თმა გამიშალეს.

სავარცხელი ჩამოუსვეს.
ციცინათელები ჩამოყარეს.
შავ ფრჩხილზე დაისრისეს.
შემილოცეს:

– ისე გიყვარდეს,
თმა გაგიქვავდეს.
ტანი გაგიქვავდეს –
ისე გიყვარდეს.

ის კაცი იყოს,

შენ – ქვა.

ის კვდებოდეს,
შენ ვერ შველოდე –
ქვასხეული გქონდეს.

ქვად ვიქეცი. ნეფრიტად.

თვალი – მწვანე ნეფრიტისა.

თმა – წითელი ნეფრიტისა.

ტანი – თეთრი ნეფრიტისა. ლოტოსის ყვავილისფერი.

სული – ხელუკუღა გადაგდებული.

ცხადი – ნართმეული.

სიზმარი – დატოვებული.

მწვანე სიზმარი.

...ჩემო, ნეფრიტის სიზმარია.

მდინარის ფსკერზე დალექილი.
მდინარე – მდნარი სპილენძია,
მდინარე – მდნარი მინერალი,
ნეფრიტის ნისლი მოსდებია ობად.
ნეფრიტის ბალახში მოსრიალებს,
ჭაობის გველის ჭარივით და,
ჩემო, ჭვირული ორნამენტი,
ჩემო, გზისა და ბილიკისა
მოაქვს.

ამ გზას უჩემოდ ვერ გაივლი!

ორკაპ

ენას წააგავს – შხამით და გესლით სავსეს,
ნეფრიტის ქვებზე შენი სიკვდილი თვლემს და
გველივით კრთხბა მრეში ცხენების ხმაზე.
ნინ ბილიკია, შენა ცხადი და ბოლო,
უკან ნახვალ და ხიდი იქცევა ხრამად,
უნდა მოვასწოროთ!
სანამ მზე ტვიფრავს მთებს და

სანამ ხებში მინანქრის ტიხარს ასხამს.
წყალი გავხსენი. ცა გავხსენი. მინა გავხსენი.
ამოვედი. მოვედი. მოგყვები.

თმას ვიმსხვრევ – წითელ ნეფრიტს,
უკან ვყრი.

ბრონეული ამოვა.

სიკვდილს ხვითო ეგონება, მოინუსხება, დადგება.
თვალებს ვიმსხვრევ – მწვანე ნეფრიტს – უკან ვყრი,
გველის სურო ამოვა.

სიკვდილის წინ განვება, გააჩერებს.

ტანს ვიმსხვრევ – თეთრ ნეფრიტს,
უკან ვყრი,
არყი ამოვა.

კანს შემოცლის.

კვალად გზაზე დაყრის.

ჩემს სულამდე მიგვიყვანს.

ჩემი სული გექნება.

ის გიშველი!

მთაზე ციხე-ზარდახშაა – ნეფრიტისა.

ზარდახში ზარნაშო ზის – ნეფრიტისა.

ზარდახში ზარნაშო ზის – ნეფრიტისა.

ზარნაში ზარდახშა დევს – ნეფრიტისა.

ზარდახში ზარნაშო ზის – ნეფრიტისა.

ზარნაში ზარდახშა დევს – ნეფრიტისა.

ზარდახში ზარნაშო ზის – ნეფრიტისა...

ზარნაში მწვანე კვერცხი – ნეფრიტისა,

კვერცხში სული – ჩემი სული,

აიღე!

ნეფრიტის ზარდახშა გახსენი,

ამხსენი გველების შელოცვა,

სიკვდილი ვერაფერს დაგაკლებს,

სულს გაძლევ, აიღე, შენია!

შემოვა სხულში, ჩადგება,

ჩადგება დალლილი ქარივით

და როცა მზე ჩავა, მუზარადს

მოსწყდება მზის ბოლო არილი,

შენ ისევ ცოცხალი იქნები!

შემეხე დამსხვრეულ მინერალს,

ვიცოდე, ასეთიც გიყვარვარ –

ლოტოსის მიმქრალი სიგრილით.

...და როცა მდინარეს ჩაუვლი,

დარწეულს ნავივით, მდინარეს,



საქართველოს კულტურის და სპორტის მინისტრი

ნეფრიტის ყრუ წერიალს გაიგებ,
ყრუ წერიალს – ნიავთან მინარევს:

შენ: ცოცხალი: ჩემი: სულით: შენ: მინაზე:
 მე: მწვანე: ქვა: ქვადქცეული: მდინარეში:
 შენ: ცოცხალი: ჩემი: სულით: შენ: მინაზე:
 მე: მწვანე: ქვა: ქვადქცეული: მდინარეში:
 მდინარეში:
 მდინარეში:
 მდინარეში:
 ფსკერზე:
 ვწევარ:
 უსულო.

ჩემი თაობა

აქ, ამ უხერხულ ქვეყანაში,
 სამშობლო რომ ჰქვია სახელად
 და, როგორც ჩვენმა ნინაპრებმა დაგვიბარეს,
 თუ დასჭირდება, უნდა მივცეთ სისხლიც და ხორციც,
 აუცილებლად ფეხზე უნდა წამოვუდგეთ,
 ვადლეგრძელით განსხვავებულით,
 მაღალი ტემპრით, თვალებზე სისხლით.
 რომ ყველა სიტყვა, რაც მასზე თქმულა,
 ამოვიკანროთ გულის ფიცარზე,
 თორემ რაა ამის გარეშე ხმამაღალი
 და მქუხარე პატრიოტიზმი...

აქ, ამ უხერხულ სამშობლოში არ დაგვაცადეს,
 რომ ჩიტების გადაფრენისთვის გვეყურებინა.
 ჩიტები მითორინავდნენ ჩვენს გარეშე,
 მათ სევდიან გადაძახილს
 მეგაფონების

გაუ
 გაუ
 გაუსაძლისი ხველა ახშობდა.
 ჩიტები მითორინავდნენ ჩვენი მზერის გარეშე.
 ჩვენ კი არა მათი, არამედ
 დროშების,
 დროშების,
 დროშების
 გადაფრენა ჩაგვრჩა თვალებში –
 მრუდე სარკის ნამსხვრევებივით
 მთელი ცხოვრება დაუნდობლად იჩხვლიტებიან.

თეთრი მგელი

თეთრი მგელია ჩემი ქმარი.
 პირველად რომ დავინახე,
 შავ ღამეში შავ მიწაზე ეგდო.
 ჩასობოდა ბეჭში მთვარე – ნამგალი.
 ვა, ისე ანათებდა ღამეს,
 ვაი, ბნელში ანათებდა, ენთო,
 ზამთრისაგან მონაგლეჯი თოვლივით
 შავ მიწაზე თეთრი მგელი ეგდო.

ნამგალი ფრთხილად მოვაშორე.
 სველი ჭრილობა ავულოკე,
 სველი ტანი ავულოკე,
 სველი სახე ავულოკე,
 სველი თვალები ავულოკე.
 – ქმარო, ქმარო, – ჩავჩურჩულე, –
 ვიქები შენი ცოლი.
 ჩუმად ვიტყვი ხოლმე,
 მოგიკვდეს შენი ცოლი.

თვალი გაახილა.
 წითელი კაბა გადავიცვი,
 წითელი ლილი შევიკარი.
 თმა გავიშალე – თავთუხები,
 მოვდივართ, მგლები გვაცილებენ,
 ჭრელ სიზმრებს შეხსნეს შვიდი კარი,
 მგლები თეთრ მგელზე მათხოვებენ.
 ჯავრი ალარა მაქვს.
 წითელი მძივი მიეეთია,
 თავშალი – წითლად ჩამავალი,
 ხელზე – წითელი სამაჯური.
 უკან შავ გიშრად მიწაგამსკდარ
 სიზმრის და ცხადის სამანებთან
 მგლები მიდგანან – დარაჯები.

დედაჩემს ვეტყვი:
 – ჩემი ქმარია, გაიცანი.
 მამაჩემს ვეტყვი:
 – ჩემი ქმარია, გაიცანი.
 ჩემს ძმებს ვეტყვი:
 – ჩემი ქმარია, გაიცანით.
 ჩემს დებს ვეტყვი:
 – ჩემი ქმარია, გაიცანით.
 აბა, გინახავთ თეთრი მგელი?



შესაბამისობა

ასეთი მგელი, ასეთი კარგი,
 როგორც კა ვნახე, შემიყვარდა,
 შავ ღამეში შავ მიწაზე ეგდო,
 შავ ღამეში ეგდო,
 შავ მიწაზე ეგდო თეთრი მგელი,
 თეთრი მგელი მკვდარი.

შემდებრება

ჯვარი, როგორც ჩიხტიკოპი,
 ხურავს მცხეთას,
 მოდის მტკვარი, კი არ მოდის,
 მორონინობს,
 მაყვლოვანში ენას იდგამს ჩიტის ბარტყე:
 ნი-ნო,
 ნი-ნო...

მე ვინ ვარ და... მე – არავინ,
 არაფერი...
 შემენიე, რომ ჩიტივით
 გულმა გიგრძნოს,
 მარცვალ-მარცვალ გაბნეული სინანული
 მაპოვნინო...

დღას სამთავრო, იით ეზოდანისლული,
 კვირტებს, როგორც ზანზალაკებს
 არხევს სიო,
 მაყვლოვანში ერთი ბენო გალობს ჩიტი:
 ნი-ნო,
 ნი-ნო...

ზამთრისპირი

მოფრინდნენ ზამთრის მაჭანქლები –
 ეზოს ჭორიკანა კაჭკაჭები.
 მოფრინდნენ ქალის სათხოვნელად.
 ის კი, შემოდგომის სავსე ღრუბელი – რუბენსის ქალი
 ატლასის წითელ ცაზე იყო გადაწოლილი
 და კი არ ქუხდა, კრუტუნებდა.

გაშალეს ფრთები კაჭკაჭებმა – შავ-თეთრი თავშლები.
 სულ დარჩეული ჭირხლის კრისტალები ნამოყარეს,
 ნახევრად ძვირფასი კენკრაც,
 გადმოაფინეს თეთრი თოვლის აბრეშუმი – დარაიები.
 ზედ მოაყოლეს, რაც მოუპარავთ, ბუდეებში უგროვებიათ:




ვერცხლის შანდლები – კედრები თუ აკაციები.
 შუშის მძივები – ნაკადულები
 და ტბის ლორნეტიც ყინულის ლინზით.
 ქალსაც ძვირფასი მზითევი ჰქონდა:
 საგარეოდ: ყურძნის კოლიე,
 ყვითელი გოგრის კამეები,
 კარალიონისთვლიანი ბეჭდები,
 მარიშურა ფოთლების ქურქიც...
 საშინაოდ: ბიებიანი ბამბაზის რბილი პიუამა
 და მაშიები – თივისფერბალახმოქარგული.
 მხოლოდ ეს არა,
 ჰქონდა ტყეში გადანახული გუგულისგონგიანი, ანტიკვარული ხის საათებიც,
 ჰქონდა კაკლის ხის კომოდიც ფულუროს უჯრით...
 – ყველაფერი, ყველაფერი ჰქონდა, რაც ეკადრება გასათხოვარ ქალს, –
 ასე თქვეს მერე ღვინისაგან აწითლებულმა სუროებმა და
 ხიდან ხეზე გადაბანცალდნენ,
 მთელ ქვეყანას მოსდეს ამბავი.
 წაყვანებს რუბენსის ქალი – შემოდგომის სავსე ღრუბელი კაჭკაჭებმა,
 ზამთარს მიჰვერიან.
 ქალი მიგვყავსო,
 სპილენძის ზარი – დედა ზარნაშოც ჩამორეკეს, დააბუბუნეს:
 აჟყნენ ზარნაშოს ზნზალაკებად მისი შვილები –
 გაბუმბლული ზარნაშოები.

 და, ხომ ამდენი მზითვი წაიღეს,
 ქურდობა მაინც არ მოიშალეს:
 წამქერის შარფში ჩაუმალავთ და წაულიათ
 მთის კალთაზე დამაგრებული ძვირფასი ბროშიც –
 ჩემი ბავშვობაშენახული,
 პატარა სახლი,
 ბებიისაგან დატოვებული...



გინები

დოკუმენტი



ტრილენტი თამარს

კალენდულები

კალენდულები!.. თამუნია, კალენდულები!
შემოდის სევდა, წვიმას ითხოვს ფონი შოპენის,
მუსიკის ხმაზე უჩვეულოდ გარინდულები,
კალენდულები!.. თამუნია, კალენდულები!

დღეს ამ ყვავილებს მოწყენილი მოცარტი მორწყავს
ან ჩაიკოვსკი – გამოვრიცხოთ „უბრალოდ წვიმა“,
ორი წერტილი თვალებივით ანათებს მორცხვად,
დღეს ამ ყვავილებს მოწყენილი მოცარტი მორწყავს...

ბნელდება... ღამე ძველ ტკივილებს ნოტებად თარგმნის,
თითქოსდა სადღაც ეზიდება ღრუბლების ნავით
ჩვენ ვდგავართ ერთად ფანჯარასთან წარსულის სარკმლის,
ბნელდება... ღამე ძველ ტკივილებს ნოტებად თარგმნის...

შეყვარებული, სევდიანი კალენდულები
სარკმლის მიღმა, ზუსტად – ასე, ზუსტად – ჩვენსავით,
შემცივნულები, უჩვეულოდ გალანტურები,
შეყვარებული, სევდიანი კალენდულები...

გალათეა

გამოგაქანდაკე, როგორც გალათეა,
ჩემთვის გაგაცოცხლა ცამ,
გარეთ არ გახვიდე, გარეთ ღალატია,
სულში ჩაიკეტე, თამ!
სევდა ფიქრზე მახვევს ეჭვის მავთულხლართებს,
მასმენს ქარიშხლების ხმებს,
ეჭვი მეპარება, ვინმეს ბრმად უყვარდე,

როგორც შემიყვარდი მე.
 გარეთ მოყინული ყრია იმედები,
 მზიან ამინდებზე თან,
 ისე გაკლები და ისე მემატები,
 ჯამი არ იცვლება, თამ.
 ვდგავარ სამსხვერპლოსთან, ვგავარ პიგმალიონს,
 ველი, გზა მიჩვენოს გზამ,
 ხელში რომ გიქირავს, ჩემი ილბალია,
 ფრთხი არ მოტეხო, თამ!
 ლექსებს იმედს ვაცმევ, ცრემლში ტანდაბანილს,
 სტროფებს ზეპურსა და ზეპირს,
 რა ვქნა?! – შენზე გადის ჩემი „ჯანდაბანიც“,
 ჩემი „იმის იქით გზებიც“.

* * *

ერთი წამია ცხოვრება და ერთ გროშად არ ღირს,
 შენ გუშინ ჩემი სიყვარული დანით დაკალი,
 ან რა აზრი აქვს მოსაზრებებს უგვანი ხალხის,
 ან ზემორალურ დოგმატიკას კარგი დაქალის?!
 შენ ახლა მარტის ამინდივით მიყინავ გრძნობებს,
 ვგლოვობ სიბრელეს, დარჩენილი მიღმა დარაბებს,
 დავდივან უცხო ქალაქში და ვატყობ, რომ მცნობენ
 და ეს შეგრძენება თითქოს უკვე ნიშნავს არაფერს...
 რადგან უშენოდ წაუღია წყალსა და მეწყერს
 ცხოვრება, სავსე ტრამპლინებით, სევდოთ, ლირიკით.
 ჩვენ გვქონდა ბინა ცის დონიდან სართულზე მეცხრე,
 ჩვენ გვყავდა ლმერთი, შეიძლება ითქვას პირიქით –
 ჩვენ ვყავდით უფალს... და გვეძინა ღია სარკმელთან,
 ის მოდორა, იდგა როგორც კანკელის მიღმა
 და ფანჯრებიდან ჩვენს ოთახში სუნთქვას აკმევდა...
 სანამ მინაზე გაექეცი საკუთარ ილბალს...
 ეს ნიშნავს, უკან დაიხიო ყველა ოქტავით,
 გაქცეულს ფეხზე წამოგედოს შენივე თასმა,
 ერთი უბრალო და რიგითი გახდე მოკვდავი,
 ანუ ცხოვრებით ცხოვრებისვე წერტილი დასვა.

სიჩუან შტორმის ზინ

დუმს პოეზია ჩემი ბედის ჩაწყვეტილ სიმში,
 რადგან ჩაყოლას ვამჯობინე ისევ ჩათრევა,
 რადგანაც ყელში გავეჩირე სიკვდილის შიმშილს,
 ვით წვიმის წვერი მიტოვებულ ქუჩის შადრევანს.
 დუმს არსებობის ჩავარდნილი ბოლო კლავიში...
 და ახლა გულში ჩემს რეკვიმს მუნჯურად ვგალობ,
 რადგან ილბალი ჩამაფრინდა ისევ მკლავებში,
 მრჩება ნახევრად გალენილი ცხოვრების კალო.



გენრი დოლიძე

მუნჯდება ტალღა მზეჩაგდებით, კენჭებჩაგდებით,
 თითქოს კომეტას ხედავდეს და სურვილს უთქვამდეს,
 ზოგჯერ გგონია, გაიყინა, ისე ჩაკვდება
 ზღვა, ნერვიული ჩასუნთქვიდან ამოსუნთქვამდე.
 თითქოს სასცენოდ ემზადება სკოლის ზეიმზე –
 წამოაზითლა პულსაციის გაზრდილმა მარტა
 ვდგავარ ნაპირთან ნანგრევით კოლიზეუმის
 და თვალს ვაყოლებ დროისა და დუმილის მარშებს.
 დუმს დამზნებით მოშვერილი ათასი თოფი,
 რადგანაც ყელში გავეჩხირე სიკვდილის შიმშილს,
 რადგან სამყაროს ვერ ვუყურებ თვალებში ნდობით,
 დუმს პოეზია ჩემი ბედის ჩაწყვეტილ სიმში.

ციკლიდან – სოფელი „გაზავრის ჭერილებში“

გაზავხულისპირული

აჭარა

დაეტყოთ დღეებს უკვე ნამატი,
 ცამ დაიბრუნა ხასხასა ლურჯი,
 აკრიფა თოვლმა გუდა-ნაპატი
 და მნვერვალისკენ მიათრევს ხურჯინს...
 გვიანი ზამთრის ძლიერი ხელით
 მთებზე გაჩეჩა ღრუბლების ფთილა
 და კვამლი, როგორც „დაპნილი ყველი“
 ნისლების რძისგან ამოჰყავს დილას...

საპვამურიდან

გურია

გარეთ ღამეა საოცრად ლურჯი,
 ვარსკვლავებით და სიჩუმით სავსე,
 წვიმით დატვირთულ ღრუბლების ხურჯინს
 მიათრევს ქარი დეკემბრის ცაზე.
 ბუხარი, ოდა, სიჩუმე სრული,
 ხელით ამოწმებ კალენდრის სისქეს
 და ნედლი ტოტის დაღლილი სული
 საკვამურიდან მიიწევს ცისკენ.

მეგადურები

გონიო

მორიგი ტალღა ჩაყლაპა ტალღამ,
 დგახარ და სივრცის ყურებით ტკბები,



სანამ დღე დაცლის საღმოს ბალდამს,
უმისამართოდ ნასროლი ქვები
ზღვას სულში ხელებს უფათურებენ,
ცას ფერი შერჩა სანამ ფირუზის,
მზე დაიჭირეს მებალურებმა
და ნავით მოჰყავთ სანაპიროზე.

ზამთრისპირული

აქარა

ერთხელ სარგებლობ ტაშის უფლებით,
მასაც ბუნებას უძლვნი, პოეტო,
ისე აბოლდა ცაში ღრუბლები,
თითქოს მწვერვალებს ცეცხლი მოედოთ.
ამ მწვერვალების გზნებით ინთება
და თბება ლექსი, ფიქრის დავთარი
და დიდი ნენეს ჭრელი ნინდებით
მოიპარება ტყე-ტყე ზამთარი.

ზამთრისპირული

გურია

ავდარი ყინვას ძალლივით გეშავს,
ირგვლივ ნოემბრის სიცივე სუფევს,
ბაბუას სახლში შემოაქვს შეშა,
რომ ბებერ ოდას გაუთბოს უბე.
ამინდმა წვიმის ორიოდ შეფით
და ვარსკვლავებით შეიკრა მძივი,
ქარი კი მთიდან ეშვება ყეფით –
მიტოვებული სახლივით ცივი.


ღამის გურია

დგას ბუკისციხე, როგორც ხეოფსი,
როგორაც ყალყზე შემდგრი სფინქსი
და ოვლემს დაღლილი სუფსის ხეობა
ხვალინდელ ნათელ დილაზე ფიქრში.
ჩაიცვეს მთებმა საღამოს კვართი
მზის ბოლო სხივის ნითელი ზოლით...
გაღმა კი, ბნელში, ნაბიჯის კვარტეტს
მიუძლვის სტვენით ნამღერი სოლო...
ბნელმა შეღება ზეცის ნაპირი,
შემოუერთა მინას სრულიად...
და ექაჩება ბუხრის პაპიროსს
ჩხავერით მთვრალი ღამის გურია...



3 ანო

ჩხილაძები



ტამარა

შესრულებული

ქველებური კაყლის მაგიდის ქვემთ-
წან ხვენეშით გამომდერალი ტამარა იატა-
კის სახესს წყლიან გეჯაში ჩააჭყაპუნებს,
ტაბურეტზე ჩამოისვენებს და წინგაშვე-
რილ, მოკლე, ორ ბაჯაჯდა თითს ჰაერში
გაპარჭებაცს:

— გრიგორიჩ, ის არ გაქვს?

ღუმელთან მიდგმულ, სახელურებ-
გაცემით, მასიურ სავარძელში ღრმად
ჩაძირული, გაზეთში თავჩარგული კაცი
სათვალის ზემოდან გვიან-გვიან გადმო-
ხედავს.

— არკადიევნა, მეითხეთ რამე? — სა-
პასუხო თავაზიანობას გამოჩენს გრიგო-
რიჩი.

— ჰო, ის თუ გაქვს-მეთქი, — თითებს
პირს მიუახლოვებს.

— მაგას რა კითხვა უნდა, ხომ იცი,
რომ შენთვის კველაფერი მაქვს.

— კველაფერი არ მინდა, გამაფუილე-
ბინე მარტო, — მსხვილ ტუჩებზე ღიმილი
გაუკრთება.

— ეჱ, კიდეც რომ გინდოდეს, სადღაა!
— ხალათის განიერი ჯიბიდან სიგარეტის
ღერს ამოაძერენს, — ინგებე, მაგრამ გაფ-
რითხოლებ, ხშირმა მოწევამ რძის გაშრობა
იცის.

— რაც შენნაირებს ვანოვე, რაღა რძე
შემრჩა, — სიცილს მწეველი ადამიანის
ხრინნიან ხველას ამოაყოლებს.

— იო, ტამარა, რა ხარ, რა ხარ, რომ
იცოდე.. მაშეჩენაირებს, არა?.. მოგინ-
დება კიდევ სიგარეტი და მაშინ ისევ და-
ვუბრუნდები ამ საკითხს, — „დაემუქრა“

და კვლავ მრავალგვერდიან ყვითელ პრე-
საში ჩარგო თავი.

ტამარა არკადიევნა ორმოცდაათიან
ნლებში გამოჩინდა ქალაქში, ბამბეულის
კომბინატში გამომწერებულ მქსოველთა
ბრიგადას ჩამოჰყვა კომკავშირული საგ-
ზურით.

ჩამოვიდა და ჩარჩა.

ერთხანს რესტორანში ოფიციანტობ-
და.

სხვადასხვა ქმრისგან თითო გოგო
დარჩა.

ორივე გაათხოვა, დააოჯახა.

ახლა ნაცნობ ოჯახებში დადის, დია-
სახლისებს ხელს აშეელებს თან დოლად-
რიან ქალაქის ცენტრში მეტოვედ მუშა-
ობს — ყვითელი ხიფთანით და ტარიანი
მაღლი ცოცხით. უთენია უკვე პოსტზეა.

ძელი ნარმოლების ყოფილ დირექ-
ტორებს თუ თანამდებობის პირებს ინერ-
ციით შემორჩიათ მამის სახელებით მიმარ-
თვის ნესი (თუ უწესობა!).

ესეც იმპერიული თანაცხოვერების გა-
სახენებელი კლიშეა, რომელსაც ნელ-
ნელა გასვლია ყავლი, განელებია იმ-
დროინდელი ამბიციურობის მუხტი და
სერიოზულობას უწყინარი იუმორი ჩა-
ნაცვლება.

დავით გრიგორიჩთან შეხუმრებულია
ტამარა, ლამის ოჯახის ნევრით არის
და თუ კაცი ხასიათზეა, თანაც შემთვრა-
ლი (ეს კი არცთუ იშვიათად ხდება), იცის
რაც უყვარს:

ფანჯრის გასაწმენდად ტაბურეტზე
ასული თავსაფარივით გადმოიქცეს, გა-
მოაფრიალებს გამლილ მტკრის ტილოს,

სასა

აკორიკავებულ სკამზე აათამაშებს ზომით დიდ, სხვლის ჩუსტეშმი წაყოფილ ფეხებს და ახარხარებული, თან შემფუოთებული გრიგორიჩი ადგილიდან წამოვრდება – ნელა, შე შეჩვენებულო, არ გადმოვარდე და რამე არ მოიტეხოო.

ტამარა კი უფრო აცმუკდება, ლოვებანითლებული, ჩამრგვალებული „მატრიოშა“, კაბაცდენილ, მომრგვალებულ მუხლისთვებს ცხვირნინ აუთამაშებს და წაუკივებს:

– იი, იი, იი,

აი, აი, აი,

Кому не спится в ночь глухую...ა, გრიგორიჩ, აბა, გამოიცანი? თუ თქვენ ეგ პრობლემა უკვე ალარა გაქვთ? – ამ დროს „ზრდილობიანი“ მიმართვის ფორმაზე გადადის, – გამოტყდით, მაგნაირები ემართებათ ასკიან კაცებს?

– შენ რა გიოხარი, ტამარა! – სიცილით ხევლაამტყდარი გრიგორიჩი ჩაბურდება.

არყადიევნამ იცის ასეთ შემთხვევაში მასაპინძელს რაც შევეძის. – ჩამოხტება სკამიდან და ზურგზე ხელს დაუტყაპუნებს.

– ტამარა, ყავას დალევ? – გამოსძახებს სამზარეულოში მოფუსფუქს გრიგორიჩის მეუძღვე.

– რა დროს ყავაა, დოდო, მგონი ქმარი გეხრჩობა და ქვრივდები...

– დაიხრჩის და დაიხრჩის, ორივე დავისვენებთ, – მანც გამოვა, ახლა ის დაპკრავს ბეჭჩე გაშლილ ხელისგულს

ლონივრად და კაცი ჩაწყარდება, გადაყლაპავს სასულებში გადაცდნილ ნერწყებს.

* იცოდე, ტამარა, ამას თუ რამე დაემართა, შენ იქნები მიზეზი, შენ მოკლავ...

– ეეჭ, ეგ რომ შემძლებოდა / ჯერ ჩემებს დაეხოცავდი, ბაეშებს რომ

შემატოვეს და გაიქცენ, – ამჯერად უკვე სერიოზულად ამოიოხრებს არკადიევნა.

დოდო, ყოველი შემთხვევისათვის, კიდევ ერთხელ გაიმეორებს „საკონტროლი“ დარტყმას და... გეყოფა, ქალო, ნუ ჩამინგრიე ბეჭებიო, შეულრენს გრიგორიჩი...

შეუა აგვისტოა.

ქალაქში ტამარას თანამემამულეები დგანან – აღარც პოლიციაა, აღარც მთავრობაა, აღარც მეითხავი და არც გამკითხავი...

ვინ ავალებს, მაგრამ ტამარა, მანც, თავის ყვითელ ხიფთანმი გამოწყობილი, ყოველ დილით, გამთენისას, ერთგულად მიდის სამსახურში, ხვეტავს ქუჩას და ტროტუარს.

ახლაც თავისი ცოცხით მუნიციპალიტეტის შენობას როგორც კი გასცდა, სამხედრო პატრული გამოჩნდა.

ჯგუფს ცხვირპაჭუა, ჭორფლიანი იფიციერი მოუძღვნდა.

ოფიციელი შედგა, მეტოვეს დააკვირდა, ეტყობა ადგილობრივებს ვერ მიამგვანა, რაღაც მშობლიური ეცნო.

– ეი, დეიდა, იტკუდა რიდო?

ტამარამ მოხედა, ცოცხის ტარს დაყრდნობილმა თითებით ანიშნა, ვიდრე გიპასუხებდეთ, ჯერ მომარცვინეთო.

სიგარეტი მისცეს, მოუკარგეს კიდეც და ფილტვებში ნიკოტინის ჩამოკრული

მაკაზე მისა



ბრჭყალებიც რომ იგრძნო, ჩაიღინინა:

— Ои, ои, ои,

Аи, аи, аи,

Кому не спится в ночь глухую...

— Гаслаагებია, ჩვენებური ხარ? — ჩაირობრობა ბრგვ თფიცერმა და მხარზე ქველბიჭურად დაჟრა ხელი.

— ჰო, ურალს იქიდან... ბარნაული გაგონია?

— რას ჰევია გამიგონია... ეგ „ჩასტუშკაც“ ცომბირულია.

— ვიცი!

— ისიც გეცოდინება, რას არ სძინავს ყრუ ღამეში.

— არ დაგიმალავ და არც ეგ მეშლება, — თვალი ჩაუპატენა და მოურიდებლად ანიშანა თფიცერს შარვლის უბეზე.

ხუთაციანმა ჯგუფმა ერთხმად გადაიხარხა.

— მაგარ ყოფილხარ, დეიდა, მაგარი, — ისევ დაჟრა ხელი, — ეს ყველაფერი კარგი, სასიამოენოა თქვენი გაცნობა, მაგრამ ერთი ეს მითხარი, იქ, ურალს იქით, არ იყო მამაპატური, ყრუ ღამეში „ძილგატეხილი“ პენისი, მის ძიებაში აქამდე რომ არ ჩამოსულიყავი?

ჯარისეაცებმა სიცილით მოუწონეს თფიცერს ენამოსნერებულობა.

ტამარამ აცალა, ვიდრე ჩანცარდებოდნენ. ლონიერი ნაფაზი გაუშვა და განზე „სალდათურად“ გააფურითა:

— ბატონი ოფიცერო, მაგაში გასაკვირი არაფერია, ქალი ვარ და შეიძლება ასეთი რამე მართლაც მოხდეს — „პენისის“ ძიებამ უფრო შორსაც გამიტყუოს, მაგრამ იმ გადაკარგულიდან თქვენ, კაცები, რაღამ ჩამოგიყანათ, თქვენც პენისს ეძებთ?

სამხედროები შეცბუნდნენ, ნინამძღვლს გადახედეს, ვეღარ გაიგეს ახლაც უნდა გაეცინათ თუ — არა.

ტამარა თფიცერის პასუხს აღარ დაელოდა, თფუიო, დაიფურითა ხელუბზე, მერე ტარი ჩაბლუჭა და დაბომბვის დროს, ტროტუარის გასწრივ დაფენილ შუშის ნამსხვევებს ცოცხი ლონივრად მოუსვა.

ორი თარიღი

1. 1937

(გივი ცერაძეს)

კაცმა სვენებ-სვენებით ამოიარა ან-გრეულქვაფენილიანი ქუჩა. გზაჯვარე-დინზე შედგა. ზურგს უკან დაწყობილი ხელები ისე დაუშვა, თითქოს. მხრებზე მძიმე ხელები დაეკიდნენ. ნინნაბრილმა თეთრი, ქათქათა ცხვირსახოცით დანამუშალი შებლი მომიშრალა და იქვე, სალაყოს ქვაზე, ჩამოისვენა. აქედან უკეთესად ჩანდა ხელმარჯვენი აყუდებული აივნიანი, ნონოლა სახლი, მუშები რომ ანგრევდნენ.

ფიცარში ჩახვეულ-ჩაუანგებული კოჭის ლურსამი ადვილად არ ნებდებოდა ძალაყინს. ჯანიანი ბიჭები სახლს უკან, ხელისგულისოდენა, გავერანგებულ ბალჩაში ყრიდენ სახურავის ბოძებს, ხარიხებს, სტრაფილებს.⁹ გაკვამლულ ყავარს და ათასანი ხარახურას. დასავლეთის მხრიდან აყოლებული, დახურული ხის კიბის უკვე მონგრეული კვარივით ფიცრის კედელი — გამოფიტულ-გამომშრალი, დაფუტუროვებული და ნაწილებად დამსხვრეული — ძირს ეყარა...

დახურული კიბე მის ბავშვობში დღი-სითაც კი ჩაბნელებული იყო. როცა მოიზარდა, მერედა ამოჭრა პატარა სარქმელი და სინათლემ ოდნავ გაანათა ჯურ-ლმულივით ბნელო ასასვლელი, დამრეცი, უმოავირო, ჭრიალა საფეხურები.

ბოლო წლებში უჭირდა დედას კიბეზე ასვლა, მაგრამ მოხუცებულმა არ გამოაცვლევნა, მაბაშენის გაეთებულია და ვიდრე ცოცხალი ვარ, ხელს ნუ ახლებო.

ბავშვობიდან მოყოლებული, ეს კიბე დღემდე აშინებდა, მაგრამ ვერც თვითონ ელეოდა.

მეშვიდე კლაში იყო, მამა რომ ნაიყვანებს. როგორც ჩვევად ჰქონდათ, ღამით მოვიდნენ, დაუკიოთავად ამობრაგუნდნენ კიბეზე.

გუშინდელივთ ახსოვს — დედა და-საძინებლად ეწიადებოდა, ნასვამი მამა და ბიჭი უკვე თავშექცევით იწენენ. მამა გაუხემუშალ, საჩერებელ თითს ფეხისგულზე ულიტინებდა, როცა გარეთ

ვა უნდა გაკიოთებორინა?

აბორგდა, აკვენესდა სიმძიმით დაზნექილი საფეხურები.

თვლემამორეულმა ბიჭმა შემკრთალმა
გაახილა თვალი.

შალმოსხმულმა დედამ ლამპა შემთლებულ კარს მიანათა. ოთახში სიბნელე შემოვიდა, დატბორა, აავსო ყველაფერი.

მამა უცეპ გამოფეხზლდა. არ უკით-
ხავს დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის
არაფერი. მუხლებშეუა მოქცეული პიჭის
გამხადარი ფეხები ფრთხილად განხე გას-
წია და საწლოიდან გადმოვიდა.

- ჩქარა! - თქვა ვიღაცამ, მაგრამ ბიჭ-
მა მოტემელი ვერ დაინახა, რადგან დედა
იყო აფარებული (ალბათ, არ უნდოდა,
რომ შვილიც შეემჩნიათ).

არც თვითონ ჰქონდა სურვილი რომ
დაენახა, ვინ იყვნენ. სულგაპარული და-
აცივდა თავებეშ ამოღებულ მუთაქას და
გულმა ლამის გამოუნგრია პატარა მკერ-
დი.

მამას შეძახება არ სჭირდებოდა.

გავიდა სიბნელე და ჩაყლაპა მამა,
გაჟყვა ლამპით ხელში დაბნეული დედა.

მალე დაბრაგუნებული კიბე შეირყა,
იმავე წამს სიცილი და ლანწანის ხმა მო-
ისმა.

გაიგო ციხისუბანმა რაღაც შემზარავი
რომ ხდებოდა, მაგრამ უფრო მეტად გაი-
სუსა, თოთქოს სუნიკე შეწყვიტა, აქა-იქ
მხრჩოლავი ჭრაქებიც ჩაქრა. ბალჩის ზე-
მოთ, ფერდობზე, საბუდარივით დაეკიდე-
ბული ხუცულიდან, საცვლიანი, ებრაული
მეწვრილმანე ბენო გამოძრა, აყეფებუ-
ლი ძალით შინ შეათრია და, რომ ვერა-
ფერი მოიფიქრა, პირი ცოლის ჩულების
რეზინით აუკრა.

ახლა იმისი შევილიშვილები... კაცის შორის ახლო, ეზოს ნინ თამაშოდნენ და აკისებისულები ხუჭუჭა, ნითელთმანი თავებით ერთმანეთს ბოჩოლებივით რქენდნენ.

ეზოდან ბავშვების დედამ საპინან
წყლის ტაშტი გამოიტანა და პირდაპირ
ქუჩაში გადმოუშვა. ქვებმორის გამოძ-
ევრალმა წყალმა კაცის ფეხებამდე მოალ-
ნია, ქვებზე აფუებული თეთრი ქაფი ცხე-
ლი დღის ალმურში უცეპ აორთქლდა და
იქაურობას გულისამრევი სუნი მოეფინა.

ინგრეოდა კაცის ბავშვობის სახლი და
თითოეული დარტყმა უფრო უმძაფრებ-
და იმღამინდალ ტრაგედიას.

მამის დაპატიმრებიდან რამდენიმე
დღეში ხმა გავრცელდა, მალე ამინისტრია
გამოცხადდებაო. უცხო ქვეყნის „აგენ-
ტის“, ციხისუბნელი ხელოსნის ოჯახიც
ამ იმედით ცოცხლობდა, მაგრამ ეს იმე-
დი მაშინ გაქრა, როცა თანაკლასელმა
გოგომ ჩუმად უთხრა, ჩემი თვალით და-
ვინახე, პატიმრები გაატარეს და მამშე-
ნიც იმათან იყო, ვიღაცამ თქვა, სად-
გურზე მიჰყავთ.

სადგურზე გაყვანა რომ კაცის დაკარგვას ნიშნავდა, მეშვიდეკლასელმა ბიჭმაც კარგად იცოდა.

ჯერ სახლისკენ გაიტვა, დედას ვეტ-
ყვიო, მაგრამ მერე გადაიფიქრა, მოკლე-
ზე, ბოსტნებზე მოჭრა გზა და ბაღრა-
გით მიმავლებს ხიდთან ჰეიდა თვალი.

იქნებ ტყუილი იყოს, მიმავლებს გულამოვარდნილი წამოწა, თუმცა ახლოს მისვლა მაინც ვერ გაძედა. კინოს უყან, გამოტეხილ მესერში გაძვრა, სადგურის წინ, სასურსათო მაღაზიის მეორე სართულზე მცხოვრებ, გაუთხოვრად ჩამოძერებულ მამიდასთან ავიდა, ფანჯარას ჩაც და მოედანს გადახედა.

აღლელვებულ ბიჭს ქალმა ვერაფერი
ჰკითხა, პატიმრები მოედანზე რომ შე-
მოვიდნენ და სადგურის ყრუ კედელთან
მიხროვდნენ, ლოყაში კვნესით შემოირტყა
ხელი – მამაც იქ იყო, დალეჭილი „ტელეგ-
რეია“ ეცვა და სადღაც თვალებგძმტერე-
ბული იყურებოდა. ბიჭს ეგონა, მხედავ-
სო, სინამდვილეში მზერაგაცივებულ კაცს
წვერმორცული ნიკაპი ისე ჩაებლუჯა მუჭ-
ში თვალძის რაოსაცის აქსანიბა უნდოდა.

ଦୋଷମା କ୍ରେଣ୍ଡ ଡ୍ୱାର୍ପିନ୍ସ, ଲୋନ୍ଗନ୍ ଫ୍ରେଶଟିଂସ
ଲାଇସ, ଶିଳ୍ପିତ, ଅନ୍ଧାର ଗାର୍ଡାର୍ଜାର୍ବା କେଏରପି
ରୁ... ଏହି ମନ୍ଦରାମବା, ପାତ୍ରାର୍ବା, ବାର୍ମେପୁରି,
ଗାନ୍ଧିଜୀର୍ବା ତାତୀପାଇସ ଗାନ୍ଧାରିତଥାଲ୍ପେବା ଏହି
ଗାନ୍ଧିରିହିଙ୍ଗିରେ ମାମାବୁ, କ୍ରେଡିଲ୍ ମିଲ୍ଚିଲିଂଦା,
ବିଲ୍ଡିଂ ମାନ୍ଦିଲିଂଗା ମିଲିନ୍ଦିର୍ବା ମିଲିଲ୍.

არ ახსოებს, რამდენ ხანს უყურებდნენ
ერთმანეთს, ინივეს უხმო ცრემლი ჩა-
მოსდიოდა. ბიჭი თუ სახელოთი დაუფა-
რავად იმპრალებდა ღანკვებს, მაგა მალუ-
ლად გაისვამდა ხოლმე უპესთან ცერს.

ვაო ჩხიავაძე

უცებ სადღაც, სულ ახლოს იყვლა
დგანდგარით მომავალმა მატარებელმა.
სადგურიდან ვიღაც სამხედრო გამოვი-
და, ხელით ანიშნა ბადრაგს და ბაქანზე
გარეებს პატიმრები.

მამამ უკანასკნელად მოიხედა, თით-
ქოს გამადიდებელი შეშით მოუახლოვდა
- ცრუმლჩამდგარი, მოსიყვარულე თვა-
ლებით. მოახლოვდა და ბიჭი სამუდა-
მოდ ჩასახლდა.

დღე არ გავა, ეს თვალები რომ არ გა-
ახსენდეს.

შინ რომ დაბრუნდა, დედა ჩაბნელუ-
ბულ კიბეზე იჯდა.

შეხედეს ერთმანეთს და მიხვდნენ,
რომ არაფრის თქმა აღარ იყო საჭირო.

მძიმედ, წელმოწყვეტილებმა აიარეს
კიბის გვირაბი, ააჭრიალეს მორყეული
საფეხურები და შეიკეტნენ ოთახში.

თანაგრძობის სათქმელად არავინ არ
მისულა — არც უცხო, არც შინაური.
გეგონება, ავი სული დაეპატრონათი, მე-
ზობლებისაგან ატალასებულმა კიბემ და-
ისვენ, ერთბაშად დადაუმდა.

შემის გადაულაბავი ღობე აღიმართა
დედა-შვილსა და დანარჩენებს შორის.

იმ დღიდან მოყოლებული კარს საი-
მედოდ კეტავდნენ და გამოქვაბულივით
ბნელი, ცივი კბე უფრო პარქუში ხდე-
ბოდა... ჩერვენებოდა, რომ ამ ყიამეთში
ვიღაცები მინც მოძვრებოდნენ, დანა-
ლული ჩექმებით სრესდნენ ღრიჭოები-
დან შემოპარულ, საფეხურებზე ცერად
დაფუნილ მთვარის ზოლებს. ეს ბრაგაბ-
რუგი არ აძინებდა, თვალგამტერებული
შეჰყურებდა ნუერიან ლამფაჭერს, ზედ
ნაირნაირ, საშიშ გამოსახულებებს რომ
ხატავდა, რომლებსაც ლამპის გადაქანე-
ბული შექი ამოძრავებდა...

დედასაც ეღვიძა, იმასაც, ალპათ, აჭ-
რიალებული საფეხურების ხმა სტანჯავ-
და, უხეთქავდა საფეთქლებს...

ორმოცდაჩიდმეტში მიიღეს რეაბი-
ლიტაციის ცნობა.

მამა ორმოცდასამ წელს გარდაცვლი-
ლიყო - სკლეროზით. გაუკირდათ, ისე-
თი რა უყვეს, რომ ჯერ კიდევ ახალგაზ-
რდა კაცი, სკლეროზით გარდაიცვალაო.

მაშინ, ოცი წლის შემდეგ, პირველად

უთხრა დედამ, მამაშენი „ტროიკამ“ რომ
ნაიყანა, ლამპით გარეთ გავყვევი. მა-
ლალმა, შავტყავიანმა, რომელიც უფ-
როსობდა, მხარზე ხელ ნაჟკრა, ჩქარა,
ჩქარაო. ამ დროს თვითონ აუცდა საფე-
ხურზე ფეხი და კი არ დაგორდა, თით-
ქოს გაისროლეს, ჰაერში გაფრინდა,
საყრდენ ბოძს შებლით დატაკუბულმა
ნარბი გადაიხსნაო.

მამაშენი პირველი მივარდა წამოსაყე-
ნებლად, იმან კი ჯავრი პატიმარზე იყარა
- სისხლით სახედადლაპნილმა, გაუქანა
გაშლილი ხელისგული... დაადო მაუზერი
შებლზე და გამეყინა სისხლი, მაგრამ არ
ესროლათ... „სამეულიდან“ ახლა ის ერ-
თილა ცოცხალი, ოლონდ ვინც არის, ვერ
გეტყვოო.

არც ჩასძიებია, ზედმეტი ჯავრის გარ-
და, ამის ცოლნა რას მისცემდა...

დედა გარდაიცვალა თუ არა, სახლი
გაყიდა.

დღეს გაიგო, რომ ახალი პატრონები
ანგრევდნენ და მაკაიოთხ.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია,
ძალაყინებითა და წერაქვებით შეიარა-
ლებულმა მუშებმა უცებ გამოაცალეს
დაფუტურობული საყრდენები, კიბე
გვერდულად გადაემხო და მზემ, თავი-
დან ბოლომდე, პირველად შეხედა კირით
შეთეთრებულ კედელს.

კაცი ფეხზე წამოდგა... ქუდმოხდილი
გაირინდა...

ხომ სძულდა, ხომ მთელი ბავშვობა
აშინებდა სახლს სარკოფაგივით მიკრუ-
ლი ხეხულა, მანც აენვა თვალები - რა-
ლაც საბოლოოდ დაიფშვნა, დასამარდა
და იმ რაღაცამ მისი ტკივილებიც თან
ჩაიყოლა...

მტვერი რომ გაიფანტა და კიბის ნამ-
ტერევებს შესაყრელად ბორტგადახსნი-
ლი მანქანა კატაფალუასავით მოაყენეს,
კაცი უკვე თავდალმართზე მიუყვებო-
და ქვაფენილს და მოხდოლი ქუდ ისევ
ზურგს უკან დაზყობილ ხელებში ეჭირა.

სახეჭორფულიანმა, ცეცხლისითმანმა
ქალმა კიდევ ერთი ტაშტი ნარცხი გად-
მოაღვარა ქუჩას.

2. 1997

იდგა ზამთრის მიწურული. ცივი, ძაღლიერით აღრენილი თებერვლის ქარი ლოკავდა ციხის ფერდობზე შეფენილ, ქუჩების ხელულების ჩარჩენილ, გაქვავტული ოვლის ნარჩენებს.

ასეთ გაავებულ ამინდში კვდებოდა
ქალაქში ყველაზე ხანდაზმული, ცას გა-
მოკიდებული, ასი წლის კაცი.

კვდებოდა და აღარც კვდებოდა, მეო-
რე კვირაა, უგონოო ხრისტებთა.

დაიღალა შენაური/კ და გარეული/კ.

ხრიალი მაინც შეწყვიტოს, ისეთი ხმელი ამოსდის, ბავშვებს შიშით გული უსკედებათო – ჩიორა რძალი.

დიდი მორნმუნე ეგ არა გვყავდაო,
მაგრამ მაინც დაუნთეს სანთობები.

მამაოც მოუყვანეს, ახალშემდგარ,
ურბნილ მღვდელს აზიარებინის.

სადღრბაზოდან გამოსვლისას, მღვდელს, ვიდრე მანქანაში ჩაჯდებოდა, ოჯახის ახლობელმა, მხრებით ანურულმა ბიჭმა, ყურძენ ჩასტურჩულა: მაგის ცოდვებს როგორ ასწევ, მამათ, თუ თვითონ მიქელ-გაბრიელი არ დაუდგა თავდებად... ხომ ხედავთ, არ მიჰყავს, მაგისთვის ჯოვოხეთსაც კი ვერ იმტებძო...

ეგეთი რა ცოდვები აქვს, ასი წლის
მიხრნნილ ბერიკავსო.

ცოდვები ასა ნლისას ექნება, აბა, ახალშობილ ორი დღის ბავშვს ხმო არა... ეს მანიც გამორჩეულია. მე და შენ დაბა-დებულები რომ არ ვიყავით და აქაურო-ბას „ტროიკა“ რომ აზანზარებდა, იმათ-გან ნიმუშად ესლა გვყავდა დარჩინილი და ესეც, ეს სამუზეუმე ექსპონატიც გვიც-ლება ხელიდან.

რას მეუბნებით – გაუკვირდა მლოდელს.

მაშ, ცოტა კი დაუგვიანდა, მაგრამ...
— თუთუნის ბოლით მოკუჭული თვალები
ცისკენ აღაპყორ ბიქმა.

ლმერთს ნუ სცოდავ, იმან ჩვენზე
უკეთესად იცის, ვინ რამდენ ხანს უნ-
და იცოცხლოს, - ხელჩანთა ჩამოართვა
და საბჭოური გადმონაშოთის, დაფუქვილი
„მოსკოვის“ კარ მიიღახუნა.

- კეთილი, მამაო, კეთილი, მაგრამ ეგ

და და კიდევ მე ვცოდავ? - ტალახ-
ში დაბუქასავებული მანქანის ბლუილში
მღვდელს ბიჭის ნათქვამი აღარ გაუგო-
ნია...

ორ კვირას ორიც მიემატა, ამაօდ ეჯავებურა, გაუტირდა სულთამშუთავს ძლიერსმფერქავი ყანყრატოდან სულის ამზრობა, იმ ძევლი კიბის საყრდენ პოძ-მი ჟანგით ჩადუღებული ლურსმანივით ძრა ვერ შეყო.

մուլյաց, առց Տօպակոլս շնորհա, առց Տօպակոլս.

მკითხავიცა სცადეთო, ურჩიეს გაბეზ-
რებულ შინაურებს.

სცადეს, მოუყვანეს ახალდაბელი ბე-
ბერი, შავი, დალეული დედაკაცი, მეტსა-
ძელად „კუნაპეტა.“

დახედა კუნაპეტამ, შეულოცა და...
თვითონ შეიქნა ცუდად... აილანძა, თით-
ქოს ალი შემოენთო სახეზე.

დაპარბაცებული სკამზე ჩამოსვეს. აზრზე რომ მოვიდა, ჩარგო ხელისგულში აცახცახებული ნიკაპი.

ჩარგო და გაირინდა, მილულა თვალე-
ბი.

კაი ხნის შემდეგ ხელი ნაჟკრეს, ხმა
მოილე, რა ხდება ჩვენს თავს, გვევე-
ლება თუ არა ან კარგი გვითხარი, ან —
ვაო.

ა ლაპყრო ჭერისკენ თვალები კუნაპე-
ტამ და ამოილულულა, — გულით რაც
ყყვარდა ის მიეკით და გაშველებათ.

ნეტავ რა უყვარდაო, მიეცნენ საფიქ-
რალს.

ბოლოს ტკიბილს ეჭანებოდა, განსა-

ალბათ, სისხლისფერი როა, იმიტო-
ას, — წაიანგლა ახლობელმა ბიჭმა და
ერე გამეტებით შემორტყა შუბლში ხე-
ლი, — მოიტოვო დავიზურიო!

ხომ არ გაგიუდი, რა მაუზერიო, — ვი-
ნომ ძაან გაიოცეს ოჯახის წევრებმა.

მაუდით რომ აპრიალებდა და ესიყვა-
რულებოდა ხოლმე, ისაო...

დაფაცურდნენ... კარადის თავზე ნა-
ტერში გადახვეული იპოვეს, ჩამოილეს,
ისცეს ბიჭს და თან გააფრთხილეს —

ცარიელი კია, მაგრამ მაინც ხომ იცი, ერთხელ ცოცხიც გაისურის...

ფეხზე შევაყენო თუ ეგრევე მივცეო.
- იყითხა ბიჭმა.

ეგრევე, ეგრევეო, ხელები გაატატანა „კუნაპეტამ.“

ბიჭმა პირვევარი გადაისახა, აბა, თუ უშეველის, ამან უნდა უშეველოსო, - მომავადავს ძლივს გაუხსნა კლანჭა თითები და მაუზერი ხელში ჩაუდო. სულომობრძაქა, როგორც კი იარალი იგრძნო, მოცოცხლდა, ამ ხნის განმავლობაში პირველად შეირხა, ქუთუთოები მაღლა აუცვივდა, ტარს ჩაფრენილს საჩვენებელი თითი ინერციით სასხლეტისაკენ გაექცა, მაგრამ ალარ დასცალდა, ამორგმინა და გაეყარა ერთმანეთს განამებული სული და ხორცი..

მიცვალებულს, ნაიარევით გადახაზულ შუბლზე, ღრმა ნაოჭები წურბელებივით დაეკიდა.

კუტი

ნეტავი სხვას რას უნდა გაეხარებინა სოფელი, როგორც ამ კოთხუნჯის ჩამოსვლა ახალისებდა. წელინადში რამდენჯერმე დაგვაფასებდა ხოლმე. ასე ხშირად, როგორც არაერთხელ უთქვამს, უფრო ჩვენი ხათრით გვსტუმრობდა, თორემ თვითონ, გამორჩეულად, სიუჟელი შემოდგომით უყვარდა - ამინდები რომ გაირინდებოდა, გატებებოდა მცხუნვარებაჩამცხრალი მზე და თავისით ცვიოდა წერგოდან გამოქცეული, გაკროლილი კაკალი.

ჩამობრძანდებოდა თავის მოკლე მეტ-სახელიანად (მაც რას იზამდა, სახელს შინ ხომ არ დატოვებდა), „სოიუზტრანსის“ წინა კარიდან ჯერ თვითონ ჩამობრძანდებოდა, მერე ვიღაც ღვთისნიერი ჩამოანვდიდა ჯარმოვლილი ძმის მიერ ჩამოტანილ ხის ტყავგადაკარულ ჩემოდანს.

ჩამოსულა და ჩამოსულაო, კუტი-კატი ჩამოპყოლია „საიუსტრანსაო“ - მინაზე არ ჰქონდა ხეირიანად ფეხი დადგმული, რომ ქოთქოთი შეუდგებოდა გა-სათხოვარსა თუ გაუთხოვარს, ქვრივსა

თუ ქმრის უხასიათობით თავმობეზრებულს. კუტის დაძახებას ვინ აკადრებდა, სულ საალერსო სიტყვების ტახტრევანით დააბრძანებდნენ, ვითომ სამზეოს, ჩვენი გულების ნუგებად და საოხად, ერთი თამარ მეფე გაეჩენა და მეორე ეს თმადაკუნუნებული კატო.

მეტყახელი მას შემდეგ შერქმეოდა, ჩვილობაში ტახტიდან რომ გადმოვარდნოდათ და ფეხზე კაიხანს ვერ გაევლო.

ჩვენს სოფელში და ჰყავდა გამოთხვილი და იმასთან ჩამოდიოდა ხოლმე.

სადა ხარ, ქალო, სადაო, - შეეჩებებოდნენ ავტობუსიდან ჩამოსულს და ისიც გაბედნიერებული მოირხოდა, გალეული ხელსაფქავეიით აქეთიქით იქნევდა მოკლე ფეხებზე შემდგარ გვერდებს.

ეს, ნეტა ვის აჯაგრავდა იმის სილამაზე, ვის ანტლერესებდა კატოს პროლის ტუჩ-ებილი ან ღობეზე გადმოკიდებული, ფშუტე გოგრასაგით უკანალი, ვის გაექცეოდა სხვანაირად თვალი.

ნეტა გაპეტეოდათ და...

რა ვწა, უილბლო ვარ, უილბლოო, დაიჩივლებდა ხოლმე, როცა გათხოვებაზე სიტყვას ჩამოსუგდებდნენ, ვითომ მხოლოდ უილბლომა იყო ერთადერთი მიზეზი ბედი რომ „დაუმძვირდა“.

დამაცადეთ, მოვშინაურდე მაინცაო, დაუტევდა დამხვდურებს, მაგრამ ამ სწრაფმავალ წუთისოფელში ვინ დაგაცდის, ვინ ამოგასუნთქებს, ანდა რა დიდი მოშინაურება სჭირდებოდა? მე შენ გეტყვი, იმის გარდერობს კარადები ვერ დაიტევდნენ... რა ჰქონდა იმ ჩემოდანში, არ აღვწერ, ცოდვით გული რომ არ დაგრევათ, მაგრამ კატოს სასახელოდ უნდა ითქვას, სამეოთხაო კარტი ყოველთვის ახალი, ხელუხლებული ჩამოპჲონდა.

ცოტას შეიარაქათებდა, გაიხდიდა საგარეო კაბას, შეიმოსებოდა წელთან გაბანტული, ჩინური ხალათით, რომლის გახუნებულ ლურჯ-მწვანე ფერებში ასევე გახუნებული ალმოსავლური დუმფარები ლივლივებდნენ, წაუყრიდა ქოშებში ფეხს და გაიტაცებდნენ...

აბა, სდიდე მინდობაში ქარს, ვიღა იყო კატოს თვალისდამკვრელი, გოგოები,



іллопіоіт а юкіннісаілуб'улліс, лааміс დი-
лламде დაარ-дэнінб'улліс, სноғлісі міні-
матаеў-шуллі үбнёдშі, орлоп-дэгеші, დაаар-
-дэнінб'улліс, კი არა, тәдомеბідабаң ამ-
-ვа-ар-деноіллі, დаағон-р-ე-ბ-დ-ნ-ე-ნ, რон-
-сар-т-у-е-л-м-он-н-у-е-ტ-и-ლ კა-с-р-ს და ი-с-ი-ც
-დ-р-о-д-а-დ-რ-ო შ-ე-უ-მ-ა-ხ-ბ-დ-а ხ-о-л-მ-ე- - ნ-ე-ლ-ა,
- თ-ე-ვ-ე გ-ა-ს-ა-ნ-у-კ-ე-ტ-ლ-ე-ბ-ო, ქ-ვ-ე-ბ-ზ-ე ქ-ო-შ-ი ა-რ
- გ-ა-მ-ა-ფ-უ-ქ-ე-ბ-ი-н-ო-т-ო.

მაშ! რა-ლ-ა „კ-უ-ტ-ი-ს“ და რ-ა-ლ-ა კ-ო-ნ-კ-ი-ა-ს
- ფ-ე-ხ-ს-ა-ც-მ-ე-ლ-ი!

ქ-ო-შ-ე-ბ-ი ჩ-ე-ნ-ი ს-ო-ფ-ლ-і-ს ქ-ვ-ე-ბ-ზ-ე პ-ი-რ-ვ-ე-
- ლ-ა-დ ი-მ-ტ-ი-რ-ე-დ-ნ-ე-ნ ც-ხ-ე-ი-რ- პ-ი-რ-ს თ-უ რ-ა?!

ა-ნ ი-მ-ა-თ მ-ე-ტ-ი რ-ა-ლ-ა გ-ა-ფ-უ-ქ-ე-ბ-ა უ-ნ-დ-о-დ-ა-თ,
- ჭ-ვ-ი-ნ-ტ-ი-თ-ა-ნ, ც-ე-რ-ა-დ გ-ა-დ-ა-ჭ-რ-ი-ლ-ი ლ-ა-ნ-ჩ-ი-დ-ა-ნ
- ქ-ო-შ-ტ-ა-დ რ-ო-მ მ-ო-ჩ-ა-ნ-დ-ა ე-რ-ი-მ-ა-ნ-ე-თ-ს მ-ი-ჭ-უ-ჭ-
- ქ-უ-ლ-ი დ-ა-მ-ბ-ა-ლ-ი ს-ი-მ-ი-ნ-დ-ი-ს მ-ა-რ-ც-ვ-ლ-ე-ბ-ი-ვ-ი-თ
- დ-ა-ბ-ე-რ-ი-ლ-ი ფ-ე-ხ-ი-ს თ-ი-თ-ი-ბ-ი დ-ა ა-გ-ლ-ე-ჯ-ი-ლ-ი
- ტ-ყ-ა-ვ-ი-ს ნ-ი-ბ-ო-ე-ბ-ი ლ-ე-ვ-ი-ს ქ-უ-რ-ე-ბ-ი-ვ-ი-თ რ-ო-მ
- ა-პ-ე-ხ-ე-ბ-ო-დ-ა.

მ-ა-ნ-ც... ყ-ვ-ე-ლ-ა-ფ-უ-რ-ი შ-ე-ნ-ო-დ-ა დ-ა ყ-ვ-ე-
- ლ-ა-ფ-ე-რ-ს უ-ხ-დ-ე-ბ-ო-დ-ა, ხ-ა-ლ-ი-ს შ-ე-ჭ-ე-რ-ი-ნ-დ-ა,
- ს-ა-დ-ა-ც შ-ე-დ-ი-ო-დ-ა, ი-მ-ე-დ-ს ა-მ-ო-ბ-ე-რ-ტ-ყ-ა-ე-დ-ა
- დ-ა ა-ხ-ა-რ-ე-ბ-დ-ა ა-დ-ა-მ-ი-ა-ნ-გ-ძ-ს.

ა-რ-ც ე-ს ე-კ-ი-თ-ხ-ე-ბ-ო-დ-ა, შ-ა-რ-შ-ა-ნ-დ-ე-ლ-ი
- ნ-ა-მ-კ-ი-თ-ხ-ა-ვ-ე-ბ-ი ა-უ-ხ-დ-ა-თ თ-უ ა-რ-ა დ-ა, ა-რ-ც
- ე-ს-ე-ნ-ი ე-დ-ა-ვ-ე-ბ-ო-დ-ნ-ე-ნ გ-ა-ც-რ-უ-ე-ბ-უ-ლ-ი მ-ო-ლ-ო-
- დ-ი-ნ-ი-ს გ-ა-მ-ო-

მ-თ-ა-ვ-ა-რ-ი დ-ლ-ე-ვ-ა-ნ-დ-ე-ლ-ო-ბ-ა ი-ყ-ო, დ-ლ-ე-ს
- რ-ა-ს ა-მ-ო-შ-ა-ქ-ა-ვ-დ-ა კ-უ-ტ-ი- კ-ა-ტ-ო-ს ო-ქ-რ-ო-ს
- ნ-ი-ს-ა-რ-ტ-ი-.

ლ-ა-მ-პ-ი-თ გ-ა-ნ-ა-თ-ე-ბ-უ-ლ-ი მ-ა-გ-ი-დ-ი-ს შ-ე-ა-
- გ-უ-ლ-შ-ი ს-ა-თ-ი-თ-ა-ო-დ ც-ვ-ი-ო-დ-ა კ-ა-რ-ტ-ი-ს ფ-უ-რ-
- ც-ლ-ე-ბ-ი, ს-უ-ნ-ტ-ე-ვ-ა-შ-ე-რ-უ-ლ-ი; შ-ი-მ-ი-თ-ა დ-ა
- ც-ი-ნ-ი-ს-ი-მ-ი-ყ-ვ-ა-რ-ი-ე-ბ-ი-თ გ-ა-ფ-ა-რ-თ-ო-ე-ბ-უ-ლ-ი
- თ-ვ-ა-ლ-ე-ბ-ი-ს ნ-ი-ნ ი-მ-ლ-ე-ბ-ო-დ-ა წ-ა-რ-ს-უ-ლ-ი დ-ა
- მ-ო-მ-ა-ვ-ა-ლ-ი.

- ე-გ-რ-ე-ა, რ-ა... ა-რ მ-ი-ჯ-ე-რ-ე-ბ-დ-ი დ-ა, ა-პ-ა,
- ე-ს-ე-ც მ-ე ვ-ა-რ? კ-ა-რ-ტ-ი ე-გ-რ-ე ა-მ-ბ-ო-ბ-ს... ე-ს
- ყ-ვ-ა-ვ-ი-ც “გ-ა-ვ-ი-დ, ყ-ვ-ე-ლ-ა-ფ-უ-რ-ი ც-უ-დ-ი წ-ა-რ-
- ს-უ-ლ-შ-ი რ-ე-ბ-ა... ს-ა-დ-ა-მ-ო-ს გ-ზ-ი-თ მ-ო-დ-ი-ს...
- ჰ-ი-ო-მ, ჰ-ი-ო-მ, მ-ო-ვ-ა დ-ა ხ-უ-თ მ-ა-დ-ლ-ო-ბ-ა-
- ს-ა-ც მ-ე-ტ-ყ-ვ-ი ა-ნ-დ-ა ვ-ი-ნ ი-ც-ი-ს... შ-ე-ი-ძ-ლ-ე-ბ-ა,
- ა-ლ-ა-რ-ც გ-ა-გ-ა-ხ-ს-ე-ნ-დ-ე-...

- ხ-უ-თ-ი კ-ი ა-რ-ა, ე-ქ-ვ-ს-ი თ-ა-ნ შ-ე-მ-ო-გ-ე-ვ-
- ლ-ო-ს! - ი-ს-ე ი-ტ-ყ-ო-დ-ა ნ-ა-თ-ქ-ა-მ-ი-თ გ-ა-ბ-ა-დ-
- რ-უ-ლ-ი “ბ-ე-დ-ი-ს-მ-ა-ძ-ი-ე-ბ-ლ-ი”, ვ-ი-თ-ო-მ ც-ა-რ-ი-
- ე-ლ მ-ა-დ-ლ-ო-ბ-ა-შ-ი რ-ა-მ-ე ე-ყ-ა-რ-ა.

- ა-მ ს-ა-ქ-მ-ი-ს-ა თ-უ რ-ა-მ-ე გ-ა-მ-ე-გ-ე-ბ-ა, წ-ა-მ-
- ა-ლ-ა-რ-ც გ-ა-გ-ა-ხ-ს-ე-ნ-დ-ე-...

დ-ვ-ი-ლ-ა-დ ა-ს-ე-ა! - კ-უ-ტ-ი-ს კ-ო-ტ-ი-ტ-ა თ-ი-თ-ე-ბ-ი
- ხ-ე-ლ-ა გ-ა-დ-ა-ა-ც-ო-ც-ე-ბ-დ-ნ-ე-ნ გ-უ-ლ-ი-ს ვ-ა-ლ-ე-ტ-ზ-ე
- დ-ა-გ-დ-ე-ბ-უ-ლ გ-უ-ლ-ი-ს დ-ა-მ-ა-ს, - მ-ო-დ-ი-ს დ-ა
- რ-ა-ლ-ა-ც უ-ჭ-ი-რ-ა-ვ-ს, გ-ო-გ-ო, ბ-რ-ჭ-ყ-ვ-ი-ა-ლ-ა ქ-ა-
- ლ-ა-ლ-დ-შ-ი...

- შ-ი-გ-ნ-ი-თ რ-ა-ა, თ-ო-რ-ე ბ-რ-ჭ-ყ-ვ-ი-ა-ლ-ა ქ-ა-
- ლ-ა-ლ-დ-ი...

- ს-ა-ქ-ო-რ-ნ-ი-ნ კ-ა-პ-ა... ე-გ-ე-თ-ი, გ-უ-ლ-ა-მ-
- დ-ე-ბ-უ-ლ-ი, მ-ე-რ-დ-ი-ს ო-რ-ი-ვ-ე მ-ხ-ა-რ-ე-ს ა-მ-ო-
- ფ-უ-შ-უ-შ-ე-ბ-უ-ლ-ი, თ-მ-ა-შ-ი დ-ა-ს-ა-მ-ა-გ-რ-ე-ბ-ე-ლ-ი
- თ-ე-თ-რ-ი ვ-ა-რ-დ-ი-თ...

- ს-ი-ყ-ვ-ა-რ-უ-ლ-ი-ს ფ-ე-რ-ი ხ-ო-მ ნ-ი-თ-ე-ლ-ი-ა, -
- მ-ო-კ-რ-ძ-ა-ლ-ე-ბ-ი-თ შ-ე-ბ-ე-დ-ა-ვ-დ-ნ-ე-ნ.

- კ-ა-პ-ა-ც თ-ე-თ-რ-ი-ა დ-ა ვ-ა-რ-დ-ი-ც... ს-ი-ნ-
- მ-ი-ნ-დ-ი-ს ნ-ი-ს-ა-ნ-ი... ა-ნ-დ-ა ი-ყ-ო-ს ნ-ი-თ-ე-ლ-ი, შ-ე-
- რ-ო-გ-ო-რ-ც გ-ა-გ-ხ-ს-ა-რ-დ-ე-ბ-ა...

დ-ა-ჭ-ყ-ე-ტ-ი-ლ-ი, ც-უ-ნ-ბ-ი-ს-მ-ო-ც-ვ-ა-რ-ე თ-ვ-ა-ლ-ე-
- ბ-ი კ-ა-დ-ე-ვ უ-ფ-რ-ო ფ-ა-რ-თ-ო-ვ-დ-ე-ბ-ო-დ-ნ-ე-ნ, ნ-ი-ნ
- ნ-ა-მ-ო-ნ-ი-ვ-დ-ნ-ე-ნ, ჩ-ა-ც-ქ-ე-რ-დ-ე-ბ-ო-დ-ნ-ე-ნ ლ-ა-მ-
- პ-ი-ს ს-ი-ნ-ა-თ-ლ-ი-ს წ-რ-ე-შ-ი მ-ა-რ-ტ-ო დ-ა-რ-ჩ-ე-ნ-ი-ლ
- ვ-ა-ლ-ე-ტ-ს-ა- დ-ა-დ-ა-მ-ა-ს.

- რ-ა ვ-ე-ნ-ა, შ-ე-ნ კ-ი-დ-ე-ვ ა-ქ-ა ხ-ა-რ? გ-ა-ი-ქ-ე-ც-ი
- დ-ა გ-ა-მ-ზ-ა-დ-ე, დ-ა-კ-ა-ლ-ი ქ-ა-თ-ა-მ-ი-!. .. ხ-ო ი-ც-ი,
- ჩ-ე-მ ნ-ა-თ-ქ-ა-მ-ს წ-ွ-ა-ლ-ი ა-რ გ-ა-უ-ვ-ა... ჰ-ი-ო, ჰ-ი-ო,
- დ-ა-კ-ა-ლ-ი-მ-ე-თ-ქ-ი... მ-ო-მ-წ-ყ-დ-ი თ-ა-ვ-ი-დ-ა-ნ, გ-ა-ნ-ა
- ა-რ ვ-ი-ც რ-ი-ს-ი დ-ა-მ-კ-ვ-ლ-ე-ლ-ი-ც-ა ხ-ა-რ-!.. - ა-ბ-ა,
- ვ-ი-ს-ი რ-ი-გ-ა-ს, თ-ო-რ-ე-მ დ-ა-ი-ს-უ-რ-ა კ-ა-ნ-ტ-ო-რ-ა! -
- ნ-ა-მ-ო-რ-ე-ფ-ი-ლ-ი კ-ა-რ-ტ-ს ა-ჩ-ე-ნ-ჩ-ხ-ა-ვ-დ-ა, ა-უ-რ-ე-
- დ-ა დ-ა ნ-ე-ბ-ს, მ-თ-ე-ნ-ა-რ-ე-ბ-ა-მ-ტ-ყ-დ-ა-რ პ-ი-რ-ზ-ე,
- ს-ა-მ-ჯ-ე-რ მ-ი-რ-ტ-ყ-ა-მ-დ-ა - რ-ბ-ი-ლ-ა-დ, მ-ს-უ-ბ-უ-
- ქ-ა-დ, რ-ა თ-ე-ბ-ა უ-ნ-დ-ა.

უ-ფ-ა-ს-ო მ-უ-შ-ა გ-ა-მ-ი-გ-ი-ა დ-ა უ-ჭ-მ-ე-ლ-ი
- ა-რ-ა-ი-ა.

დ-ა-ფ-ა-ც-უ-რ-დ-ე-ბ-ო-დ-ა თ-ვ-ა-ხ-ი-ს დ-ი-ა-ს-ა-ხ-ლ-ი-
- ს-ი, ვ-ა-ხ-ს-მ-ი-თ-ა-ნ ე-რ-თ-ა-დ ა-ლ-უ-ბ-ლ-ი-ს „ვ-ა-შ-ნ-ვ-
- კ-ა-ს-ა-ც“ შ-ე-მ-ო-დ-გ-ა-მ-დ-ა მ-ა-გ-ი-დ-ა-ზ-ე, ც-ო-ტ-ა შ-ე-
- ჭ-ი-ქ-ი-დ-ე-ბ-ო-დ-ნ-ე-ნ, შ-ე-ქ-ე-ი-ვ-ი-ა-ნ-ე-ბ-უ-ლ კ-უ-ტ-ს,
- თ-ხ-ვ-ი-ნ-ი-ა დ-ა ყ-ე-ლ-ი-ს გ-ა-მ-ნ-ე-ვ-ი-თ, გ-ი-ტ-ა-
- რ-ა-ს ბ-ა-ვ-შ-ი-ვ-ი-თ ჩ-ა-უ-გ-ო-რ-ე-ბ-დ-ნ-ე-ნ კ-ა-ლ-თ-ა-შ-ი.

ე-ს-ე-ც ც-ო-ტ-ა-ს გ-ა-ი-რ-ა-ნ-ე-ბ-ო-დ-ა დ-ა ყ-ე-ლ-
- მ-ო-ლ-ე-რ-ე-ბ-უ-ლ-ი ჩ-ა-მ-ო-ჟ-ე-რ-ა-ვ-დ-ა ბ-რ-ო-ლ-ი-ს თ-ი-
- თ-ე-ბ-ს:

ზ-ი-პ-ლ-ი-პ-ი-ტ-რ ჩ-უ-მ-ა-დ ი-ყ-ო,
- ხ-მ-ა-ს ა-რ ი-ლ-ე-ბ-დ-ა,
- ა-რ ი-ლ-ე-ბ-დ-ა, ა-რ ი-ლ-ე-ბ-დ-ა,
- ხ-მ-ა-ს ა-რ ი-ლ-ე-ბ-დ-ა...

მ-ს-მ-ე-ნ-ე-ლ-ე-ბ-ი-ს ა-ლ-ტ-ა-ც-ე-ბ-ი-თ გ-ა-თ-ა-მ-ე-
- ბ-უ-ლ-ი, ხ-მ-ა-ს კ-ი-დ-ე-ვ უ-ფ-რ-ო მ-ე-ტ ე-შ-ს შ-ე-
- მ-ა-ტ-ე-ბ-დ-დ-ა:



კრეიტის შეეხვენენ,
ამაიღო,
ამაიღო, ამაიღო,
ამაიღო...

ზიპლიპიტომ ამაიღო,
ვაჲ, რა ჰქონია,
რა ჰქონია, რა ჰქონია,
რა ხმა ჰქონია...

— ო, შენ არ გაქრი, ქალო, შენა! —
დადუშებულ შეაღამეში ცეცხლივით
ამობურბურდებოდა ხოლმე ქალების სი-
ცილი და გნისი...

ცუდს რას აკეთებდა, ჩამოვიდოდა,
სოფლის ორლობებებში მასთან ერთად
დაქროდა, ცოცხლდებოდა ათეულობით
ახდენილი თუ აუხდენელი ოცნება, ქალე-
ბის, ქალნულებისა, გასათხოვრად შელე-
რებულებისა თუ ცხოვრებანახი დედა-
კაცებისა.

იმის კვიმატ ენას ყველას სალბუნი
მოექმნა, მარტო ღეჭიანთ ლალოს გუ-
ლი ვერ მოეგო:

— კუტის ენა გახმეს, კუტისა, მაგას
რო არ ეთქვა, ეს ჩემი პირქვედასამარხი,
იქიდან ცოცხალი არ ჩამოვიდოდა, ციხე-
ში ჩალპებოდა და მოვისვენებოდო. — გნი-
ასებდა უხასიათი ქმარზე გულმოსული.

აჲა, ესეც კუტი-კატოს ბრალი ყოფი-
ლა!

იღბალი არ გინდა?

— არაო, ჩემს თავს კარტს როგორ გა-
ვუშლიო, — ნამოსცდებოდა ხოლმე ზოგ-
ჯერ, — ზეპირად ვიცი, უიღბლო ვარ,
უიღბლო... ამ დუნიაზე ჩემ სახელზე არ-
გაჩენილ კაცს ძებნა როგორ დავუწყოთ.

სხვებისთვის ეძებდა.

ეძებდა და ზოგჯერ „გაარტყამდა“ —
პოვლობდა კიდევ.

მერე ვიღის ახსოვდა...

მარტო ღეჭიანთ ლალო არ „უკინებდა-
და სიკეთეს“ — კუტის ენა გახმეს, კუტი-
საო...

ამინდები როცა აურევდშენ, ცოტა
სოფელიც რომ მოიწყენდა კატოს და კა-
ტოც — სოფელს, ისევ იმ „სოიუზტრან-
ში“, ისევ იმ ჩემოდნით, რომელშიც კი-
დევ უფრო გახუნებული, დუმფარებინი
ჩინური ხალათი, შელანდლული ქოშები,
იაფთასიანი ნელსაცხებლები და სხვა

ნერილმანები ეწყო, ჩააპარგებდნენ, თო-
ჯინასავით დასვამდნენ მძლოლის უკან,
ფანჯარასთან.

ვიდრე აკტობუსი დაგორდებოდა, გა-
რედან ხელით კოცნას უგზავნიდნენ.

ესეც, რა თქმა უნდა, კოცნით პასუ-
ხობდა.

დაძრულ მანქანას მარტო ღეჭიანთ
ლალო მიყოლებდა ხოლმე ქოქოლას —
კუტის ენა გახმეს, კუტისაო...

კალათა ბალი

(დავით კაპანაძეს)

ეგეთი კაცი იყო ჩემი ბიძაშვილი, ზამ-
თარ-ზაფხულ ყრონტამდე ჰქონდა „სა-
როჩა“ შეკრული, ოღონდ მუცელზე გა-
ფარფარებული, არ ჩაიტანდა კალთებს
შარგალში... როგორ იყადრებდა, ახლა
ფლოსტებით რომ დაიარებან ამხელა,
ზონზორხა, მუქთახორა პირუტყვები...
თან მშრომელი, მშრომელი, თოხიც უყ-
ვარდა და პურის ჭამაც... ამოვიდო-
და სარწყავიდან მხარზე ბარგადებუ-
ლი, გადახედავდა ქუჩისპირზე, კოპიტის
ჩრდილში, ნელზემოთ დაშიშვლებულ,
სოფლის უქნარებს და მათ გასაგონად
ხმამაღლა ჩაილაპარაკებდა, ახლა მომცა
ოხრახინვის მათრახი და ესენი ჩემ გე-
მოზე გამაუკეპინა.

იცი, ვინ იყო ოხრახინვი?

რევოლუციამდელ საქართველოში,
ჭათურაში, მეფის რესესის მიერ დაიშ-
ნული მაზრის უფროსი ყოფილა. მეფი,
უჯიათი ლევი, პოლიციის სამსახურში
ჩამდგრაი ჯინჯილებიან-ეპოლეტებიანი
მოხელე. ის რომ ჩაივლიდა, თურმე ყვე-
ლაზე აბეზარი ძალუებიც კი წერდემდ-
ნენ... **გახმაურება..**

მტრისას, თუ ვინმეს თავის მათრახს
გადაპერავდა, ხოლო, როცა მუქარით
ჩემბაზე გაიტაცაცუნებდა, იმის ხმა საშე-
ვარდნოზე ისმოდა.

იცი, შენ, საშევარდნო? იქიდან არის
ჩევნი სახელოვანი გრიგოლ აბაშიძე... ჳო,
ჳო, პეტეფის მთარგმელი...

„ჳოდა, ამ ყრონტამდე“ საროჩაშეკ-
რული ბიძაშემის ბაბუა იყო, დედის მხრი-



დან, ცოცხნარელი გლეხი ერმილე ჭილ-ლაძე.

ამ ჩვენს ერმილეს ძან საამაყოდ ჰქონდა წერეთლებთან ნათელმირონობა.

პირველი ხილი, ნაადრევი მაისის ბალი რომ ჩამნიფეხდებოდა, მოარჩევდა მსხვილ-მსხვილებს, დამკრახულებს, თავს მოუდ-გამდა ხელყალათს, მოკრავდა სატინის ან ჩითის ნაჭერს და ბალს სხვიტორში, წერეთლების ნებიერ ქალებს მოუკითხავ-და.

ხომ ყველამ იცოდა, კალათში ხელ-გაყრილი საითაც მიდიოდა, მაგრამ მა-ინც გადმოსხახებდნენ ხოლმე მეზობლები, საით გაგინევია, ერმილე ბატონოო.

წერეთლებში, თავად ბატონოო!

გადავცემ, აბა, რას ვიზამო, — დააიმე-დებდა მეზობლებს უფრო ომახიანი ხმით.

ერთხელაც, თავადების ჭიშკარი რომ შეაჭრიალა, შეეხმიანა მასპინძლებს, გა-მონარჩარდნენ, გამოეგებნენ თურმე წე-



ასე

რეთლის ქალები, მოკითხეს, როგორც სჩეკოდათ — მდაბალი თავმაღლობით — მედიდური, მოწყალე ლიმილით მიიღეს გლეხი ჭილაძის მირთმეული ნობათი და მოახლე გოგოს სამზადისში შეატანინეს, თან ცალყად შეიპატიუეს, სახლში შე-მობრძანდი ნათლიმამთ.

გლეხბა შორს დაიჭირა, თუ ასე შეგა-ნუხეთ, რალა პატივისცემა იქნება, თქვენ ეგ ხელყალათი დამიცალეთ, მე კი აგრე, ბჟოლის ჩრდილში, ცოტას შევირაქათებ და ჩემს გზას ვეწევიო.

იცოდნენ მისი ხასიათი და ალარ ჩა-ავეინდნენ, დაბრძანდით და ჩვენც მა-ლე გეახლებითო. დატოვეს სტუმარი და გატუსტუსდნენ სამზადისაკენ, რა თქმა უნდა, დინჯად, აუჩქარებლად, როგორც თავადის ქალებს ეკადრებოდათ.

სამზადში კი, კალათს საფენი რომ მო-ხადეს და შემოსცინათ ჩამტკარმა კუნ-ნულებმა, დაავინყდათ გვარით ნაბოძები თავდაჭერილობა, სიდარბაისლე, იცოც-

ხლე, გული იჯერეს ნაყო-ფით, გვარიანად მოიგვერ-დნენ და მერე რამდენიმე მუჭა „საინზეც“ გადაიღეს, პიტნის ნაყინის არაყს სირ-ჩა მიუღეს და მოახლე გო-გოს თანხლებით სტუმარ-თან დაბრუნდნენ.

ბჟოლის ქვეშ, პატარა მაგიდასთან, ერმილეს ში-ნაურულად მოუსხდნენ, ნრუტმი არაყი ჩამოუნან-ნეარეს, მიირთვი, დაილო-ცე, ჩვენო ბატონოო, თან ბალს სპეციალურად მოკა-კული მავთულით კურკას აცლიან და თავშეეკუნუ-ლად მიირთმევენ.

გაუკვირდა გლეხ ჭილ-ლაძეს, ასე რატომ წვა-ლობთ, ეგ ეშმაკის მანქანა რად უნდა ბლის დაგემოვ-ნებასო.

ეს რა ბრძანეთო, მეტად და მეტად გაიოცეს წერეთ-ლის ქალების, ჩვილი ტუჩე-ბის აბზუებით გადახედეს

ჯერ ერთმანეთს, მერე ნათელმირონს – კი მაგრამ, განა თქვენი დედაკაცები ასე არ მიირთმევენ ბალსაო?

არაო, გაეცინა ჭილლაძეს, თქვენი თავი ნუ მომიკვდება, ჩევენმა უბირმა დედაკაცებმა მაგ იარაღის არაფერი არ იცოდნენ.

მაშ, როგორაო – უფრო მეტად შეიცხადეს ქალბატონებმა, – მაღალ საზოგადოებაში ასეა მიღებული და ვერ ნარმოვგიდებნია, სხვანაირად როგორ უნდა მიირთვო ბალიო.

არყიოთ ყელჩამწვარმა, პირმომუწულმა ჭილლაძემ ამინისუნთქა და ღიმილით შეატყეა ულვაშის ბოლო.

როგორ მიირთმევენ ბალს ჩევენი უბირი ქალები, ჩემო ძვირფასებო და, ზუსტად, აი, ისე, ცოტა ხნის უკან თქვენ რომ შეეცეცოდით სამზადშიო...

შეცნენ თავმომწონე ნერეთლის ქალები, ჯერ კოპები შეჰყარეს, მაგრამ ალალი ღიმილით გაბადრულ ჭილლაძეს რომ შევედეს, თვითონაც სიცილი აუტყდათ, შენ არ მეისპე, ერმილე, რა ხარ, რომ იცოდე, შენ ხომ ვერაფერს გამოგაპარებს ადამიანიო.

ამ მთისა თქვეს, იმ – მთისა, ერმილე ჭილლაძემ მიიღო თავისი საკმარისი, გამოცალა კიდევ რამდენიმე სირჩა, ჩადო ოთხად დაკეცილი საფენი ხელალათში, გაუყრა მექლავი და მომავალ ბლობამდე ღილინით გაუყვა ცოცხნარისკენ მიმავალ გზას.

„ერმილეს ყრონტამდე“ საროჩეკაშეკრული შევლებილი რომ შესწრებოდა ამ ამბაეს, ხომ ინატრებდა ოხრახინოვის მათრახს და კუდაბზიკა თავადიშვილ ქალბატონებს მსუბუქ-მსუბუქად აკად-რებდა...

ანდა რომელი ოხრახინოვის მოსახებნად დასტირდებოდა შორს ნასვლა.

იქვე იყო, ჭიათურაში, მაზრის უფროსად მოვლინებული.

პატრიოტი

ხეირიანად არ მახსოვეს, ეს ქალბატონი, ახლა რომელილაც პარტიის საანგა-

რიშო კრებაზე, ტრიბუნაზე ამხედრებული ყველაფერს რომ იბდლვნიდა, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან ნლებში ჩევნის ქალაქში ზუსტად როდის ჩამობრძანდა.

მგონი, გეზი სამხრეთისაკენ ჰქონდა აღებული და ერთი ღამით ჩევნთან შეეტყრდა – როგორც მახსოვეს, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-გადარჩენის საკითხებზე ჩალიჩობდა, ამ მართლაც პრობლემატური საკითხის შემდგომ ბედს უკავშირებდა თავის ვიზიტს ყოფილ საათაბაგოში.

მოინახულა რეგიონის თავკაციც და არც კაბინეტში, არც ვახშამშე არ დაუმალავს თავისი უკამაყოფილება პრეზიდენტის პოზიციის, უფრო სწორად „უპოზიციონიბის“ გამო – ამაზე წმინდა, საჩქარო და საღვთო საქმე რა უნდა იყოს, შთამომავლობას წარსული გადაურჩინოო.

რეგიონის თავკაცმა შორს დაიჭირა – მაგისთვის ქეყუანამ უნდა მოიცალოს, მოითქვას სული, როგორც პოლიტიკურად, ისე – ეკონომიკურად, ჩევნ კიდევ; ჯერჯერობით, ხომ ხედავ რა დღეშიც ვართო...

ვახშამი ხანგრძლივ კამათად გადაიქცა.

ენერგიულმა ქალბატონმა, თვალებითადან და სხეულის ყოველი ნაკვთიდან უინიან თავდაჯერებულობას რომ აფრეცვებდა, არ დაუთმო მასპინძელს, ისევ და ისევ ღვთისა და მოვალეობის სახელით, რა თქმა უნდა.

ქალს ერთი ჩადგმული ჯელიც ახლდა, რომელიც თავის მძლოლად გაგვაცნო და ამ კამათში მონაწილეობას არ იღებდა, ინტერესსაც კი არ ამჟღავნებდა, ჭიქას ჭიქაზე გვიჭახუნებდა და თავგამოდებით ყლურნავდა.

მეორე ღილით სასტუმროში მივაკითხეთ, საუზმის გარეშე რომ არ ნასულიყვნენ.

მაგიდა შეუკვეთეთ და ვაჭრობის განყოფილებს ინსტრუქტორი, სტუმრების დასახახლად, მეორე სართულზე ავიდა.

რამდენიმე წუთიც არ გასულა, რომ ისედაც ბავშვური გამომეტყველების, ჩასუქებული მოპატიუე გახვითქული, რეტადასხმულივით გამოგვეცხადა.



ვიუიქრე, ალბათ, უკვე გაგავასწრეს-
მეთქი.

არაო, ამოილუდლულა, მალე გვეახ-
ლებანო.

ავიჩერები მხრები, მაგრამ აღარაფერი
არ მიყითხავს.

ჩამოვიდნენ, ვისაუზმეთ, რაც შეგვეძ-
ლო არ დავაკელით პატივისცემა და მან-
ქანამდე მივაცილეთ.

ქერა, მწვანეთვალება მანდილოსან-
მა, ვიდრე მანქანის კარს მიხურავდა, ინ-
სტრუქტორი თითოთ თავისით მიიხმო და
მეცნიერობით უთხრა, ყმანვილო, ჩემგან
დამამასხვრეთ, ვიდრე სასტუმროს და,
არა მხოლოდ სასტუმროს, კარს შეაღებო, *უნდა დააკაუნთო, ამას ელემენტალური* ზრდილობის ანბან მოითხოვთ.

დავიმახსოვრებო, მორჩილად დაუკრა
თავი კიდევ უფრო ნირნამხდარმა მოპა-
ტიცემ.

ვაჲ, მთლად ტყემალზე დავჯექი!

მანქანამ უხარისხო ბენზინის ნამწვის
სუნი დაგვიტოვა და ინსტრუქტორს მი-
გუბრუნდი, რა ქარაგმებით ლაპარაკობ-
დით, ვერ გავიგე, ეგეთი რა შესცოდე-
მეთქი.

– მე არა, იმათ შესცოდეს. კაცის ნო-
მერში შევედი და რას ვხედავ, მძლოლი
დივანზე ამ ფეხებაპლაკულ დედაკაცს
უბრავს... დაბნეული ადგილიდან ვეღარ
გავინძერი...

– მოგეჩვენებოდა, ალბათ, სულს უბე-
რავდა...

– კი, კი, სულსაც და სხვა რამესაც...
– როგორც იქნა, გაიღიმა, – არა, კარი
მაინც ჩაუკეტათ...

გამახსენდა, წინა სალამოს, სუფრას-
თან, ქალბატონის ნათქვამი: ტყეულზე
აშენებული ქეყანა შორს ვერ ნავაო.

ვერც ის საქმე ნავიდა წინ, რომლის
აღსასრულებლადაც რეინის ქალამანი
ჩაუცვა და ხელში რეინის კეტი აელო...
ეტყობა ტყეულის ფეხები ჰქონდა მის
„გულწრფელ“ განზრახვას...

ტყეული არც ქეყანას არ უნდა აკად-
რო და არც შენ თავსო – საანგარიშო
კრებაზე, ტრიბუნის კიდეებს ორივე ხე-
ლით იხე ჩაფრენდა, როგორც ამორდა-
ლი თავანყვეტილი ულაყის სადავებს.

თავისი კურო რომ მძლოლად შემოგ-
ვასაღა, ეს ტყეული ვითომ არაფერი.

არაფერი... არაფერი...

არა, კაცო, კარი მანც ჩაუკეტათ, კა-
რიო, – იმეორებდა გვიან-გვიან გულმო-
სული ინსტრუქტორი.

ცოდვის შეიღი

(აღსარება)

„თავიდნ ზრდილობიანად შემოვიდ-
ნენ. „კასეპი“ დერეფანში, ტახტზე მი-
ყარეს და ბოძზე დაკიდულ პირსაბანთან
მტკრიანი ოფლო ჩამორიცებეს. ხახალზე
ღობის ძირებიდან ნამოკრეფილი, ჯერ
კიდევ მევახე, გასაჩირი წვრილი ხილი
ეყარა, ჩამოსხდნენ ტახტზე და იმის ჭა-
მა დაიწყეს, თან გამაფრთხილეს – შორს
არსად ნახვიდეო.

სად ნავალ, უბანი ღილიდან გაიხვე-
ტა – ნაფუძრებში რომ ბომბი ჩამოაგდეს,
ვიღა გაჩერდებოდა. მაღლიდან ეხედავ-
დი, ჩენენბურები ქემოთ, მინდოოში,
როგორი დანიორებულები გარბოდნენ.

ეს რომ მითხრეს, მაშინ კი ვინანე, რა
ფეხი გამიხმა, რატომ მეც არ ნავედი-
მეთქი.

შინ შევედი.

იმ სამიდან ერთი შემომყვა, სასმელი
გექნებაო.

განჯინში პლასტმასის ორი ლიტრია-
ნით ცოფივით არაყი მქონდა. რატომლაც
ორივე გამოვიდე, იქნებ ნაიღონ და თავი-
დან მომწყდნენ-მეთქი.

სად ნაველენ! *ნაველენ!*

დანარჩენებსაც დაუკახა.

ისინიც შემოვიდნენ, თითო მუჭა ქლი-
ავი შემოყოლეს და ხალისიანად შეუდ-
გნენ საქმეს.

გარეთ გამოვედი.

არა, მანამდე ჭიქა მომანოდეს, დაგვი-
ლიე, იქნებ მონამლულიაო.

არა ესვამ-მეთქი.

ნამოდგა ერთი, კისერზე მომხვია ხე-
ლი და ჭიქა პირთან მომიტანა.

რა მექნა.

შიშს რა სცოდნია, ორნახადმა წყალი-
ვით ჩაიარა.

არსად წახვიდეთ, კიდევ გამაფრთხილეს.

სადღა სიკედილში ვიყავი წამსვლელი. ვინატრე იმათი ბედი, დილას მინდორში რომ გარბოდნენ – ახლა უკვე სამშვიდობოს იქნებიან-მეტები.

არყით ხელფეხმობდუნებული ვიჯექი დერეფანში, ტახტზე. ძრობის ზმულმა გამომატებიზე – მეორე დღე იყო, არ მომენტებდა.

იმათთვისაც თვალი რომ მედეგნებინა, ბოსლის კარი წახევრად მივყენე, დაბალი სკამი ფურდედოს ფეხებთან მივუდგი და სათლიდან დუბელა წყლით ცური ჩამოვბანე.

ძრობა ადგილზე ტრიკადა, დაბერილი ჯიქანი აწუხებდა, რამდენჯერაც მოვწიე, ფეხი ამიკრა, რძეს ვერ მაძლევდა, იტანჯებოდა.

ესე შიშმაც იცის და დავუყუვავე, მოვე-ფერე ფერდზე.

„ცურები“ მეც მანუხებდა, ლიფში ავი წინაგრძნებით დაბურთნენ, თითქოს პურის ცომიერა ამიჯუველნენ და სასუნთქი გადამიკეტეს. აკანალებული თითქები არ მემორილებოდნენ. არაყი ყელში ამოსანთხევად მანვებოდა. დადამბლავებული ხელით, როგორც იქნა, საკინძე ჩავისხნი. მეც შვება მომეცა და ძრობასაც – ხელისგულებით ვიგრძენი დერილებში რძემ როგორ ჩამოირბინა, სათლის ძირში აჩხირალებული თეთრად აქაფდა.

თითქებში ძალა მომეცა, უფრო ღონივრად გამოვნეველე, თითქოს ჯიქანზე ვიყრიდი ჯავრს, თუმცა არ ვიცოდი, რა დააშავა.

ბოსლის შეღებული კარიდან მესმოდა, თათაში როგორ მატულობდა ხმაური.

ენის ცოდნა არ არის საჭირო, რომ მიხვდე, როცა იგინებიან, სიმთვრალისაგან ამღვრეულები რომ ბოროტდებიან.

რომელიც უფროსობდა, ჯერ ის გამოვიდა, შარვლის უბე გაიხსნა, დერეფანშივე ამოილო და ჩემს დასანახავად, იქვე მიუშვა.

რწევა-რწევით ფსამდა, თან ღილინებდა.

მერე ზურგშექცეულმა დაიქნია, დაბერტყა, უკან ჩაბრუნა, მაგრამ უბე

აღარ შეიკრა, – უენშებინა, სადა ხარო, – ეზოში გამობრაცუნდა.

ჩემ მაგივრად ძრობა გაეპასუხა ზმუ-ილით.

რა ექნა, ესეც ხომ „უენშებინაა...“

კიდევ ერთხელ ვინანე, ჯანდაბას სახლ-კარი და საქონელი, უნდა მეც გავ-ქცეულიყვანი-მეტე, მაგრამ ან ომის, ან მშვიდობის ხეირიანად ვინ რა გაგვაგებინა, გაცევა აქეთ დაგვასწრეს, თანაც, ეს ჩვენებურები რომ გარბოდნენ, ქარსაცავი ზოლის ალვის ხების სიმაღლეზე გა-დაუფრინათ „ვერტალიოტმა“ და ხალხის ნიკო აქამდე ამოდიოდა, დიდ-პატარა (ზოგი უთავბოლოდ) ბალებში გაიფანტა, დანარჩენები კი უგრე დაეფინენ მინაზე... არა, მაღლიდან არ უსვრიათ, ეტყობა, შიშისაგან მუხლი მოეკეცათ. ამის დამნახავი ფეხს სადღა გავადგამდი...

ჩემმა სტუმარმა ეზო მოათვალიერა, სიცხით გაოგნებულ მზეს ახედა და თო-კივით გაბმულ ზმულს გამოჰყავა.

თითები უფრო სწრაფად ამუშავდნენ, ჩემ ნაცვლად თითქოს ისინი გარბოდნენ, ეძალავებოდნენ დაჩუტულ ცურისთა-ვებს.

ვიღაცამ ხელი ჩემს ნერვიულობით აცევებულ, აკანკალებულ მუხლისთა-ვებს გადაატარა.

მუჭმი მოქცეული დერილები ხელის-გულებზე თავისთავად გაცურდნენ და ეგრევე დამრჩენ წინაშერილი მელა-ვები.

ყანყრატოს ყლურტ-ყლურტზე მივ-ხედი, რომ მოძალადე რძეს პირდაპირ სათლიდან სვამდა.

მერე ეს ხმა შეწყდა – ძირს დადგმულ-მა სათლის ძირმა, ალბათ, კენჭზე გაიხ-რჭიალა და სიჩუმე ჩამოვარდა.

ერთ ნაში რას არ იფირებს ადამი-ანი. გამახსნდა, ავტომატების გარდა, წელზე დანებიც რომ ეკიდათ და ადგილ-ზევე გავქრი, თითქოს ვგრძნობდი ყელზე დასმულ პრიალა დანისპირს, რომ უცებ თრი ხელი მხრებში დამწვდა, მელავებს ჩამოჰყავა, ჯერ გაავებული ძუძუები მოვა-გელიმა და მერე ქვემოთ, მუცლისაკენ ჩაინაცვლა.

იქვე, ძროხისათვის გამოგლევილ ბა-



ლაპში ჩამჩენა.

რა აზრი ჰქონდა წინააღმდეგობის განევას.

სისხლი რომ გამომსვლოდა, იმასაც დახვრეპავდა, ისეთი სახე ჰქონდა.

ძროხამ ზმულით მომზედა.

კისერგადაგდებულმა თვალებით ვთხოვე, შენ მაინც ნუ მიყურბ-მეტქი.

კაცი ძუძუს კერტებს მაბდლვინდა. მეგონა იქიდან გადმოსული ხსენის სუნი ასდიოდა.

ალბათ, ასე ეპრძოდა ჩვილობისას თავის დედას. რომ მყვარებოდა, ალბათ, რაღაც მშობლიურს ვიგრძნობდი, მაგრამ ახდა...

მორჩია და გვერდზე გადაგორდა... მკლავებგამლილი ეგრევე დარჩია ჩემს მინაზე, ჩემი არყოთ მთვრალი, ჩემი ძროხის რიძითა და ჩემი სხეულით გამძლარი... მაშინ მიეხვდი, რასაც ჰქვით ნამუსის ახდა, გავიგე, რა მძიმეა, უპატრონო, მიტოვებული ქვეყნის შვილობა...

რაღა ბევრი გავაგრძელო, ის ორიც მოვისტუმრე.

ცოტაც და გრძნობას დავკარგავდი, მაგრამ მესამემ გამამხიარულა – არაფერი გამოსდიოდა, ტყუილად ქანაობდა, ხენგშოდა, წვალობდა... მე სიცილი ამივარდა, ვეღარ ვჩერდებოდი, რომ არ მეკიცლა დავიხსრობოდი... ჩემმა სიცილმა ის ცვედანი სულ გააცოფა, მაგრამ რომ ვეღარ გამაჩირა, სახსოვარი დამიტოვა, ნიკაპთან მიებინა არაკაცმა...

რძიანი სათლი ახლა ამან მოიყედა, რაც ვერ დალია, თავზე გადაივლო... ლორი!.. იმანაც ასე იცის, რასაც ვერ შეჭამს, ტაშტიანად ამოატრიალებს ხოლმე.

შემძულდა კაცის სახსენებელი.

ეგრე, ბალახებში ჩამხობილი დამტოვეს და ეზოდან ბარბაცით გაეთრნენ...

აუჟ, ხანდახან მაინც როგორ მომერევა ხოლმე – დანანებით ჩაილაპარავა ქალმა და საფეოტელები გამეტებით მოისრისა.

მამაო, აი, ეს არის მაშინდელი, „კოლექტიური შრომის“ ნაყოფი, მე აღარავის იმედი აღარა მაქვს. ამან, ამ ცოდვის

შვილმა უნდა ამომყაროს კველას ჯავრი“.

რუში მოტოკავე სამიოდე წლის ქერათმიან ბიჭს ქალმა კლდებიდან ახვენილი, მტაცებელი ფრინველივით გაბიროტებული თვალებით დახედა, დაიხარა, მხრებში კლანჭებივით თითებით ჩააფრინდა, ფეხებასხმარტალებული, ანიოკებული ბავშვი რუდან ამოიტაცა და ოტოლვილების დასახლებისაკენ წააწიალა.

ბეგერი საღვინე

ორი დღე დურგალი და დამხმარე მეზობლის ბიჭები მყავდა – სახლს სახურავი მოვაქციეთ.

ნაშუადღევს საქმე მოვათავეთ. სადურგლო მაგიდაზე ცალ მხარეს მივხვეტეთ ბურბუშელა, ფიცრის ნაჭრები. ქალმა რაღაცები ამოგვაწოდა. მე ჭის წყალში ჩაგრილებული ხუთლიტრიანი საღვინე ამოვიტანე, მოვიდგი გვერდით, შემოვისხი ეს ჩემი შეზობლები და გავტეხეთ პური, დავლოცეთ ჩვენი ნაშრომიანამაგარი.

თითო-ოროლა თუ გვექნებოდა ნათევამი, რომ უცებ ისე დაიქუხა, ლამის ყურის ბარაბნები დაგვიხეთქა, სკამებად მიდგმული ვაძლის ყუთებიდან გადმოგვყარა და პირქვე დაგვამხო.

როგორც იქნა, ჩანყნარდა გუგუნი. ნამოვინიე, მაღლა ავიხედე და ცა დავინახე.

ბიჭოს!.. აქ ცას რა უნდა, სახურავი რა იქნა, დარტყმის ძალამ გარეთ, ბალში ხომ არ გადაგვყარა-მეტქი.

ეე, ჩემი ძმაო, ჩვენ არა და, როგორც ქუდი გააფრიალო, ეგრე გაუსვრია ეს ჩენი დალურსმულ-დაჭახარაქებული შიფრის სახურავი.

რა მექნა, შეჩვეული ვარ, ოთხმოცდა-თორმეტშიც ახალაშენებული სახლი არ დამაქციეს თავზე?

ხომ ყველანი ცოცხლები ხართ-მეტქი. – დავუძახე ბიჭებს.

ვართ, მაგრამ, ვაი, ასეთ სიცოცხლეს. – ძლიერ ნამოზლაზნენ.

დავხედე მაგიდას და... სასწაული თუ გინდა, ეს არის – ჭიქები ისევ სავსე დგანან და გველოდებიან.



ეს ძალიშვილები, კიდევ რაღაცას იზამენ და მირონიგით ლვინო ოხრად დაგვრჩება-მეთქი, ავიტაცე ჩემი ჭიქა და დავიძახე:

— მოკლი, მტერო, ამაღლდი, ჭერო!

ჭიქა მოვსვი და გავიგონე, ძირში რაღაც გაჩხაუნდა. ჩავიხედე... საფანტზე უფრო მსხვილი ტყვეა აგარა... გაპრაზე-ბულმა ავდექი და ისიც ჩარჩენილ ლვინოსთან ერთად გადავუშვა.

— მერე, არაფერი გიყო?

— რა უნდა ექნა!.. მაგათა ტყვეიაც და ეგნიც ერთად უნდა მოვინელო!.. — დაპჟერა მუშტი მუხლისთავს და დანანგბით დააყოლა — აი, ჩემი ბეჭერი საღვინე კი მაგიდის ფეხს მისხვრეოდა და თიხის ნატეხში ჩარჩენილი ლომიაური შავი, მოწყენილი თვალებით ამომყურებდა.

ხვალ ომი იქნება

ჩვენ ნინ, ცისკენ შექანებული, ფართე ერანიგით გადაშლილი ფერდობის გაყოლებაზე, გაზაფხულის შემპარავი ბინდი წვებოდა.

აიგნის ბოლოში, ტაბურეტზე შემოდგმულ ოციანში ჩაშვებული რეზინის გამჭვირვალე მილიდან, შუმის საღვინებში, ალისცერი მოჩქერდა.

ბოსელთან ბოძზე გამობმული ხარი და დეკეული ბალას უგემურად იღეჭებოდნენ.

ქალმა მოზრდილი სპილენძის ქვაბით ჯერ ჩამონქველილი რძე გამოატარა, მერე — აკეცილ ნინსაფარში მოგროვილი, საბუღლებიდან ნამოკრეფილი კვერცხი.

ფრთხილად მოპქონდა, თითქოს მინას ფეხს არ აკარგებდა.

— ჩვენ, თუხარელებს, ყველაფერი ნატურალური გვიყვარს... ამას კიდევ შრომა სჭირდება... შრომა არ გვეხარება, აქაურობა სულ ჩემი და ჩემი შვილების დამარმარებულია... ცოცხალ კაცს უნდა ეტყობოდეს, რომ ცოცხალია და არა — ლეში! — მასპინძელი სავსე ჯამს ჩაჰყურებს.

ნინ სოფელია გადაშლილი:
მკვრივი.

ხორქლიანი.

უხეში.

წვრილმანი და მსხვილმანი ვნებებით ნაბლანდი.

გვერდითაც, სუფრის ჩაყოლებაზე, სოფლელები მისხედან, ვითომ ჩუმები, თავდახრილები, ნუნუა რომ შეულიტი-ნებთ მაშინდა გათამამებულები, მუშტზე მაყურბლები, მძიმე ყოფის გამო ქვეყნიერებაზე გაგულისებულები, საბოლოოდ მანც ავ-კარგის გამრჩევნი, მტერ-მოყვრის მიმდევარი. ლონიერ თითებში ჭიქას რომ ჩაბლუჯავენ, მაშინ ამოხეთქავს, ამოდულდება შელახული ლირსება, ახსენდებათ ხარივით დაჩოქებული სამშობლო და მომუტული თითებით უპეებს იმშრალებნი.

რა ვუყოთ, სულ ხომ არ ივინყებენ, სიმოვრალეში ხომ მაინც ენინკებათ სული.

— აი, ზემოთ, კორბითში, თხუთმეტი სამლოცველი იყო... იქ ჩვენ ვეღარ მივიღივართ... როდემდე? ჩემს სამშობლოში ავტომატიან რუსსა და ოსს უნდა ვითხო, როგორ უნდა მივდგე-მოვდგე?.. არადა, ჩვენ, თუხარელები...

ამ გვარის კაცებს დიდი მამულები და გავლენა ჰქონიათ.

იყო ასეთი დრო...


სამწუხაროდ, იყო...

ხშირბინდი მსუბუქდება. სწორედ კორბითის მხრიდან ნელა, მძიმე ფარდასავით დაეშვება, ჩამოცურდება სათიბებსა და ჯაგნარებზე, აეფარება ტერასებზე დაყავილებულ ხეხილს.

მერამდენე ხელინადია უცნაური, შემაშფოთებელი დუმილი ნთეას მთელ მოდამოს და, მოუხედავად იმისა, რომ განათებული აივანი ბობოქრობდა, გულუხვი მასპინძლის წყალობით დაზინული სუფრა თავს ინონებდა და ცას შესჭვილებულებდა და გადაწელილი გარმონი, ჩემდა გასაკვრად, მაინც დიდი, გაუსაძლისა სიჩრდე საფეხულებსა და ყურებში გროვდებოდა.

— ჩვენა, თუხარელები, ჩვენ... — კიდევ ერთხელ მომიბრუნდა მასპინძელი, მაგრამ საცეკვაოდ გაიტაცეს და ველარ გააგრძელა მონოლოგი...

მას შემდეგ, ორიოდ თვეში, თუხარე-



ლების მოვლილი, დოკულათით სავსე სახლსა და კარ-მიდამოსგან, კვამლით გამოღოვილი კედლებიღა დარჩა.

აგისტოს მო ერთი ღონიშვილი ქართული ოჯახის იავარებინით დაწყო, მეცოხოვნეებივით დამდგარი სოფლები წალე-კა და შიდა ქართლს ჯიგარი გამოაცალა.

პრეზიდენტმა კიდევ... ქვა-ლორდი და კლდები დავგარეთ! — ქვეყანას ამაზე წალები „გულშემატკივარი“ არ უნდა ჰყავდეს...

ჩვენ, თუხარელებიო...

ნეტავი რისი თქმა უნდოდა მასპინძელს!

საყასბო

ბაზრის მხრიდან მოვდივარ. ციხისუბანში, ასფალტიან აღმართს ქვიანი, ნადენი წყლებით ჩამოხრამული, ოლრონილრო ქუჩა შეენაცვლა.

დილაა, მაგრამ უკვე კეფის ამხდელი სიცხე აჭერს. აღმური თუთქავს გვალვისაგან თავნამხმარ ბალას.

მეხორცე აპეს სახლის ჭიშკართან მწვანედ გადაღებილი „რაფი“ ირწევა, ქანაობს.

ვიციქერე ან შორიდან მეჩვენება, ან-და სიცხემ გამაბრუა-მეთქი, მაგრამ რომ მივუახლოვდი, არა მარტო ბორგავს, ყანყალებს, გმინავს კიდეც ჩაბურულ-ჩახუ-თული მანქანის სალონი.

ვეცადე, შუშებიდან შიგნით შემხედა.

შუშები შეღებილია და რას დაკინახავ, მაგრამ მივხვდი — მიგნით საქონელი იყო გამომწყვევული.

მივუაკუნებ და ბორგვა და კუთვა უფრო გაძლიერდა.

ეზოდან ორნი გამოვიდნენენ, სახელიაკილი, ტყავის წინსაფრიანი ყასაბი დამხმარე ბიჭთან ერთად.

რაფის კარი ხრჭალით გაცურდა. ოხშივარმა გარეთ საქონლის ბალნისა და ნეხვის სუნი გამოიტანა.

ბიჭმა ცალი ფეხი რაფში შედგა, იქიდანვე მისნვდა მოზვრის ყელზე შებმულ მოკლე თოყს და საქონელი ძირს გადმოსაყვანად გამოქაჩა.

მოზვერი გაჯიუტდა. ჩახუთულ რატში ყოფნას ჰყარზე ურჩევნია, მაგრამ, ალბათ გრძნობს, გარეთ რაც ელოდება.

ერთხანს ეჭიდავა, მაგრამ თუნუქის პრიალა იატაზე ფეხები გაუსრიალდნენ და ბიჭის მარჯვენას დანებდა, იკადრა გადმომრძანება. გადმოსვლისთანავე, შეღბოლი ჭიშკრიდან, თვალი ჰეკიდა ეზოს სიღრმეში, კაუზზე დაკიდებულ, ნახევრად ჩამოტყაცებულ საქონელს და საცოდა დაცად დაიბლავლა.

ბიჭმა მანქანიდან კიდევ ორი ხბო გადმოიყვანა.

ისინი უფრო იოლად „დაითანხმა“.

— სულ ეს არის? — იკითხა ყასაბმა.

— რა, არ გეყოფა?

— ბავშვობაში ხორცი მენატრებოდა ხოლმე... ეხლა ყელში მაქ ამოსული, დანახვა აღარ მინდა.

— რა ვიცი, ყაურმას კი ყბას მაგრად უქნებ ხოლმე და... — გაელრიჭა ბიჭი.

პატარა, ლამაზმა გაზაფხულის ხბორებმა, ძირს ჩამოხტომისას ფეხები რომ ეკეცებოდათ, მიიხედ-მიიხედეს და, საიმედო რომ ვერავინ დაინახეს, გულქვა კაცებისაგან დაშინებულები, მოზვერს მიერუტნენ, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, ვითომ დაიმალნენ, თავები მუცელქვეშ ამოუდეს.

ლმერთო, როგორი საბრალოები იყვნენ, ეგონათ თავისზე გაჭირვებული დაიფარავდათ, არ იკოდნენ, რომ სულ მალე, ყველას გორგოლაჭზე მოსრიალე, ჯაჭვზე გამობმული კაუჭები აიკონწიალებდათ.

რატომდაც ქალაქის მდიდრები დამიდგნენ თვალნინ, ცოტა ხანში დაბურულმუშებიანი „ჯიპებით“ რომ მოსრიალდებოდენ და სისხლიან სასწორზე ანონილ, ამათ თბილსა და ჯერ კიდევ მფეთქავ სხეულის ნანილებს შინისაკენ გაარტყონებდნენ...

მოზვერმაც მოხედა ხბორებს. თითქოს იმათ გასაჭირმა თავისი დაავინყა, უცნაური, მშობლიური თანაგრძნობით დაზუვლა ორივეს და თოყის ნაგლეჯზე ხელ-ჩაკიდებულ ბიჭს აღარ გასძალინებია, მორჩილად შეუძღვა ბორჩლებს ეზოში.

ესენიც დანდობილად მიჰყვნენ, ისევ

ფერდთან მიერულები, სუსტი, მოუმაგრებელი ფეხების ხლართვით...

მეხორცე აპე შარშან, შემოდგომაზე, ლოგინად ჩავარდა.

ვიდრე სული ამოხდებოდა, თურმე სულ იხვეწებოდა, გამისკდა საფეხულები, ამ გაუთავებელი ზმუილისაგან დამასვენეთო.

აյე დაისვენა კიდეც.

პოლიტიკი

რომელიდაც წელს, რომელიდაც მატარებელში, რომელიდაც კუპეში:

— განა თქვენ კი გეგულებათ თუნდაც ერთი ნადვილი მამაკაცი, რომელსაც ოცნებაში მაინც არ წაულუნია ცოლის ლამაზი ნათესავი? — იფიცრის შევი, ლაპლა-პა ჩემების ჭრაჭუნით შემოვიდა მხარზე პირსახოცვადა კიდებული თანამგზავრი, გალიფეში ლიპჩატენილი პოლკოვნიკი. ჯანიან მკერდზე გადაძაგრული „პოდტაუებები“ გაატყაცუნა, კუპეში მყოფებს თვალი მოგვავლონ და სალდაფონური უტიფრობით ჩახიტითოთა, — ჩემო ძვირფასებო, მე პირადად არ მეგულება... მითუმეტეს, თუ ატყობ, რომ მამალი დედლობს და ვერ ანვება, როგორც საჭიროა... — გიმნასტურაში მელავები გაუყარა და აძლილი თმა ორივე ხელით უკან, კეიჭუსქენ გადაინურა.

საწოლში წამომსხდარმა, ახალგაღვიძებულმა ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეთ, ვინ არის ეს დაცენტრილი, ამ დილადრიან რა ცოლის ნათესავი აუტყდაო, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ალნიშნულ საჩოთირო თემაზე ვაგონის კავკასიური წარმომავლობის გამყოლთან (როგორც ზოგადად გვეძახიან ჩრდილოებები) უკვე ჰქონდა კუპეში შემოსვლამდე კამათი.

— ამის აღიარებასაც ვაუკაცობა უნდა... იოლი არ არის! — „წარზანის“ ბოთლი მაგიდის კიდეზე ჩამოჰკრა და თავსახური გააგდებნა.

ყელგადანეული ხმაურით სვამდა, სა-

მამულო წარმოების ელექტროსაპარსით დალუდუდებულ ყანცრატოს მაცოცხლებელი მინერალური წყალი უგრილებდა და ინდაურივით გამოწული ჩიჩხავი, გაჭედილი უნიტაზივით ამობუყბუყდებოდა ხოლმე...

ნაშუადღეს სადღაც დაიკარგა, როგორც გარევა, ჩევნს მომდევნო ვაგონში ნაცნობებს გადააწყდა და კარგად შეზარხოშეული დაბრუნდა.

ხელჩანთის საკეტები ტკაცუნით გახსნა, პირსახოცითა და კბილს ჯაგრისით ტამბურში, პირსაბანში გავიდა და, როცა დაბრუნდა, ტალანში, ფანჯარასთან ვიდევ.

ვიგრძენი, რომ დამაკვირდა, მაგრამ არ მიმიხდავს, დილანდელი ნათევამით გაღინიანებულს ამ გაფიუვინებული სახის დანახვა არ შემეძლო.

კუპეს კარი მიიკეტა.

მატარებელი ყრუ სიბნელეში გარბოდა, გამაფრთხილებელი კივილით მისდევდა უსიერ ტყებში მობორიალე დამის ლანდებს.

არაფერი არ ჩანდა. აქა-იქა, შუქნიშნებიდან გამოჭატებულ სინათლის მერთალ შუქნებ, აცევნილი ემალივით გაიელვებდნენ ხოლმე ხშირი, წვრილი ფიქები, ჩევნ საპირისპიროდ რომ მიფრინავდნენ და ვაგონის კედლებს კანრავდნენ.

ფანჯრის სახელურს ჩემ გვერდით მომდგარი პოლკოვნიკის წითური, ბალნიანი თითები ჩაექმდა.

— კუპეში ცხელა. საბჭოთა მატარებელში კი ფანჯრის გაღება არ შეიძლება.

— ალბათ, მუშათა კლასი რომ არ გაცივდეს.

— ალბათ...

ორიეს გავეცინა.

— მართლაც, გასაკირია — თუ ფანჯრაა, უნდა იღებოდეს, თუ არ იღება, რალაა ფანჯრაა...

— ეჲ, ჩემი ძმაო, რამდენი რამეა, რომელიც „ისეა“, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, თურმე „ასეა“... გამიგეთ?

— რა თქმა უნდა!

— ააა, დილას რატომ არ დამეთანხმეთ, განა არ იცით, რომ ცოდვილი იბადება ადამიანი და ცოდვილი მიდის?



- რაც თქვენ ბრძანეთ, ეგ უკვე ცოდ-
ვაზე მეტია, რაღაც... როგორ გითხრათ...
ანომალიაა...

- რაც გინდათ დაარქით... მე მაგ გა-
უგებრობის მსხვერპლი ვარ!

გაოცებულმა დაუფარავი ზიზლით
მივხედვე:

- თქვენ?.. ვერ გავიგე, თქვენ ხართ
მსხვერპლი თუ ცოლის ლამაზი ახლობე-
ლი?

- მე-მეთქი, გასაგებად არ ვთქვი?

მატარებელი სადღაც, რომელიდაც
მოსახვეში მოირკალა და უკან გადაგ-
ვაქანა. ერთ-ერთი კუპედან გულიანი გი-
ნება მოისმა, ეტყობა მგზავრმა კედელს
თავი რეხება.

- რამდენიმე დღის ნინ უფრო ჯეელი
ვიყავი... ბოლო დღეებმა დამაბერეს, -
ტირილის ხმაზე მექრდი ჩაიმჯობა, ხე-
ლი გადამხვია და გულ-მუცელში დაგუ-
ბებული სასმლის ორთქლი ამოაფრქვია,
- მთელი ცხოვრება ნანილიდან ნანილში,
ყაზარმიდან ყაზარმაში დავწანალება...
რა ვენა, ვემსახურები საპჭოთა კავ-
შირს!.. როგორც შემიძლია... ორდენებით
და მედლებით მექრდი მაქვს დამძიმებუ-
ლი... მეგონა, კაცი ვარ, სინამდვილეში...
ვბრუნდები შინ, მიელინებიდან, ერთი
დღით ადრე, შუადღისას, ვალებ ჩემი გა-
სალებით კარს და... საძინებელში... ჩემი
ძუკნა კრუტუნებს, თანაც ვისთან?.. ია-
რალი წელზე მაქვს, გასისინებული მაკა-
როვი, პირში მიცემული ტყვიით... მე კი,
იმის ნაცვლად, რომ ორივე ერთმანეთს
დავაკლა, როგორც შევედი ხელჩანთით,
ეგრევე უკან გამოვედი, გამოვხურე კა-
რი... არადა, მე და ჩემს ქვისლს, როგორი
ძმობა გვქონდა, იცი?.. დავწერე სამსა-
ხურშ რაპორტი, ამ დაარგულში, ნანი-
ლის უფროსად გადმოყვინა მოვითხოვე...

არც შვილებს გამოვეთხოვე, არც მეგობ-
რებს, დავკარი ფეხი და ნამოვედი... ჰო-
და, ევგოთ ზიზლით ნუ მიყურებ, რადგან
ძალიან, ძალიან უბედური კაცი გელაპა-
რაკება, თანაც იცი, რატომ?.. არ იცი! -
უბედური იმიტომ კი არა, რომ ცოლმა...
მოკლედ, როგორც არის - იმიტომ, რომ
მაინც მიყვარს!.. გესმის, ძმაო, უფრო მე-
ტად, ვიდრე აქამდე... ისიც არ ვიცი, რომ

დამირეკოს და პატივბა მთხოვოს, რო-
გორ მოვიქცევი...

ხელი ჩამოილო. ჩემ უკან კუპის კარი
გახრჭიალდა.

- ასეა ეს საქმე!.. შორს ამიტომ მივ-
დივარ, იმას გავურბივარ - მოკლედ, ვემ-
სახურები საბჭოთა კავშირს!..

კუპეს კარი ისევ გახრჭიალდა და ტა-
ლანში სიჩუმე ჩამოვარდა.

სიჩუმე, რომელსაც გარედან შემოსუ-
ლი დგანდგარი ანგრევდა.

მეორე დილით, რომელიდაც უზიშ-
ვნელო ბაქანზე, რომელიდაც გადასარ-
ენზე, მთელი მატარებლიდან მგრნი
მხოლოდ პოლკოვნიკი ჩავიდა.

ბაქნზე დამზღვურმა ჯარისკაცებმა
ხელი აუდეს, ჩანთა ჩამოართვეს. პოლ-
კოვნიგმა შინელის ანეული საყელოს ზე-
მოდან გამომხედა, ორი შეტყუპებული
თითი კოკარდიან ქუდთან მიიტანა, ჯა-
რისკაცებს შუაში ჩაუდგა და სამივე ნაძ-
ვების კორომსა და სადგურს შორის და-
ტოვებული გასასვლელისაჲენ ნავიდა.

ელექტრომავლის კივილზე ტოტზე
ჩათვლემილმა, ჩამოსავარდნად გადაექ-
ნებულმა, გულგახეთქილმა ყვავმა მიმავ-
ლებს ჩამოსჩავლა.

- ღმერთო, რამდენი გაჭირვებული
ჰყავს ამ ქეყანას! - დაძრული ვაგონის
კიბეზე ფეხს შემოდგა გამოყოლმა, - იცი,
გუშინ რა მითხრა ამ ჩვენმა დარეხვილმა
პოლკოვნიგმა?..

- არ ვიცი და არც მინდა, ვიცოდე!
- ვაა, ეგ როგო?!. არ იცი და არც გინ-
და, იცოდე!.. - გალიზიანებულმა, მოგიკ-
ვდეს პატრონიო, ჩარჩოში გაჭედილ კარს
ნიჩლი მიაყოლა და, როგორც იქნა, საკე-
ტი გადატრიალა.

მუხტარა

ნეტო ჩვიდმეტში, ნეტო თვრამეტში...
რას გამიხურე, ეგებ სამოცდაცხრამეტიც
იყო, ამდენი ხანი გავიდა, რაღა... გაუყე-
ვით ძეველი ყამირელების კვალს შუა აზი-
აში, თან თვალს წყალს დაალევინებთ,
თანაც, რასაც დაწერთ, დავტეჭდავთ.

ვანო ჩხიტავაძე

ეგეც ხეირია, ახალგაზრდები ხართ, მეტი რა შეგრჩებათო, – გვითხრა თავმჯდომარეობ ჩვენი უნცყებისა.

რა გვენაღვლებოდა, ავილეთ სამივლინებო მაყუთი, ცოტა ჩვენიც დავამტკით და... ჰაიდა!..

სავარაუდოდ, საინგილოს რომ გადაუფრინეთ, ჩვენი ნალეოტი უკან მოვიტოვეთ, მერე ბაქოს და კასპიის ზღვას რომ გავცდით, დაიწყო და რა დაიწყო – ჩამავალი მზის სხივებით გაფიცხებული, ქარიშხლებით აბორგებული წითელი ქვიშების ოკეანე...

ხანგრძლივი ფრენის შემდეგ ჩავედით დანიშნულების ადგილზე. ცაში ხომ არ დავრჩებოდით, დაგვაბინავეს მასპინძლებმა სასტუმროში და საღამოს იურტის ტიპის რესტორანში სავახშოდ მიგვინვის.

სუფრასთან ოთხი ვართ: მე, ნუგზარი, კომევშირის ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე, გვარად ალდანოვი და მისი ინსტრუქტორი – ყვრიმაღლებაზიდული, ვნორითვალება მუხტარა – მორიდებული, კეთილად მომღლიმარი ბიჭი.

რა დავლიოთო, – გვეითხეს მასპინძლებმა.

რასაც თქვენ მიირთმევთო.

მოატანინეს „პშენიჩინი“ და, ჩვენი ხათრით, სადღაც, საძჭოეთის რომელიმეც მხარეში ჩამოსხმული ვითომ ქართული ღვინო „ახაშენი“, მაგრამ რომ გავსინჯეთ, ის ისე იყო „ახაშენი“, როგორც მე მონილოლთა წინინი. არადა, განყოფილების გამგემ, რომელიც მშვენივრად იცნობდა ქართულ კულტურას, მუსიკალურ ფოლკლორს, თეატრს, ოპერებს, გაილიმ, რა თქმა უნდა, ეს ის არ არის, თქვენთან სტუმრობისას რომ გამისინჯვავსო, და „მშობლიურ“ რუსულ არაყს „მიგანექით“.

მიდის აუმღვრეველი, გემრიელი პურიბა, რომ უცებ დროზე ადრე შემთვრალმა მუხტარამ თავი ასწია, მის მოკრძალებულ გამოხედვაში უცნაური ნაპერწელები აირივნენ და ნუგზარს ჯიქურ მიმართა, – მინდა ჰატივი გცე, ამაღმმ, როგორც ჩვენი მამა-პაპური ტრადიციაა,

შინ, ჩემს ცოლთან უნდა ნაგიყვანოო. გესმის, რასა სთავაზობს ეს ქაჯი?

ჰო, ზუსტად ეგრე, ჩემს ცოლთან, ბიჭო!

ორივე დავფხიზლდით. დავფხიზლდით კი არა, ტყემლის კენწეროზე მოვექეცით, გვეგონა მოგვესმა, მაგრამ მუხტარა რის მუხტარა, თავის ნათქვაში თუ გადავა... კიდევ მოვიყრულეთ ყური, მაგრამ ეს ნუგზარა უნდა ნახო, ხო შავგრემანია, მსხვილ ქუთუთოვებზე გადმოხურული წარბებით, ეგრე ალაპლაპდა, როგორც წაკვერჩხალი.

გამგე დროულად ჩაერია, ინსტრუქტორს ჩამოქაჩა და თვალები გადაუტრიალა, ესენი სხვა კულტურის ხალხის შვილები არიან და სისულელებს მოეშვიო.

მუხტარაც მოეშვა, თუმცა ვერ გაიგო, შეთავაზებაზე რატომ ათქმევინებდნენ უარს. ჩაპკიდა თავი, დახარა ნანყენი თვალები, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მუხტარა რის მუხტარა, თანაც... უფრო თვრება, ხომ არ ფხიზლდება.

უცებ ისევ ავარდა ჯიგარი, გადმოსწვდა ნუგზარას მაჯას და... უნდა ნამოხვიდე, ჩემს ცოლთან, ჰატივი მინდა გცე, თუ ძმობაა, ძმობა იყოსო...

უარესად აირია ნუგზარა, რას გადამეკიდა, ეს ჩემისაო, გადმომჩურჩულა, ვიდრე განყოფილების გამგე მუხტარას ხელახლა მოძღვრავდა.

ეგ ისეთი კერძეტი კაკალი ჩანს, მაინც არ მოგისვენებს-მეთქი.

გაეცინა.

ჯანდაბას ჩემი თავი, გავყებოდნა, პატივს ვცემდი ამათ ტრადიციას, მაგრამ ხომ ნარმოგიდგენია, ამის ცოლი რას ემგვანებათ.

რა ვიცე, თუ გინდა გაცყევი, მაგრამ მერე რა მოხდება თუ იცი-მეთქი.

რა უნდა მოხდესო, – დაინტერესდა.

– რა და, დაახლოებით ათ დღეში, ჰა და ჰა, განელე-გაფხრინე, ორ კეირაში, აი, ეგ მზეჭბუე, აღსაკალი მუხტარა, თბილისში დაგიკრავს თავს.

– დამიკრავს და დამიკრას, სტუმარს როდის გაჟეცევია ქართველი კაცი.

– ეე, სულ გამოლენზდი, ძმაო, ჩამოვადა, აბა, ჯიგარი, იქ რომ იბაირამე, – ვი-

თომ თბილისიდან ცერით შუა აზისაკენ ვანიშნე, – ახლა შენი რიგია... მოკლედ, სამაგიროს გადახდას მოგთხოვს.

– ეე, ეგ რა მითხარი, ბიჭი, დაირებვე!

– დაყვლიფა ისედაც დიდრონი თვალები, „გაისიგრძებანა“ ყველაფერი და უცებ მუხტარას საყელოში წასწვდა.

არავის გაუგია, რა მოხდა ან რად მოხდა, მშინვე გავაშველეთ მე და განყოფილების გამგემ თანამესუფრენი და მერე სამიევს სიცილი აგვიტყდა, მარტო მუხტარა იჯდა გულმოსული...

ასეა, ძმაო, ერთმანეთთან მხოლოდ ერები კი არა, მათი მამაპაპური ტრადიციებიც ქიშპობენ.

როდის იყო?

ნეტო ჩვიდმეტში, ნეტო თვრამეტში...

მოვძველდი, დროა მაშინდელ თაგვებზე ახლა ვიყარო ჯავრი – მიკროფონი ჩავახ-რამუნი და სტუდიიდან გავიპარო...

მაშ დავინცო?

ცოტა კიდევ მოვიცადოთ?

კი ბატონი, ჩემი რა მიდის, სულ არ ვიცდი? გამიკვირდება თუ რა, რაკი შე-მომიტყუეთ ამ ხაფანგში...

ჩემს ჭაღარას არ ენდოთ, ახლა უფრო პატარა ვარ, ვიდრე მაშინ, არხისპირზე, ბალახზე წამონოლოლი რომ ავყურებდი ცას.

ცა ყველაზე დიდი საოცრებაა, შეგიძლია საათობით უყურო, თუნდაც იქ სულშებერილი ბუმბულივით, ღრუბლის ფოთილაც კი არ იძრიგდეს ანდა ერთი ბოლოცეცხლაც კი არ გადაიფრენდეს – თამაშ-თამაშით, წამიერი ვარდნებით, თითქოს სკუპ-სკუპით მიდიოდეს.

ავყურებდი ცას და რომელი ისტორიული, საბრძოლო ბატალიები შეედრებოდა კავკასიონის მხრიდან დაძრული ღრუბლების შეხლა-შემოხლას, თრიალეთიდნ წამომლილ „ლეგიონებთან.“

მისტიკური, ცეცხლოვანი ელფის ისრები, თვალნინ ჩანაცრულ კუპრივით შავი ხომალდის აფრა, სადღაც, მტკვრის ხეობის თავზე, ირეონენ მძმე, საბრძოლო ხომალდები, მაგონებდნენ გულ-ჩახურულ ტალღებს და შუაგულ ტყეში მეხდაცემული მუხა ბოლავდა.

ხან მეც რომელილაც ხომალდზე ვიდექი, მახვილს ვიქნევდი დაჩეხილ-დაჭრილი, პომპეუსს მამცი ცენტრიონი-ვით, ხანაც საზღვაო ბინოკლმომარჯვე-ბული ვიძლეოდი ბრძანებებს...

– როგორ გალუმპულხარ, თავი ვერა-ფერს შეაფარე? ჩქარა!.. გახადე!.. არ გაცივდე! – თავს მიმმრალებდა ბებიაჩე-მი.

ორიოდ წუთში ლოგინში შეგორებული შემველი „ნელსონი“ სითბოში გატრუნული კატასავით ვერუტუნებდი...

მერე დავწერე ჩემი პირველი მოთხრობა, მოთხრობასაც ვერ დავარქმევთ... მას შემდევ კალამი არ გამიგდია. დრო მანაც გვაქვს და ერთ მათგანს წაგითხავთ, იქნებ ინტერვიუში ჩართოთ:

„ბიჭი სკოლისკენ როცა მიდის, სულ

მწერალი სტუდიაში

– როცა პატარა ვიყვავი...

– რაო... თუ შეიძლება, თავიდან დავიწყოთ?... როგორ?... ხელს დამიქნევთ და მერე?.. კი ბატონი, როგორც მიძრძანებთ, ჩემი რა მიდის!.. ალბათ, „ბაბინის“ ლენტმა ჩაიხვია... რალა დროს ლენტა?.. ჰო, ჰო, ინტერვიუ ახლა მოდამა, ლამის მიცვალებულებისგანაც აიღონ ხოლმე... გასაგებია, მიკროფონს არ შევეხები, არც მაგიდაზე გავახოხებ და არც თაგვივით შევახრამუნებ... კი, კი, ფქვილში ამოგან-გლულ, ამბარის თაგვს ძალიან ჰგაეს... ისე ახლოს ვიცნობდი ასეთ ვაჟაბატონებს, ამ მიკროფონივით გრძელებუდა აბეზ-რებს... სოფელში როცა ვცხოვრობდი, ყოველ დილით ვნახელობდი მათ ნავაჟ-კაცარს, გახევრეტილ სიმინდის ტომრებს, გულგამოშმულ კაკლებს, გადალეჭილ ჭილოფს, ჭერზე გაერულ დაღრღნილ შპალერს...

ეს ჯანდასანვავები!.. ყველი და კაკალი გასაგებია, მაგრამ ჭილობსა და ქალალდს როლა გემოს ატანენო, – ჯავრობდა ბებიაჩემი და სათავარში მოხალულ, მისატყუებელ თხილს ამგრებდა.

ეჰ, ამეების მოყოლა ვიღას სჭირდება, „ბაბინებივით“ მოძველდა... ალბათ, მეც



ჰელინია, რომ სადღაც, ახლომახლო, სანაგენიან, გაზონის დეკორატულ ბურჯებთან ანდა სულაც ფოთლოთა და სიგარეტის კოლოფებით ამოტენილ ქუჩისპირას, გაუქმებულ გამნენდ არხში, დოლარებით გაძეგილი ბეჭტივით ხელჩანთა, ან საფულე გდის. ჰელინა, მაგრამ იმას კი აღმა ფარიოს, ერთ დროს ლონერ, ათა ათას მუშახელიან ფაბრიკის გარემო მოქუჩებულ, გალატაკებულ უბანში ის გაძეგილი საფულე ვის უნდა დაუვარდეს. რა თქმა უნდა, არავის და – არც ქალაქის პრესტიული ნაწილიდან ან უცხოეთიდან მოვა ვინმე, რათა მაინცდამანც აյ დაკარგოს დიდი ქინების ტოლფასი საფულე, თანაც ისე, უეჭველად ბიჭმა რომ იპოვოს.

ოთხმოცდაათიანის დასაწყისში, ცნობილი მოვლენების დროს, ფაბრიკა ჯერ გაჩერდა... დადუმდა საყვირი, რომლის ხმაც, გამთენის სიჩუმეში, შორეულ სოფლებში ისმოდა.

უთენია აყვირდებოდა, უხმობდა, სამქროებში აგროვებდა მთელ ქალაქში გაფანტულ მუშებს. შემდეგ, დრონი იცვალნება, გაჩერდა ფაბრიკა, ყველაფერი, რასაც კი რეინა ერქვა, საზღვარგარეთ გაიზიდა. ბოლოს შენობებს მისდგრენ და ლამის ლორდიც კი აღარ დატოვეს, მაგრამ, ვიდრე ძარცვას შეუდგებოდნენ, ახლადდანიშნულმა გუბერნატორმა პრეზიდენტს მთავრობის სხდომაზე ახარა – ფაბრიკა ავამუშავეთ და მალე ქვეყანას პროდუქციას მიეთანდებოთ.

ამს დასტურად სართავი საამქროდან ტელესიუჟეტიც აჩვენეს და ყოფილ მუშებს საყვირით დაძახება რაღად უნდოდათ? უთენია, როგორც რამდენიმე წლის წინ, უმაღ აფუთფუთდ ქალაქი – იმედმოცემული პროლეტარები დაიძრნენ მშობლოვრი სანარმოსაკენ.

ბიჭის მამაც – მონინავე ზეინჯალი – ადრიანად ადგა, იღლიაში გადანახული, მაზუთით დალაქავებული, ცელოფანში გადახვეული „სპეცოვე“ ამოიდო და სამუშაოდ ნავიდა.

მამა იმუშავებს, მაშასადამე, ოჯახს ფული გაუჩინდება, – გაიხარა ცოლაშივილმა, მაგრამ ხეირიანად გამოფხიზ-

ლებულები არც იყვნენ, რომ ბელეტაჟის პარმალიდან ფეხამოურული ნაგვის ვეძრო ძირს გადაფრინდა.

– კარებში რომ არ დამიდგათ, არ შეიძლება! – მოისმა უკან მობრუნებული მამის გაბრაზებული ხმა.

– პო, პო, ნაგვის ვედროზე იყარე ჯავრი, ახლა ეგ ვედროც საყიდელი გამიხადე – დაუტია დედამ, – რა იყო, ორ ცვლაში მოგინია მუშაობა?

– არა ვარ, ქალო, შენ ხასიათზე! – შეჭრინა კაცმა და ოთახში უაზროდ დაბორიალდა.

– ხო გითხარი, ტყუილი იქნება-მეთქი, არ დამიჯერე და... ეგ დასაწვავი „სპეცოვე“ მაინც დაგდე, როდემდე უნდა გქონდეს იღლიაში ამოჩრილი.

მაგრამ „სპეცოვე“ კი არ დააგდო, ძირს დაახეთქა და გინებით ზედ შედგა.

არ ავინცდება ის გულის ჩანკვეტა ბიჭს. ისიც ახსოვს, მაშინდელ გუბერნატორს (ახლაც პარლამენტში რომ ზის) ტელევიზორში ყოველ გამოჩენაზე, მთელი მუშათა უბანი ლოცვა-კურთხევას რომ უგზავნის.

ადამიანები (კიდევ ერთხელ) მნარედ მოატყუეს, მაგრამ ამ ტყუილის ვის შერცხვება, პრეზიდენტს თუ – გუბერნატორს?

ბიჭს დოლარებით სავსე ქისის იმედილა აქვს.

დაუშვათ იპოვა, მერე რა უნდა ქნას, მოხმარებასაც ხომ მარითათი უნდა?

იპოვოს და...

არა, მაინც, მაინც?..

ოცნებიდან გამორკეულს მერხზე დადებული, გამხდარი, შენაოჭებულ-ზურგანი ხელი მოხვდა თვალში. მზრა ააყოლა და მისკენ დახრილ მასნაელებელს გაუსწორა.

– არ მისმენდი! – თქვა მასნაელებელმა.

– დიახ, პატივცემულო.

– რაზე ფირობდი? – გააღიმა ბიჭის პასუხმა.

– რაზე?.. საფულეზე! – წამოსცდა უნდებურად და თავისთავზე გაბრაზდა, ეს რა წამოვროშე.

კლასი ჯერ გაყუჩდა, მერე ერთხმად ახარხარდა.



— საფულეზე? — სახე დაუსერიოზულ-და ჩაფიქრებულ მასნავლებელს, — ჰორ, ალბათ დიდ, ტყავის, ფულით გატენილ საფულეზე ან ხელჩინთაზე...

— დიახ, პატივცემული! — დაასხა ჭირის ოფლმა და თვალი მოავლო ამხანა-გებს, რომლებიც სიცილისაგან სულს ძლიერსა თიქვამდენ. გადახედა და ალ-მოაჩინა, რომ ყველას ერთნაირი ცხვირი, თვალები, ყურებამდე გახეული პირი ჰქონდა და უკვირდა, ასე უცებ ერთმანეთს როგორ დაემგვანეონ.

— საფულე სადმე, მიყრუებულ ადგილას უნდა ეგდოს, — თვალებში ჩატყურებდა მასნავლებელი და განაგრძობდა ბიჭის გულისნადების ამოკითხვას, — შემთხვევით უნდა გაიარო, ფეხი წამოჰკრა და მაშინვე იგრძნო ის სასიამოვნო, რბილი სიმძმე, რაც მხოლოდ ფულით გატენილ ხელჩანთას აქვს, პატრონმა სალაროდან გამოტანილი, ტკაცუნა ასიგნა-ციებით გულმოდგინედ რომ ამოავსო და საგულდაგულოდ შექრა... — ასეა, ხომ?

— ასეა, — დაეთანხმა ლულულით და ცხელმა ოფლმა ახლა ხერხმაღზე ჩაირბინა.

— შემქრთალი, გულაძგერებული მიიხედ-მოიხედავ, დაასტაცებ ხელს და... გააქცუნებ! — აგზნებულ მასნავლებელს თვალები ულაპლაპებდა, — გაჩუმდით, ბავშვებო! — ასწია მერჩხე ჩამოდებული ხელი, — რატომ იცინით, განა თქვენ კი არ გიოცნებით ფულის პოვნაზე? მაგრამ... მითხარით, ოღონდ გულწრფე-ლად, დამკარგავის მდგომარეობაზე თუ გიფიქრით რომელიმეს? ვინებ შენუხე-ბულხართ მისი პატრონის, დამკარგავის შემდგომ ბედზე? იქნებ ვალი მიჰქონ-და ან ოპერაციის გასაკეთებელი ფული ნაცნობ-ახლობლებმი მოაგროვა, ანდა პროცენტუანი სესხი აიღო გულისმანე-ანი შეიღის სამურნალოდ... მე არ ვამ-ბობ, რომ თქვენ არ გჭირდებათ, ჩვენს ქვეყანას გაჭირვებული ოხრადა ჰყავს... მაგრამ იმან რა დაამავა, იმის ხარჯზე რატომ... მითხარით, რატომ... ანდა ერთი რომ იმოვით, დანარჩენები? ნუთუ უნამუსო ხელისუფლებამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა, ამ სისაძაგლეზე, სხვის უბე-

დურებაზე ხელის მოთბობაზე რომ გა-ოცნებებთ?.. — მასნავლებელს ხმა ნაუ-ვიდა, ამოუშრა, ამოეხახა, სახეზე ხელე-ბი აიფარა და კედლისეკნ შეპრუნებული გაირინდა!..

მგონი უკვე გვანიშნეს!

იქნებ აღარც ლირს... სხვა დროისათ-ვის გადავდოთ... რაო? ხუთ წუთში პირ-დაპირ ეთერში ვიქნებით? აյი უნდა ჩავ-ნეროთო...

მაინც დავინცორთ?

რა გაეწყობა, კეთილი:

— პატარა როცა ვიყავი, სულ ვნატ-რობდი, ერთ მშვენიერ დღეს ფულით გა-ძეგილი ხელჩანთა მეპოვნა...

Varna

პეტერის!

ეს ამბავი, ამბავი ცალფეხა ყვავისა, იმით დაიწყო, რომ სმელი პურის ნატე-ხი სანაგვისათვის ვერ გავიმეტე, ეგებ ბელურება მიირთვან-მეთექი, აივნის შხა-რეს, ფანჯრის რაფაზე ჩამოვდე.

დიდხანს არ გაულია, ზურგშექცე-ულმა ვიგრძენი და კედელზეც დია-ფილმივით გაერთა ფანჯარას მომდგა-რი უცნაური ჩრდილი. მერე ამ ჩრდილ-მა შუშებზე „გაიარ-გამოიარა“ და, რომ შევბრუნდი, ხელში რაფაზე დაფრენილი, ბოლოთის საცემად გამზადებული, ზურგს უკან ხელებდაწყობილი ჯუჯა კაცივით ყვავი შემრჩა.

სტუმარმა ჯერ პურის ნალება დააპი-რა, მერე გადაიფიქრა, ნისკარტი ღონივ-რად დაჟკრა, ნაწილი მოატეხა და ხახაში გადაუშვა.

თავგადაწყველს დაყვლეფილ თვალებ-ზე დაეტყო, რომ მაგარი ლუქმის გადაყ-ლაპვა გაუჭირდა.

ფანჯარას მივუახლოვდი. თხელი ფარდა გადავწიე.

ჩემი დანახვა მაინცდამაინც არ ესი-ამოვნა, პური მიატოვა და სკუპ-სკუპით ადგილი მოინაცვლა, გამერიდა.

ფარდა დავუშვი.

მაღე ვეღარც ყვავი დავინახე და ვე-ღარც პურის ნატეხი.



356 ჩხილაძე

ამის შემდეგ ყვავი ყოველ დილით, დანიშნულ დროზე, „გრაფიკით“ მოდიოდა. მეც პურს დავახვედრებდი ხოლმე და წყალობაზე უარს არ ამობდა, თუმცა ჩემი მიახლოებისას მაინც ფრთხილობდა, რაფის ბოლოსკენ გადასუსტდებოდა და ნაწერ მშერას არ მაშორებდა.

ერთ დღეს სტუმართან ბაასმა შემიყოლია, დამავინყდა რაფაზე პურის ჩამოდება.

საუბარში გართულს კაკუნის ხმა ჩამესმა.

ინსტინქტურად შემოსასვლელი კარისკენ ნავედი, მაგრამ იქ არავინ დამხვედრია.

კაკუნი განმეორდა.

აივნიდან ყვავი მიხმობდა.

გაყუჩდი.

უფრო ხმამაღალი კაკუნი გამეორდა.

არც ახლა გამოვეპასუხე და გაცეც-ხლებულმა შევმა „პიგმეტ“ ფანჯარას ისეთი ხათქახუთე აუტეხა, ლამის ნისართით შუშა ჩამოიღო.

პური ზურგს უკან დაგმალე და აივანზე გაევდი.

რაფაზე სკუპ-სკუპით რომ გადაინაცვლა, მშპინ შევამჩნიე, ყვავი ცალფეხა ბრძანდებოდა.

„სანარმოო ტრამვაა“ თუ რომელიმე ომში დაკარგა?.. ეგებ მარშალ ნეის ეკუკრდიან ქუდზე დაასკინტლა ანდა სამხედრო აღლუმის დროს ჰიტლერს ენა გამოუყო და ამის გამო დასაჯეს?“ – შევეცადე ყვანჩალის დახეიბრების მიზეზი ამომეცნო.

ვიდრე რაფაზე პურს დავდებდი, გაბრაზებული მიყურებდა, ჩემი კუთვნილი რა იქნაო.

პური დაინახა თუ არა, აღარ მომერიდა, თავისკენ გააჩინა და ძიდგნა დაუწყო...

ყვავმა დუბულტთან ახლოს, პატარა, მყუდრომოსაცდელიანი, სარინიგზო ბაქანი გამასხენა. გამასხენა სამოცდათიანი წლების ბოლო, გრილი გაზაფხულის დილა.

პერონზე მატარებლის ჩამოდგომას რამდენიმე მგზავრი ელო-

დებოდა. ფილაქანი ყვავებით იყო გადაშებული, მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა მიექცია – ყვავი ცალფეხა იყო, საბილეოთ სალაროს შესასვლელთან, ძაბილის ნიშანით, სკუპ-სკუპით „მიდიომდიოდა“, ზოგჯერ შედგებოდა, ფილებს შორის ამოლერილ სიმტკანეს ნისკარტს ჩაჰკრავდა, თითქოს გარღვეული სარჩულ უკან უნდა ჩააბრუნოს და მოსაცდელში შემსვლელსა და გამომსვლელს, სასტუმროს პორტიკესავით, თავის დაკვრით ხვდებოდა.

დამაინტერესა, ნეტავი ფეხი ლატვიის რუსული თუ გერმანული ოკუპაციის დროს ხომ არ დაკარგა-მეტქი, მაგრამ ვინ მეტყოდა?

შინ დაბრუნებისას ლექსი გამოვაქვეყნე:

ფანჯრიდან ვხედავ, დასეირნობს ყვავი ბაქანზე,
საგარეუბნო მატარებლით
ჩამოსულ მგზავრებს



თავის კანტურით ესალმება.
დაახლოებით ოთხმოცი წლისა
(ჯერ მთლად ბავშვია),
ხმას იძოხებს და მედიდურობს,
თითქოს ის იყოს

ოცდამეერთე საუკუნის ბატონ-
პატრონი.

„თუმცა ვინ იცის!“ –

ვფიქრობ ჩემთვის...

ვფიქრობდი და, აპა, ოცდამეერთეშიც
არ გამომეცხადა დუბულტელი ყვანჩა-
ლის აღი-კვალი, ზუსტი ასლი?

როგორც ზლვის სანაპიროს სჩვევია,
ღრუბლიანი ცა ხანდახან წერილ წევთებს
ნამოსყრიდა ხოლმე და მალევე გადაი-
ღებდა.

მოსაცდელი დარბაზის კუთხეში, საგა-
ზეთო ჯიხურთან ატუზული, ხელებგაც-
რეცილი, მოხუცი ქალი წყლიან სათლში
ჩაწყობილ უფერულ ნარცისებს ჰყიდდა.

ზურგს უკან, შორიახლო, სანაპიროს
შლამში გართხმული, გიგანტური მედუ-
ზასავით თრიოდა ბალტიის ზღვა. იქი-
დან ამონასუნთქი ცავი როთქლი ლიბ-
რავდა პაერს და შემოგარენს. რკნიგ-
ზის გადაღმა, ჩავარდნილ მწვანე ვაკეზე
ლაქაშმორუელი ლურჯი ტბა დედამინის
ფართოდ გახელილი, ფხიზელი თვალი-
ვით აპურუბდა ზეცას.

უსიმოვნო წილით თავზემოთ გადავ-
ლილ თოლიებს კენეროებდან ყვავები
შეუბანებდნენ ხოლმე.

საერთო აურზაურში მხოლოდ ცალ-
ფეხა არ ერეოდა.

ბაქანზე ახალგაზრდა, ბავშვიანი წყვი-
ლი გამოჩნდა.

სამიოდე წლის კიკინებჩანსულმა გო-
გონამ მამას ხელი გააშვებინა და რატომ-
დაც ჩემექნ გამოიქცა:

– Varna, Varna, Varna! – წკრიალა ხმით
იძახის და თითოთ ცალფეხა ყვავზე მა-
ნიშნებს.

მხიარულმა ხმამ ირგვლივ ყველაფე-
რი გაათბო, მხოლოდ თავშეავებული
ლატვიელები უფურებენ გოგონას ნირშე-
უცვლელდ. მართლაც, რა მოხდა განსა-
კუთრებული, ყვავი ყვავია, აქ ხომ ამნა-
ირები გუნდ-გუნდად ირვაინ ან ხეებზე
შეხუნდლულები ჩამოგვყევენ, ან თოლი-

ებთან ერთად ტბის ზედაპირს და ლაქა-
შებს დასტრიალებდნ.

გოგონას ხელები გავუშალე და შესა-
გებებლად დავიძარო.

ის კიდევ:

– Varna, Varna! – კვლავ მიმორებს.
ყვავისკენ თითგაშვერილი თითქოს მიხ-
ვდა, რომ იმ გარემოში უცხო ვარ და
პირველად ვისმენ ყვანჩალის ლატვიურ
სახელს.

უცებ ბავშვმა ამონეულ ფილაქანს ფე-
ხი ნამონჲრა, ნასაცევად ნაბარბაცდა.

გავიქეცი, მაგრამ ვეღარ მიუსწანარი,
გოგონას პაჭაც ცხვირი ფილაქანს დაჲერა.
იმავე ნაში აიტაცევ.

ატირებული მკერდზე მომეხუტა.

ლოყასთან ამოდებულ ჩემს ხელის-
გულზე ირი ნითელი, წერილი ძაფივით
ჩამოგრძელდა ბავშვის ცხვირიდან ნამო-
სული სისხლი.

მოვიდა დედ-მამაც, ახლა სამივე ვუყ-
ვავებთ, ვეფურებით.

ჭეკინი და გამჭრიახი ყვავიც სულ ახ-
ლოს დაგვისუბდა, თავს დანანებით აქ-
ნევს, თითქოს საყვედურობს, ხელა რომ
გევლო ასეთი რამ არ დაგემართებოდაო.

– Varna, Varna, მოღი, ნაიკვნე ეს
მტირალა გოგო შენს ბახალებთან, არ
გესმის, Varna! – დავუძახე ყვავს და გო-
გონა უცებ ჩაწყნარდა, ჩემმა ქართულმა
აქცენტმა გააღიმა.

ამას რომ მივხედი, რაღა გამაჩერებ-
და, კიდევ რამდენჯერმე ვუხმე „ლატვი-
ურად“ ყვავს და ცხვირის ტკივილი ვიღას
ახსოვდა.

ჩემმა აქცენტმა მხოლოდ გოგონა კი
არა, პირქუში უფროსებიც გაამხიარულა.

ღმერთი, რჯული, ყვავიც კი გახალი-
სებული დახტოდა.

მერქ ჩამოდგა მატარებელი.

მანაძე მეყავილეს სათლიდან თაი-
გული ამოვალებინე და ბავშვს ვაჩუქე.

კონა მანეთი ღირდა!..

ჩაიარა იმ მატარებელმა.

ვინ იცის, მას შემდეგ კიდევ რამდენ-
მა...

ზურგს უკან, ბალტიის სიცივით გა-
ლურჯებული წყალთხელი თახთახებდა.

ბუფერების დაგადუგით დამფრთხალი



ფრინველები, მატარებლის ჩავლის შემ-
დევ, გაზუთიან განძელებზე და რელიეფ-
ზე ისევ სხვდებოდნენ.

მატარებლიდან, სხვებთან ერთად,
შენც ჩამოხვედი.

გვამძე, რც პერონზე მოხდა.

ყოჩალ, – შემაქე, – ლატვიელების გა-
ცინება, მით უმეტეს გამზიარულება, იმ-
ლი არ გახლავს, ნიჭი და არტისტიზმი
უნდაო...

პეტრის!

ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს
პატარა ლატვიელი გოგონა ისევ ხელში
მიჭირავს.

ამ გაგანია ზაფხულში მაშინდელი,
ტბიდან და ბალტიის ზღვიდან მობერილი
სუსხი კვლავ სხეულში დამივლის და და-
მულ ცას გავახახებ:

– Varna, Varna, Varna!

შება აბანოს

გახსოვს ავლაბრის ძველი აბანო, კედ-
ლებდაბზარული, ნესტის ობორიდებული
კუთხე-კუნჭულით?

აბანოს საერთო საშხაპებიანი დარბა-
ზის გარდა, ნომრებიც ჰქონდა, მათ შეძ-
ლებული მოქალაქეები უფრო ეტანებოდ-
ნენ.

თავიანთი ფუნფულა ცოლებითა და
შვილებით შეიკეტებოდნენ და ერთმა-
ნეთს აღრიცხინებდნენ.

ეში აბანოსი მაინც უფრო საერთო
დარბაზი იყო. კაპიკებად თუ გინდა და-
ლიდან სალამომდე ფეხი არ გამოგედგა,
ვინ იყო შენი ხმის გამცემი.

ლია, კაფელაურილ კუპელში უხვად
მოჩქედა ქაფქაფა წყალი. გაანელებდი,
როგორც გესამოვნებოდა, გაჩერდებო-
დი შხაპქვეშ და თბებოდა სიამოვნების
ურუანტელდავლილი სხეული, უცცებ ქრე-
ბოდნენ კანზე დაყრილი ბუსუსები.

ჩამონოლილი მძიმე ობშივარი, აბანოს
სპეციფიკური სუნი თავიდან თუ სულს
გიგუბებდა, თანდათან ეჩვეოდი. ტნზე
დაცურებული საპნის ქაფი თავდაღმარ-
თში გარბოდა, ფეხებთან შეგუბებული

ჩასაძრომს ეძებდა, რომ აქაურობის სთვის
თავი დაელნია.

დაბაზში მუხლებამდე დაშვებულ-
ტრუსინი, ულვაშა, ტარაკანივით შეავი
მექისეებიც დაბორიალებდნენ. მსურვე-
ლებს ბეტონის ტახტზე მიაგორებდნენ,
მისდგებოდნენ და ლდინს აცლიდნენ.

იყო ერთი ხვნება, ხელების გადაგ-
რება, აფუებულ ქაფში ჩაკარგული სხე-
ულის კუთვა და ნეტარება.

ტახტზე განოლოლს მექისე ძვალ-
რბილს უერთიანებდა, თან დაპლინებ-
და:

აბანში გამოჩნდება

შავი დრაქი, თეთრი დრაქი...

აბანში, აბანში,

აბანში გამოჩნდება...

– კაცო, მეტი აღარ იცი, რამდენი უნ-
და იმეორო გაფუჭებული პლასტინკასა-
ვით ან გაგაგრძელე, ან შეწყვიტე, შაი-
ჭამა გული, რაღა... – ამოიღრენდა კლი-
ენტი.

შავ კაცს ეგლა აკლდა, პრეტენზია მი-
ელო.

– რა გინდა, ჩემი ჭია გავახარო...

– მერე, ჩემი ნერვების ხარჯზე? წადი
სახლში და იქ გაახარე!

– არ მოგნონს? ნომერში შეპრანდი,
მე დაგიშალე? „შავი დრაქი, თეთრი დრა-
ქი...“ აბა, ერთი გადაბრუნდი, ვნახოთ
შე როგორი გაქ?..

– ეე, რაღაც ცუდად მიაცვ-მოაცვამ,
გაიგე?

ირგვლივ მყოფები ვიციონდით.

ვისაც მექისესთან არ უნდოდა საქმის
„დაჭრა“, ზურგს ერთმანეთს უხეხავ-
დნენ.

მაგრამ მანამდე, ამ საერთო, თბილ
ჯოვანებთში შემოსელამდე, შისველ-
ტიტველს „განსანენდელი“ უნდა გამო-
გვლო – ცივი გასახდელი, იატაზე მო-
რიალებული ბინძური წყლით, ზინტლი-
ანი ქოშებით, ფანერის კარაფებით, მათ
აბლაბუდებში გაყუჩებული, ბებერი ტა-
რაკანები რომ თვლემდნენ...

– მაგარი რამე დაგამუდამე, – მესმის
ერთხელ მეზობელი საშხაპიდან, – უკვე
რამდენი ნელია, აბანოში მაშინ მოვდი-
ვარ, როცა თბილისის „დინამ“ თამა-



შობს, — კაციშვილს ვერ ნახავ, მიდი და რამდენიც გინდა იპაირამე.

— „არარატი“ როცა თამაშობს, მაშინ რას შერები? — ეკითხება ვიღაც.

— რა უნდა ვქნა, აქედან ერევანში ხო არ წავალ!

— არ წახვიდე, არა, ვინც იქ არიან, ისინიც ჩამოიყვა და თბილისის ცარიელ აბანოებში იარეთ.

— კარგი, ეგრე ვიზამთ! — დაეთანხმა და კუსეს წინ გაარ-გამოიარა.

მარჯვენა მელავზე სვირინგი ჰქონდა, წარწერით — „არ ენდო ქალ!“ — ძახილის ნიშნიან წარწერას ასობგერა „ს“ აკლდა.

— ზამთარში საფეხბურთო სეზონი არ არის და დაუბანავი გაზაფხულამდე მაგრად აყროლდები.

— ეე, აბა, შენა ხარ, რა! კალათბურთი ხოა...

— არტურ, აღარ მოისვენებ, მაინცდა-

მაინც გინდა, ქართველებს დაებეგვინო?

— რას ამბობ, მაგას როგორ იყადრებენ, კარგი ხალხია...

მართლაც, „კარგები“ ვართ.

იციან არტურმაც და სხვებმაც... ჩვენზე უკეთესად გვცნობენ...

ახლა აღარც აბანოში დადიან და აღარც სტადიონზე.

საღლაა ის ფეხბურთი... თამაშის დროს მეზობლის კაცებს საერთო ეზოში ჩამოაქვთ დომინო და მაგიდას კოჭებს მოული ძალით უხაოვჭნებენ...

სამაგიეროდ, არ გამოტოვებენ ლათინოამერიკულ და თურქულ სერიალებს. ეჰ, აბანო!

არტურა ბაიათებს მარტო უბერავდა შხაპქვეშ, ქართველები ყელის ძარღვებს ვიბდლვნიდით „დინამოზე.“

ძველი აბანო!

აბანო...

აღინა ქალაბიშვილი- ოქაროვიჩიძე



კავშირები

მინი-პოემა

ღამის ზღურბლი გადავირბინე,
თვალდახუჭულმა გავზომე გზები;
ცაში დავტოვე ვარსკვლავები,
ცხელ კერიასთან ჩამოვზავდი
და იმ ფიქრებად დავიფერფლე,
ზღვის ქვიშაზე რომ დგანან
და ზღვაც ქვიშა.
შენ კი, როცა მათ გაამზიურებ,
იფიქრებ ჩემზე.
მაგრამ მსურს, ფიქრი კი არ იშვას,
არამედ მოკვდეს,
გარდაიცვალოს იმედებად, რომლებითაც ამაღლორძინებ.
მე მსურს, ვიხილო,
შენს თვალებში თუ როგორ ვდგავარ,
როდესაც თმაში მზე ვარდისფერ სხივს შეგიცურებს
და ცას ეყრდნობი.
და მსურს, რომ დავრჩე ამ ზეცის ფერში...

...

ან ვინ გაუძლოს ასეთ მზერას ?
იგი ეკუთვნის
წმინდა სფეროებს,
რომ გვამჭვირვალებს, გვაკარგვინებს შეუვალობას;
ასეთ დროს თითქოს სისხლიც გვტოვებს
და ჩვენს ფილტვებში
წყალიღა ბრუნავს
უწყვეტ ჰაერად.

...
 სონატა შეწყდა.
 ახლა ცალ-ცალკე
 ვისმენთ მის ექოს,
 თან რომ დაგვაქვს
 ყურის ნიუარით...
 თუმც არ ველოდი,
 მოლოდინის მწირ საკვებს უნდა დავჯერდე,
 მის თხელ სამოსში გამოვეხვიო.
 მონატრებას სასთუმლად ვიგებ,
 თან დავატარებ თილისმასავით,
 სალამორიბით ჭრაქის ნაცვლად
 მინათებს ხოლმე
 შენი შუქსავს ღიმილების ხანმოკლე წყება.
 ეს ნაადრევი ჭალარაც –
 ვერცხლის რამდენიმე ძაფი
 შენზე ფიქრის გორგალს გამოვარიდე.

...
 ჩვენ გამოვრბოდით, მთელს დუნიას გარიდებულნი,
 როგორც დედასთან;
 ლამემ დაგვმალა, გზამ შეგვიკედლა.
 ჩემი ბავშვობის ნამსხერევები მოგქონდა მუჭით
 და ხელისგულზე მიფანტავდი უთვალავ სიზმრად.
 ცა რომ ჯიბებს ამოიბრუნებს
 და ვარსკვლავები ამოჰყვება, ისე ღამდება.
 ოქროდ თენდება და სპილენძად იღვრება დილა.
 ნუ გაოცდები, ცის ბავშვობას თუ გაგასენებ:
 ჩემს სამეფოში მზის ჩასვლაზე გეპატიუები:
 მოდი, გეთაყვა, მომიშინაურე.
 შენს ნაფეხურებს ამოვყევი სიმშვიდის ცისკენ,
 გადაიხედე – ხელიგულზე მზე!

...
 მე კი სადღაც ვარ,
 და არ მინდა, შენს მიღმა დავრჩე.
 იქ, ორ ნაბიჯში, ჩემი სახლია,
 იქ ნაცნობია ყოველი ქუჩა
 და ყველა გამვლელს იქ საღმით ვიცნობ.
 და ის ფანჯარაც საათობით მჯდარა
 ჩემს გვერდით;
 თვალებში წრებებს, თავბრუსხვევას,
 სანოლამდე და ტელეფონამდე
 გაზომილ მანძილს;
 აკვიატებას, ჭორიკანას ქოთანში,



საათის კედელს, გულმავიწყობას
მე გავეცანი.
და იქ არ მინდა დაბრუნება,
სახლში ლანდივით მოხეტიალე
მარტოობას რომ არ შევეჩეხო...
შენით აღსავსე დღის ყველა წუთი,
ყოველი მხარე, ყველა განმკლავი,
როცა ხელები შენით გამთბარ ჰაერს ეხება,
მე ძალას მაძლევს და ვცდილობ,
შენს დუმილს რამე დავარქვა,
რათა ნაკლებად მდუმარე იყოს,
რათა ხმა გამცეს.

...
სურვილების რღვევის ციხე-სიმაგრე? –
ვინა ხარ შენ?
მეორე „მე“
თუ ის, ერთადერთი?
ხიდები ფეხქვეშ მეფშვნებოდა
და წყლის ნაკადიც ვერ დავირჩინე.
ნარსულს გავავლებ და მზეზე გავფენ.
ხვალეში გელი.
ვიცი, რომ ზღვაზეც გავივლი ფეხით,
როცა შენ ნაეში მეგულები;
მთვარედ ქცეული ჩემი გული
შეგივსებს ბადეს.

...
ჩემი სახლია გზა სახლიდან სახლამდე,
მასზე ვკრეფ ყოველ ჩემს სიტყვა – გზას
... ერთმანეთამდე.
ერთმანეთამდე არ ვიცოდით, თუ ვინ ვიყავით
და ამ გრძელ გზაზე ვაგროვებდით უამრავ სათქმელს.
სიტყვებს და აზრებს განვმარტავდით,
ვიხვეჭდით მარცხებს
და გაოცება ქვავდებოდა ჩვენს სარკეებში.
„მე“ და „შენს“ შორის
სულ ყოველთვის რჩებოდა ვიღაც,
გვრჩებოდა რალაც ანდა სულაც ჩვენივე თავი...
და, რადგან ორნი „ერთმანეთად“ მაინც ვიქეცით,
ერთად არყოფნაც აძლიერებს ჩვენში ერთმანეთს!



მზის ხათაბაძე

* * *

ვერა, ვერ ჩავჯექი ვერც ერთ განრიგში,
ჩარჩო ვერ მოვირგე, ვერც ვერა ნილაბი...
ვერც ჩემა თითქმის სიკვდილმა დამწუხრა ვინმე,
ვერც თითქმის სიცოცხლემ...
ვერც სიბრძნემ მიშველა, ვერცა სიბრიყვემ...
არასოდეს კყოფილვარ საჭირო დროს
საჭირო ადგილზე,
არასოდეს ემთხვეოდა ჩემი ნიჭი მათ უნიჭობას,
ჩემი უნიჭობა – მათ ნიჭიერებას!
ვერა, ვერ მოვირგე ვერც ერთი საუკუნე!
სამაგიეროდ, ძურნა ბალახივით მეტმასნება
საუკუნეობრივი უვიცობა!...

ცარიელი სპა

როგორ არ მინდა, უცებ მოვიგო მილიონები,
უცებ დამნიშნონ რაღაცის მინისტრად,
უგ სულერთია, რის მინისტრად –
ნინაკის, ხახვის თუ ნიახურის,
მთავარია, მინისტრი გერქვას!
უცებ იმას გავახსენდები,
ვისაც, მეგონა, მკვდარი ვეგონე...
ისეთი ვინმე შემომაფრქვევს უნაზეს ლიმილს,
ისეთი ვინმე ჩამეხუტება,
სულ ცოტა ხნის წინ რომ ამერიდა –
აღარაფერში მჭირდებაო!!
მომიძღვნიან ფერად-ფერად, უნიჭო ლექსებს
და უნიჭობას
მქუხარე ტაშით შენილბავენ...

არ მინდა მინისტრობა, არც მილიონერობა –
მე ეს უკვე გამოვცადე წარმოსახვაში და...
ამაზრზენი იყო დათაფლული ხმების მოსმენა
ცარიელ სკაში!

თქვენ გაქვთ უფლება...

თქვენ გაქვთ უფლება, იყოთ პირფერი,
მე პირფერობის არ მაქვს უფლება!
თქვენ გაქვთ სურვილი, იყოთ პირველი,
მე ეგ სურვილი არ მეუფლება!

თქვენ გაქვთ უფლება თვალის დახუჭვის,
რომ ვერ ამჩნევდეთ ერის ფორიაქს,
მე გასანთლული თოკის მარყუშით
დამყვება დროის ეიფორია!

თქვენ გაქვთ უფლება, დღისით და მზისით
აქებდეთ ცრუთა გამოსარჩლებას,
მაგრამ დამსაჯოთ სიმართლის თქმისთვის,
მზად იყოთ ენის ამოსაგლეჯად!

რად არ ფრთხილობო, ნულარ შაფრთხილებთ –
სიფრთხილით სისხლი ჩამეშრიტება...
დადგება დრო და ნილაბ-სამხილებს
ფეხვეშ დაგიყრით ჭეშმარიტება!

თქვენ გაქვთ უფლება,
კვლავ ხელუხლებლად
თქვენი ცოდვებიც ჩემკენ მოთოხნოთ,
მაგრამ უფლებას არ აქვს უფლება,
საკუთარ თავთან ზავი მომთხოვოს!

სიტყვის შოლტებით ჯერ არ გშორდებით,
ჯერ ფიცი ჩვენი არ დადებულა!
დღემდე მელავთ, მაგრამ ჯერ არ მოვკვდები,
რადგანაც ჯერ არ დაგბადებულვარ!

თქვენ გაქვთ უფლება, არ აღიაროთ,
რომ დალატია უკან დახევა,
მკერდზე, როგორც წიგნს, გადამიაროთ
„საშიში“ ფურცლის ამოსახევად!

კაშკაშა ცაში და უფრო მაღლა
დაჯირითობენ ლალი სულები...
თქვენ გაქვთ უფლების უფლება, მაგრამ
არ გაქვთ უფლება თავისუფლების!

სხვისი უბედურება

მე რა მესაქმება
გზაზე მოსრიალე მანქანებთან,
ველოსიპედებთან, ცხენებთან...
მე რა ხელი მაქვს
ცაში მონავარდე
თვითმფრინავთან,
არწივთან, მერცხალთან...
მე რა ხელი მაქვს კას ტბაზე, ლოკოკინას ტბაზე
ან მგლის ტბაზე მოძუნძულე –
გახდომს უინით შეპყრობილ
გოგო-ბიჭებთან, ქალებთან, კაცებთან...
რა მესაქმება გაბრწყინებულ ქუჩებთან,
თეძოების რხევით მოსეირნე რეკლამებთან! –
ეს მე არ მეხება! ეს ჩემი არ არის!
ყველაფერი ხელშეუხებელია და... მორეული...
არც მათ არ ესაქმებათ ჩემთან არაფერი!
სხვისი ბედნიერება ვეღარ მაბეჭნიერებს,
როგორც უწინ, რადგან... მე მათოვის
სხვისი უბედურება ვარ!

სავიზიტო გარატი „რაინდების პლუბი“


მაყვალა ლიპარტელიანს

რაინდის სული, რაინდის ხელი ან ციდან აღნევს, ან არსაიდან...
მთელი სიცოცხლე იმ რაინდს ელი, სულ სხვა ასაღებს თავს კი რაინდად!
იმას, ვინც გუშინ თავს განიხებდა, დღეს შენი ბედი არაფრად უღირს...
დროის სასწორზე აინონება, რაც შეემატა ხარბსა და უღირსს...
შენი ზამთარი გაზაფხულს ასცდა მომაბეზრებელ უამინდობით...
ცრემლით ყვავილობ და გვერა კაცთა მაღალი სულის და რაინდობის!
მოღონიერდა ეს საუკუნეც – ჩვენი ეპოქის გულგრილი მევლელი...
სასახლეს მიჯობს შენი საკანი და ეგ მზრუნველი ცახცახა ხელი...



დაპირხვა

- გვარი, სახელი?
- მე!
- დაბადების წელი, თვე, რიცხვი?
- თარიღი, როცა ერთი წლით ადრე დედაშვილი ყინულიან ეზოში ფეხშიშველა დადგა, რადგან ოჯახი მამაჩემზე გათხოვების წებას არ რთავდა...
- წარმოშობა?
- უცხოულიანეტელი –
ადამიანთა გასაცნობად ჩამოფრენილი...
- პროფესია?
- მოლიდულ გზებზე მოხეტიალე ექსკურსიამძღოლი...
- რას საქმიანობდნენ თქვენი მშობლები?
- ოცნებობდნენ...
- პატიმრობაში თუ ყოფილხართ?
- რაც თავი მახსოვს, პატიმარი ვარ...
- გყავთ თუ არა უცხოეთში ნათესავები?
- დიას – დიდი სანათესაო მყავს ცხინვალში,
ზღუდრის სასაფლაოზე – დღეს ხომ ის მინა უცხოეთია...



გენერაციაში

როცა ღმერთს დეპრესია ეუფლება

პროლიტი

„ღმერთო, შენ რომელ საათზე წვები ხოლმე დასაძინებლად? ცხრა სათო ძალიან ადრეა, არა? დედიკოს და მამიკოს უთხარი, რა, იქნებ, შენ მაინც დაგივერონ“ – ლუკა. 7 ნ.

„ღმერთო, შენზე მითხრეს – ყოვლისშეძლეაო. თუ მართლა ასეა, შეგიძლია, რომ მეცხრე ბლოკს რამე მოუხერხო?“ – ლუკა. 8 ნ.

„ღმერთო, სანტა კლაუსმა მითხრა, რომ არ არსებობ. ოლონდ მთერალი იყო, ანზორი ბიძიას ჰეგიდა და არ დავუკერე. მატყუებდა, ხო?“ – ლუკა. 10 ნ.

„ღმერთო, თუ ის შემიყვარებს, გპირდები, რომ ყოველ კვირას ვივლი წირვაზე და კიდევ გპირდები, რომ, წინა დაპირებისგან განსხვავებით, ამჯერად ამ დაპირებას მართლა შევასრულებ“ – ლუკა. 16 ნ.

„ღმერთო, „ჩაკრულო“ თუ მოგნონს?“ – luka21. სტუდენტი...

I

...მერე ლუკა გენიოსი გახდა. აი, ასე – უბრალოდ. ერთ დღეს გაიღვიძა და ყოველგვარი მეტამორფოზის გარეშე აღმოაჩინა, რომ გენიოსი იყო, თუმცა, სანამ ლუკა გენიოსი გახდებოდა, იქმდე მოხდა ისე, რომ ბევრმა სიტყვამ თავისი პირვანდელი პენი დაკარგა. გაუფერულდა... შინაარსისგან და-

იცალა... გამეჩერდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ აინშტაინსა და ლუკას შორის არსებული ლექსიკური ზღვარი მეტის-მეტად ფურდობითი გახდა, ანუ ახლა უკვე აინშტაინიც გენიოსი იყო და ლუკაც. აინშტაინი იმიტომ, რომ ისტორიას წერდა, ლუკა იმიტომ, რომ – ლექსებს, ოლონდ სევდიანს, გამშორებაზე... და ისეთსავე ერთნაირს, როგორიც კვირის სამუშაო დღეებია, თუმცა გოგოებს, ნათესავებსა და ძმაკაცებს, რომელთაც აინშტაინს ღვარი „დიდად არ ანალექტდათ“ ან, კიდევ უფრო თუ დავაზუსტებთ, „ცალ ფეხზე ეკიდათ“, ღრმად სნამდათ, რომ ლუკა „გენიოსი“ იყო. ჰიდა, როდესაც ერთ დღეს ლუკამ გაიღვიძა და საკუთარი გენიოსობა თავადაც ინამა, მერე სხვა გზა აღარ დარჩის, უკვე გენიოსივით უნდა მოქცეულიყო, ანუ თითქმის არასოდეს ამოელო ხმა ან ამოელო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სიტყვები უფრო მეტყველი იქნებოდა, ვიდრე სიჩუმე. ერთი სიტყვით, რიგითობის მიხედვით, პირველი მარიანის ღრმული უნდა ყოფილიყო, მეორე – ბაიკალის ტბა და მესამე – ლუკას ნათქვამი. შესაბამისად, ლექსიკაც ღრმა და პოეტური გაუხდა: „ჩემი ქვედა კიდურები ვერასოდეს მოხვდება ოქვენი კვების რაციონში“ („ფეხებს ვერ მომჭმ“), „ჩემი გასტრონოგროლოგიური სისტემა საფუძვლიან რესტავრაციას საჭიროებს“ („მაგრად

ბეჭა ალაშვილი

მშია), „მელანქოლიურად განწყობილი ღრუბლები სევდას გულში ვედარ იტევენ“ („წევის“), „ენდორფინის რაოდენობა ჩემში უპრეცედენტოდ მაღალია“ („უბედინერესი ვარ“) და ასეთები.

მერე ბრძნადმეტყველებამ გადაუარა. გენიოსობამ – არა. ამიტომაც ადგა და ორი გენიალური გადაწყვეტილება მიიღო. პირველი მაშინ, როდესაც პირისაგან ნიგნაკისა აღგავა ყველა ის რიგითი ლექსი, რომელმაც თავის დროზე „გენიოსის“ წოდება მოუტანა. და მეორე მაშინ, როდესაც ფსიქოლოგი გახდა. იმიტომ, რომ გენიოსობის დასადასტურებლად დუმილი იყო საჭირო და დუმილის მეტვებით ფულის გამომუშავების უკეთეს გზას ძელად თუ მიაგნებდა. ფსიქოლოგები ხომ იცით? აი, ის ხალხია – ყურადღებით რომ გისტენენ, მერე გეუბნებიან: ყველაფერი კარგად იქნება და ამაში ფულს გართმევენ. ლუკაც იჯდა სახლში, ყურადღებით უსმენდა ხალხს, ამშვიდებდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, იღებდა ფულს და ამდენი ნეგატივისგან დამძმებული მიდიოდა სხვა ფსიქოლოგთან, რომელიც ყურადღებით უსმენდა მას, ამშვიდებდა, რომ „ყველაფერი კარგად იქნებოდა“ და ფულსაც სრულიად დამსახურებულად ართმევდა.

სწორედ ამ პერიოდი გავიცანი ლუკა. უფრო სწორად, ამ პერიოდი გავიცანი ახლოს, თორემ შორიდან ბავშვობიდანვე ვიცნობდი. ეს ის პერიოდი იყო, როცა ეგზისტენციალური პრიბლემები მქონდა, ადამიანური ურთიერთობების გაუფასურებაზე ვდარდობი და მეგონა, რომ გარშემომყოფებს მხოლოდ მაშინ ვასხენდებოდი, როცა რამეში დახმარება სჭირდებოდათ. დამეთანხმებით, რთულია, ასეთ მდგომარეობაში ვინმეს დახმარებაზე იფიქრო. მით უფრო, რომ ადამიანებმა იშვიათად იციან ზუსტად ის თუ რა უნდათ. დაინტენებ ხოლომ: „დმერთო, გთხოვ ამან და ამან შემიყვაროს და მეტი არაფერი მინდა“. შეაყვარებ და აღმოაჩენს, რომ „მეტი სდომებია“. მანქანა... სახლი... ფული... მერე ამ ყველაფერს რომ

მიიღებს, ხვდება, რომ „ამან და ამანი“ აღარ მოსწონს. გასუქდა... ან უფრო უარესი – თვითონ მოიმატა წონაში და „ამან და ამანი“ მიატოვა. ჰოდა, ინყებს მერე ტირილს – „რატომ, ღმერთო, რატომ?“ და თვითონ რომ თხოვა ერთ დროს: შემიყვაროსო – ეს აღარ ახსოვა... მოკლედ, ისე ვარ მონატრებული ნუნუნს, რომ, რაც მასხენდება, ყველაფერს ვყვები. თავი უნდა გავაკონტროლო ცოტა... რაზე დავიწყე? ა, ჰო, სწორედ მაშინ გავიცანი ლუკა...

...

– ყველაფერი კარგად იქნება. – თქვა ლუკა.

– ნუ მატყუებ, თუ ღმერთი გნამს. ისეთი ამბები მესმის ყოველდღე, რომ ყველაფერის რჩენა დავკარგე. იცი, რა სურვილები აქვთ ხოლმე ადამიანებს? „ღმერთო, გთხოვ, ათო კილო მომაკლებინე და გპირდები, ერთი წელი მარხვას დავიცავ...“

– მადხვას დავიდავ, მადხვას დავიდავ, – გამოვაჯავრე. – ან ის თუ იცი, რომ შენი მეზობელი თავს მხოლოდ იმის გამო იკლავდა, რომ მისმა შეყვარებულმა „აიფონ 6“-ის ნაცვლად „აიფონ 5“ აჩუქა. ახლაც ჩამესმის მისი ტირილი: – ღმერთო, ამით სად უნდა გამოვჩნდე, ბარემ პირდაპირ ეთქვა, რომ აღარ უყუყარვარო...

– ყველაფერი კარგად იქნება... იმათანაც, – თქვა ლუკამ.

– არა. სამყარო არ არის ასე ადვილად მოწყობილი. მე მაინც ნუ მასანავლი. ზომბების საუკენეა, ტექნოლოგიური ზომბების... უემოციო ადამიანების, რომლებსაც ენის ადგილზე კლავიატურა ნამოეზრდებათ მალე და ამ ადამიანებს უფრო და უფრო ნაკლებად უყვართ ერთმანეთი. იცი, რატომ?.. იმიტომ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც ვითომდა მათ დასახლოებლად შეიქმნა, ყველაზე მეტად აშერებს ერთმნეთს. ადრე პუნქტუაცია აზრის გამოსაკვეთად იყო საჭირო, ახლა გადმოსაცემადც საკმა-





რისია. რას ეძახით?.. სმაილები, ჰო? – დეპრესიის მიუხედავად, მანც ვიღიმი.

– კი. განაგრძეთ... („განაგრძეთ“ ფსიქოლოგების საყვარელი მეორე ფრაზაა).

– ჰოდა, მაგას ისიც დაემატა, რომ სულ გამიზარმაცდა კაცობრიობა. კი-სერზე მაზის. სენსორს თუ არ ეხებიან, თითოს განძრევაც არ უნდათ ისე. იტყვიანი: ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნებაონ და მერე მე უნდა ვიზრუნო, რომ მართლა კარგად იყოს. არ იზრუნებ და მაშინვე იმას იტყვიან – არ არსებულა ღმერთიო. მე კიდევ ისედაც ეგზისტენციალური პრობლემები მაქვს.

– თქვენ, მგონი...

– ფსიქიატრი მჭირდება და არა ფსიქოლოგი?

– როგორ მიხვდით?

– ღმერთი ყოვლისმცოდნეა. – გავუღიმე. ძალიან მაღიზიანებს ის მომენტი, ადამიანებს ღმერთი პირველ საუკუნეში ჩარჩენილი, ვარსკვლავებში მიმაღლული უხილავი ძალა რომ ჰქონიათ და ვერ ნარმოუდგენიათ, რომ ყველაფერი

თუ ვითარდება სამყაროში, თავად ამ სამყაროს შემქმნელიც შეიძლება განვითარდეს.

– ღმერთი არ არსებობს, – მხრები აიჩეჩა ლუკამ. – ღმერთი რომ არსებობდეს...

– აფრიკაში ბავშვები არ იშიმშილებდნენ?

– როგორ მიხვდით?

– იქიდან, რომ ყველა მაძლარი მაგას მსაყვედურობს და, თვითონ რომ უზრუნველად ცხოვრობენ, მაგაზე მადლობის თქმა უკვე ავინყდებათ.

– ღმერთი არ არსებობს.. – ჯიუტად გამეორა ლუკამ. – ...იმიტომ, რომ არასოდეს უპასუხია ჩემს ნერილებზე.

– აჲ! – ამოვიოხერე.

– ზედმეტად ეგოისტები ხართ ადამიანები. „მამა“ რომ „ჩვენა“, ეს კარგად გაგიზეპირებიათ, მაგრამ ღმერთი ყველას მაინც თქვენი კერძო საკუთრება გვინიათ და, საერთოდ, რით ვერ მოგწყინდათ ღმერთისადმი ბავშვის ნერილებით აპელირება. სანტა კლაუსი იმისთვის გამოვიგონებუსტად, რომ ბავშვების სეგმენტი იქ გადამემისამართებინა.

– ეცადეთ, დროითი და სივრცითი კონტინუუმის დარღვევას არ შეუწყოთ ხელი. – ლუკა დაბბა და ნარსულის ლექსიკურმა ცოდვებმა უდროოდ შეასენა თავი.

– ანუ?..

– ანუ, განაგრძეთ, – თქვა ლუკამ. – ყველაფერი კარგად იქნება...

II

რთულია ღმერთობა. აი... როგორ აგისხსათ... ფულის მაგალითი ავიღოთ. თქვენ ხომ გიყვართ ფული? კი, კი. თან იმდენად გიყვართ, რომ ფულის გამღმერთსაც გაყიდით. ჰოდა, ერთი წა-

ბეჭა აღაშვილი

მით წარმოიდგინეთ, რომ ძალიან ბევრი ფული გაქვთ. ძალან, ძალიან ბევრი... იმდენი, რომ მთელი ცხოვრება ვერ დასარჯავთ. წარმოიდგინეთ? ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ ყოველდღე მოდის ასამდე ადამიანი და ძალიან ცოტა ფულს გთხოვთ. ზღვაში – წვეთს, ზენძი – თვივის ღერს, შაქრის ტომარაში – ერთ კრისტალს... თქვენც პირველ დღეს ღიმილით აძლევთ თანხას და თან გიხარიათ, რომ „იქ, ცაში, ასი ნალის მერე დაგიფასდებათ“. აქმდე ყველაფერი ადგილია. ახლა წარმოიდგინეთ, რომ მეორე დღეს უფრო მეტი ადამიანი მოდის და ისევ გთხოვთ ფულს, რომელიც ულევია, მაგრამ თქვენ მაინც გეზარბათ. მესამე დღეს ისევ... და ისევ... და ისევ... დაუსრულებლად... თქვენ კი ეს ყველაფერი უკვე არათუ გეზარბათ, ნელ-ნელა გბეზრდებათ კიდეც. განუხებთ ეს რუტინა. აღარ გინდათ და უარს ამბობთ.

ღმერთობა კიდევ, აი, ამ უარის ვერ-თქმაა.

ჰოდა, რთულია ღმერთობა.

...

– ყურადღების მისაპყრობად რა აღარ ვეგნი. ერთ გერმანელ მეგობარს ისიც კი ვთხოვე, რამე მოკლე ნეკროლოგი დაწერა ჩემზე, თუმცა – ამაოდ. რაც უფრო მემატება საუკუნეები, მით უფრო მაკლდება ადამიანური სიყვარული. ჰოდა, ეგზისტენციალური პრობლემებიც ამის გამო შემექმნა. მარადიული არსებობის აზრი დავკარგე...

– ყველაფერი კარ...

– მეორე წარლვნაზეც კი დავუიქრდი.

– ...გად იქნება.

– მერე იმდენად დამაკლდა სითბო, რომ გლობალური დათბობა მოვიგონე.

– იქნებ, აფრიკაში მოშიმშილე ბავ-შვებისთვის მიგხედათ? – გადამაყოლა.

– ყველაფერი იდეალურად რომ იყოს დედამინაზე, მაშინ სამოთხის არსებობა აზრს დაკარგავს.

– ისე მეტყველებთ, შეუძლებელია, ღმერთი იყოთ!

– რომელი საუკუნეა? „და მე გე-უბნები შენ, განაგდე ეჭვი და თაყვან-მეც“. ასე განცობს?

– კარგ ფსიქიატრს ვიცონძ, – ლუკა მიხვდა, რომ ყველაფერი კარგად ვერ იყო და ვერც იქნებოდა.

– შენ თვითონ არ გჯერა, რომ ვარ-სებობ და მე როგორ დამარწმუნებ, – გამეღომა.

– და... რა დავიჯერო, რომ ღმერთი დედამინაზე ჩამოვიდა, მაინცდა-მაინც საქართველოში, მაინცდამაინც თბილისში და მაინცდამაინც ჩემთან?

– ლუკამ მისთვის უწვეულოდ გრძელი წინადადება წარმოთქვა.

– ამბავიც იმიტომ იწერება შენზე, რომ შენ აგირჩიე. – ამოვიოხერ. ამ ბოლო დროს ხშირად ვოხრავ. ასაკის ბრალია, ალბათ, – რომ იცოდე, რამხელა სიყალბეა ზემოთ, შენც გამოიქცეოდი.

ყველა გიცინის. ყველა ნათქვამს გინონქებს. ლეთაებრივია. – ამბობენ. მე კიდევ ნორმალური საუბარი მომენატრა, ჩემულებრივი, ადამიანური, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ეს ადამიანობაც აღარ ჩას მაინცდამაინც. მეც მომინევს, ალბათ, რომ „ფეისბუქი“ გავ-ხსნა...

– დავითი ჰევია, ნომერს ჩაგანერი-ნებთ, ბევრი ნაპოლეონი გადაარწმუნა, ღმერთიც ჰყავდა ერთი.

– ბლახ! ის გჯერათ, რომ შვიდ დღე-ში ამხელა სამყარო შევქმნი და იმას ვერ იჯერებ, რომ შეიძლება ჩემივე შექმნილ სამყაროს ვესტუმრონ ხოლმე... მაინცდამაინც შენი ყველა ნერილის შინაარსი უნდა მოგიყვე?

– შეგეძლოთ, ჩემი ყველა ნერილი ისედაც წაგეკითხათ. არ ვმალავ.

– მაშინ იმას გეტყვი, რომ შენ ახლა თავი გტკივა და რომ ეს ჭეშმარიტებაა.

– ძველი ფოკუსია, რომც არ მტკიე-ბოდა, ამტკიებოდა ისედაც.

– მაშინ... – პაუზა გავაკეთე, ლუკას ყურისკენ გადავიხარე და – ფუთფუთ... თაფუთფ... თაფუთ... – ისეთი რამე ვუ-ჩურჩულე, აქამდე მარტო თვითონ რომ



იცოდა ან, უფრო ზუსტად, ეგონა, რომ მარტო თვითონ იცოდა.

— აუჟ! — თქვა ლუკამ, შერცხვა და მიღვედი, რომ დაიჯერა — მართლა ღმერთი ყოფილხართ! აუჟ! აუჟ! დღეს-ვე „დაპოსტავ ფეისბუქზე“! რა მაგარია!

ესეც მორიგი ტექნოლოგიური ზომბი აღმოჩნდა. ღმერთი რომც არ ვყოფილიყავი, ისედაც ადვილი მისახვედრი იყო, რომ „ფეისბუქის“ პაროლი: „ზიგ-მარცფრონიდი“ ექნებოდა. ხელი ჩავიქნიე და ავდექი. ლუკას რჩევისთვის აღარ დამიცდია. უბრალოდ, ლაპარაკი მინდოდა, გულის გადაშლა, თორემ, ყველაფერი რომ კარგად იქნებოდა, ეგ ისედაც ვიცოდი.

...

მერე ლუკამ მართლა დაპოსტა ფეისბუქზე, რომ მისი პაციენტი, არც მეტი, არც ნაკლები, იყო ღმერთი, რომ ეს იყო სასწაული და უნდა გაეზიარებინათ.

მერე მოვიდნენ თეთრხალათიანები და ლუკა ნაიყვანეს.

მერე მივედი მე კლინიკაში და ვუთხარი, რომ მე მართლა ვიყავი ღმერთი და ლუკა არ ტყუოდა.

მერე გამოვიდნენ თეთრხალათიანები და მეც შემიყვანეს.

ახლა ვზივარ პალატაში და ვფიქრობ, რომ აქ ნამდვილი სამოთხეა. სიმშვიდეა. აღარც თხოვნები მანუხებს, აღარც სხვების ნაცვლად ვფიქრობ. ღმერთობა რთულია... მართლა.. ამიტომ ახალი იდეები რომ მოგივიდეს, დროდადრო განმარტოებაა საჭირო.

„აიფონები“ და დიეტები მოიცდიან. იქამდე ვიჯდები აქ, სანამ სამომავლოდ რამე გასართობს არ მოვიფიქრებ, აი, რამე დიდი აფეთქებისანაირს.

ისე, როგორ გარბის დრო — დიდი აფეთქებიდან დიდ დეპრესიამდე ერთი წამი ყოფილა თურმე.

ჯერ არ ვიცი, უკან როდის დაც-ბრუნდები.

აღდგომა და ხვალეო.

ე პ ლ ო გ ი

„ყველა გენიოსს უნდა ჰქონდეს რა-დაც ახირება, დასამასხსოვრებელი... ექ-სცენტრიკული... ჰოდა, მაპატიე, ღმერ-თო, რომ გამოგიგონე და შენი სახელით ჩემზე რაღაც ისტორიებს ვყვები. სამა-გიეროდ, შთამიმავლები იტყვიან, რომ სინამდვილეში ღმერთი მეარნახობდა ყველაფერს და რომ იმ მომენტში, უბ-რალოდ, არავინ დამიჯერა. რა ვქანა, აბა, — გენიოსობა რთულია.

პრინციპში, ცოტა ხნით ფსიქიატრი-ულში ყოფნასაც არაფერი უშავს. ყაზ-ბეგი იჯდა ბოლოს და ბოლოს და მერითი ვარ ნაკლები.

უი... და... ღმერთო, თუეი მართლაც არსებობ სადღაც, იმედია, ამ ყველა-ფერს მაპატიებ“. — ლუკა. 26 ნ. გენი-ოსი.

...

„ლუკა, ეს წერილი რომც ნახონ, მანც არავინ დაიჯერებს, რომ ჩემია. ამიტომ პასუხს აქვე დავწერ და გაბრი-ელს გამოვატან.

დაიკიდე რა!..“ — ღმერთი.

პახილი ფიცინი



ნინამდებარე სტატია, რომელიც ბორის პასტერნაკის დაბადების 125-ე და ტიციან ტაბინის 120-ე წლისთავს ეძღვნება, დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ 5 და 6 აპრილს სანქტ-პეტერბურგში, ანა ახმატოვას მუზეუმში, ბორის პასტერნაკის პერედელკინოს სახლ-მუზეუმისა და ქართული სათვისტოშის (თავმჯდომარე ბატონი კაკაბაძე) იმიტიატივით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ბორის პასტერნაკი და ტიციან ტაბინი: პოეტების მეგობრობა, როგორც კულტურათა დალოგი“. კონფერენციაზე საქართველო ლიტერატორთა საკამაოდ მრავალრიცხვანი დელეგაციით იყო ნარმოდგენილი.

კონფერენციის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა ბორის პასტერნაკისა და ტიციან ტაბინის სამაგალითო მეგობრობის ნარმოჩენით შეძლეს, ერვენებინათ როგორც კულტურათა ურთიერთეავისი, ასევე მოეზის უკომპრომისობის ფენომენი, ადამიანური თავგანწრივისა და თანადგომის იშვათი ნიმუში, რომელიც არ მთავრდება ფიზიკურ აღსასრულთან ერთად და მარადიულად აგრძელებს არსებობას.

ბორის პასტერნაკი საჩართველოში

საქართველოში მოგ ზაურობა – ეს არის
მოგ ზაურობა საკუთარ თავები...
ბ. პასტერნაკი

ბორის პასტერნაკის „ქართული ცხოვრება“ ლეგნდად იქცა. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე კაშაშა ლიტერატურული სამყაროს შემოქმედმა მტკიცედ დაუკავშირა ერთმანეთს ქართული და რუსული კულტურა და სულიერება, სამუდამოდ ჩანარერა საქართველოს ისტორიაში – მან საქართველოს უძღვნა სტრიქონები, რომლებიც მსოფლიო პოეზიის საგანძურშა შესული, ხოლო მისმა თარგმანებმა რუსი ხალხი ქართული ლირიკის თანაზიარად აქცია. სანიმუშობა მისი მეგობრობა ტიციან ტაბინესთან, პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან... და შემთხვევითობად აღა-

რც კი გერმენება, რომ წელს ერთდღოულად ალინიშნება ორი დიდი შემოქმედის საიუბილეო თარიღები – ბორის პასტერნაკის დაბადების 125-ე და ტიციან ტაბინის 120-ე წლისთავი.

განვეხამ მათ მინიერი მეგობრობისათვის ექვსი წელი მოუნიშნა, მაგრამ ტიციანის დალუპევიდან თითქმის მეოთხედი საუკუნე ამ ურთიერთობას წარმოუდგენერალობა გაგრძელება ელოდა – მეხსიერებაში, ახლობელთა ერთგულებაში, ცოცხლად დარჩენილი თანამეკალმის შემოქმედებით ძიებებში.

დღევანდელი თვალსაწიერიდან ისე იხილვება, თითქოსდა პასტერნაკის საქა-

როველოსთან კავშირ-ურთიერთობა სულ ჰქონდა, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი სათავე.

80-იანი წლების დასაპყიში შესაძლებლობა მქონდა, გაესაუბრებოდი პოეტის შვილს, ევგენი პასტერნაკს და ასეთი შეკითხვა დავუსცი: „რით მოაჯადოვა საქართველომ პასტერნაკი ისე, რომ ის მის ნაწილად იქცა, ხოლო ქართული სამყარო მის ირგანიკად?“

ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს დაემთხვა: 20-იანი წლების ბოლოსთვის რუსეთში იდეოლოგიური მანქანის აუტანელი წესები დამყარდა. ჭეშმარიტ პოეზიას პირდაპირ ნამჟღავნენ, მოგვიანებით კი დევნიდნენ. დაინუო ბრძოლა ლიტერატურულ დაჯგუფებებსა და ცალკეულ, „დაუმორჩილებელ“ მნერალთა ბორის. ეს წესები საკუთარ ტყავზე იგრძნო ყველა ლიტერატურმა, მაგრამ თითოეული მას სხვადასხვაგვარად აღიქვამდა.

რაც შეეხება საქართველოს, აქ ჯერ კიდევ ბობორიობდა პოეტური სტიქია და თუთ ქართული ცხოვრების სტილიც პოეზიით იყო გაუღენილი. სწორედ ეს ატმოსფერო მოევლინა მხსნელად რუს პოეტს.

ბორის პასტერნაკი საქართველოში პირველად 1931 წლის ზაფხულში ჩამოვიდა – მისი ცხოვრების დრამატულ ქამს. სულ ცოტა ხნით ადრე მან ცოლად შეირთო ზინაიდა ნეიპაუზი, თავისი ახლო მეგობრის, გამოჩენილი პიანისტის პერიოდი ნეპაუზის მეუღლე. ორი ოჯახის დრამა ერთობ მიმდე გამოდგა. პასტერნაკებს, ფაქტობრივად, არსად ეცხოვრებოდათ – სასურველი იყო, დაუსრულებელ მითქმა-მოთქმას გარიდებოდნენ. ამას ემატებოდა მოსკოვში არსებული საერთო სიტუაცია. 1929 წელმა – „გარდატების ნებმა“ – თან მოიყოლა პარტიული კადრების „ნენდა“, ლიტერატურთა ნინააღმდევ მიმართული რეპრესიები. შეიძლება ითქვას, რომ პოეტებში საყოველთაო დეპრესია დაიწყო. საბოლოოდ დასამარდა ილუზიები

ახალ სინამდვილესთან „თანამოსაგრეობისა“; განმდინარებული ლიტერატურთა შორის – მათი ნაწილი მზად იყო, ნებისმიერ ფასად ეთანამდირმლა ხელი-სუფლებასთან, ხოლო მეორე, მცირე ნაწილი არაფრით არ თმობდა საკუთარ შემოქმედებით მრწამსს. ბორის პასტერნაკი ამ მდგომარეობას ერთობ მტკიცნეულად აღიქვამდა.

ასეთ ვითარებაში მან მოსკოვში გაიცნო პაოლო იაშვილი, რომელმაც რუსი პოეტი მეუღლესთან ერთად საქართველოში მიიჩვია. ეს მოგზაურობა პასტერნაკისათვის სამუდამო კავშირშია საყვარელ ქალთან თანაცხოვრების პირველ თვეებთან, იგი მის „მეორე დაბადებად“ იქცა.

წიგნში, ამ სათაურით რომ გამოიცა, ერთმანეთშია შერწყმული ცოლისადმი მიძღვნილი ლექსები და ქართული შთაბეჭდილებები, სულიერ აღმაღლობა, ახალი ცხოვრების დასაპყისი, გარდამტები პერიოდი როგორც პოეტური, ისე ესთეტიკურ თვალსაზრისით. პასტერნაკი უარს ამბობს თავისი ადრეული შემოქმედების ასოციაციურობაზე, ნეოკანტიკულობაზე, „მარბურგზე“ და მიესწრავის იმას, რასაც თავადვე უწოდა „არნახული უბრალოება“. მავანს აღაშვილი მავანს ეკან აღაშვილი და პასტერნაკის უნარი, გაერთიანებინა გაუერთიანებელი – მაღალი ფილოსოფია და მი-



კუკრინიკესები. ტ. ტაბიძე და ბ. პასტერნაკი.
მეგობრული შარქი. 1936

მარია ფილიძე

წიერი დეტალები, ნატიფი გრძნობებით მოვრილი აღმაფრენა და მათი მინიერი თანამდევნი. პასტერნაკის სამყარო – სინთეზი ამალებულისა და მდაბალის – პარმინის ძებაშია. მისმა დახვეწილმა მდრძნობელობამ საშუალება მისცა პოეტს, შეეცნო საქართველოს ისტორიის ტრაგიზმი, მისი „ჯოვონეთი და სამოთხე“.

საქართველომ გააოცა პასტერნაკი თავისი ბუნებით, ადამიანებით, თავისი პოეტურობით, სტუმართმოყვარეობითა და ტრადიციებით. სტილი ცხოვრებისა საშვე იყო ნასმურევი პოეზით. ხდებოდა ხოლმე, რომ მთელი ლამის განმავლობაში ერთად იყვნენ, ერთი ოჯახიდან მეორეს ენვეოდნენ, ერთი პოეტიდან მეორე პოეტთან ინაცვლებდნენ, თხზავდნენ და კითხულობდნენ ლექსებს. პასტერნაკი საფრის ეს ატმოსფერო გადამრჩნი აღმოჩნდა.

ქართულ პოეზიაში მეფობდნენ „ცისფერყანელები“ – ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი... „ოლიმპიულთა“ წრეში მხოლოდ რჩეულნი დაიშვებოდნენ და პასტერნაკები მყის, შეერწყნენ ამ წრეს – როგორც აღმოჩნდა, სიცოცხლის ბოლომდე. პაოლომ სტუმრები ტიციანს გააცნო და ტაბიძეთა წყვილს მათზე მზრუნველობა სთხოვა. პოეტური მადლობელების განსხვავების მიუხედავად, პაოლო იაშვილი და ტიციანი ერთარსებანი იყვნენ. თვითვე ერთმანეთს „ყველაფერში და ყველაგან, კაბოს კარამდე ტყუპისცალებად“ გუმანობდნენ და ირგვლივ მყოფიც ასევე აღიქვამდნენ. „მერიის წევრები“ (პავლე ანტონოსლეკი ტიციანი „თბილის პოეტურ მერად“ მონათლა. „მერიას“ ორი პოეტი შეადგენდა – პაოლო და ტიციანი) და მათი ახალგაცნიბილი მოსკოველი სტუმარი განსხვავებული სამყაროს მკიდრი იყვნენ ვითარცა ადამიანური, ასევე შემოქმედებითი განზომილებით. პასტერნაკი მსოფლიო მასშტაბის უთვალსაჩინოესი ფიგურა იყო, ტიციანი და პაოლო თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტე-

რატურული ტრადიციების მქონე ქვეყნის ლიდერ პოეტებად იყვნენ მიჩნეული. და თითოეულს საქართველო უნიკალური პოეტური ხელოვნება ჰქონდა...

თბილისში ცხოვრების პირველ წლებში „ცისფერყანელები“ ხშირად აწყობდნენ ბობოქარ პოეტურ საღამოებს. ისინი იყვნენ ჭაბუკები, სიცოცხლისუარიანნი, მოუნესრიგებლები. შეხვედრათა სასურველ ადგილად იქცა რუსთაველის თეატრის სარდაფში არსებული ლეგენდარული კაფე „ქიმერიონი“, ხოლო, როდესაც ტიციან ტაბიძის ოჯახი გრძელებულის ჭუჩაზე დამკვიდრდა, „მიზიდულის ცენტრმა“ მათ სახლში გადაინაცვლა. ტიციანს ჰქონდა იშვიათი ნიჭი, ადამიანში დაენახა მისი ფარული მხარე, მისი პირველის მნიშვნელობა, ინდივიდუალობის მასშტაბი, ზოგჯერ გაცილებით ფართო რომ იყო, ვიდრე ამ ადამიანის კონკრეტული პოეტური ნალექი. იქნება, ამიტომაც გასაოცარია იმ ადამიანთა დიაპაზონი, ვინც ტიციანის ოჯახის წევრებს ახლობლებად მიიჩნევდნენ: ანდრე ბელი, სერგეი ესენინი, ვლადიმირ მაიკოვსკი, ალექსეი ტოლსატონი, ანა ახმატოვა, ოტო შმიდტი, ნიკოლაი ზაბოლოცკი, ნიკოლაი ტიხონოვი, პავლე ანტონოლსკი, მიკოლა ბაჟანი, ბენედიკტ ლიფშიცი, ბორის ბრიკი, მაქსიმ რილსკი, ელიშე ჩარენცი... ტაბიძეების ოჯახის მეგობართა და ახლობელთა წრე იმდენად ფართო იყო, რომ მათ ქალიშვილს ცამეტი ნათლია აღმოჩნდა, მათ შორის – კოტე მარჯანიშვილი, რა თქმა უნდა, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, რაჟდენ გვეტაძე, დავით ჯაფარიძე...


ასეთ ატმოსფეროში ჩაიძირნენ რუსი სტუმრები. დაინყო მეგობრობა, რომელიც სიკვდილმაც ვერ შენყვითა. ზაფხულის ცხელ დღეებში ცოლ-ქმარი პასტერნაკები კოვერში დააბინავეს. პასტერნაკის მეუღლე იგონებს: „საქართველოში გატარებული ნახევარი წელი ერთობი, უწყვეტ დღესასწაულად იქცა. მე და ბორისმა პორველად ვნახეთ კავკასია და მისმა ბუნებამ

შეგვძრა. ეგეც არ იყოს, გარს გვეხვივნენ შესანიშნავი ადამიანები, დიდი პოეტები: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მინიშვილი, გიორგი ლეონიძე. მანქანით უსასრულოდ დაგვატარებდნენ საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე, დაგვათვალიერებინეს თითქმის ყოველი კუთხი, მოგზაურობისას გვიყითხავდნენ ლექსებს. კავკასიის უმშვენიერესი ბუნება და ლექსთა უღერადობა ისეთ გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ დრო არ მრჩებოდა, საკუთარ ბედზე მეფიერა. ასე მოვიარეთ მთელი საქართველო.

პასტერნაკი უკვე იმჟამად იყო გამოკვეთილი ფიგურა არა მხოლოდ რუსული, არამედ მსოფლიო პოეზიისა და უფრო მეტიც – მთელი მსოფლიოს კულტურისა. მეორე მხრივ, იგი ოფიციალური ხელისუფლებისათვის მუდმივ პრობლემად იქცა. საერთო იდეოლოგიური ხაზ-ნიშნულიდან „მომორებით“ იდგა, მოგვანებით კი ვერაფრით მოერგო სოცირეალიზმის თარგს. მისი მოსაზრებანი, სულ უფრო და უფრო შეუნიბრავად გაცხადებული, ბევრს აფრთხობდა. ურთიერთობისას განსაკუთრებული უბრალობით გამოიჩინდა, მაგრამ ეს იყო მაღალი, მრავალთავის მიუნვდომელი სისადავე, რომელიც ბევრისთვის, მით შორის „ლიტერატურის გენერალებისათვის“ უფრო სახიფათო იყო, ვიდრე სხვა ლიტერატორთა ქედმალლობა და ამბიციურობა. პასტერნაკთან ურთიერთობა უდიდეს პატივად მიიჩნეოდა და, იმავდროულად, თავის თავში შეფარულად მოიაზრებდა საშიშროებას (ზოგჯერ დიდს, ზოგჯერ მცირეს) – პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად). და ას, სწორედ ამ პასტერნაკმა, 1931 წლის ყაიდისამ, ისე მწვავედ, ისე ღრმად აღიქვა

საქართველოთი მოგვრილი შეგრძნებები, თავისი ადგილი ამ ქვეყნის სულიერ ელიტაში, რომ ქართული კულტურისათვის სამუდამოდ დარჩა ორგანულ შემადგენელად, მეგობრებისთვის – მათი ბედის ნანილად, მეგობართა შვილებისათვის „ძიაბორიად“... ერთმანეთს დაემთხვა მომენტი, ატმოსფერი, პოეტური ინტერტონები და სულის მოთხოვნილება; ნარმოიქმნა მთელი სამყარო – კავშირების, შემოქმედებითი ძიებებისა და აღმოჩენებისა. პასტერნაკი იქცა ლეგენდად, რომელსაც ტოლი არ მოეძებება ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის ისტორიაში.

საქართველოში პირველი მოგზაურობა ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა. პასტერნაკისთვის ეს იყო შესაძლებლობა, აუქსა-



კორილე ზდანევიჩი. პაოლო იაშვილის პორტრეტი.

რებლად დამტებარიყო ურთიერთობებით და მერე... ჩამოდიოდა თუ არ ჩამოდიოდა საქართველოში, სტუმრობდნენ თუ არა მასთან პერედელკინში ქართველი მე-

მარია ფილიძე

გობირები, მისი მეგობრების ახლობლები, თარგმნიდა თუ არ თარგმნიდა ქართულ პოეზიას, ჰქონდა თუ არა წერილობითი ურთიერთობა, ყოველივე მეორექარისხოვანი გახლდათ – ეს იყო მოგზაურობა „საკუთარ თავში“, ეს იყო მისი საკუთარი ბედის ნანილი, ხოლო მისი გამოვლინებები სხვადასხვა ფორმას იღებდა.

პასტერნაკი ინტენსიურად იწყებს ქართული პოეზიის თარგმნას და... რამდენიმე ფაქტორის თანადამთხვევა: ერთი მხრივ, სურვილი იმისა, რომ რუს მკითხველს მიეღო საჩუქარი – ქართველ მეგობართა ლექსები, ჩანვდომოდა ქართული პოეზიის არსს; მეორე მხრივ, XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაიწყო თავისი მასშტაბებით უდიდესი ლიტერატურული მოვლენა – მთარგმნელობითი პროცესი. საქართველოსკენ ისნრაფოდნენ ეპოქის საუკეთესო პოეტები. ბორის პასტერნაკმა მისთვის ფრიად უწევეული აქტიურობა გამოვლინა – იგი ოფიციალურ წრეებში დაუყიდებით ითხოვდა, შეეყვანათ პოეტების იმ ჯავუფში, რომელიც საქართველოში მიემგზავრებოდა.

და აი, 1933 წლის ნოემბერში ის კვლავ საქართველოშია. გაჩნდა ახალი გეგმები, გაიძა ახალი ნაცნობობა. იმოგზაურეს სხვადასხვა რაიონში. მწერლებს ყველაგან გულითადად ხვდებოდნენ. ბორის პასტერნაკი მეუღლეს ნერს: „გუშინ ქუთაიში სადილობისას შეისვა 116 ლიტრი ღვინო!!! ამ დროს ტარების შემდეგ თითქმის ყველანი შეუძლოდ ვართ“.

ქეიფი ქეიფად, მაგრამ პოეტებს მკაცრო სამანები დაუწესეს – საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობისათვის უნდა შედგენილიყო და გამოეცათ ათეულობით თარგმანი. 1933 წლის მოგზაურობის შედეგად გაჩნდა კრებული „ქართველი პოეტები“-ის, პასტერნაკმა შეადგინა ნ. ტიხონოვითან ერთად, რომელთანაც იმხანად მეგობრობდა.

იმავდროულად პასტერნაკი იწყებს ვაჟა-ფშაველას თარგმნას. გამოცემისთვის ილუსტრაციებს ამზადებს პოეტის

ახალი მეგობარი – ცნობილი მხატვარი ლადო გუდიაშვილი. ვაჟა ცალკე წიგნად გამოიცა. ორივე წიგნმა მაღალი შეფასება მიიღო, მაგრამ „ქართველი პოეტები“ განსაკუთრებულად შეაქმნა. ბუხარინმა. მალე ის „შეაჩვენეს“ და მთარგმნელებიც თავდასხმის ობიექტებად იქცნენ. გაიყრება, ოღონდ ოდნავ მოგვიანებით, პასტერნაკის და ტიხონოვის გზებიც. და შესაძლოა, ამის მთავარ მიზეზად იქცევა მეგობრების ბედისადმი დამოკიდებულება – პასტერნაკი სამარადუამოდ შერისხული აღმოჩნდება, ტიხონოვი კი სსრკ მწერალთა თავმჯდომარე გახდება.

პასტერნაკმა აღრევე შეიგრძნო ქართველი მეგობრების თავსდატებილი ხიფათისა და საშიშროების მოახლოება და ჯერ კიდევ მაშინ დაიფიცა, რომ მუდამ უერთგულებდა მათ, თუმცა ისიც კარგად უწყოდა, რომ ამით საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის რისხვას დაიმსახურებდა.

ერთაშორისი ურთიერთობების ამჟამინდელი ტერდგცეციებისათვის ღირს დაფიქტებად ის ფაქტი, რომ შემოქმედებითი ინტელიგენციის შიგნით ნარმოშობილი წინააღმდეგობა მოქმედებდა არა მხოლოდ ცალკეული კულტურის წიაღში, არამედ ორი ნაცონალური კულტურის ურთიერთობადხდლიროვანში, საერთო კაცობრიული საფუძვლების განმტკიცებაში.

ამის თაობაზე შესანიშნავად თქვა ბორის პასტერნაკმა: „ჩასწვდე სრულიად სხვა სამყაროს, სრულიად განსხვავებულ სტილსა და ცხოვრების წესს, ეს სულაც არ არის ადგილი ან ფიმიერება, თვით თბილისიც კი. შესაძლოა, ეს მინაც არაა, ეს არის ახლობელი, ისტორიულ ქმედებებთან შემთხვევითობისგან მომადლებული მიახლება, ეს არის მონანილება მის მომავალში, ეს არის საზღვარმონგრეული ვრცელი რომანი რამდენიმე გამორჩეულად ბედნიერს შორის ცისქვეშეთში, რომელიც დაფარულია მათი საერთო ხაზევით. ეს არის დუღაბი... ეს ვართ მე და თქვენ, ეს ჩვენი გადაჭდობილი ხე-

ლებია" (ნინა და ტიციან ტაბიძებისად-
მი გაგზავნილი ბარათიდან. 8.12.1934.).
ამგვარი, ახლო სულიერი თანაზიარობი-
სათვის საჭირო იყო მძლავრი დადებითი
მუხტი, რომელსაც შეეძლო, მოგვიანე-
ბით საერთო ნინაალმდეგობის ნაინად
ქცეულიყო. და იგი ნარმოიქნა პასტერ-
ნაკის პირველივე მახალებისას საქართვე-
ლოსთან, რომელიც მისთვის ერთ-ერთ
კულტურულ ორიენტირად იქცა.

იმ დროს საქართველოში პოეტები გეგ-
შებს სახავდნენ, ხარობდნენ ცხოვრებით,
თარგმნიდნენ მეგობრების ლექსებს, ერ-
თურთს მშვენიერ პნევარედებს უძლვნიდ-
ნენ, ცხოვრება ნინ უსწრებდნენ.

1934 წლის მწერალთა გრანდიოზული
ყრილობის დროინდელ ფოტოზე მეგო-
ბრები ჯერ ისევ ყველანი ერთად არიან
აღდექდილნი. სამი წლის შემდეგ ქართუ-
ლი დელეგაციის უმეტესობა ამქვეყნად
აღარ იქნება... პასტერნაკმა ყველაზე
ახლობლები უკვდავყო – საქართველოს
ბუნება და ქართველი მეგობრები მისი
მთავრნების წყაროდ
იქცნენ. ზოგიერთი სახე
ნინასწარმეტყველურია.
უკვე ითქვა: ბორის პა-
სტერნაკმა ადრევე შეი-
გრძნო, რა საშმროება
ელოდათ მის მეგობრებს,
თუმცა მისი სახელის
გასწორივ ხშირად ჩნდე-
ბა ეპითეტი „ზეციური
ბინადარი“, რომელიც,
როგორც ამბობენ, სტა-
ლინს ეკუთვნის: „ამ
ზეციურ ბინადარს წუ
დაურღვევთ მყუდროე-
ბას“, – უთქვამს მას. მა-

გრამ პასტერნაკი არა მხოლოდ სხვებზე
ღრამად გრძნობდა ცხოვრებისულ რე-
ალიებს, არამედ, როგორც ირკვევა,
მოვლენათა მსვლელობას ნათელმილვე-
ლივით ჭვრეტდა. ჯერ კიდევ 1933 წელს
მეუღლეს სნერს: „პოლოსა და ტიცია-
ნის საერთო უპირატესობის სულ უფრო
მზარდი ჩემი რწმენის პარალელურად

ვცვდები, რომ არსებობს ფაქტორი, რო-
მელიც ითვალისწინებს მათ ძალმომრეო-
ბით ამორიცხვას იმ ავტორების სიიდან,
რომელიც რეკომენდაციას უწევს მათ
აფიშირებასა და ოფიციალური მხარ-
დაჭერის უზრუნველყოფას. მე აქ, ალ-
ბათ, ნარმატებასაც კი მივაღწევდა, უკე-
თუ მათგან განზე გავდგებოდა, მაგრამ
მით უფრო ძლიერი იქნება ჩემი მათდამი
ერთგულება".

ტრაგედიის მოახლოებისდა კვალად
ბორის პასტერნაკი რწმენას უნერგავს
ტიციან ტაბიძეს: „მინდა, გითხრათ –
გულს წუ გაიტეხთ, გნამდეთ საკუთარი
თავის და მტკიცედ იდექით, მოუხდავად
დროებითი გაუგებრიობებისა..." (ნერილი
ტ.ტაბიძეს. 08.04.1936.). ტრაგედია კი
ულმობლად ახლოვდებოდა და როდესაც
აღსრულდა ის, რაიც ბორის პასტერ-
ნაკს არცოთ დიდი ხნის ნინათ შეუძლე-
ბელი ეწვენებოდა, როდესაც 1937 წლის
ივლისში პაოლო იაშვილმა თავი მოკლა,
როდესაც ოქტომბერში არსათ – და რო-



კორილე ზდანევიჩი. ტიციან ტაბიძის მოტრუტი.

გორც აღმოჩნდა – არყოფნაში წავიდა
ტიციან ტაბიძე, რუსმა პოეტმა ეს სამა-
რადუამოდ აღიქვა, ვითარცა გადატრია-
ლება საკუთარ ცხოვრებაში.

1937 წლის დეკემბერში საქართვე-
ლოში ტარდებოდა საზემო პლენუმი,
მიძღვნილი შოთა რუსთაველის „ვეფხი-
სტყაოსნის“ შექმნის 750-ე წლისთავისად-

მარია ფილიძე

მი. მოწვეულთა რიგებს ცხრილავდნენ – სიიდან იღებდნენ დაპატიმრებულებს. პასტერნაკს ელოდნენ, მაგრამ მან ვერ შეძლო საკუთარი თავისთვის ძალა დაეტანებინა, გადაელახა ბარიერი და ზემომზე ჩამოსულიყო – არადა, ზემი მოუწევდა... თბილისში გაემგზავრნენ ნ. ტიბონივი, ვ. ლუგოვსკოი, ვ. გოლცევი... .

„და აი, ჩვენი საშინელი წლების ქარცეცხლში, როდესაც სისხლი ნაკადად ვიდოდა მთელ ქვეყნაში, საესკომ შემომთავაზა, გავმგზავრებულიყავი თბილისში რუსთაველის პლენუმზე, – უყვება პასტერნაკი ტარასენკოვს, – მაგრამ როგორ შემეძლო მშინ საქართველოში გამგზავრება, როდესაც იქ უკვე აღარ იყო ტიციანი? ისე მიყვარდა იგი“ (ნ.გრომოვა. „კვანძი“. მოსკოვი. 2006). ამ ჩამოსუსვლელობით პასტერნაკმა კიდევ უფრო განამტკიცა თავისი კავშირი საქართველოსთან, განამტკიცა იმათზე მეტად, ვინაც ჩავიდა და მონანილეობა მიიღო ზემში.

მას შემდგომ პასტერნაკს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ქმედითი საქმიანობა. იწყება მისი უდიდესი დაპირისპირება მეგობრების სიკვდილთან. მაშინ, როდესაც ტანიტ ტაბიძე „ხალხის მტრის შვილად“ მიაჩნდათ, ბორის პასტერნაკ წერს მას: „ნიტა, თქვენ ძალმომრეობით დაგაშორეს მამას, თანაც ასეთ მამას, აი, თქვენ გაიზარდეთ და გადარჩით. ზნეობრივი თვალთახედვით თქვენ ამ გმირული ისტორიის ნაწილი ხართ და გმირობის ნაყოფი. ნუთუ არ გმართებთ ჭირთათმენა?“ (06.02.1941წ.).

იმ დროის კონტექსტში თვით ეს სტრიქონები უდიდესი მნიშვნელობის მქონეა, მაგრამ პასტერნაკის დამოკიდებულება მხოლოდა სტრიქონებით არ ამოინტურება. ის მოიცავს ადამიანურ ურთიერთობათა ყველა მხარეს. პასტერნაკი მრავალი წლის განმავლობაში მატერიალურად ეხმარებოდა ნინა ტაბიძეს სქვე ვთქვათ, რომ ნიკოლოზი დახმარება ორმხრივი იყო – ტიციანის მეუღლე ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში

ახერხებდა თბილისიდან პერედელკინოში პროდუქტების გაგზავნას). საქმარისია, აქ სიმონ ჩიქვანანისთვის გაგზავნილი ნერილის სტრიქონები გავიხსენოთ – საუბარია ნიკოლოზ ბარათაშვილის ქმნილებათა თარგმნის ჰონორარის ნაწილის გადარიცხვის თაობაზე: „მიიღეთ ავანსის 25%, ნაცვარი ნებისმიერი საშუალებით და საბაბაით გადაეცით ნინა ტაბიძეს ისე, რომ თანხის ნარმომავლობის შესახებ ვერაფერი შეიტყოს, ხოლო მეორე ნანილი თანხისა ფოსტისა თუ ტელეგრაფის მეშვეობით მე გადმომიგზავნეთ“ (03.08.1945წ.). ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმში დგას პიანინო, პასტერნაკისგან ნაჩუქარი ნიტასთვის – ნაჩუქარი იმ დღეს, როდესაც ტიციანის დაპატიმრების შემდგომ მათი ოჯახი „გამავიდრეს“ – ნინასა და მის ქალიშვილს ერთი ოთახი დაუტოვეს.

ბორის პასტერნაკი ოდენ ხატებად კი არ ატარებს მეგობართა ხსოვნას, იგი მთელი სულიერი ძალების მოხმობით აგრძელებს მათ მნიერ სიცოცხლეს, იპრძევის უკვე გარდასულთათვის. თითქმის თვრამეტი წლის განმავლობაში, ალბათ, მხოლოდ რეს პოეტს და ნინა ტაბიძეს სწამდათ, რომ ტიციან ტაბიძე ცოცხალია და იგი დაპრენდება...

„...ტიციანი ცოცხალია და სადღაც ახლოს არის. მოლოდინი მაღლე, სულ მაღლე დასრულდება. ტიციანი ჩემი არსებობის ფესვია, იგი ჩემი ცხოვრების ღმერთია ბერძნული და მითოლოგიური თვალსაზრისით...“ (27.12.1940წ.).

აღმოცენდა საოცარი და უმაღლესი ნარმოსახვა. ეს არ არის უბრალოდ თანამობა, სურვილი თანადგომისა. ჩვენს ნინაშეა ცოცხალი კავშირ-ურთიერთობა, რომელიც კონკრეტული, ფიზიკური ცხოვრების საზღვრებს მიღმა გრძელდება, ქმედითია. ასეთი დამოკიდებულება არა მხოლოდ ტიციანთან მიმართებაში არსებობდა, არამედ დაღუპული პაოლო იაშვილისა და ნიკოლოზ მინიშვილის ხსოვნის გაცოცხლებასაც გულისხმობდა. ერთ წერილში, რომელიც ჯერ კიდევ სისხლმდინარე ჭრილობა შეიგრძნობა, მეგობართა





მიმართ აღვლენილი ჰიმნი უდერს:

„ნიადაგ უფიქრობდი, რომ ტიციანი მიყვარს, მაგრამ არ უწყოდი, როგორია ადგილი, ალუნერელი და ჩემი ნებელობის მიღმური, რომელიც უკავია მას ჩემს ცხოვრებაში. ამას გრძნობად მიერჩნევდი და არ ვიცოდი, რომ ეს ზღაპრული ფაქტია.

რამდენგზის მოგვილხენია ერთად, ფიცი გვითქვამს ერთგულების (ამის მონანილეა პალოც, ნუთუ გულში გაიღვებთ, რომ ოდესმე შევიძლებ მის დავინუებას!) ოჩიფეხებზე ვდგებოდით, ვძაქიბუქობდით!.. (1938წ.)“.

ომის ნლებშიც კი მრავალი დანაკარგით დამძიმებული ბორის პასტერნაკის ტკივილი, ტიციანის უბედობით გამოწვეული, კვლავ არ ყუჩდება: „ტიციანი ჩემთვის საუკეთესო ხატებაა საკუთარი ცხოვრებისა, ეს არის ჩემი მიმართება მიწიერთან და პოეზიასთან, რაიც მეზმანა ბედნიერ სიზმარში...“ (30.03.1944წ.).

ხანგრძლივი განძმორების შემდგომ პასტერნაკი ომის დამთავრებისთანავე ჩამოდის საქართველოში – 1945 წლის ოქტომბერში აღნიშნებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების მე-100 წლისთვის. პასტერნაკმა ითავა ქართველი ლირიკების მთელი მემკვიდრეობის თარგმნა. ზომის ნინა წლებში მას ინტენსური მიმოწერა ჰქონდა მეგობრებთან, მაგრამ ვერაფრით შეძლო საყვარელ ადგილებში ჩასვლა და საქართველოს კვლავ მოხილვა პალოცსა და ტიციანის გარეშე. აღიარებდა კიდეც: „რა განგებამ გამომიგზავნა ეს ორი ადამიანი? რა დაგარექვა ჩემს ურთიერთობებს? მათ შორის ვერც არჩევანს გავაკეთებ – ორივენი იქცნენ ჩემი პირადი სამყაროს შემადგენლ ნაწილად. ორივენი განუყოფელი იყვნენ, ერთურთს ავსებდნენ. ორივეს ბედი ცვეტავებს ბედთან ერთად უნდა ქცეულიყო ჩემს ყველაზე უდიდეს ტკივილად.“

იმ დროისთვის გაუგონარი გამბედაობა იყო პასტერნაკის მოთხოვნა – თბილისში ჩამოსვლისთანავე მან ნამოაყენა ნინაპირობა: მხოლოდ იმ შეთხვევაში ნა-

ვიკითხავ თარგმანებს, თუ ნინა ტაბიძეს მოიწვევთ. რუსთაველის თეატრში თარგმანების კითხვისას განსაკუთრებულ ყურადღებას ჩინდა ტიციანის ქვრივისადმი. ამ დატვირთულ დღეებში, რომელთა უხილავ თანამონანილებად, აჩრდილებად იხილვებოდნენ გარდასულები, პასტერნაკმა ახალი თავდადებული მეგობრები შეიძინა, სიცოცხლის ბოლომდე ამ მეგობრობის ერთგული რომ დარჩნენ.

ნინა ტაბიძემ მეგობარს აჩუქა უძველესი გერბიანი ქაღალდები, მანამდე ტიციანის საკუთრება რომ იყო. მათზე დაიწერა „დოქტორი შივაგოს“ პირველი გვერდები. გარდასულ დღეთა მეგობარმა თითქოს უბიძგა, შეექმნა ახალი ნაწარმოები, რაზეც პასტერნაკი კარგა ხანია ოცნებობდა. „პროზის წერა თქვენი მსუბუქი ხელის ნაკვრით დავითიყე, ანუ ამისკენ მიბიძგა თქვენგან ნაჩქარმა ტიციანის ფურცელმა...“ – ეხმანება პასტერნაკი ნინა ტაბიძეს. და ოდნავ მოგვანებით აგრძელებს: „ვერ ნარმოიდებით, რა სწრაფად და როგორი დაძაბული ვწერ ახლა რომანს, რომელიც, თუკი განგებამ ინება, თუკი გამომივა, ლირისი იქნება, გადავიტანო მის (ტიციანის) ქაღალდზე და რომელიც, ჩანაფიქრით, თავდაპირველივე გააზრებიდან, ტიციანს მემძღვნება“ (24.01.1946 წ.). ამგვარად, ასწლეულის ერთი ყველაზე სახელდებული რომანი ფესვებით დაკავშირებულია ქართველ პოეტებთან, უდიდესი პოეტის „ქართულ“ სულიერ ცხოვრებასთან.

მოუხედავად იმისა, რომ პასტერნაკი სრულიად გულნრფელია ნინა ტაბიძესთან ურთიერთობისას, იგი თითქმის არასოდეს ძრავს სიტყვას იმ განსაკდელებზე, ბედმა რომ არგუნა. პირიქით, 1957-58 წლებში ჩინდება სტრიქონები: „ვიდრე ოდესმე, ბედნიერი ვარ ჩემი ბედით და არ ვისურვებ რამე ცვლილებას...“ 50-იანი წლების ბარათში თვითშეფასება იქცა დასკვნით ფილოსოფიურ ნააზრევად: „მაგრამ აი, გავასრულებ ყველაფერს, დარჩება ჩემი ცხოვრება, ასეთი ბედნიერი – რის გამოც დიდად მადლიე-



რო ვარ ზეციერისა – გადმოცემული ასე-თი წყნარი, შემკრებლობითი საზრისით, როგორიც არის წიგნი; და რა იყო მასში მთავარი, ძირითადი? მამის მოღვაწეობის მაგალითი, ა. ნ. სკრიაბინის მუსიკის სიყვარული, 2-3 წლით ჩემს შემოქმედებაში, რუსული ღამე სოფელში, რევოლუცია, საქართველო“ (15.04.1951.).

ბორის პასტერნაკის მიმოწერა ქართველ მეცნიერებთან და მათ ოჯახებთან – ეს არის მე-20 საუკუნის ეპისტორიალური ქან-რის ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი. ერთი შეხედვით, ეს არის რამდენიმე ქრძო პირის მიმოწერა გარევეული ფაქტებითა და მოვლენებით, თითქოს მხოლოდ მისი მონაწილეებისთვის რომ უნდა იყოს გა-საგები, მაგრამ იგი მსოფლიოს მრავალ ენაზეა გამოცემული, რადგან ამ წერილების თვალნათელი გახადა ადამიანური თანაგრძობის, თანადგომის გასაოცა-რი შესაძლებლობები, იქცა ნიჭიერების, გამბედაობის, ნათელი, ნრფელი გრძნო-ბებისადმი რწმენის მაგალითად. მარტო პაოლოსადმი მიწერილი ბარათის ეს სტრიქონებიც იქმარებდა ამის მტკიცებად: „ეს ქალაქი (თბილისი) ყველათი, ვინც კი იქ ვნახე და ყოველივე იმით, რისთვისაც მივემგზავრებოდი და რაც იქ ჩამქონდა, ჩემთვის დარჩება იმად, რადაც ალვიქევმდი შოუენს, სკრიპტის, მარბურგს, ვენეციას და რილექს – სულიერი თავდაცვის, შინა-

განი წონასწორობის ერთგვარ გარანტად – მთელი ჩემი ცხოვრება რომ გასტანს... აյი ამტკომაც გნერთ წერილს წერილზე და მერე თანმიმდევრულად ვანადგურებ. ეს ხომ უკვე აღარ არის თავისუფალი მიმო-წერის საგანი. მოგონებები მთლიანად ბა-ტონობს ჩემზე – ეს უკვე ის მწერს მე, რო-გორც ტიციანი იტყვოდა...“ (30.07.1932.).

ტიციანის სტრიქონებს –

**მე არ ვნერ ლექსებს, ლექსი თვითონ
მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ
მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად
დაგმარხავს –**

ორიგინალში იცნობს ნებისმიერი ქარ-თველი. ბორის პასტერნაკმა ჯერ კიდევ არ იცოდა მათი წინასწარმეტყველური მნიშვნელობა, მაგრამ შეიგრძნო მძლა-ვრი ენერგეტიკა და რუსული კულტუ-რისათვის ორგანული გახადა თავისი მე-გობრის სამყრო. ტიციანზე ხუთი წლით უფროსმა ბორის პასტერნაკმა 23 წლით მეტი იცოცხლა, მაგრამ მთელი ამ წლების განმავლობაში მასთან ერთად ცხო-ვრობდა ტიციანი.

და ამჟამინდელი საოპილეო თარიღებიც სიმბოლურად გადაეწყნა ერთმანეთი...

P. S. 2005 წელს ქართველ და რუს ლიტერატორთა, ხელოვანთა და მეცნიერთა საკმაოდ მრავალრიცხოვანნა ჯგუფმა თხოვნით მიმართა ქალაქის მაშინდელ მერს თბილისში ბორის პასტერნაკის ქუჩის დაარსების თაობაზე. აღნიშნული წინადაღება, სამწუხაროდ, უპასუხოდ დარჩენილა.

ამჯერად იმავე თხოვნით მივმართავთ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობას – ბატონებს: დავით ნარაიასა და გიორგი ალექსანდრეს, საკრებულოს დეპუტატებსა და მერიის შესაბამისი სამსახ-ურის თანამშრომლებს, რომელთაც, გვჯერა, არ სჭირდებათ იმის შესხენება თუ რა დამსახურება აქვს ბორის პასტერნაკს, საზოგადოდ, საკაცობრიო, კურძოდ კი, ქარ-თული კულტურისა და სულიერების წინაშე.

დარწმუნებული, რომ ჩვენი თხოვნა აღსრულებული იქნება, წინასწარ გიხდით მადლობას.

ულრმესი პატივისცემით
შურნალ „ცისკარი 1852“-ის რედაქცია



ანდრი ბერიძე – ბაბა ცომიძე

საუბარი საჭირბოროტო თემაზე

განვაგრძობთ საუბარს იმ ლიტერატურულ პროცესებზე, რომელსაც XX საუკუნის 10-იან წლებში დაედონ დასაბამი. დღევანდელი გადასახედიდან – XXI საუკუნის უკვე გავლილი წლების ჩათვლით – ეს მთელი ეპოქაა. ჩვენ გვსურდა ამ ეპოქისთვის თვალის გადევნება და საუბარი ქართულ მწერლობაზე, ამიტომაც ერთი ვრცელი შეკითხვით მივმართეთ სხვადასხვა თაობის მწერლებს და ლიტერატორებს. ამჯერად ჩვენს შეკითხვას პასუხობს კრიტიკოსის გაგა ლომიძე.

ა. ბ. – XX საუკუნის პირველი ოცდა-ათწლეული კულტურული აღზევების ხანა იყო ეკრანისა და რესეტოში. რესეტმა ამ ეპოქას „ცერცხლის საუკუნე“ უწოდეს. ეს იყო ლიტერატურული და რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის წარმოჩენის დრო. იგივე მოხდა საქართველოშიც ლიტერატურის, ხელოვნების, სიბრძნისმეტყველების სფეროში. ეს ეპოქა კატაკლიზმების ნიშნით იყო აღბეჭდილი. სამწლიანი თავისუფლება 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით დასრულდა. დაიწყო რეპრესიები, თუმცა კულტურული აღზევების ეპოქა არ შეწყვეტილა, 1930 წლამდე გრძელდებოდა. ამ წლებში უკრნალ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, კონსტანტინე გამსახურდიას „დოონისოს ღიმილი“, გრიგოლ რობაქიძის „გევლის პერანგი“, გალაკტიონის „ასი ლექსი“, გერონტი ქიქოძის ესეები, პუბლიცისტური ნერილები და სხვ. ეს ეპოქალური ცვლილებების დრო იყო, რომე-

ლიც მაღალ დონეზე აღიბეჭდა ქართულ ლიტერატურაში.

იმავეს ვერ ვიტყვით გახსული საუკუნის მიწურულზე, 90-იან წლებსა და მომდევნო პერიოდზე, თუნდაც დღევანდელ დღეზე. დაემხო საბჭოთა იმპერია, ლიტერატურა განთავისუფლდა ცენზურისაგან, მოხდა ეპოქალური ძერები, დაგროვდა უამრავი მასალა – სანუხარი, საფიქრალი, საკუთხებელი. ხელახლა გასაზრებელი ყველა ის პრობლემა, რომელიც ფუნდამენტურია ჩვენთვის, ქართველებისთვის – ვინ ვართ, საიდან მოვდივრთ, საით მივდივრთ? ხომ არ დავკარგეთ საუკუნეების ნიაღში გამოტარებული ჩვენი ნამდვილი სახე? ეს შეკითხვები ისევე ბუნებრივად იბადება დღეს, როგორც XX საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში იბადებოდა, მაგრამ მაშინ თუ პასუხისმგებელი არსებოდა, ახლა სრული დუმილია გამეფებული. მწერლობა, ჩვენი ერის მთავარი ზნებრივი საყრდენი, ფუნდამენტურ საკითხებზე ფიქრს

თავს არიდებს, ფორმალური ჩხირკედე-
ლაბით, წერილთემიანობით ან თავშე-
საქცევი ისტორიებით არის გართული.
რა ვებათ? იქნებ, მწერლობა აღარ არის
ჩვენთვის ის ფენომენი, რაც აქამდე იყო,
თუ ჩვენ თვითონვე გაგვინყალდა სიტყვა
და გაგვიქრა ნარმოსახვა?

გ. ლ. – ვფიქრობ, საკითხის არსია
ის, რომ თვითონ მოდერნიზმის და
პოსტმოდერნიზმის ხანა განსხვავ-
დება ერთმანეთისგან. თუკი გავით-
ვალისწინებთ, რომ მოდერნიზმის
ხანა სავსე იყო ექსპერიმენტებით
ლიტერატურასა და ხელოვნებაში
და ამ სფეროების მიმართ ინტერე-
სი თითქოს უფრო მეტი იყო, ვიდრე
დღეს, ისიც არ უნდა დავივინყოთ,
რომ ეს ორი ხანა – მოდერნიზმისა
და პოსტმოდერნიზმის – სხვადას-
ხვა პარადიგმების პირობებში ვი-
თარდება. თუმცა, პოსტმოდერნიზ-
მი მოდერნიზმის გაგრძელებაა – ის
არის, რასაც საფუძველი სწორედ
მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა
და გასული საუკუნის შუა ხანები-
დან გამოიკვეთა – როდესაც როლან
ბარტმა თქვა, რომ ავტორი მოკვდა,
რადგან ის საფუძვლები, რომლებიც
მანამდე არსებობდა, ახალ დროში
უკვე არავალიდური აღმოჩნდა. და
ამ მხრივ კაცობრიობის ისტორიის
ევოლუციისთვის არაფერი უჩვეუ-
ლო არ მომხდარა – ასე იყო მაშინაც,
როდესაც ალორძინების ხანი-
დან ბაროკოს ხანაში გადადიოდნენ
და ის ღირებულებები, რაც რენე-
სანსისთვის იყო ცხადი, ბაროკოს
ხანაში უკვე პაროდირების ობიექტი
ხდებოდა და რაც ასე ცხადია „დონ
კიხოტში“; ასე იყო განმანათლებ-
ლური რაციონალიზმის ხანაშიც,
როდესაც ის რომანტიზმის მგრძნო-
ბელობამ ჩაანაცვლა..

რადგანაც პოსტმოდერნიზმის-
თვის დამახასიათებელია მყარი სა-
ფუძვლების, ყოფიერების საზრისხე

დაფიქრების თუ სხვა ფუნდამენ-
ტური ღირებულებების სიმყიფე –
რამდენადაც სინამდვილე მრავალ-
ფეროვანი და მრავალგვარია და
არა ერთი (და რაზეც, გარკვეულწი-
ლად, გავლენას ახდენს მეცნიერე-
ბაში მომხდარი ახალი აღმოჩენები
– დამატებითი განზომილებების არ-
სებობა, დროის ფარდობითობა და
ა.შ.), ამიტომაც პოსტმოდერნიზმის
ხანაში ვერ შეიქმნება ისეთი ლიტე-
რატურა და ხელოვნება, რომელიც
სულ სხვა ხანისთვის იყო დამახასი-
ათებელი. და, თუკი ეს მოხდა, ის
ამოვარდება დროის კონტექსტი-
დან და, ამდენად, არაეფექტური და
არაადეკვატური იქნება. ამ თვალ-
საზრისით, დღესდღეობით არც და-
სავლურ ლიტერატურაში იქმნება
ისეთი ლიტერატურა, როგორიც
თუნდაც მე-20 საუკუნის დასაწყის-
ში იყო. პოსტმოდერნიზმის ხანას,
როგორც გლობალიზაციის ერთ-
ერთ გამოვლინებას, ხშირად ადარე-
ბენ ელინისტური ხანის ანტიკურო-
ბას, როდესაც დაგროვილი ინფორ-
მაციის და მასალის გადააზრების
ხანა იყო; როდესაც მართლაც არსე-
ბობდა გარკვეული თვალსაზრისით
გლობალიზაცია, ოლონდ არა მთე-
ლი პლანეტის გაგებით, არამედ იმ
გაგებით, რომ ის მოიცავდა მთელ
ცივილიზებულ სამყაროს – ხმელ-
თაშუა ზღვის არეალს, მის მიმდე-
ბარე ტერიტორიებს ახლო აღმო-
სავლებში და ევროპას. ამის ნიმუში
იყო ალექსანდრიის ბიბლიოთეკაც.

დღევანდელი პროზის თავისე-
ბურება – არახაზოვანი თხრობა –
სწორედ გლობალისტური კონტექ-
სტის ნაწილია, სადაც სხვადასხვა
ისტორია თითქოს დამიუკიდებლად
ვითარდება, მაგრამ საბოლოოდ ირ-
კვევა, რომ ერთი მთლიანის, ერთი
რომანის ნაწილებია და სადღაც ეს
ამბები ერთად იკვრება; ისევე რო-



გორც მთელი პლანეტა, რომლის ერთ წერტილში მიმდინარე მოვლენას შეიძლება მეორე ნაწილში მომხდარ ამბავზე ჰქონდეს გავლენა.

დღესდღეობით პოსტმოდერნისტული პროზის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურებაა დეტექტივებისთვის დამახასიათებელი სიუჟეტები, სადაც ამბის „გამოძიებისას“ მკითხველი ავტორის თანამონაწილე ხდება. ესეც ავტორის სიკვდილის ერთი გამოვლინება! ამიტომაც ხარისხიან პოსტმოდერნისტულ პროზას – ისეთს, როგორიც არის უმბერტო ეკის „გარდის სახელი“, ვერ ვუწოდებთ მასობრივს, ვინაიდან დეტექტივები უფრო მეტად ინტელექტის ჩართვას მოითხოვს. თან ეკიმ ფილოსოფიური თემატიკა დეტექტივის სახით მოგვაწოდა. ასევე, ჯოან როულინგის თუ ჯონ ტოლკინის ნიგებს ვერ მივაკუთვნებთ მაკულატურის კატეგორიას, რადგან მათში ფანტაზიასთან ერთად კლასიკური ავტორების საფუძვლიანი ციტირებები, ეზოთერული ცოდნის კვალი იყითხება და ის საკითხებია დასმული, რაზეც დღეს უკვე კლასიკურად აღიარებულ ნანარმოებებშია საუბარი.

რაც შეეხება 1990-იანი წლებიდან დღემდე ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს, ვფიქრობ, აქაც ანალოგიური პროცესები ვითარებაა. აუცილებლად მიმაჩნია აღნიშნო, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში გაჩნდა ექსპერიმენტებით – განსაკუთრებით დადათო თუ ფუტურიზმით – დაინტერესების შემთხვევები, როდესაც, ერთი მხრივ, დათო ჩიხლაძე, ზურაბ რთველიაშვილი და სხვები, მეორე მხრივ, „რეაქტივული კლუბი“ დადაისტურ ექსპერიმენტებს ატარებდნენ. ამის დასტურია დადა-მეფედ ზურაბ რთველიაშვილის კურ-

თხევის პრეცედენტი-პერფორმანსი. ეს მოვლენა თითქოს მოდერნიზმის ხანის ავანგარდული ქართული ლიტერატურის ტენდენციის გაგრძელება იყო, რომელიც 1930-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა რეჟიმის მესვეურებმა ძალით ჩაკლეს. ამ დაჯგუფებებისგან გამიჯნულად მოღვაწეობდა დათო ბარბაქაძეც, რომელიც საკუთარი პოეზიის პარალელურად, ე.წ. „სამიზდატის“ წესით თარგმნიდა და გამოცემდა უკვე დასავლეთში აღიარებულ მნიშვნელოვან პოეტურ ტექსტებს თუ მანიფესტებს, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებდა ქართული ლიტერატურის და, ზოგადად, კულტურის დასავლეურ კონტექსტში დაბრუნების აუცილებლობაზე – დროის ცვლილებებით გამოწვეულ ამ გარდაუვალ რეალობაზე.

აქტუალობის თვალსაზრისით კი თუნდაც ერთ პროზაულ ტექსტს დავასახელებ – ირაკლი ჩარევიანის რომანს „მშვიდი ცურვა“, სადაც ისტორიული ფაქტები და წარმოსახვა ერთმანეთის პარალელურად ვითარდება და ზოგჯერ გადაკვეთს კიდეც ერთმანეთს – როგორც თავის დროზე ეს დაწესებული კომედიაში. დროის ადეკვატურობის თვალსაზრისით, ეს რომანი ძალიან ჰგავს პარუკი მურაკამის „კაფუა პლაზზე“, რომელიც ჩარევიანის რომანზე გაცილებით გვიან დაინერა და, აქედან გამომდინარე, გავლენებზე ლაპარაკი ზედმეტია. „მშვიდ ცურვაში“ კი საუბარი ბევრ ისეთ ფუნდამენტურ საკითხზეა, რაც აქტუალურია, ერთი მხრივ, საქართველოსთვის (საქართველო, როგორც 70-წლიანი კოლონიზაციის ნაყოფი) და, მეორე მხრივ, მთელი პლანეტისთვის (ტერორიზმი, როგორც „ახალი პუმანიზმი“, ფუტურისტული ხელოვნე-

ბის ერთგვარი გამოვლინება, რომელიც კაცობრიობისთვის საფრთხედ შეიძლება იქცეს და რომლის ჩანასახებიც კომუნისტური და ფაშისტური რეჟიმების დროს უკვე გამოცადა კაცობრიობამ).

აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ ქართული ლიტერატურა დღეს დასავლურისგან განსხვავებულად ვითარდება – პირიქით, ისი-

ნი ერთი ისტორიული კონტექსტის ნაწარმია.

დღევანდელობას კი პილატე პონტოელის პოზიცია შეესაბამება, რომელიც ჭეშმარიტების რაობის გარკვევას ცდილობდა. ჩვენ დღეს გარდამავალი ხანის სათავეებთან ვდგავართ, როდესაც ახალი ხანა უნდა დაიწყოს. და, ალბათ, ამ ახალ ხანაში დაიბადება ის, ვინც იტყვის: „მე ვარ ჭეშმარიტება.“



გიორგი შენებანიძის

ეპოქის ჩეკვიები

საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია (კრიტიკოსების მიერ მანც), რომ ჭეშმარიტად დიდი მნერალი მხოლოდ თავის ქვეყანაზე იმ შემთხვევაშიც კი არ წერს, როდესაც სწორედ რომ თავის ქვეყანაზე წერს, რადგან ამ დროს იგი – ძალაუნებურად და მისთვის ღვთით ბოძებული ნინასნარმეტყველური ნიჭის საკალური უფლებით – სხვა ქვეყნებსა და ხალხებს, კაცობრიობას, მთელ მსოფლიოს ეხება.

გამოჩენილი იტალიელი რომანისტის, უმბერტო ეკოს უკანასკნელმა დიდმა და ფრიად კოსმოპოლიტური ხასიათის ნანარმოებმა „პრალის სასაფლაომ“ ჩემი ყურადღება მიიპყრო არა რაღაც განსაკუთრებულ თუ განუმეორებულ ლიტერატურულ ღირსებათა გამო. მეტიც – არც იმ მიზეზთ, რომ იტალიაში უკვე გაყიდული ყოფილა ამ წიგნის 700 ოთახზე მეტი ეგზებილორ, და არც იმიტომ, რომ სახრაონგის ეკოს მანი ერთი პირობა ბესტსელერთა სიაში ღიდერობდა. ამ პატარა ნარკვევის დაერა რომანში „ჩანწერილა“ გლობალუსტურმა მიგთავსმა შთამაგონა. იმ გარემოებამ, რომ მასში სხარტად, მოქნილად და კონცენტრირებული სახითა არის გადმოცემული იმ სათაყვანებელი (და, როგოც აღმოჩნდა, ფრიად პრობლემური) „ბებერი ევროპის“ ისტორია, რომლისენაც ჩვენი საზოგადოება ასე ესწრაფების – ვერბალურ დონეზე მანც.

პირველი შთაბეჭდილებით (და, კაცმა რომ თქვას, მართლაც ასეა), იტა-

ლიური ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსის ეს რომანი გაჭიანურებული და საქმაოდ რთულად აღსაქმელია. მრავალრიცხვანი პერსონაჟები ხშირად ზერელე, ზედპირული და პლაკატურია – მათი ხასიათების აღწერილობა ძუნნია, ხოლო სახეებს აშკარად აკლა ბუნებრივი ადამიანური განზომილებები. რომანის შიდა კონფიგურაცია გამომწვევად ხელოვნური კონსტრუქციის ნიშნებს ატარებს. სიუჟეტი გადატირობულია ნაირნაირი უთვალავი ისტორიული თუ ფსევროსტორიული ფაქტის ანაქრონული წყებებითა თუ ასეთი ფაქტების სიმულაკრებით (როგორც სტილისტიკურად სჩვევია კიდეც ეკოს, თავისი საუკეთესო „ვარდის სახლიდან“ მოყოლებული). მართლია, რომანი თავიდან ინტერესით იკითხება, მაგრამ მოყვანებით – ასიოდე საწყისი გვერდის „შთანთქმის“ შემდეგ – სწრაფად ცვალებად მოვლენების „სხაპასხუპობაში“ შიდა ინტრიგა ნავლდება და რაღაც ინერციით თუ ექაჩება მკითხველს ფინშისკენ (რაც ნებისმიერ ნანარმებებს შეიძლება ჩაეთვალოს ნაკლად). მაგრამ, თუ ფორმალურად ეს რომანი ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევის ნაირსახეობაა, არსობრივად მას მაინც სხვა – უფრო ფილისოფური – დატვირთვა აქვს. მის ფურცლებზე ჩვენს წინ არათუ თვალნათლივ იშლება მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ნანილის – ევროპის ისტორიის – ნარმტაცი ხედი და დინება, არამედ ჩვენი თვალსაწიერის ფარგლებში ხვდება ამ ფათერ-

გიორგი ლორთაგიშვილი

აკიანი დინების ზედაპირზე ლაღად მოტყვეტვე და მისაგან განუყოფელი მღვრიე ქაფიც მთელი თავისი მძღვნებით; ქაფი, რომელიც თითქოს იმისთვისა არის მონდებული, რომ მიიზღოს და მიიკრას მთელი ევროპის აგანტიურისტებისა და ნაძირლების ფარული, მაგრამ უკიდევან სიძლიერე. ფაქტობრივად ეკა გვიმტკიცებს (და ეს საუცხოოდ ეხერხება), რომ ევროპის განვითარება, მისი მამოძრავებელი ძალა (აღებულია მონაკვეთი მეცხრმეტე საუკუნის დასახუსიდან მის ბოლომდე, თუმცა ეს პირობითი საზღვრებია) სინამდვილეში არა თავისუფლად არჩეული პარლამენტებისა და დინასტიური მონარქების, არამედ რამდენიმე ნაძირალა ადამიანის სისტემური შემოქმედების შედევე და მათი კუთვნილება.

ამ დებულების საფუძვლიანობის გასაძლიერებლად ეკო – გამონაკლისის სახით – რომანის მთავარი გმირის კაპიტან სიმონე სიმონინის მძაფრად ნარმოსაჩენად არ იშურებს ლიტერატურული ფერების სრულ პალიტრასა და ფრონდისტულ ფსიქოლოგიურ წიაღსულებს. ამიტომ სწორედ ეგ სიმონინია (მე თუ მეოთხავთ) ერთადერთი ნამდვილი ადამიანი (თუმცა ძალასან ცუდი) მთელ ამ გრძელ რომანში.


მაგრამ ნაკლოვანებებზე საუცხრი გამიგრძელდა და უსამართლობა იქნებოდა, არაფრენი მეტევა რომანის ძლიერ მხარეზე. ბანალობაა, მაგრამ ბუნებასა და ლიტერატურულ კრიტიკას წონასწორობა და ბალანს უყვარს.

ჩემი აზრით, ამ ნარმოების ძირითადი უპირატესობა, პირველ რიგში, ავტორისული ხედვის უეჭველ მასტებურობაში ვლინდება, ანუ იმ ხელგამლილობაში, რომელიც ესოდენ იშვიათია თანამედროვე დასავლური ლიტერატურის გვარიანად მოყირქებულ და პოლოგკორექტულ „ლიბერალურ“ მეინსტრიმში. ამ მეინსტრიმისა რომ უპირისპირდება და დასკინის ეკო! იგი ეპყრობა მოვლენებს, როგორც ისტორიკოსი და განზრას აზეიადებს მათ, ვითარც ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი. ისიც ირკვევა, რომ ტყუილად როდი დამსგავსებია, თურმე, რომაზე მუშაობის განმაღლობაში (გარეგნულად თუ ყოფითი ჩვევებით) უმბერტო ეკო თვით ალექსანდრე დიუმას

(რომელიც, სხვათა შორის, რომანის ერთერთ ეპიზოდში გვევლინება, როგორც თანამედროვე იტალიის ერთ-ერთი მამადამფუძნებლის, დიდი გამაერთანანებლისა და რესპუბლიკელის, ჯუზეპე გარიბალდის მეგობარი და მარდამჭერი).

და, რაც მთავარია, რომანს მასშტაბური ზეამოცანა აქვს.

ამ ზეამოცანის შესახებ დიდი ტრაქტატის დანერა იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ აյ მაიც მოკლე დახასიათებით შემოვიფარგლები: „პრალის სასაფლაო“ არის თბილებები იმის თაობაზე თუ როგორ შეიძლება შეცვალოს მსოფლიო ერთმა ცალკე აღებულმა ნაძირალმა (რა თქმა უნდა, ხელშემწყობი პირობების იდეალური გამოყენებით; ანუ, მდაბიური თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივ მეინსტრიმში მოქცევით). „ნაძირლური სიძლიერის“ მხატვრული ხერხებით ნარმოჩნდა თავისთავად ორიგინალური თემა არ გახლავთ (საუკეთესო მაგალითი ამისა, ჩემი აზრით, დოსტოევსკის ცნობილი ეშმაქისეულები – სტავროგინი და ვერხოვენსკი არიან), მაგრამ ის არც იმდენად ამონურულად შეიძლება ჩათვალის, რომ დროდადრო ისევ და ისევ არ უბრუნდებოდეს რომელიმე დიდი შემოქმედი ამჟღვინიური ბოროტების რომელილაც ახალი კუთხით ნარმოჩნდების მიზნით. ნარმოშობით უმბერტო ეკოც ასეთ შემოქმედთ ცირკასი კოროტიდან არის, მას ეკუთვნის და, რასაკირულებია, მასაც აქვს კანონიერი უფლება მასშტაბურ ნაძირლობებთან მხატვრულად გამართლებული ექსპერიმენტების საშუალებით შეჭიდებისა. გავითვალისწინოთ ასევე, რომ ხსენებული ბოროტების მაქსიმალურად სიღრმისულად და ზუსტად ასახვა, რასაკირველია, არა მხოლოდ იტალიური ან ევროპული, არამედ მსოფლიო მასშტაბის და, ამდენად, ქართული პრობლემაც არის. მოუხედავად იმისა, რომ ქართული ლიტერატურა – განსხვავებით რუსული და ევროპული ანალოგებისგან – ასეთი სატანური სიძლიერით შემკობილი და ცალსახად უარყოფითი მარტოხელა გმირების სიმრავლით ვერ დაიკვეხის. თუ, რა თქმა უნდა, ასეთებად არ მივ-



იჩნევთ არარაობა ჯაყოს (რომლის აღზევება მთლიანად თეიმურაზ ხევისთვის უხერხემლობისა და მარგოს თვითგადარჩენის ინსტინქტის „დამსახურება“), ნერილმან აფერისტ კვაჭი კვაჭანტირაძეს ან „უთავო“ მრავალთავიან დევებს ცნობილი ქართული ზღაპრებიდან.

გავიმეორებ, რომ რომანის მთავარი და ქუმშარიტი გმირი – ერთადერთი პერსონაჟი, რომლის შინაგანი რაობის გამოკვეთაზე ავტორს რუდუნება და ენერგია არ დაანახება – პიემონტის მკვიდრი ფრანგი-იტალიელი (შევახსენებ მეითხველს, რომ პიემონტის ოლქი აღნიშნულისტორიულ პერიოდში ხელიდან ხელში გადადიოდა) ვინმე სიმონე სიმონინი – ქრესტომათისული ნაძირალაა. ამაზრზენი ტიპი, გაორებული პიროვნება (მისი ფსიქიატრი კი ვერ უძლებს ამდენ სისაძაგლეს), ეგოცენტრიკოსი, სოციოპათი, იმპოტენტი, ჯაშუში, საბუთების გამყალებელი და მკვლელი... მისთვის ყველა ევრო-

პული ერი ერთნაირი ნაგავია, განსხვავება მხოლოდ მცირედ და ნაკლებად მნიშვნელოვან დეტალებშია. უბრალო კრიმინალისგან სიმონინი იმით განსხვავდება, რომ არცოდ პირნათლად ასრულებს დაზურვების სამსახურების, ანუ დოდ პოლიტიკაში გარეული. ფრანგების ერთ თავადაც ეზიზლება თავისი ქმნილება (ამიტომ შედარებით ანალიზისას აქ უნებლივით არ უნდა გავატაროთ შორეული ანალოგიაც კი ჩვენებურ ღუარსაბ თათქარიძესთან, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავისებურად უთანაგრძობს კიდეც). სიმონინი არის ყველასთვის უცნობი, არასაჯარო ფიგურა, ყალბი კაპიტანი, უბრალო ნოტარიუსი, ოლონდ აბსოლუტურად ნამუსგარეცხილი, გამძრომ-გამომძრომი და ამასთან – ჰო საცრებავ – საქამაოდ განათლებული და ერუდირებული კალიგრაფი (გამზრდელი ანტისემიტი ბაბუის მიერ შვილიშვილისთვის დაქირავებული იქუიტი მღვდელმ-ნაცურის). ფაქტობრივად, სიმონინის – იმდროონდეული სალონური ელიტის მოტრფიალე და მის წიაღმი გველივთ მოსროალე თალღითის – ერთადერთი ადამიანური სისუსტე კულურა-ული გურმანიბაა, ხოლო ერთადერთი ჭეშმარიტი ვნება – საკუთრებული სტომაქის სიყვარული. სხვა პოლიციური აგენტებიდან მას გამოაჩინეს სპეციფიური ხელობა – სხვადასხვა საბუთების (ძირითადად ანდერძების) უბალო სიზუსტით კოპირებისა და გაყალბების უნარი. სწორედ ამით შოულობს ის სარჩოს, ამ უნარის გამოა ის საინტერესო პოლიციისთვის, ამ სსტატობის ნაცურობით ერთდროულად რამდენიმე მძლავრი დაზვერვის აგენტი ხდება, ამ ნიჭის მაღლით ძალუებს მას ადამიანებით მანიპულირება იმ „დიადი“ მიზნების მისაღწევად, რომლებსაც დროდადრო მას გავლენიანი დამქირავებლები – საფრანგეთის, იტალიის,

გიორგი ლორთაძისიძე

გერმანიის, ინგლისის, რუსეთის უმაღლესი საპოლიციო ჩინები - უსახავენ. და ა ასე - მდორედ და უხილავი ჯაჭვებით სიმონინის ცხოვრებასთან გადამშულად - მიეღინება ევროპის ისტორია...

როგორც აღვნიშვნეთ, საკუთარი „პატარა“ მიზანი კაპიტანს ორად ორი აქვს - ბევრი ფული და გემრიელად ჭამა. ამ მიზნების მისაღწევად ის ყველაფერს კადრულობს. უცხო თვალთაგან დაფარულ შიდაევროპულ ბრძოლებში სიმონინი - ბედის კარნახით - ხან ვის მხარეს არის და ხან ვისი, მაგრამ მის ქმედებებსაც აქვს მყაცრი შეზღუდვა - ის ყოველთვის სპეციასმასაურებს მეთვალყურეობის ქვეშაა და მუდმივად აკონტროლებს მასზე გაცილებით ძლიერი, უზენაესი სახელმწიფო ძალა. მართალია, შეერვია ამას, მაგრამ არ გინდა გადარჩე ასეთ პირობებში? დანაღმულ ველზე სიარულია სიმონინის მთელი ცხოვრება და ამ ველზე იძულებითი სეირნობისას ის არაერთხელ კლავს - პირდაპირი მნიშვნელობით - დემაგოგობს, აფერისტობს, აყალბებს საბუთებს, შანტაჟითა და სიცრუით იყაფავს გზას ფულისა და საჭმლისენ. საბოლოოდ კი ეკოს თავისი ჯაშეში გმირი ევროპული ანტისემიტიზმისა და სახელმწიფო ოფიციალური ბინის ერთ-ერთ მამად, ცნობილი „სიონელი ბრძენების ოქმების“ გამყალებებლად და პრალის მივინწყებულ ებრაულ სასაფლაზე რეგულარული მასონურ-სიონისტური შპაბების გამომგონებლად გამოჰყავს. ერთი სიტყვით, ეს სოციოპატი და თაღლითი ცრუ-კაპიტანი (კაპიტონიბაც შეთითხონილია) რომანში პირველი მსოფლიო ომის გულადი ეფრეიტორის - ადოლფ ჰიტლერის იდეოლოგიურ მამინაცვალად გვევლინება. გავითვალისწინოთ, რომ რომანის სიუჟეტი (მოუხდავად იმისა, რომ ქრისტენიურ მასში სიმონინის ცხოვრება აღწერილია ლრმა ბავშვებიდან მის გატერორისტობამდე 68 წლის ასაკში) მიბმულია კონკრეტულ 1897 წელთან, ანუ ხანასთან, როდესაც პატარა ადოლფი ბრაუნაუდან ჯერ კიდევ რვა წლის უმანერ ბავშვია და ეს გაბლავთ მოელი ონტოლოგიური განსხვავება ანტისემიტური ეპოქის ამ ორ გამოჩენილ გმირს შორის - მერე რა, რომ ერთი

მათგანი მნერლის მოგონილია! ნარსული მიდის, მომავალი კი - რომელიც ჯერ ლამბახის სამონასტრო სკოლაში დადის - მოდის, და ამ პროცესს (ჩვენ ეს ნამდვილად ვიცით) ვერაფერი შეაჩერებს. წინ გარდაუვალი ოსვენციმია. პიკანტურობას მოელებული არ არის ის გარემოება, რომ თავად სიმონინი სულაც არ გახლავთ რაღაც პირნავარდნილი ანტისემიტი. ის პრაგმატიკოსი, უკიდურესი ცინიკოსი, ყოველად უსინდისა ადამიანია, მაგრამ ქვემარტი ანტისემიტიზმი მისგან შორს არის - უბრალოდ, ცხოვრების რაღაც ადრეულ ეტაპზე მიღებული ტრავმის გამო მან შემდგომში ადამიანის სახე დაკარგა და გადაწყვიტა, რომ მისთვის ასე აჯობებს, დრომ კი ასწავლა, რომ ანტისემიტიზმითაც შესაძლებელია კარგი გასამრჯელოს მოპოვება და უძლები სტომაქის გაცვება.

აღსანიშვავია უმბერტო ეკოს დამოკიდებულება იტალიელი რესპუბლიკელებისადმი - ამ მხრივ რომანში გარიბალდისტები იგივედებიან როგორც ისტორიას უკვე მიბარებულ ნატიფ ფრანგ რევოლუციონერებთან, ისე ცხრაას ჩვიდომეტი წლის შემოდგომაზე პეტროგრადის ზამთრის სასახლეში შექრილ მრავალეროვან რევოლუციურ ბრძოსთან.

აი, რას ამბობს პრივატულ ვითარებაში რომანის ერთ-ერთი მესამეარისხოვანი პერსონაჟი გარიბალდის რესპუბლიკელებზე:

„მეგობრებო! ხმა მითრთის, მაგრამ იძულებული ვარ, საგანგებოდ შეგატყობინოთ, რომ პარიზული კეთირი იტალია-საც მოედო! ლუი-ფილიპი წმინდანი არ ყოფილი, მაგრამ რაღაც წინააღმდეგობას მაინც უწევდა ანარქის. მახსენდება თუ რა ხდებოდა ახლახან რომში... ნუთუ ეს რომაბედებია?... ეს ხალხი კი არა, პლებისი, რომში ისინი მიეტმასხნენ იტალური თუ უცხო ქალაქების ყველაზე სამარცხვის ნაძირლებს, გარიბალდისტებს, მაძინისტებს, უკელანარი ბოროტების ბრმა იარაღად გარდაიქმნენ. თქვენ არ იცით, რა ენით აღუწერეთ საზიზლრობებს ჩადიოდნენ რესპუბლიკელები. ისინი იქრებოდნენ ეკლესიებმი, ანგრივდნენ და ფერფლად ანიავებდნენ წმინდანთა სასუფელებს. ისაქმებდნენ იქ,



გამოჰქონდათ გარეთ საკურთხევლები და თითონიდნენ მათ ექსირემნურებით. ხანჯლებით კანკავედნენ ღვთისშობლის ქანდაკებებს... მღვდელი, რომელიც აპროტესტებდა რესპუბლიკურ სისახა-გლეებს, შეათრიეს ბზელ კუთხეში, განგ-მირეს ხანჯლებით, დასთავარეს თვალები, მოკვეთეს ენა, გამოიყარეს და შემდეგ საკუთარ ნაწლავზე ჩამოახრჩეს..."

როგორც ჩანს, ეს ზოგადი ნესია...

ცალეული ნაძირალისა და საზოგა-დოებაზე მისი გავლენის, თუ გნებავთ - ნიჭირი სალახანისა და ინტერული თე-მის ურთიერთობის პრობლემის საჯა-როდ დასმის თვალსაზრისით ეკოს პირვ-ელობა არ ეყუთვნის. როგორც ზემოთ აღნიშნებ მიუხედავად ლიტერატურული ნაძირლების უაღრესად ფართო არჩევ-ანისა მსოფლიო პრობასა თუ პოზიტივი, ამ მხრივ - ჩემი პირადი სუბიექტივიზ-მის ფარგლებში - პირველობას მაინც დოსტოევსკის „ეშმანის“ ერთ-ერთ პრო-ტაგონისტს პეტრუშა ვერხოვენსკის მი-ვანიჭებდი. მაგრამ, თუ ვერხოვენსკის გზა ლენინის და ბოლშევიზმის გზაა, ცრუ-კაპიტან სიმონინისა - პიტლერის და ნაცისტური პრაქტიკის მარშრუტია. რაღაც შორეულ პორიზონტზე ეს ორივე პერსონაჟი - ვერხოვენსკი და სიმონინი - შესაძლოა შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს ხელის ჩამოსართმევად, მაგრამ ნურც იმას დავივინებთ, რომ პორიზონტის ხიზ მიუჩირეველი და ნარმონასხვითა. ის-ტორიულად ლენინი და პიტლერი განსხ-ვავდებოდნენ ერთმანეთისგან და მაინც... ჩემი აზრით, ნაციზმი და კომუნიზმი - მიუხედავად ძალადობორივი მეთოდების მსგავსებისა - რეალურ ცხოვრებაში უერასოდეს გაიგივდებიან ერთმანეთთან და ერთი მათგანი ყოველთვის ითამაშებს მეორის დამკრძალავი ბიუროს როლს. წინა საუკუნის შეუ ნლებში მესაფლა-ვის ფუნქცია თავის თავზე კომუნიზმმა აიღო, ხოლო რა მოხდება მიმდინარე საუ-კუნები, ჯერჯერობითი ყველასთვის უც-ნობია. ერთი რამ კი ცხადია: ნაძირლები

ყველთვის იოლად გამოძებნიან საერთო ენას - თუნდაც კაცის კვლით მიღწეული კულინარული შედევრების მოპოვებისა და გაყოფის საფუძველზე. და, ვფიქრობ, რომ სწორედ ამის თაობაზე შეგვახსენა - ერთობ მსუბუქად და კოდირებული სახით - უმბერტო ეკომ თავის „პრაღის სასაფლაოთი“.

ხოლო რომანის ძირითადი, აბსოლუ-ტურად ლია და არაკოდირებული დასკვნა კი შესაძლებელია ასეც უღერდეს: დიდი კონტინენტების ისტორიას, უკირველეს ყოვლისა, პატარა და ზერელე ადამიან-ები ქმნიან!

საერთოდ კი, ამ წიგნით უმბერტო ეკომ ევროპაზე საკუთარი რევიემი-ნინასნარმეტყველება შექმნა. მართლაც: სად, რომელ ჯადოსნურ სეივრშია შესა-ძლებელი მოიპოვებოდეს იმის გარანტია, რომ ლამის აფეთქების ზღვრამდე მი-სულ თანამედროვე ევროპას ერთხელაც ფეხი არ დაუცდება ინტეგრაციის იდეა-დაც, იქნებ, სწორედაც რომ არჩეულ (დაგუშვათ ესეც!), მაგრამ მაინც სხ-ვადასხვა შიდა ნინააღმდეგობით უხვად მოლისულ და ნაირნაირი მაცდუნებელი ზიზილ-პილიებით გვარიანად დანაღ-მულ გზაზე? მიმდინარე დაპირისპირების ფონზე, რომელი გამოჩენილი ევროპელი ინტელექტუალი - თუ ის მართლაც ახ-ალი და ოდნავ „აბაკეთილშობილებული“ სიმონე სიმონინი არ არის - დაგვარნ-მუნებს, რომ მისი საყვარელი კონტინენ-ტი კვლავაც არ გადაეშვება იმ ორმოში, რომლის ფსკერს მან ორ მსოფლიო ომში გაცემული უდიდესი მსხვერპლის ფასად დააღნინათ თავი და საიდანაც ამიმობდებას ამდენი ძალისმევა შეაღია ბოლო ნახე-ვარი საუკუნის განმავლობაში?

ახალ ცოდვაში უეხს ნუ ჩავდგამთ: თავსაც ნუ მოვიტყუებთ და სხვასაც ნუ შევიყვანთ შეცდომაში - დამაჯერებე-ლი პასუხი ესოდენ მწვავედ დასმულ ამ კარდინალურ კითხვებზე არც უმბერტო ეკოს აქეს, მაგრამ დიდი მნერალი მაინც გვაფრთხილებს!

ლეია ჯიყაშვილი



აღიარებითი ჩვენება

საწერად მოვემზადე. ვიდრე პირველ ფრაზას დავწერდი, დავუფიქრდი, რა განცდა იყო ჩემში ყველაზე მძაფრი და გავოცდი: დანაშაულის განცდა!

დახ, მე დამნაშავე ვარ იმაშიც, რომ ერთხელაც არ მჭერია ხელში იარაღი და იმაშიც, რომ „არაფერს ვაშავებდი“, კიდევ იმაში, რომ ზოგჯერ კარგ გუნებაზე დამდგარი ოცნებას მივეცემოდი... დროდადრო პატარა საოჯახო დღესასწაულებს ემართავდი: სიამორნებით ვამზადებდი სადილს მთელი ოჯახისთვის, ვაცხობდი კიდეც... ამაშიც დამნაშავე ვარ. ვფიქრობდი, ვწუხდი და იმას ვერ წარმოვიდგენდი, რომ პირადად მე უნდა შემეცვალა, რენის ქალამნები ჩამუცვა, მერბინა, მეყვირა! არ ვიცი, კიდევ რა უნდა მომემოქმედებინა... ცხოვრება კი აგორებული ქვასავით იყო - ეშვებოდა დაღმართზე და ბევრ კენჭსა და მინას მი-იყოლებდა.

დავითყებული ვალივით გამახსენდა ყველაფერი, როცა ზვიად კვარაცხელიას „ფორმა № 100“ წავითხე. ამ წიგნმა წლების წინათ გამოცემული „ყიფლიბანდი“ ხელმეორედ ამაღებინა ხელში. კიდევ ერთხელ გადავხედე...

ამიტომაც ვწერ აღიარებით ჩვენებას.

•

ზვიად კვარაცხელიას ბიოგრაფიიდან არაფერი ვიცი, მეტიც, მისი ასაკიც კი არ ვიცი ზუსტად. ვუყურებ და ვხვდები,

ძალიან ახალგაზრდაა და კიდევ: რაღაც-ნაირი აკვიტებასავით მაქვს, მგონია, რომ მთიდან ჩამოვიდა. მისი სახლი წარმომიდგენია მაღალ მთაში, იქ, სადაც ჰყერი ძალიან სუფთა და გრილია, მიწა - უმტკერო. დილაობით ქალებს ახლად მოწველილი რძე მოაქვთ ოჯახებში და ჭიქებში ასხამენ. სოფელი ცოცხლობს და ძალის ყეფაც ისმის, მამლის ყიფილიც... მგონია, რომ მისი სახლიდან შორს, მაგრამ მაინც მოჩანს ზღვის ლურჯი ზოლიც (ხომ არის კოლხეთში ასეთი მთანი ადგილები). ეს სილურჯე სილბოს აძლევს ზვიად კვარაცხელიას შემოქმედებას, მაღალი მთა კი სისუფთავეს. მგონია, რომ სწორედ იქაური სისუფთავე ჩამოიტანა ქალაქში. ჩამოვიდა, როგორც გოდებული ჩიხელი, და თავისი ლია ყიფილიბანდი დედაქალაქში დაგროვებულ ბოლმა-ვარამს შეუშეირა.

სინამდვილეში, გითხარით, მისი ბიო-გრაფიის შესახებ არაფერი ვიცი-მეტქი. თუნდაც დედაქალაქის ცენტრში გაეტარებინა ბავშვობა, ამას რა მნიშვნელობა აქვს... მნიშვნელოვანია ის, რითიც მოვიდა და ის მძაფრი განცდა, რომელიც დამხვდურმა რეალობამ გაუჩინა.

„ყიფლიბანდში“ ეს პირველი სულის-შემძრელი განცდებია თავმოყრილი:

„აღარაცერზე აღარ მეტიქრება, აღარაცერზე აღარ მეწერება. იმ საწყალ ატმის ხეს ვგავარ, ბავშვობაში რომ დიდი

მშედით შევცექეროდით პატარები, წელს თუ არა, გაისად ხომ გამოიღებს ნაყოფსო. ის კი თურმე ხმებოდა, მზე და ზამთარი ერთნაირად უმღვრევდა შეგნეულს... მერე ტოტები გასცვიდა და გაპახებული, თავგადახოვილი ქალივით დასცექეროდა სხეულიდან გამოცვენილ დატვინარ ძარღვებს.

ალარაფერზე ალარ მეფიქერება... ხსნილია სიჩქმე. დუმილს არავინ გიკრძალავს, ოლონდ ბევრი არ ილაპარაკო, თორებმ ბევრი შენწულება, ბევრს ნაერლება სახე, სურვილი გაუჩნდება, დროზე ჩაგიმინდოს ხმა".

სახეები ერთმანეთს მიჰყვებიან. მწერალს ძლიერი წარმოსახვა და გამოხატვის უნარი აქვს. მისი პერსონაჟები განწირულებიც არიან და მაინც არ ინირებიან ბოლომდე, გულმხურვალებიც არიან და მაინც ვერ გულმხურვალებენ ბოლომდე... და, როგორც უნდა იყოს, ავტორს ისინი უყვარს, უყვარს ავტორატ-მომარჯვებულებიც და ცრუებიც, შეჭირვებულებიც და სამართალდარწევებულებიც. მარტივად ვერ იმეტებს, „ფუკად ვერ აქცევს“. მისი სიკეთე თითქოს უმიზნოც კი ხდება, მაგრამ იმით არის ბედნიერი, რომ არსებობს! „ფუკას“ პერსონაჟის – მომავალი დედისა არ იყოს – სულ თან ატარებს მის სახელს, ვინც „არა კაც ჰელა“ სილაქივით გააწნა გაბოროტებული ორფეხა არსებების სამყაროში აღმოჩენილა...

„უცნაური ვიყავი, შეიღო, და სულ ჩემი ნათქვამისა მჯეროდა. დავიჩიჩე, უნდა მოვიშორო ეს უბედურ დღეს ჩასახული, თორებმ თავსაც გაინამებს და სიცოცხლესაც გამიმნარებს-მეთქი. ცოლქმარიც დავითანხმე მაღლე. ნაცნობ გონეეოლოგთან ნამიყვანეს და დერეფნის სამზე ჩამოცუცქულები მოუთმენლად ელოდნენ ჩემს დაბრუნებას. გინეკოლოგმა ქალმა მშვიდად მოისმინა ჩემი დარღი და ნუხილი, მერე – ერთი წამითო, გვერდით ოთაში გავიდა და უშეელებელი სახახვით შემობრუნდა უკან. პირველი

გამოშეუიღება მარცხენა ლოყაზე იყო, თითქოს მდუღარე გადამასხესო. ერთს მეორე მოუნაცვლა, თმაშიც მწვდა, თავისისიგრძეზე ამნია და უნამუსო და გაფუჭებული მეძახა სულ. ბოლოს შემეშვა, სკამზე დამაგდო, თვითონ კი კარადისკენ გააპარა ხელი, დაკუჭული თუმნიანები გამოხვეტა და დამიყარა ნინ – აპორტი არ გაბედო, თორებმ ჩემი ხელით მოგცლავო.

ასე გაჩნდი შენ...

უცებ შეწყდა ამბავი. დედაჩემი საწოლთან მოდგმული ტუმბოსკენ გადაიხარა, გამოლებულ უჯრაში ხელი შეყო და ქაღლადის ნაგლეჯი გამომინდოა.

– აქ იმ ქალის სახელი და გვარი წერია, შემპირდი, რომ იპოვი სადაც არ უნდა იყოს...

იმ დღიდან გულისჯიბით დამაქეს თქვენი სახელი, – ნიკალომ თვალი გააპარა მუხლებზე დასვენებული კალა-შინიკოვისკენ, ჭინჭყლი ბავშვევით რომ ჩაჩიტებულიყო, სანამ უფროსები გადაწყვეტდნენ და მასაც გამოაღვიძებდნენ შეაძილება.

– თინა დეიდა, მე ნიკალო მქვია და ერთი უბრალო, მეომარი ბიჭი ვარ, სისხლის დასალვრელად გამოშვებული, ერთს მოვკლავ, მეორეს, მესამეს... ვისაც მეტყვიან, იმას დავტეაკები. მერე ერთხელაც, გამეჭედება რაღაც, ტეინ-ში ჩამექცევა. მშინ ამიღებენ ფუკაში და გვერდზე გადამდებენ უსულოდ. და ჩემი სიცოცხლე, ჩემი ამქვეყნად გამოჩენა ექიმს დაბრალდება, რომელმაც მარტოხელა ორსული ქალი დააშინა, არ მოვცილებინე. ყველგან ამას ილაპარაკებენ: სკოლაში და მთავრობაში, ციხეში და ეკლესიაში, სანამ ამბავი გამოილევა...

როცა ამბავი გამოილევა, ვიღაც დამოხცეული მოინდომებს მის დაწერას და გამოქვეყნებას, სახელი რომ იშოვნოს და წიგნები გაყიდოს, მე კი ამას ვერ მოვესწრები...

იქ, შორს, დედაჩემთან ვიქნები, სადაც არც დამკას თამაშები და ფუკაც არავინ არი..."

ფულა აიყაშვილი

კუბოკრულ დაფაზე „დამეაში გასულთა“ გუნდები თამამად სერავენ სივრცეს აღმოსავლეთიდან დასავლეთისეკენ, დასავლეთიდან ჩრდილოეთისეკენ, ცველაფერს სრავენ. არ დასრულდა მათი თავაწყვეტილი გრიალი. ზეგად კვარაცხელია, როგორც მწერალი, ამსა განიცდის და კიდევ უფრო მგრძნობიარე ხდება „რიგითი განწირულების“ მიმართ.

მართალია, ყიფლიბანდი არც ისეთი ნაზია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს, მაგრამ მაინც დამნაშავე ვარ, რომ ჩემი ნილი ხელისგული არ დავაფარე ფრთხილად. ავტომატს ეხედავდი და მეშინოდა კიდეც, მაგრამ ფუკაზე არ ვუიქრობდი, დროის უჯერმართობის გამო დანგრულ ცხოვრებებს ვხედავდი, მაგრამ შინაგანად ვერ ვემზადებოდი იმისთვის, რომ სახეშემლილ, გაბოროტებულ ახალგაზრდაში ნიკალო დამენახა – შეძრნუნებული, მარტოსული, გამეტებული...

ზეიად კვარაცხელიამ იმ ორიოდე წელიწადში, რაც „ყიფლიბანდიდან“ „ფორმა № 100-მდე“ იცხოვრა, ოცი წლით დამძიმება მაინც მოასწრო. რომანტიკული, სიყვარულიანი მზერა შეძრნუნებამ ოდნავ გაუფერმკრთალა, განცდა კიდევ უფრო გაუმძაფრა და უსამართლობის შეგრძნება გაუათეცა. ცველაფერს კი გვირგვინად დაადგა „ჩვეულებრივი ბრძოლა არსებობისთვის“

ვინ დაითვალა, რამდენი გულის ძეერა შეწყდა იმიტომ, რომ ვიღაცას ეგონა, „ჩვეულებრივ“ თავის ფუნქციას ასრულებდა: დამნაშავეთა სამყაროში შესვლას ცდილობდა თუ იმ პირის გადაბირებას, რომელიც დამნაშავესთან დააკავშირდება... „ქარგი საქმის ლობირებას“ ცდილობდა, სინამდვილეში ლუკმას ექცებდა გადასაყლაპად და, როგორც „ფორმა № 100“-შია – ნოშრევანის პატიოსნად, ნიჭირად გამართული საქმის „გადაყლაპვას“. ასე მოპოვებულ ლუკმას ყოველგვარი სინდისის ქენჯინის

გარეშე ნაიღებდნენ ოჯახებში, დედებსა გაახარებდნენ ყურადღებით, შეიღებს გამოკვებავდნენ, მეუღლებს გაანებივრებდნენ.

•

პირველ პირში ნათქვამი უმტკივნეულო სიტყვები: „ვილვიძებ, ვიბან, ვიცვამ, ვიკვებები, ვენევი, გავრბივარ, მტაბურობ, ვითვალისწინებ, ველაპარაკები, ვლამაზდები, ვუმჯობესდები“ უპირისიპირდება მესამე პირში ნათქვამ სიტყვებს: „ილანძლება, ამტკიცებს, მასხრობს, ჭორიკობს, სცოდავს“... ისინი განსაუთრებულად, შავი შრიფტით არის გამოყოფილი. დანარჩენი სიტყვები თითქოს იმდენ მნიშვნელობას არ ატარებენ... ჩვეულებრივი ცხოვრებაა – სადღელამისო ცხოვრება. და უცებ ჩნდება ძახილის ნიშანი: გარდავიცვალე!

ზეიად კვარაცხელიას კალამს აქვს იშვიათი უნარი, მოულოდნელად შეგაჯანჯლაროს და შემისა და სინდისის ძახილის ერთდროული „შემოტევა“ მოგინყოს. სწორედ ამ ყოფითი რუტინის უნდა გეშინოდეს და თავს კარგად აკვირდებოდე, ხომ არ გძინავს, როცა სადღაც ვიღაც გამნარებული აწყდება კედლებს... ან ხომ არ იკვებება მაშინ, როცა სულ ერთი კედელი გყოფს მასთან, ვისაც შემშილი აღარც ახსოვს, იმდენად გამძაფრებული აქვს ადამიანური თანადგომის შემშილი. ხომ არ ტყუცდები, როცა სხვა სცოდავს და შენ – არა!

ხომ არ გარდავიცვალე?

•

ზეიად კვარაცხელია ახერხებს და საზოგადოების სწორულების შესახებ ისე გელაპარაკება, რომ არც სიუჟეტს აკლდება დინამიკა, არც ამბავია მძიმედ ნასაკითხი და გასააზრებელი. თითქოს უპრეტენზიოდ, მორჩილად გიამბობს ცველაფერს, შენ კი მხოლოდ სიუჟეტს უნდა მიჰყვე და ლიტერატურით მონიჭებული სიმოვნება იგრძნო.

„ჭკვიანი, ვანმრთელი და უნაკლო ვარო, გაიძახის და ამის დამტკიცებას



ცდილობს დღეს ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ხელის განძრევა არ ეზარება. ეს სხვადასხვა გზით ხდება: ვიღაც დამისუებას წყვეტს და ყოველდღიურ ვარჯიშს იწყებს, ზოგი უარს ამბობს ჭარბი კალორიების მიღებაზე და დიეტაზე დგება, ვიღაც ქალაქში ხუთოთახიან ბინას ყიდის და აგარაჟზე გადადის ცოლ-შვილთან ერთად, რათა სუფთა პაერი ისუნთქმის; ერთი სიტყვით, ყველა თავის ავადმყოფობას სწავლობს, იკვლევს და თქვენ ნარმოიდგინეთ, უყვარდება კიდეც, ისევე როგორც... რომეოს ჯელიეტა, კვაზიმოდოს ესმერალდა და ონისეს ძიძია... ქალივით უყავრდება. იმათგან განსხვავდით დრო რომ გადის, ქორწინდება კიდეც ადამიანი თავის ავადმყოფობაზე და სარეცელს იყოფს. ცოლქმრიბა შევეარებულობისაგან იმით განსხვავდება, რომ შიმშილს, უსახსრობასა და სიმწარეს თავ-თავიანთ სახლებში დედ-მამასთან კი არ მიარბენინებენ ქალი და კაცი, სათითაოდ, ერთმანეთის თვალნინ იხდიან და აგროვებენ დასვრილი, მტვრიანი კაბებივით, პერანგებივით, შარვლებივით, ნინდებივით, რომ ერთ შეყრაზე გარეცხონ და ახალი ტანსაცმლით გავიდნენ სამსახურის საქებნელად. იქ კი გასაუბრებაზე მისულებს ჯანმრთელობის ცონბას მოსთხოვენ ამაქეყნის ძლიერები

- რა ცნობას?

- ცნობას ჯანმრთელობის შესახებ.

ან უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ფორმა № 100-ს.

- ჩემთვის არ მოუთხოვიათ, - თავს ნამოყოფს ვიღაც გაკვირვებით.

- სწორადაც მოქცეულან, რაც არ არსებობს, როგორ უნდა მოითხოვო? ფორმა № 100 აქაურებისთვის არ არის მოგონილი, ის უფრო საიქიოს გზაზე

დამდგარი სულის ქალალდა. ცოცხალზე მეტად მყვადარს სჭირდება ჯანმრთელობის ცნობა, რომელსაც მთავარი ექიმი არ გასცემს, თუ ჩემი ავადმყოფობის ისტორია არ ნაიკითხა, ცრუმლითა და გულიდან ამოხველებული სისხლით დაწერილი. არ ეცოდინება, სად და როდის მოხდა, - და ამ დროს ჩემი ბაგიდან, როგორც აგურები მინისტრით დანგრეული კორპუსებიდან, ცვივა სიტყვები, - სიძვაი, მრუშებაი, ამპარტავნიბაი, ზვაობაი, ფიცი, გმობაი, უქმის მეტყველებაი, უძლებებაი, სიძულვილი, შური, ვერცხლის მოყვარებაი, ანგარებაი, თავის მოყვარებაი, დიდების მოყვარებაი, ტაცებაი, უსამართლობაი, საძაგლის შეინიებაი, ხდოა, წყევაი, უჯულოებაი...“

კიდევ ერთხელ მასესნდება ჯერ არ-გაძვალებული ყიფლიბანდი. მინდა, ორივე ხელის მტევანი შევაერთო და ყიფლიბანდს გადავაფარო! მინდა, ზვიად კვარაცხელიას ყიფლიბანდი არ გაძვალდეს და დარჩეს ასე მთიდან ჩამოსული, ჩვილად დარჩენილი სინდისის ფრთებებებში. მინდა, მოულოდნელი და ფაქიზი იყოს მისი სიყვარული...

მინდა, რომ „ფორმა № 100“ დეტექტორი უანრის ნანარმოებად კი არ ნაიკითხონ, (რამდენჯერ ნავაწყდი ამ ტერმინს), არამედ აღიარებითი ჩვენების დაწერამდე დანაშაულის შესახებ დამულ კითხვად.

•

ზვიად კვარაცხელია - მწერალი, რომელიც, არ ვიცი, რამდენი წლისაა, არ ვიცი მისი დაბადებისა და ბავშვობის გეოგრაფიული ადგლორი... მწერალი, რომელიც მას მერეც რჩება შენ პირისპირ და თვალებში ყურებას განაგრძობს, როცა მისი წიგნების კითხვას დაასრულებ და უკანასკნელ ფურცელს დახურავ.

განა ჯოხები



როცა ჭრილობა გაღობს

ომი ყველგან ომია, სულერთია, სად გავარდება პირველი ტყვია, სად აფეთქდება პირველი ნამდი – ესპანეთში, მადრიდის წითელი დროშების ფრიალში, ვიკტორიამის ბრინჯის ჭალებსა თუ ბიჭვინთაში, ზურმუხტისფერი ზღვის ტალღებზე დამფრთხალი თოლიები კივილით რომ წამოიშლებიან და ცას გასერავენ.

ჯორჯ ორუელის ომზე დანერილმა წიგნმა – „პატივი კატალონიას“ – ერთ სიღუმლოს მაზიარა: ომის ტრაგიკულობისა და აბსურდის გაგება იმდენად ომის ხმაურის – ჭურვების, ქვემებების, ავტომატების, ხელყუმბარების აფეთქებებით, გამაყრუებელი ზათქით, ერთი სიტყვით, სამხედრო არსებალის დაცლის თანმხლები ჭექა-ქუჩილის, ელვა-ნათებების, დაჭრილთა კენება-გოდებებითა და მომავდავთა უკანასკნელი ამოსუნთქვით კი არ არის შესაძლებელი, რამდენადაც სიჩუმით. დიახ, ომის დამთავრების შემდგომ ჩამოვარდნილი სიჩუმით. მცირეოდენი პერიფრაზირებით ბრეხტის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ – „ომი დამთავრდა, სიჩუმის გეშინოდეთ!“

სიჩუმეში – დუმილის ამ სამარეში – დიდხანს რჩებიან ადამიანები და ომში კი არა, სწორედ საკუთარ თავთან დარჩენის სიჩუმეში ან იმარჯვებენ, ან მარცხდებიან საბოლოოდ.

რაღაც თვალსაზრისით, პირადად ჩემთვის, ომი იგივე ციხეა, უბრალოდ, პროცესები იმში ღია ცისქევეშ მიმდინარეობს, ციხეში კი დახურულ სივრცეში. ერთს რკინის გისოსები იცავს, მეორეს – ტყვიების განუწყვეტელი ჯერი; ერთში საენების სულისმებულველ სივრცეში წვანან, მეორეში – წვიმასა თუ თოვლში, დარსა თუ ავდარში საკუთარი ხელით გათხრილ სანგრებში იმაღლებიან. იმშიც და ციხეშიც შემის აჩრდილი სიკედილივით დაძრნის, მისი ძრწოლა ჯარისკაციისა თუ პატიმრის ქვეცნობიერ სამყაროში დამწყდეულ მხეცს ათავისუფლებს. ეს მხეცი მბრდღვინავი ლომივით თვითგადარჩენის ინსტინქტს აღვიძებს და ადამიანს აიძულებს, მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნოს.

ომიც და ციხეც ის ურჩხულია, რომლის ბენესტომაქამოვლილი უპიროვნო ადამიანები სიჩუმის თავშესაფრებში იმალებიან და იმავე ინსტინქტებით გრძნობენ, რომ რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანი გაებნათ თუ დაეკარგათ.

მანც რა ჰქვია ამ დანაკარგს, რის გამოც სწორედ ჩამომდგარ სიჩუმეში ენამებიან ადამიანები?! ათასი სახელი შეიძლება დაექებნოს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე მეტად შეურაცხყოფის განცდა შეეფერება მას, გრძნობას, რომელსაც

მხოლოდ პიროვნებები განიცდიან და სიჩუმის სამართლი სირცხვილის აღმურებად ეკიდება სისხლსა და ღანვებს.

რა უცნაურია და რა ბუნებრივად მანუგეშებელი ერთსა და იმავე დროს, როცა სირცხვილით, ამ ღვთივმომადლებული გრძნობით, რომლის საბოლოო სახელი სინაულია, ისევ ტუსალები და ჯარისკაცები ისჯებიან, ისევ უბრალო ხალხი და არა ჯალათები, ისევ შემსრულებლები და არა შემკვეთები... ნუგებად ისლა რჩება, რომ პირველი სულიერად ჯერ ისევ ცოცხლობენ და გადარჩენის შანსი აქვთ. ხოლო მეორენი, სულიერად მევდარნი, დაუმარხავი გვამებივით დაიარებიან დედმინაზე.

გენო კალანდია აფხაზეთის ომის მერე ხუთი წელი დუმდა. მტანჯველი სიჩუმის შედეგად დაიპატა მისი ბრწყინვალე პოეტური კრებული „რეკვიემი“ და თავის „ბრძოლის ველზე“ – თავის პოეტურ სამყაროში არა მხოლოდ აფხაზეთის სამარცხინო „ჯუჯა“ ომი, არამედ სამყაროს ყველა ომი გააშუქა და დაამარცხა.

რამდენჯერაც უნდა ნავიკოთო ეს წიგნი, რომლის ყოველი სტრიფი, სახე, ტროპი, მეტაფორა გულის ასაფეთქებელი ნაღმია, ლვარად მდის ცრემლები. მასენდნება ჩვენში ჩაძირული, ჩვენგან მოვიწყებული ბებრი სიტყვა – კათარზი-სი. რა მაღალი რანგისა უნდა იყოს პოეზია, რომ დღეს უძველესი სამარხებიდან დღის სინათლეზე ამოიყვანოს მოხუცი კათარზისი. გენოს „რეკვიემი“ საშიში ნიუარაა – ახლაც მიკვირს, როგორ გავუძელი ამ ნიუარაში დატეულ მეხთატებას, ღამეული ზღვის საშინელ ღმულს, გრიგალების ხმაურს, ზვირთების შემოტევას. ახლაც თვალწინ მიდგას სისხლის შეფეხბით აფორაჯებული სავსე მოვარეები, შევი მზეები, შებლგახვრეტილი ბიჭები, სამოსშემოხეული ქალები, ფეხშიშველა ბავშვები და ნიუარებში მოგუდული, გულისგამირავი შორისდებულები: ავაი, უია, ავაი, ვაჟმე – გულის დამფლეთი ოხვრა და ურვა.

„რეკვიემია“ ისეთივე დაღი დამასვა, როგორ დასაც ასვამს ომი ადამიანს. იგი იმდენად ღრმა და მართალი მწუხარებიდან გამოღწეული ნიგნა, რომ მის „შემოტევას“ გაძლება უნდა. არტურ რემბოს „მოვრალი ხომალდივით“ ირწევა მისი სტრუქტურა, მისი აღნაგობა, ყველა მისი სახსარი გულის ხეთქად ქცეულა ჩემს შეგრძნებებში, ტაქიკარდიის რიტმსა და მწუხარე ალიონებში, როცა გულით დაფლეთილი სიყვარული თუ სიყვარულით დაფლეთილი გული (ეს უკვე სულერთია) დამშეულ გაზაფხულზე ერთპაშად შემოგისვეს ზარების რეკვას. ოლონდ არა სიონისას – სიონის ზარი ჩემი სახლიდან შორსაა. უბრალოდ, კარს მომდგარ დევნილ უპოვართა ზარების რეკვას და ზღურბლთან ატუზული „ანტიგონე“ ოდნავ ელამი, შეშლილი მზერით უსიტყვიდ გაგრძნობინებს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ სწყურია სიცოცხლე...

გენო კალანდიამ უკვე იხილა თავისი ეპოქის ხორცშესმული დემონები, შავი ზღვა რომ შედებეს წითლად. გენოს კოლხი, ფორთობლისაფერ-მზისუფერი ქალები გადაფითრებულ შვილმკვდარ დედებად, სხეულდამდნარ, სამოსშემოფლეთილ სიდონიებად, ოფელიებად და ანტიგონებად აქციეს...

და, მიუხედავად ამ მძიმე, კოშმარული ხილვებისა, იგი არ გამოშრა, არ გამოიფიტა. გასაოცარია გენო კალანდიას პოეტური სიტყვის წვნიანობა, ტენიანობა, სინოტივე, ფერადოვნება, უფრო ზუსტად, სიციცასლე სამყაროს შეგრძნებისა და ეს შეგრძნები თითქოს მით უფრო ძლიერდება და ფაქტიზდება, რაც უფრო გამეტებით არბევენ მას ბარბაროსები. ყოველივე ამის გადატანას ადამიანები ვერ უძლებენ. მათთვის თანდათან უკვე ქრება ფერი, ქრება მუსიკა, ჩლუნგდება მგრძნობელობა – გენო კალანდიამ ხომ მათთან ერთად გამოიარა საკენ-ჭებერის გოლგოთა (და... მადლობა ღმერთს, გაუძლო!).

გენო კალანდიას პოეზიას ახასიათებს უცნაური რჩევადობა, რაზედაც არ უნდა ნერდეს – ქვაზე, სალმურზე, ქალზე... ეს რწევა, ეს ლიცლიცი, ეს სინატიფე, ალბათ, ზღვიდანაც მოდის. ამ თვალსაზრისით, ქართულ პოეზიაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამორჩეულად უანგბადიანია, იოდიზირებული და, ამდენად, ნაკლებად ბოლმიანი... და მანც ვფიქრობ, მისი პოეტური სიტყვის სინედრო, სინოტივის გამუდმებული შეგრძნება ცრემლის ბრალია, ცრემლისა, რომელიც, მართალია, მის თვალზე არავის უნახავს, სამაგიროდ, ლექსებს უსახსოვრა, ლექსებში ჩაღვარა.

ტანჯვა, სინანული, განწმენდა და განუწყეტელი ტერლვა ღვთის სიტყვისაკენ – აი, ძირითადი შეგრძნებები, რომელთაც გენო კალანდიას ამ პერიოდის ლექსები ბადებს.

სწორედ ეს შეგრძნებებივე იძლეოდა იმის საფუძველს და იმედს, რომ მის შემოქმედებაში ახალი ძიებები უნდა დაწყებულყო – როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივიც.

პირადად მე სულ ვფიქრობდი, ფსიქოლოგიურად, როგორ უნდა გამოსულიყო ამ მდგრამარებობიდან, ერთი პოეტური განზომილებიდან როგორ უნდა შესულიყო ახალ განზომილებაში. იდგა იმის საშიშროებაც, რომ ინერციის ძალას ზღვის ტალღებივით ისევ და ისევ არ დაებრუნებინა იოდისფერი გვამების ხილვა, ფესვებამოყრილი ხეების კვნესა, შეშლილი ბავშვების შეშლილი მზერა, შვილის თვალებგადაყლაპული, გაქვავებული დედის მონუმენტური ფიგურა, ლოტოვაგების ნაშლილი სახეები, ღირსებაშელაბული თვითმკვლელი კაცების ბოლო მოძრაობა... ურთიერესი იყო აქედან გამოსვლა, ამის გადაფარვა, საკუთარ თავში შურისძიების გრიგალების ჩაცხრომა. რომ არა ღვთის მადლი და შემწეობა, ამას მარტო კაცი ვერ შეძლებდა, ვერ მოერეოდა.

ღვთის წყალობით, მოერია და მისი „რეკვიემის“ ერთ დროს მგლოვიარე ხეე-

ბი, თმაგანენილი ქალებივით უფსკრულს დაკიდებულები, ზღვის ცოფიან ტალღებში აბურთავებული თუ ცეცხლნაკიდებულები გადარჩნენ, თანდათან შეიცვალენ. როგორც ტანთხელი კვიპაროსები, ხეები მონაზვნებს დაემსგავსნენ. თანდათან ჩაცხრნენ, დაიღალნენ, მიზუმდნენ ბოროტების სტიქომიები. პოეტის მშვიოთვარე სულიც უფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა და ნათელი ფერებიც გამოჩნდა:

უფალო, ქართლის ზემორე სოფელს
ორი ლამაზი დედაო სტუმრობს,
თოთქო იჯი ამოდის თოვლში,
თოთქო საყდარში შემოდის სურო.

გალობს, ლოცულობს, ვით ორი გვრიტი,
ორი დედაო ზემორე სოფელს,
რა დიადა იმათი გვრინა,
რა ლამაზია პატარა ფრონე?!

თავისი გენეტიკით, თავისი უშუალო წინაპრების ბებია-ბაბუებისა და მშობლების ბეგრაუნდით, ცხოვრების წესითა და გამოცდილებით სიკეთის გამხარებელი იყო ისედაც, მაგრამ, როგორც დიდი ქარიშხლის მერე, სანაპიროს სველ სილაში მოშებული ბავშვები გატაცებით ექცებენ ბერძნულ კაკლებსა და კიბორგჩალებს, გენო კალანდიამაც, რაღაც სხვა სიღრმითა და სხვა წყურვილით, დაიწყო ლტოლვა ღვთის სიტყვისაკენ. მისი დაჭრილი, ჭკვიანი გული თავისითავად, ძალდაუტანებლად ექცებდა და ეზიდებოდა ღვთის სიტყვას, სალბუნად – მალამოდ რომ დაეფინა მოყვასის სულზე.

ნელ-ნელა შედიოდა რწმენაში, თანდათან, დღითი დღე ძლიერდებოდა და ყოველგვარი ამპარტაგნობის გარეშე იკვეთებოდა განცდა:

ჩემსავით ერთგულს და ჩემებრ
მორჩილს,
კედარ შეხვდები ოდიშის ცის ქვეშ.

კეთილგონიერი ადამიანი ღვთის წინაშე არ ამპარტაგნობს. ამპარტაგნობას



სხვა მსმენელი ჰყავს, პოეტი კი ამ სიტყვებით უფალს მიმართავდა. ეს უფრო სევდითა და გულისტკივილით ნათქვა-მ სიტყვები იყო. თავისუფლებით რეტ-დასხმული მონები, ცოდვის მძველები ამ მორჩილების ფასს ვერ გაიგებენ.

იერებმისა გოდების მსგავსი ინტონა-ციები თანდათან მყუდრო, თბილი, იდუ-მალი აღმოჩენებით შეიცვალა:

უფალო, ისე ლამაზად ბარდნის,
ისე ქათქათებს ალუბლის ბალი,
თითქოს ვიღაცა კარიკარ დადის
თოვლის კალათით და თოვლის ჭალით.

ამ ლექსში თოვს ისევე თბილად, მშვი-დად და მყუდროდ, როგორც თავად სიტყვა „თოვლის“ ფონეტიკური მუსი-კა, აუსტერიური ულერადობა. თოვს: **თ** – აფაფუქებს, ამსუბუქებს... **თ** – დინამი-კას, მიმართულებას უსამს ხაზს, თოვს – ზევიდან ქვევით, ზეციდან ჩვენთვის გამოგზავნილი წყალობა...

ათოვს სიყვარულს და თოვლის

კარავს,
ათოვს მშობლიურ გზებს და ლელიანს,
თითქოს დილიდან ვარდებში ნვანან
დანიის პრინცი და ოფელია.

აი ეს კონტექსტი – მშობლიური გზე-ბისა და ლელიანის – უაღრესად გვიახ-ლოებს და გვინათესავებს შექსპირის პერსონაჟებს. კონტექსტი ზუსტია ინტო-ნაცურუადაც, ზუსტი და საშიშად რაფი-ნირებული, დასრულებული. დილიდანვე თეთრ ვარდებში წოლას სუდარის სიცივე და სიმინდე ახლავს, როგორც გალაკტი-ონის სარკაფაგიდან ნამომდგარი მუმიის ჩვენებას, როცა პოეტის გენიით მონუს-ხული გარემოც დაპინობებული ემორ-ჩილება შემოქმედის მზერას და სმენას:

სარკაფაგიდან დგება მუმია,
რა სიჩუმეა...
ჰაერი ლურჯი აბრეშუმია...

ეს არ არის ის, რასაც ჩვეულებრივ ლიტერატურულ ალუზის ეძახიან, ეს უფრო ზოგადსაკაცობრიო, ზოგადადა-მიანური მოვლენაა, როცა მიუხედავად კულტურათა, ცივილიზაციათა სხვაო-ბისა, დროითი თუ სივრცითი სიშორისა, მრნამსისა, ეთნიკური, ეროვნული რელი-გიური კუთხობლებისა, სხვადასხვა კონ-ტინენტზე მყოფ ადამიანებს ერთმანეთი-სა ესმით და ერთმანეთისას განიცდიან.

ასე ნელ-ნელა, თანდათან ვუახლოვ-დებით საგალობლების კარიბჭეს.

„რევივების“ სულისხმებრელი თავ-გადასავლების მერე, თითქოს რაღა უნ-და ყოფილიყო მეოთხველის „ინტერე-სის“ ლირისი, მაგრამ განა ჩვენი სულიერი ზრდისა და ნინსვლის პროცესი ნაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია, ვიდრე ქარიშმლიანი ბიოგრაფიები?!“. ბოლოს და ბოლოს, ეს ქარიშმლებიც და დაცემებიც ჩვენი სულის წვრთნასა და ნებელობის გამოცდას ემსახურება და ყველაზე დიდი ომის მოგბას – საკუთარ თავზე გამარ-ჯვებას ნიშნავს.

დიდი ღვანლისა და ძალისხმევის შე-დეგად მოპოვებული გმარჯვების მერე იწყებს გენო კალანდია უფალოთან უშუ-ალო საუბარს და საგალობლების ნერას.

თუ ამ ნაბიჯს, როგორც არჩევანს, ისე შეეხედავთ მეოთხველის პოზიციიდან, მა-შინ იქნება საქმაოდ ამბიციური ნაბიჯიც იყოს, რადგან ამ „ჟანრში“, ამ სფეროში ისეთი სიმაღლეებია დაძლეული, თითქოს რაღა უნდა ითქვას განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი. ხოტბა, მაღლიერე-ბა, ალფროთოვანება. ეს ყველაფური უკვე ვიცით, გავიგონეთ, გავიარეთ. და ჩვენი საუკუნის პოეტიც, განუსაზღვრელი მად-ლიერებისა და დიდების ჰიმნში, ოდითგან რომ აღავლენდა ადამიანი, თითქოს უნდა ჩაძირულიყო, გამქრალიყო, გაუჩინარე-ბულიყო, – როგორც მზეში დნება ყინუ-ლი, როგორც წყალში ქრება კოცონი.

მაგრამ არც გაქრა და არც გაუჩინარ-და, არმედ დათვრა, თანაც სად, თანაც როდის?! საყდარში, ნირვის დროს:



და მე საყდარში ვდგავარ და ვწირავ
 შენი დიადი სახელით მოვრალი...

სწორედ ეს მოვრალად ყოფნის აღი-
 არება განაცნობს მეოთხეულს ავტორი-
 სადმი სრული ნდობით და სწორედ ამის
 გულწრფელი აღიარებიდან ინტერესდე-
 ბი.

„საგალობლების“ ყველა ლექსი იწყე-
 ბა მიმართვით: „უფალი“, ეს სიტყვა ძა-
 ხილის ნიშნით კი არ არის გამოყოფილი,
 არამედ ჩვეულებრივი მძმით, რომლის
 მერც იწყება იმ ცხოვრებისული რეკის
 გადაშლა, რომელზეც ხსოვნის წუთები
 თუ ნამები წითელი ხაზებითა დაქსელი-
 ლი, თუმცა, არსებითად, პოეტმა იცის,
 რომ უფლის ხსოვნაში ყველაფერი ზედ-
 მიწერითი სიზუსტითა ჩაჩრილი. წით-
 ლად მონიშნული გზები და ხაზები კი –
 ეს უშუალოდ მისი პიროვნული და ადამი-
 ანური აქცენტებია, ლირის ლვთის წინაშე
 ნარდებისა.

იმდენად მისიანი ხარ და იმდენად შე-
 ნიანია, რომ აქ უკვე აღარ გეწოთირე-
 ბა უფლის შემოქმედებით მოვრალსა და
 აღირთოვანებულს, შენი პოეტური შთა-
 გონების მეტაფორული ნაყოფები შესთა-
 ვაზო. აქ აღარ არის არც ექსტაზი, არც
 ეგზალტაცია, არც სასონარკვეთა, არც
 განდიდება, არც მისტიკა. ეს ყოველივე
 დამცხრალია, გადატანილია. აქ არის სუ-
 ლის ყველაზე დიდი მონაპოვარი – სიმ-
 შვიდე და ამ სიმშვიდეში გულის სრული
 გადაშლა, როგორც ყვავილი ისლება მზე-
 ზე – ბუნებრივად და უანგაროდ. გეხმა-
 რება რჩმენა იმისა, რომ არა მხოლოდ
 პირადად შენი, ერთი კაცის ცხოვრება,
 ამბავი, სიუჟეტი, შემთხვევა, საქციელი,
 გულისთქმა ცნობილი მაღალი ღმერ-
 თისათვის. ამიტომ სრული გახსნილობის
 უამს, აღსარებაზე გასულს, თვით ისეთი,
 ერთი შეხედვით, „ნერილმანი“ შემთხვე-
 ვაც გახსენდება, როგორიცაა: ნირვაზე,
 ტაძარში მყოფს, ფარშევანგივით ქალი
 რომ დაგიდგა გვერდით და ერთი ქილა
 თაფლი მოგართვა. თაფლივით მდორედ

და გამჭვირვალედ მოედინება მეორე მო-
 გონებაც:

უფალო, ისი ღილკილოებით
 აქ ერთი რუსის დიაცი მოდის,
 როგორც მოლალურს ნახატი ფრთხი
 როგორც მდინარეს ტირიფის ბონდი,

უხდება უცხო ყვავილის კაბა,
 მზეჩაფენილი ფირუზის ქვებით...
 უფალო, რა კენა, რა გითხრა, აბა,
 როცა ისედაც ყველაფერს ხვდები?

ჰოროსკოპული ნიშნები, რომლები-
 თაც აღინიშნება თვეების, დღეებისა თუ
 წლების ასტროლოგიური მონაცვლეობა,
 ისე ღრმად შემოიქრა ჩვენს ყოველდღი-
 ურობაში, რომ მის გარეშე გადაცემა, სა-
 გაზეთო თუ საურნალო გვერდი აღარ
 არსებობს. ეს „თამაში“ გულუბრყვილო-
 ბის, ზედაპირულობის, ინფანტილობისა
 თუ მცონარობის იერს ატარებს და ერ-
 თვგარი ფუქსავატობის მანიშნებელიცაა.
 როცა ჩვენ მაგივრად ვარსკვლავები ფიქ-
 რობენ და განაგებენ ჩვენს ბედსა და ილ-
 ბალს, როცა, ვთქვათ, გველის, ცხრის,
 კურდღლის ანდა ცხენის ნელია და ჩვენც
 ამ არსებათა გამოსახულებებით პანია
 მედალიონებს ჯადო-სილისმებად ვიქი-
 დებთ გულ-მყერდით დაწყებული, მანქა-
 ნის „ბრელოკებით“ დამთავრებული.

უფალო, ცხენის ნელია ჩემთვის...

პირველივე სტრიქნი, რომელიც გე-
 ნო კალანდიას საგალობლების ციკლში
 გამოჩენდა, თავისი მოულოდნელობით,
 რომ არა ვთქვათ, პარადოქსულობით
 თქო (რაც არ უნდა იყოს, მაინც საგა-
 ლობლების ციკლია და არა ჩვეულებრი-
 ვი ლექსების), მართალი გითხრათ, ინ-
 ტერესს უფრო აჩენდა, ვიდრე უხერხუ-
 ლობის განცდას, რადგან მისი პოეტური
 მემკვიდრეობა და მისივე გემოვნება იმის
 გარანტია რჩებოდა, რომ ყველაფერი გა-
 ცილებით სილრმისეულად განვითარდე-



ბოდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა.
ასეც მოხდა:

**უფალო, ცხენის ნელია ჩემთვის
მეუჯვავითის ნელია ჩემთვის
მეუჯვაუელეს ნელია ჩემთვის
მათი ცხენების ჭიხვინი მესმის.**

„ცხენის“ სემანტიკას ქართულ ლიტერატურაში, ექრძოდ კი, პოეზიაში, ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს და გასაშიფრად სიმბოლოთა მთელს წყებას მოიყოლებს, ყოველ ჯერზე აბსოლუტურად განსხვავებულსა და უნიკალურს. საკმარისია გავისხვნოთ გალაკტიონის „ლურჯი ცხენები“, ბარათაშვილის „მერანი“, გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“ და ცხენზე ამხედრებული ჭაბუკი, გმისახურდის „მოყვარის მოტაცებაში“ ადიდებულ ენგურს (ცხენთან ერთად შეჭიდებული თარაშ ემხვარი და ა.შ.).

ჰოროსეული ნიშნის გათამაშებით გენო კალანდიამ არაჩეულებრივი სიიონლით დაუბრუნა ცხენს თავისი ადრინდელი დანიშნულება, გამჭვირვალე ქვეტექსტი და როგორც ისტორიული, ისე დღევანდელი პოლიტიკის მწვავე პერიპეტიები წარმოაჩინა.

**ბაშტი კალია გადადის ყირას,
ცრემლში იხრჩობა მაისის ია,
სოფელში მამლის ფრთხიალს და
ყივილს
ჩემი მამულის სიცოცხლე ჰქვია.**

იშვიათად, მაგრამ ამგვარი სიხარულისმომგვრელი წამების შემგროვებლად იქცა თითების პოეტი და ამ ყოფით, მიწიერი სიხარულის მომგვრელ წამებსაც უფრო და უფრო დაედო ფასი. ასე რომ, მე არ ვიზიარებ წლებთან ერთად ემოციური თუ წარმოსახვითი უნარების ცვეთის თეორიას. პირიქით (თუმცა, შესაძლოა, ეს სულიერი მხნებისა და ფიზიკური ენერგიის ხარისხზეცაა დამოკიდებული). ლიტერატურათმცოდნეობის

სფეროში თითქოს ერთგვარ აქსიომადა მიჩნეული, რომ პოეტური შემოქმედებისათვის გენიალურობის ხანა ახალგაზრდობაშივე მთავრდება. არც ეს მიმართია ჭეშმარიტებად. უბრალოდ, არიან ადამიანები, რომელთა მიერაც ცხოვრების ათვისებისა თუ გათავისების ტემპი, სამყაროს პოეტურად აღქმის უნარი ენერგიის ისეთი წვით, სიჭარბითა და სისწრავით მიმდინარეობს, თითქოს ისინი მოსწრებაზე არიან, ათი წლის მარაგს ერთ ნელი-ნადში ხარჯავენ და ფლანგავენ.

ამ თვალსაზრისით გენო კალანდია ქართულ სინამდვილეში უფრო აკაკის, გრიგოლ ორბელიანის, ოთარ ჩხეიძის ბედის გამზიარებელია. ამის დასტურად თუნდაც „რევეივმის“ შემდგომ პერიოდში შექმნილი მისა ბრწყინვალე, ულამაზესი სონეტების მოხმობა საქამარისა, რომ ალარაფერი ვთქვათ საგალობლებზე.

**ცა იყო, როგორც ზაფხულის საგაირველი ვარდი და შრომანი ენთო,
ასე ბედემნილი და ასე კარგი,
ჯერ არ ვყოფილვარ არასდროს,
ლმერთ!**

ამის შეგრძნებას უფრო ასაჟში ედება ფასი, როცა წლებთან ერთად მოლეულია სიყმანვილისა თუ ადრეული სიჭაბუკეს გატაცები, ვნებები. ეს სიტყვები მხოლოდ უნიჭო და არაკეთილგანწყობილ მკითხველს შეიძლება აერიოს წარცისზმი, თვითტებობაში. ეს უფრო იმ ბედნერი წამისა თუ წუთის მოხელთებაა, როცა მადლიერი ხარ სიცოცხლის – ამ უანგარი საჩქერის, რომელსაც როტული, მაგრამ ღირსებადაუკარგავი ცხოვრებით უპასუხე. არსებითად კი წლები არ განსაზღვრავენ ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობას. ჩვენ ვცოცხლობთ იმდენ წამს, რამდენი წამიც გვამახსოვრდება. ჩვენ ვცხოვრობთ წამებით.

რამდენი წელიც უნდა გავიდეს, რამდენი პოეტური კრებულიც არ უნდა გამოსცეს ამიერიდან გენო კალანდიამ,



დარწმუნებული ვარ, გადატანილი ომის ჩვენება თუ ხატება არასოდეს მიატოვებს მის პოეტურ ხილვებს, რადგან პოეტი ღია ჭრილობაა. ამიტომ ხშირად საგალობლის მღვიმებიც ისეთივე ნოტი, რინის ტბის-ფერი ცრემლებითაა დაცვარული, როგორც ათინის გამოქვაბულის სტალაქტიდები, დროუამითვე გაქვავებული და დროუამითვე გაქვავებული მწუხარების ლოლუები. თითქოს ვარძიის კლდეში ზაკვეთი ნიშის სიმაღლიდან ვინებ მწირი თუ ბერი დასცეურის მინის მწუხარე დინებას:

**მიდიან... ტყვია-წამალი მიაქვთ
მინანქებივით ღამაზი მხერებით
დაყვურებ ჩუმად სამარეს ღიას
და ყველა ომში თავიდან ვხვდები.**

ესაა უიშვიათესი, სევდიანი საგალობელი ომზე. ერთი მხრივ, ტყვია-წამლის სიმძიმე და მეორე მხრივ, მინანქერის მხერების სიმსუბუქე, როგორც კაცისა და ღვთის ხელის შემოქედება, როგორც სიკვდილი და სიცოცხლე, ისე ანყვია თვალებაკრული თემიდას სასწორზე. არჩევანი კი ჩვენზეა – თავისუფლებით დასჯილებასა და თავისუფლებით დაჯილდოებულებზე ერთდროულად.

უცნაური ჯადო აქს პოეზიას – ყოვლის დამტკე ელვარე სახეებს, შედარებებს, ტროპებსა თუ მეტაფორებს ძვირფასი თვალმარგალიტივით ინახავს თავისი ხსოვნის ზარდაშებში. როგორც მუსიკალური მოტივი, მელოდია, ისე ჩჩება მეხსიერების სარკოფაგებში. ხასიათისა და განწყობის მიხედვით ხდება ამ საუნჯის სამზეოზე გამოსვენება. ხუფის ახდა და ნართმული, გაყიდული, ნაღალატევი სინმინდების კვლავ თავიდან აელვარება.

საგალობლებში ხშირია განცდა, რომ გენ კალანდიას სტროფები პირდაპირ ხილვებით გაჩერილი სურათებია და ამ იდუმალებით მოცულ პროცესს ჩვენც ვესწრებით:

**უფალო, მარტის, აპრილის თვეში
ჰგავს ერთ მდინარეს მცხეთასთან
მტკვარი,
დგას შუანელში გაშლილი პეშვით
ნათლისმცემელი და სველი კვართი.
ხასხასებს, როგორც წვიმაში ვარდი,
მალე ძე ღვთისა – ღალი და მშვიდი –
მიეახლება წიგნით და სანთლით
და განათდება ცა თოხივ კიდით.**

ეს მდინარე, რა თქმა უნდა, იორდანეა და მცხეთაც ხომ „მეორე იერუსალიმად“ ნოდებული ქალაქია.

რამდნადაც მარადოული, ფუნდა-მენტური ლირებულებების ერთგული და ცხოვრების წესითაც ტრადიციული ქართველი კაცია გენო კალანდია, იმდენად, როგორც შემოქმედი, აბსოლუტურად თავისუფალია. იგი არც ზოგადად და არც კონკრეტულად უანრულ კანონებს არ ემორჩილება. კერძოდ: საგალობელთა პიმნოგრაფიულ თუ ჰაგიოგრაფიულ კანონებსა და სახისმეტყველებას. იგი არღვევს ხატენერის კანონებს ისე რომ არსი ხატისა და მისი ძალის გამოსხივება უცვლელია. ღვთისადმი პოეტის მიმართვის ფორმა და შინაარსი სრული თავისუფლებით ხასიათდება.

გენი კალანდია არ არის შეშინებული და ინდულგენციის მომლოდინე. მისი აღსარების თავისუფლება და უანგარიბა იქიდანაცაა, რომ ეს არ კეთდება არც სამოთხისა და არც ჯოჯოხეთში მოხვედრის მოლოდინით, არც ჯილდოსა და არც სასჯელის გათვალისწინებით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ნერის პროცესში მას არც საკუთარი თავი ახსოეს, უფრო ზუსტად, ახსოეს იმდენად, რამდენადაც შეცდომასთან, არასწორ ნაბიჯთან, საქციელთან, ცოდვასთან ასოცირდება. მის ნინაშე უფალი, როგორც დროისა და სივრცის უსაზღვროებაში აგებული მამის სახლი, ისე მოჩანს და მას უძღები შვილივით ენატრება ეს სახლი. იგი კაცია, ადამიანია, სამყაროს რელიეფზე მოხეტიალე ყოვლისმნახველი და გადამტანი



մողթայրնա. თուդյոն նոնասնար ցրճնօնծ და ուզուի, րոմ զերազոն ույ զեր ցաւացեծ და արացու մուս ցամրինա ույ ար ցաւ- ხարգեծ, րոցորու մամաս. ամուտոմ մեռ- լուն մաժոն մոռուցենք და დაմშշութեծ, րուպա დահոյիլու და մամու կալտամու տավ- ჩարցալու մտլունա ցաւացելու ցաւլս, մտլունա ամոցու და ցաւացութելու ցարգի ჩամերիցալ սուպպացեծ...

**ՏՎԵԼՈ ՄԱՋՔՅ, ՏՎԵԼՈ, ԱՇԽԱՑՈ ԺՎԵԼՈ
ԻՐՄԵԺԻ ՄԱՐՑՈՂՈ ԿԱՎԵՑՈ ՏԵՍԵԼՈՆ.**

.....

Մաջալո, Տաֆալա ցաւիրդու մտամու որո ախալո Տայլացու ցաւըրդու, Գորունա, Եղեծա, մոտէցամա ձավշչո Շեմրենցեցալու տավու ցարգու. Բայց նախորու ցուցացու ցաւաչյ մոնաւրիցեցալոն յարսա დա յրժու, – Ռուտուն? ո, Ռուտուն ցանորդ այս, ամօցեն նալու յարտցալո, Ըմերտու?!

Ես յրտագերտո լեյսո-Տապպացալու նոցնի და ույս Շեսրուլեցալո, րոմ յս Տապպացալու Տագալոბլա ալոյմեծա.

Մայս Տայցանցեծու օդամալու ալյոմոյու սեծո ամծութենք: „Մայս Տեսուլս Տեսուլու Տագան զեր დաւլո, զերացրես մուճնց“.

Ռոցոր մոցու դ, բա մոցպանա Տագա- լունացամա մայս ցեն կալունդու. այս մո- նու, ցամշամա մայս նշրտնամ, բատա Տես- ուլունացան დաւլունոյու, ամառ ցոյրյ- ծուսացն, շացնո, ցոյսի ունցեցնու და յմուրու ցոյսուսուսացան ցատացուսու- լունոյու.

Տեսպայիմու Տագալունացամա մայս, Տես- տա დաւիրեցու դան - Տեսուլտա Տագալունացամա ամ ցանչյ Շեգցու մա եցեա յանալու, մեռլուն Տեսուլունու, մեռլուն աժամուն- յու մալունեցու տանդաց յս մալունեցա ձուցիսա ոյս. յս արց շուպանց մոյցու- ցու եցեա დա արց մոյրալունց պանց մեխու ցաւարգնու. յս եցեա մեցուտարյ

Տոնցուսու նպալոնծու, րոմելու ար ցա- ւեցեծ, րոմելու յանդրո ցուցացա, րո- մելու ցամրինա որոնց յո ար ցմուրնօնծ, մեռնելունու ցուցացեծ, ցեցազա, եցազա Շենս բանչազա, Տայշտար տավտան Տամոն- ցալու Շենս ոմս դա ամուտոմաց ցեմար- յա, ցամենցազեծ, ցամուլու ցաւելու յալո, րոմ դա յաջերո - Շեն ցաւունու յարցի Տար, ցաւունու մեռնելունունու, Տայշտար, Տայշտար, Տա- ամապո, մուսածածո, որոնց յց պայլացյուրո մոուուլու, ամուուլո Ռոցորու յալունո Տեսու- նու նպալունունու - մոմշունդո, ցամենցազու, մոռնու իշմունա, մոռնու իշմունա:

Շենո Ցեռցրեցու ցաւելո Տոխարյալո დա ցաւելո ցանսացու յալո -

ԵՍ ԻՐՁԳԱՆ ԿՈՎ...

Տեսու յրտ-յրտ Տագալունցու ասյտո րամ յունցերու:

**ՄԱՅԱԼՈ, ԿԱՖԻ ՑԵԿԵՑՈ ԾՈՒՇԵ
ԾՈՒՇԵ ՄՈՑ ՑԱՎԱՆԻ ՑԵԿԵՑՈՆ ՏՈՆԱ.**

Ամ մոցնեցամ տու ալմորինամ Ցոնունու ցերմանցու մենցրու Տանամյաժրունցուն- ծու նունցու քրանսւնցնունց կուրտաց “ալուարյցալու դա քերման քես մոյր նո- նցունու քրեմունչ նարգցենու ձարոնց- սա ցերմանց յոն լուցուրու մենցը լուտուսամունցունա ցամակենա:

**ՄԱՅԱԼՈ ՏԵՍՈՒԼԵՑԵՑ ՑԵԿԵՑՈ:
ՏԱԿՐԱԼՈ ՖԱՎԵՐԵ, ԸՐԻԺՄԱՆ, ՏԱԿՐԱԼՈ
ԸՐԻԺՄԵՑԵԼՈ ՇԵՆՈ ՏԱՄԵԼՈ**

ՏԵՄՄՈՏԱԼՈՒՆՑԵՑ,

մացրամ ամ յեպնամ ցեր յունու օգո.


ՄԱՅԱԼՈ ՏԵՍՈՒԼԵՑ ԵՍ ՏԱԿՐԱԼՈ

ՏՎՈՒ ԺԻՐՈԼՈՒ ԲԻՋՄԻ ՏԿԱՆՈՒ.

(Տարցման մանան ցայտունունուս)

Կամաց նամացու կուրտու Տեսու ժրո- լունցու դանսերու դա տու Շեմելո դա ցաւալս ցաւունու յարո ցաւլու նու ցեմինու, մամին ժրոլունցու ցալոնծաս ինցեծս.

3 ასტანბ გურია



მოთხრობებად ქცეული ადამიანები გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდა“

„ადამიანთა სევდით“ გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ერთი დიდი ეტაპი დასრულდა. იდეურობითა და სიუჟეტის განვითარების ორიგინალობის თვალსაზრისით, „ადამიანთა სევდას“ მხოლოდ „სულემის კიდობას“ თუ შევადარებთ.

გოდერძი ჩოხელი აზრის გამოხატვის, ფორმისა და სათქმელის მკითხველამდე მიტანის ნამდვილი ოსტატი იყო. მნერლის ისტატობა ნაწარმოების აგებულებაშიც მულავდება. მისი პატარა მოთხრობებიც კი, ერთი შეხედვით, თუმცა ნუტში რომ „უნდა ნაიკითხო, იმდენ საფიქრალს აგიშლის, სიცოცხლის ბოლომდე გაგყვება. გოდერძი ჩოხელის მოთხრობებმა ადამიანთა მოდგმის, კაცობრიობის დიდი სატკივარი დაიტიქს. ეს თავისთავად საოცრებაა. საოცრებაა ისიც, რომ თითქმის ყველა მოთხრობის სიუჟეტი გუდამაყარში ვითარდება და ამ მოთხრობათა ყველა პერსონაჟი გუდამაყრელია. როგორ შეიძლება, ნერო კაცობრიობის სატკივარზე და არ გასცდე გუდამაყარსა და გუდამაყრელებს? გოდერძი ჩოხელმა დაამტკიცა, რომ ეს სავსებით შესაძლებელია, თანაც შესაძლებელია ისე, რომ ყველა მოთხრობა, მცირე თუ დიდი ზომისა, ერთნაირი ინტერესით იყითხებოდეს.

სრულიად ასალგაზრდა გოდერძი ჩოხელმა რამდენიმე წლის განმავლობაში

უამრავი ნაწარმოები შექმნა. როგორ ააგო მნერალმა ამდენი სიუჟეტი? ეს საიდუმლო ისევ გოდერძი ჩოხელმა ახსნა „ადამიანთა სევდის“ პირველსავე გვერდზე:

„ახლა ყველა ადამიანი მოთხრობა მგონია და ყოველ მათგანს სათაურს ვუძებნი. აი, სადმე რომ შემხვდე და ლაპარაკი დამიწყო, იმწუთში ნაწარმოვიდგენ, რომ მოთხრობა ხარ და სათაურს გამოგიძებნი.“

გოდერძი ჩოხელი გვარნშენებს: „ყველა გუდამაყრელი მოთხრობაა, რომელსაც მხოლოდ სათაურის შერჩევა სჭირდება“, მაგრამ თვით გუდამაყარი რალაა? მნერლის აზრით: „გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია და შიგ უამრავი მოთხრობაა“.

თითქოს მოულოდნელია, რომ მნერალი, რომელმაც უკვდავი ძეგლი დაუდგა გუდამაყარსა და გუდამაყრელებს, ასეთ რამეს ამბობს: „თავდაპირველად მარტო გუდამაყრელები მეჩვენებოდნენ მოთხრობებად, ახლა, ვინც უნდა იყოს, და რა ეროვნებისაც უნდა იყოს, მოთხრობა მგონია. თუ აქამდე მარტო გუდამაყრის ხეობა იყო უცნაური მოთხრობებით სავსე წიგნი, ახლა მგონია, რომ დედამინა არის მზით და მთვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი მოთხრობა დადის“.

ლევა ხამურზა ბეი ისეთივე მოთხრო-

ბა იყო გოდერძი ჩოხელისათვის, როგორც ხევსური ჯურნა; ხევსური მგელია ისეთივე მოთხოვბა იყო, როგორიც – ქისტი ქორძო. გუდამაყრისა და ხევსურეთის მსგავსად, ქისტეთიცა და ლეკეთიც დიდი წიგნი იყო მწერლისათვის.

ოსტატს, ერთი შეხედვით, ყველაფერი ადვილად გამოსდის. გოდერძი ჩოხელი ოსტატი იყო, მაგრამ ადამიანის მოთხოვბად ქცევა მისთვისაც არ უნდა ყოფილყო ადვილი. მწერალი გვარნმუნებს, რომ ადამიანის მოთხოვბად ქცევა, ანუ მოთხოვბის დაწერა „უხილავი შემოქმედის ხელით“ ხდება: „დედამინა არის მზით და მთვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი მოთხოვბა დადის. ოო, იცი, რა დიდებულია ეს წიგნი! თვითონ მოთხოვბები უდაგმენ კარგ მოთხოვბებს ძეგლებს, უზღლავი შემოქმედის ხელით ინწერება და იშლება ეს წიგნი... ნეტა მაცოდინა სად არის ის დალოცვილი მწერალი, რომლის ხელითაც ინწერება ეს დიდი წიგნი. ან დასაწყისი სად აქვს, ან დასასრული“.

„უხილავი შემოქმედი“ წყალობას მხოლოდ რჩეულებისათვის გაიღებს. ეს წყალობა კი დიდი ტანჯევის ფასად მოდის: „ალბათ ვერ ნარმოიდები, როგორ ვიტანჯები: რომ არ დავწერო, არ შემიძლია, არადა რა დავწერო, როგორ დაწერო... დაწყება მიჰირს. ალბათ, შემოქმედსაც ძალიან უჭირდა დაწყება, როცა სამყაროს წიგნის ნერა დაინყო. როგორ მინდა ზუსტად ისევე დაგინწყო და არ დავამთარო“. გოდერძი ჩოხელმა მაინც გაბედა და დაიწყო ნერა გუდამაყრასა და გუდამაყრელებზე, იმ გუდამაყრაზე, რომელიც თვად იყო „უცნაური მოთხოვბებით სავსე წიგნი“. ამ წიგნს ავტორმა „ადამიანთა სევდა“ უწოდა.

„ადამიანთა სევდაში“ მწერალმა უამრავი გუდამაყრელი აქცია მოთხოვბად და მართლაც დაგვარნმუნა, რომ „გუდამაყრის ხეობა იყო უცნაური მოთხოვბებით სავსე წიგნი“. „ადამიანთა სევდა“ არ არის მოთხოვბების უბრალო კრებული. თითოეულ ნანარმოებს რომანის სიუ-

ჟეტში თავისი ადგილი უკავია და ერთი მთლიანის აუცილებელი ნანილია, რომანის მთავარი იდეის გადმოცემისათვის გამიზნული.

გოდერძი ჩოხელმა არც ამჯერად უღალატა თავის სტილს. „ადამიანთა სევდის“ სიუჟეტი აბსურდა: ჩოხელები გადანყევეტინ, გუდამაყრის ხეობის სოფლები დალაშერონ, რათა ჩოხელების უპირატესობა აღადგინონ. უპირატესობა კი იმაში გამოიხატება, რომ ოდითგანვე გუდამაყრის არც ერთ სოფელს არ ჰქონია უფლება, ჩოხელისათვის ქალის მითხვებაზე უარი ეთქვა, თუნდაც სასიძო კოჭლი ან ბრმა ყოფილიყო. აბსურდს ძალზე მიმზიდველს ხდის ლაშერობის მთავარსარდლის, ტიპური ნაცარქექიას, ვაჟი გოგის მონათხოვბის თავისი „საგმირო ნარსულის“, მის მიერ მოფიქრებული ლაშერობის „სამხედრო-სტრატეგიული გეგმისა“ და ცალკეული სოფლის დაკავების „საბრძოლო“ სცენების შესახებ. მოცემულ სიუჟეტში ვაჟი გოგისთან ერთად ძალზე საინტერესოა დეკანოზი (მედროშე) ბიბლია თავის „უცნაური, ახილებული და გულუბრყვილო აზრებით. აბსურდული სიუჟეტის მიმზიდველისა განაპირობებს ლაშერობის თითქმის ყველა მონანილე: სალომე, შეთე, გარახტინაი, კოტორაანთ ქალი და სხვები.

რომანის დასაწყისი (ვაჟი გოგის ტრაბახი, „ქათმების მთავარსარდლის“ გალილეის ომბანას თამაში) მეოთხეულს აფიერებინებს, რომ რომანი ასეთივე მხიარული ამბების ფონზე გაგრძელდება, მაგრამ მთავარსარდალი ვაჟი გოგი, დეკანოზი (მედროშე) ბიბლია და სხვები მშეღებელი უკან პლაზე გადაინაცვლებენ და მწერალი სათქმელს რამდენიმე პერსონაჟის პირით გვამცნობს. ეს პერსონაჟები არან: სამხარაული – მოლაშერეთა ისტორიებს-გეოგრაფი (მემატიანე), ქიმბარი – ფილოსოფის, ჩალი – მოლაშერეთა მწერალი, გამიხარდაი – დარდების შემგროვებელი.

ცნობილია, რომ ყველა დიდ ლაშერობაში მთავარსარდალს ოდითგანვე თან

ახლდნენ ისტორიულსები (მემატიანები), მწერლები, ზოგჯერ კი ფილოსოფიულსებიც. გოდერძი ჩოხელმა ამას დაუმატა სრულიად ორიგინალური მონანილე – დარდების შემგროვებელი. ასეთი ფუნქციის მქონე მოლაშქრე ისტორიას არ ახსოვს, ე.ო. ცხადია, რომ ესეც აბსურდია.

ის, რაც გოდერძი ჩოხელმა გამიხარდას მიერ შეგროვილ ადამიანთა დარდების, ქიმიკარის ფილოსოფიური და ფილოსოფიურ-რელიგიური დიალოგების სახით ნარმოვებიდან, მწერლის მთავარი სათქმელია, მაგრამ ეს საქმარისი არ იქნებოდა ისეთი რომანის შესაქმნელად, გოდერძი ჩოხელს რომ ეკადრებოდა. ამითომაა, რომ ჩოხელთა სახელოვან ლაშქრობას და მთლიანად ამ რომანის ძალშე საინტერესოს ხდის მემატიანე სამხარაულისა და მწერალ ჩილის მონათხრობი, რაც ორგანულად ერწყმის რომანის სიუჟეტს. რომანის სიუჟეტი ისტატის ხელითაა შეკრული და უამრავ პერსონაჟსა თუ ამბავს აერთოანებს.

„ადამიანთა სევდას“ თამამად შეიძლება უკნოდოთ „გოდერძი ჩოხელის სევდა“, რომელიც მწერალმა გუდამაყრელების პირით გვაუწყა, თუმცა, ცხადია, რომ ეს საერთოდ ადამიანთა მოდგმის, კაცობრობის სევდაა.

დარდების შემგროვებელი გამიხარდა ჩოხელების სახელოვანი ლაშქრობის წინ მოლაშქრების დარდების შეგროვებას (ჩინერას) იწყებს. ვაჟი გოგის სადარდებელი თითქოს არცთუ ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ „სახელოვანი მთავარსარდალი“ სერიოზულად განიცდის იმას, რომ „ხშირად ადამიანს ისე არ აფასებენ, როგორც უნდა აფასებდნენ“. ტიპური ნაცარქექია ამჯერად კაცობრობის უძველეს და დღემდე დაუძლეველ სადარდებელზე მოგვანაშნებს. რა იცოდა გოდერძი ჩოხელმა, რომ ვაჟი გოგის სიტყვები მასზეც ზედმინებნით ახდებოდა.

საინტერესოა ჩოხელთა სახელოვანი მოლაშქრის, „ზარის მრეკეველის“, სებასა და დარდების შემგროვებელ გამიხარდა-ის მოელე დიალოგი:


„— რა გადარდებს?

— არაფერიც არ მადარდებს!“

ადამიანს რომ არაფერი არ ადარდებს, არის თუ არა ეს კაცობრიობის სადარდებელი? გოდერძი ჩოხელს სწამდა, რომ სწორედ ადამიანის უდარდელობა იყო დიდი სადარდებელი.

ძალზე მნიშვნელოვანია მოლაშქრეთა ისტორიულის (მემატიანის), სამხარაულის და გამიხარდაის დიალოგი. სამხარაულის დარდი ისაა, რომ გუდამაყარი „ისტორიულად და გეოგრაფიულად მივიწყებული და მოუხვედრელი ადგილია. ხევსურებს იცნობენ, ფშაველებს იცნობენ, თუშებს იცნობენ, მთიულებს იცნობენ, მოხვევებს იცნობენ, და რომ სთქვა, გუდამაყრელი ვარო, ყველა სიცილით მოკვდება“.

ერთხელ გოდერძის ვუთხარი: იმერეთს, ქართლს, სვანეთს, კახეთს, გურიას, ხევსურეთს, თუშეთს, რაჭას შორის სხვაობა რომ ნამშება, საქართველოც ნიაშვება მსოფლიოს რუკიდან-მეთქი! შემომხედა, მძიმე ფიქრებში ჩაეფლო და კარგა ხნის შემდეგ მითხრა: „ასე იქნება“. მე გვანა მივხვდი, რომ იმ წუთებში გოდერძი ჩოხელი თბილისში კი არ იყო, არამედ გუდამაყარში, ჩოხში და უკან დაპრუნება აღარ უნდოდა. იყო თუ არა სამხარაულის დარდი კაცობრიობის სადარდებელი? იყო! სამხარაულის დარდი სულაც არ არის მარტო მცირე ერგების სადარდებელი, იგი მრავალრიცხვოვანი ერგების „ჯაგრიცაა“, თუმცა არავითარ ზიანს არ აყენებს საქართველო და საქართვისა გერმანულ სახელმწიფოს; არც გასკონელი და გასკონის უშლის ხელს საფრანგეთის წინსვლას; ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას სულაც არ აშფოთებს ის, რომ ტეხასელი ამერიკელი ბევრი რამით განსხვავდება და კოტელი ამერიკელისაგან. ჩვენ კი ერთ დროს (და ხშირად ამჟამადაც) გვრცხვენოდა იმისი, რაც სულაც არ არის სამარცხვინო, კუთხერობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ვცდილობდით მოგვესპო ის, რაც ოდითგანვე კვებავდა საერთო ქარ-



თულს და ქვეყნის ძლიერების დაუშრე-
ტელი წყარო იყო.

გოდერძი ჩოხელს ეამაყებოდა, რომ
გუდამაყრელი იყო. მან ხომ სამყარო
ასეთი თანმიმდევრობით აღიქვა: ჩოხი →
გუდამაყარი → საქართველო. გუდამაყა-
რი მისთვის არ წარმოადგენდა მხოლოდ
„ხეობას, რომელზეც შავი არაგვი მოდის“.
ეს მხარე მისთვის მთელი სამყარო იყო,
„უცნაური მოთხრობებით სავსე წიგნი“.
სწორედ აქ გადაუშალა შემოქმედმა მწე-
რალს ეს წიგნი და უბოძა მისი წაკითხვის
ნიჭი. ვისაც გოდერძი ჩოხელის გუდამაყ-
რელობა აღიზიანებდა, რატომძაც ავინ-
ყდებოდა: ვაუ-ფუშაველასათვის ფშავი
იყო „უცნაური მოთხრობებით სავსე წიგ-
ნი“, ალექსანდრე ყაზბეგისათვის – ხევი,
დავით ელდიაშვილისათვის – იმერეთი...

ლაშქრობის მინანიშნულობობის ფილოსოფის
ქიმბარისა და დარღების შემგროვებელი
გამიხარდას დაალოგი ფილოსოფიურ-
რელიგიური ხასიათისაა და ერთ-ერთი
ყველაზე ხაინტერესობა „ადამიანთა სევ-
დაში“:

„– რა გადარდებს?

– დასაწყისი სად არის, ის არ ვიცი.

– რისი დასაწყის?

– აი, ყველაფერი იმისა, რასაც ვხე-
დავთ და არ ვხედავთ“.

გამიხარდა, ქიმბარისაგან განსხვავე-
ბით, ცდილობს მარტივად ახსნას ის, რაც
ფილოსოფობს ვერ აუსხნია. ამჯერად გა-
მიხარდა პასუხობს ფილოსოფოსის შე-
კითხვას:

„– მაშ თუ იცი, დასასრული სად არის?

– დასასრული სიკედილია“.

ქიმბარი კატეგორიულად არ ეთანხმე-
ბა ასეთ მარტივ ახსნას:

„– სცდები, ტყუილია.

– რატოა ტყუილი?

– სიკედილიც დასაწყისია, მაგრამ
მთავარი არა, მთავარი დასაწყისი სხვა
რამება.

– ღმერთი?

– შეიძლება ღმერთი, მაგრამ სად
არის?“

ფილოსოფიურ-რელიგიური ხასიათის

დიალოგი ქიმბარის დასკვნით მთავრდება:
„– ჴ, ვიცი, რომ დასასრული და და-
საწყისი ერთად არიან, რომ დასასრულში
დგას დასაწყისი, მაგრამ როგორ, რანაი-
რად, სად არიან?“

ქიმბარისა და გამიხარდას საუბარი
მთავრდება თითქოსდა სრულიად უმ-
ნიშვნელო დიალოგით. თავისი ასაკის,
დროისა და ვითარების შეუფერებელი
ცეტობისათვის გალილე, რომელიც ვაჟი
გოგის საგმირო საქმებისადმი ინტერესს
სულაც არ იჩენს და ქათმებთან თამაშს
განაგრძობს, ვაჟი გოგიმ ბოძზე მიაბა.
ჩიგამიხარდა ქიმბარს ეკითხება:

„– გალილე რომ ბოძზეა მიბმული,
არ გადარდებს?

ურთისულეს პრობლემაზე დაფიქრე-
ბული ქიმბარის პასუხი სრულიად მოუ-
ლოდნელია. დიალოგი ასე გრძელდება:

– არა.

– რატომ?

– რა ჩემი საქმეა, გალილეი დაიმსა-
ხურა და მიაბეს, შენ რატომ არ ახსენი?

– არც ჩემი საქმეა.“

სულ ცოტა ხნის წინ ქიმბარი და დარ-
დების შემგროვებელი გამიხარდა საკა-
ცობრიო პრობლემებზე მსჯელობდნენ. მოპაცექერნი კარდინალურად განსხვავე-
ბულ პოზიციებზე იდგნენ და ვერაფერ-
ზე შეთანხმდნენ. სამაგიეროდ, სრულიად
მოულოდნელად შევერდნენ იმაზე, რომ
უწყინარი გალილეის გათავისუფლება მა-
თი საქმე არ იყო. გალილეის ბოძზე მიბმა
და მისდომი ქიმბარისა და გამიხარდას
ამგვარი დამოკიდებულება შემთხვევით
არ მოხვედრილა „ადამიანთა სევდაში“. მოყვასის ბედისადმი გულგრილი დამო-
კიდებულება – „რა ჩემი საქმეა“, „არც
ჩემი საქმეა“ ადამიანთა მოდგმის სადარ-
დებლად რჩება დღესაც.

ყველა ადამიანს, ცხადია, არ შეიძლება
საკაცობრიო სადარდებელი ანუხებდეს. ამიტომაა, რომ გოდერძი ჩოხელმა რომან-
ში ისეთი „დარდებიც“ შეიტანა, რომელიც
უხვად გეხდება ყოფით ურთიერთობაში. ფილოსოფობს ქიმბარისა და ჩოხელების
მიერ დამორჩილებული, სოფელ ჩობალა-

ვახტანგ გურიაშვილი

ურის მკვიდრის, სოლომონ წიკლაურის დიალოგი კი ისევ ურთულეს რელიგიურ-ფილისოფიურ საკითხებს ეხება:

- „ადამიანი რომ კედება, სად მიდის?
- იცვლებაო ადამიანი, ასე გამიგონია.
- რა აზრი აქვს კაცის ხანგრძლივ სიცოცხლეს?
- სიცოცხლე გვიყვარს, მეტო არაფერი.

ამის შემდეგ უფრო რთულ კითხვას დასვამს ქიმბარი:

- როგორ გვინია, ეს დედამინა სულ მუდამ იარსებებს?
- რა თქმა უნდა, მე ეგრე ვფიქრობ. მაშ, რამ უნდა ჰაჭამოს, რომ ვთქოთ?
- ომი რომ მოხდეს?
- ომი არ არის, თქვენ რომ დაგვესხით, მა რა არის?
- დიდი ომი რომ მოხდეს?
- ომი მინის ზევიდან იქნება, დაბლიდან ხო არა. დედამინა რატომ ჰქვია - ომსაც ჰაიმრობს და სისხლსაცაო".

დიდი ომის შედეგად დედამინის, სამყაროს დალუპვის შესაძლებლობის საკითხის დასმა შემთხვევითი არ ყოფილა. ეს ცხადი გახდება, თუ გავიხსნებთ, როდის გამოვიდა გოდერძი ჩოხელი სამნერლო ასპარეზზე და როდის ინერგოდა „ადამიანთა სევდა“. იმხანად მრავალი მეცნიერი თუ პოლიტიკოსი აცხადებდა, რომ ბირთვული ომი ერთიანად მოსპობდა სამყაროს და დედამინაზე სიცოცხლე შეწყდებოდა. გოდერძი ჩოხელს ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა დალუპლიყოფ დედამინა ადამიანთა ხელით, როგორ უნდა დალუპლიყო ის, რაც ღმერთმა შექმნა. ამიტომაა, რომ ბრძენი გუდამაყრელი ბრძნულადვე პასუხობს: „დედამინა რატომ ჰქვია - ომსაც ჰაიმრობს და სისხლსაცაო". დედამინის დამანგრეველი ომი გიორგი ბექაურის სადარღებელიც ყოფილა:

ამბობეს, ომი იწყება,
 კრეიზენ სამხედრო ძალებსა,
 დაპტერულებ დედამინასა,
 ჩამოავდებენ მთვარესა.

სოლომონ წიკლაურის სახით ქიმბარის აშეარად ლირსეული მოსაუბრე შეხვდა.

ყველა პასუხი დიდი ფიქრის შედეგია:

- ქვებსა და ხეებს ეყურება თუ არა?
- ეყურება თავის ენაზე".

სოლომონის პასუხი ამით არ მთავრდება და გუდამაყრელი თავის სადარღებელსაც ამხელს: „ეყურება თავის ენაზე, მაგრამ მე, აბა, რა გავაგონო. ეგენიც თავის ენაზე ლაპარაკობენ. კლდისა კი რა გითხრა". - ვინ იცის, ეს დარღი გოდერძი ჩოხელს რამდენჯერ გაუვლია გულში!

ფილოსოფოს ქიმბარს ნამდვილად გაუმართლა. ათასი წიგნი რომ წაეკითხა, ისეთს ვერაცერს გაიგებდა, რაც გუდამაყრელ ბრძენთაგან შეიტყო. სოფელ ლიდას მკვიდრი, ბათილა ლიდაური, კითხვაზე - ქვებსა და ხეებს აქვთ თუ არა სიკვდილის განცდაო, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე პასუხობს:

„სიკვდილი რომ გამაიგონა ღმერთმა, იფიქრა, მოდი, გამოვცდიო და ჯერ ქვას მიარგინა იმისი განცდა. ქვებმა ისე განიცადეს, იმდენი იდარდეს, დარდისაგან სულ იფშვნებოდნენ, აღარ ივინყებდნენ თანამძმის სიკვდილს და ყველანი იფშვნებოდნენ. ღმერთმა იფიქრა, ამათთვის ეს განცდა არ შეიძლება, ამისათვის სუსტებია, აარიდა ქვებს სიკვდილი და ახლა ხეს მიარგინა, იმათაც ძალიან განიცადეს, მთელმა ტყეებმა ტოტები ჩამაიღენს და აღარ იინყებდნენ. ხეებსაც აარიდა და ახლა წყალს მიარგინა. ვერც წყალმა გაუძლო, დაშრობა დაიწყო. ადგა ღმერთი და ადამიანებს მიარგინა სიკვდილი. ადამიანმა იტირა, იტირა... მერე დამარხა მკვდარი და ტირილით გადაიმგროვა კი-დეც. ჰომ, ამის მერე ღმერთმა ადამიანს მიაკუთვნა სიკვდილის განცდა..."

ბათილა ლიდაურის პასუხიდან ლოგიურად გამომდინარეობს დასკვნა: სიკვდილის განცდა ღმერთმა მიანიჭია ადამიანს, სადარღებელიც ღმერთმა გაუჩინა მას და იქვე უბოძა ნიჭი - გაეძლო სადარღებელისათვის. ვერგაძლება, სიკვდილის დარღს გადაყილა ღმერთის ნებას ეწინააღმდეგება.

სოფელ ხოზაში ქიმბარი მომაკვდავ



მოხუცს, თამარს, გაესაუბრა. თამარს არც მეორედ მოსვლისა სწავლა და არც სულის უკვდავებისა. კითხვაზე: „დმტრი თო არსებობს?“ მომაკვდავი ასე პასუხობს: „არ ვიცი. ვერც იმას გეტყვი, ვერც ამის“. ასეთი პასუხის შემდეგ თამართან საუბარი თითქოს საინტერესო აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქიმბარი ურთულეს კითხვას უსვამს მომაკვდავს:

— რა აიძულებს კაცს თვითმკვლელობას?

— ერთი ის, რო აღარ შეუძლია, საქმე ანუხებს, მეორე — მნარე სიცოცხლე, ზოგს კიდევ ეშმაკი დადგება თავზე და ის აბედვიებს თავის მოკლას. მერე იმის სული ეშმაკად რჩება, ეშმაკად იქცევა იმისი სული“.

თვითმკვლელობა ეშმაკის ჩაგონებული ქმედება, ეშმაკის გამარჯვება ადამიანურ გონიერებაზე, ეშმაკისათვის სულის მიყიდვა და სულის ეშმაკად ქცევა.

ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი, სულისა და ხორცის გაყრა დასათმენად ძალზე ძნელია, თუმცა ელისო ცუცქუნაური ქიმბარის კითხვას სრულიად მოულოდნელ პასუხს გასცემს:

— სიკვდილის არ გეშინია?

— რატო მეშინია?

— რატომ არა?

— იმიტომ რომა, სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადოს კაცმა თავისი ვალი“.

ვალი ვის წინაშე? იქნებ, იმის წინაშე, ვინც სიცოცხლე უბოძა ადამიანს?.. როგორც ჩნის, გოდერი ჩოხელს არ სურდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამიტომა, რომ ელისო ცუცქუნაურსაც აღარ ჰქითხა ქიმბარმა თუ ვის წინაშე იხდიდა ადამიანი ვალს თავისი სიკვდილით.

ქიმბარმა ჩოხელთაგან დამორჩილებულ სოფელ კოტორიანის მკვიდრის, ვასილ კოტორაშვილისაგან სიცოცხლის, სიყვარულისა და სიკვდილის რაობაზე ძალზე ორიგინალური პასუხების მიღების შემდეგ ურთულესი კითხვა დასვა:

— დმტრი ადამიანისა თუ გარეთ?

— აბა რა ვიცი, არის რამ კიდა, თორე რამ გააჩინა ეს ქოყნიერება. ეს მზე —

თორე და აი, ეს ხალხი“.

ვასილ კოტორაშვილის პასუხი ამით რომ დასრულებულყო, მოულოდნელი არაფერი იქნებოდა. მოულოდნელი და საინტერესო ის იყო, რაც შემდეგ თქვა, უფრო ზუსტად, იკითხა გუდამაყრელმა ბრძენმა: „იქნებ ჩვენა ვართ დმტრთები?“

არანაულებ საინტერესო და ორიგინალურია ვასილ კოტორაშვილის სხვა პასუხებიც:

— ადამიანს როცა ეყრება სული, სად მიდის?

— არსად. კაცი როცა მოკვდება, დაიკარგება“.

ამ პასუხშიც არაფერია განსაკუთრებული, მაგრამ, რასაც ვასილ კოტორაშვილი შემდეგ იტყვის, საინტერესოც არის და ორიგინალურიც — კაცი სიკვდილის შემდეგ უკალიდ იკარგება. ქიმბარი სრულიად ლოგიკურად სვამს შემდეგ შეკითხვას:

— მაშ, უაზრობა ყოფილა ჩვენი აქ ყოფნა. რაში დასჭირდება ეს ლერთს?

— ვლოცულობთ და იმად.

— მარტო მაგიტომ?

— აბა მაშ?

— მაგით რა ერგება ლერთსა?

— არაფერი. იმან მე უნდა მიშველოს, ჩემი შევლა რად უნდა იმასა“.

მალე ვასილ კოტორაშვილი, ქიმბარის მომდევნო კითხვაზე პასუხისას, თვითონვე გამოთქვამს ეჭვს და პრაქტიკულად უარყოფს მოსაზრებას სიკვდილის შემდეგ ადამიანის უკალიდ გაქრობის თაობაზე:

— ასი ნელი იცოცხლე და მერე სულ დაიკარგე, ეგ რაღა არის?

— მართლა მაინც ცოცხლობდეს სული. არა, არა, მე მგონი, იქნება რაიმე იქ.

— სიზმარი აკი არის? აქა ვარ და იქა ვარ... სული არ ნავიდა, მა რა არის?!“

რელიგიურ-ფილოსოფიურ საკითხებზე ქიმბარისა და გუდამაყრელების დიალოგებს დროდადრო გამიხარდას მიერ შეგროვილი „დარდები“ ენაცვლება. მარტია ბუბუნაური გამიხარდას კითხვას ასე პასუხობს: „მარტობა მადარდებს. ადამია-



ნი ხშირად ხალხშია, მაგრამ მაინც მარტოდ გრძნობს თავს. ზოგჯერ თავის თავიც უუცხოება, საკუთარ თავს გაურბის".

ასეთი განცდა ადრე თუ გვიან ყველა დიდ შემოქმედს ეუფლება ხოლმე. ჰქონდა თუ არა მსგავსი განცდა გოდერძი ჩოხელს „ადამიანთა სევდის“ შექმნის დროს, ვერ გეტყვით. სიცოცხლის ბოლო წლებში მარტია ბუბუნაურის სადარდებელი გოდერძი ჩოხელსაც დაეუფლა, ანუ მნერალმა ამჯერადაც საკუთარი მომავალი იწინასწარმეტყველა.

„ადამიანთა სევდის“ ბოლო მოთხოობაა „სიკვდილთან ღრეობა“. ჩოხის წმინდა გორგის სალოცავში, ხატიაზზე, ხალხს მოყვარა თავი. მოულოდნელად, პურიბის დროს, ხატში სიკვდილი გამოცხადდა. სიკვდილი ადამიანებს ულამაზესი ჭაბუქის სახით მოევლინა. მოსულმა ვინაობა რომ გაამხილა, ხალხი შეძრნუნდა. სიკვდილის ხატში მისვლა ზოგმა დაიკვერა, ზოგმა — არა. სიკვდილსა და შავოსან ქალს შორის საუბარი გაიმართა. ცხადია, უპირველესი კითხვა, რაც ადამიანებს სიკვდილის მიმართ შეიძლებოდა გასჩენდათ ასეთი იყო:

— მაინც რატომ გველავ, ჲა?

— იმიტომ, რომ სიკეთე მინდა თქვენთვის.

— ეს რა სიკეთე, შვილო?

— აბა, მაშ სულ ადამიანები ხომ არ იქნებით?

— რატომაც არა...

— არ შაგნებნდებათ?

— რო დავპერდებით, მერე რაც გინდა, ის გვიყავი.

— ყველა რომ დავპერდეთ, მაშინ სიცოცხლეს ფასი ალარ ექნება.

— ეგ ბოროტება არის, შვილო.

— მაგრამ წესია".

მორნმუნე ადამიანისათვის აუცილებელი იყო პასუხი კითხვაზე:

— ქრისტეს რაღას ერჩიოდ?

— ეგეც სიკეთისათვის გავაკეთე, უამისოდ ვერ დაინახავდით ისეთს, როგორიც საჭიროა. თქვენ ეს დიდი ბოროტება გვიყით. იცი, რა, დედი, მე კი არ

გელავთ, თვითონ კვედები თქვენში, თვითონ ვიტანჯები სულის გაყრისას. მე ვასრულებ იმას, რაც უნდა მოხდეს, და ყოველთვის ხდება ის, რაც მოსახდენია".

ბოლოს სიკვდილი ხალხს საიდუმლოს გაუმხელს:

— დღეს მარტო ჩემი მოკველა შეგიძლიათ, თუ მომელავთ, აღარასოდეს მოკვდებით, მაგრამ ამას ნუ იზამთ, უჩემდებათ გაგიჭირდებათ სიცოცხლე, აღარც სიყვარული გექნებათ, აღარც სიხარული...

რის შეგონებას ცდილობდა ადამიანისათვის სიკვდილი?

— სიკვდილი ადამიანისათვის სიკეთეა, რადგან მუდმივი სიცოცხლე მოსაწყინია;

— ყველა ადამიანი რომ მოხუცებული კვდებოდეს, მაშინ სიცოცხლეს ფასი აღარ ექნებოდა;

— თავისთავად, სიკვდილი მაინც ბოროტებაა, მაგრამ გარდაუვალი წესია;

— სიკვდილი კი არ კლავს ადამიანში;

— სიკვდილი რომ არ არსებობდეს, მართალია, ადამიანი აღარ მოკვდებოდა, მაგრამ მისი სიცოცხლე უსიყვარულო და უსიხარულო იქნებოდა.

— ქრისტე იმიტომ მოკვდა, რომ ადამიანებს მისი მისია შეეცნოთ".

გოდერძი ჩოხელმა „ადამიანთა სევდით", განსაკუთრებით კი რომანის ბოლო მოთხოობით — „სიკვდილთან ღრეობა" — მთელი დარჩენილი სიცოცხლის საფიქრალი დაგვიტოვა, მაგრამ ის, რაც მნერალმა რომანის დასასრულს „ორ კითხვაზე" უწონი გუდამაყრელის „ორი პასუხით" გვამცნო, სამუდამოდ უკვდავყოფს გოდერძი ჩოხელის სახელს:

— რა არის სიცოცხლე?

— სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტებილი სევდა.

— სიკვდილი?

— სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა".





ახალ გაეჩიდა

ავთანდილის სახე „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ ყველა სიბრძნე უმთავრესად ავთანდილის პირით არის გაცხადებული. გარდა ამისა, ავთანდილის მოქმედება კიდევ უფრო აქცევს და ავთარებს იმას, რასაც იგი, როგორც პერსონაჟი, ამბობს. ჩვენ წინაშეა უაღრესად ლრმა, მრავალპლანიან პერსონაჟი, რომლის ყველა ქმედებას, ყველა საქციელს, ყველა სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მტერადრე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რას, როგორ და რანარად მიესწრაფის ავთანდილი.

როგორც კარგად არის ცნობილი, „ვეფხისტყაოსანი“ ძირითადად ორი ფენისაგან შედგება. ერთი ფენა პირობითად შეიძლება მოვიხესნიოთ ტარიელის თავგადასავლად და მეორე ფენა – ავთანდილის თავგადასავლად და როდესაც ეს ორი ფენა ერთმანეთს გადაეჯაჭვება, უკვე მთლიანობაში, მოქმედებაში, თვითონ სიუჟეტის მსვლელობაში ჩანს ის ორი ძირითადი აზრი და სიბრძნე, რომლის მატარებელიც „ვეფხისტყაოსანია“.

მაგრამ თუ ტარიელის დახატვისას ავტორს მაინც შედარებით ერთი მიმართულებით მიპყავს მოქმედება და ერთპლანიანად ხატავს ამ პერსონაჟს, სრულიად სხვაა ავთანდილი. მისი მოქმედება ყოველთვის შეესაბამება იმ კონკრეტულ ვითარებას, იმ კონკრეტულ სიტუაციას, რომელშიაც მას უხდება მოქმედე-

ბა. ამ მხრივ, ის უაღრესად საინტერესო პიროვნებაა არა მარტო ქართული ლიტერატურისა, არამედ საქაობრიო ლიტერატურისა და განსაკუთრებით იმ ეპოქის მნერლობისა, რომელშიაც „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა, რადგან ასეთი მრავალმხრივობა ხასიათისა, ასეთი მრავალმხრივობა მოქმედებისა მიმდროინდელ ლიტერატურაში, თუ არ უცდები, არცკი შეიძლება შეგვხვდეს სადმე. რადგან მაშინ მაინც ავტორები მიმართავდნენ მოქმედების ერთპლანიანობას, ერთი მიმართულებით მიმდინარეობდა სიუჟეტის განვითარება და მოქმედების ლოგიკაც ერთი იყო პერსონაჟისათვის. იმსა, რასაც ავთანდილთან შეხვდებით, შეხვდებით მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს ან შემდეგ, მე-19 საუკუნის ლიტერატურაში, ანდა უკვე ჩვენს დროში, როდესაც ადამიანი ნარმოდებილია მისი მრავალმხრივი შინაგანი სამყაროთი და მრავალმხრივი ქმედებით. ამიტომ ეს არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ავთანდილის ანალიზისას, მით უფრო, რომ მას დღევანდელობისთვისაც აქვს მნიშვნელობა. იგი დღევანდელობის გაევთილიც გახლავთ.

ავთანდილი სავსეა როგორც სულიერებით, ისე წივთიერებით. იგი სულიერების განსახიერებაა, მაგრამ მისი მონა არ არის. თუ საჭიროა, იგი მაშინვე იყენებს

ნივთიერებას, მაგრამ არც მას მორჩილებს. სიყვარულის, მეგობრობის, შენყალების ქადაგი და პრაქტიკულად განმხორციელებელიც ერთი წუთითაც არ დაფიქტდება, ძალადობის ან მკვლელობის აუცილებლობა თუ დაინახა. „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სიბრძნე ძირითადად ავთანდილის პირით არის გაცხადებული, მაგრამ ამ ბუნება-ზეარსმა (რუსთაველის სიტყვაა) კაცმა მაშინვე სტაცა ასმათს თმებში ხელი, როგორც კი ხვეწნაშ და ტკბილმა სიტყვამ არ გასჭრა. არც მაშინ უყოყმანია ავთანდილს, როცა ფატმანის საყვარელი ჭამანაგირი მოჰკულა, რაკი სხვა გამოსავალი არ იყო. ავთანდილი იმიტომაც იმარჯვებას, რომ მას არ დაურღვევია ნონასწორობა სულიერებასა და ნივთიერებას შორის, სულსა და ხორცს შორის.

ავთანდილი რომ არ იყოს, არაფერი განვითარდება და პოემის სიუჟეტი ერთ ადგილზე გაჩერდება, რადგან ყველა დაბარჩენი პერსონაჟი თავის პირადი გრძნობებით და პირადი ვნებებით იმდენად ლრმად არის შეპყრობილი, რომ უჭირს საღი განსჯა. ვთქვათ, თუნდაც ტარიელი, რომელიც იმ უბედურებამდე (ნესტანის დაკარგვამდე) სრულიად საღად ფიქრობს. მსჯელობს, აზროვნებს და მოქმედებს, ნესტანის დაკარგვის შემდეგ კარგავს წონასწორობას, არსებითად ბრმა გრძნობით არის შეპყრობილი და სწორი განსჯა უჭირს.

ავთანდილი არც ერთ ასეთ ვითარებაში არ იბნეა: ყოველთვის პოულობს იმ სვლას, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ბორიტებს სამყარო, ქაჯეთის სახით წარმოდგენილი, შეიძლება დაინგრეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას დაუპირისპირდება ავთანდილის სიბრძნე და გონიერება. მხოლოდ ავთანდილს შეუძლია ამ უზარმაზარი ბოროტების სამყაროს დანგრევა და ნესტანის გათავისუფლება. „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეაც – „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ განპირობე-

ბულია მხოლოდ ავთანდილის გონიერებით. ამ სამყაროს მხოლოდ მაშინ მიაღწევს ადამიანი, როდესაც იგი აღჭურვილია იმ სიბრძნითა და გონიერებით, ამავე დროს, იმ პრაქტიციზმითაც, ავთანდილს რომ ახასიათებს. ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ ლრმა მოაზროვნე, ლრმა ფილოსოფოსი, რომელიც ჭვრეტით ფლობს სამყაროს. არა, მან იცის, ეს ფილოსოფია როგორ უნდა გამოიყენოს კონკრეტულ სინამდვილეში, პრაქტიკულად როგორ მიაღწიოს იმის განხორციელებას, რაც მას თეორიულად წარმოუდგენია. ამიტომ მასში განხორციელებულია პრაქტიკოსის და ბრძენის ერთიანობა. აქედან გამომდინარებას ის ძალა, რომელიც მას აქვს და რომელიც მიმართულია ბოროტის ნინააღმდეგ დასამკვიდრებლად კეთილისა.

თუ მომეტებულ ფანტაზიორობად არ ჩამომერთმევა, ავთანდილის ცოცხალ პროტოტიპად დავით აღმაშენებელს მიიჩინებდი. ამ კაცმა უდიდესი პრაქტიკული საქმეც განახორციელა და სულიერებით სავსე ჰიმნიც დაწერა. დიდი საქართველოს აღმაშენებელ ხელმიწიფეს შეუძლებელია უმრავი ისეთი საქმე არ გაეკეთებინა, რასაც ნივთიერების გამოვლენად, ხორცის სამსახურად მიიჩინებდით და ისიც დაუჯერებელია, რომ „გალობანი სინაულისანი“ დაწერა ადამიანს, ვინც სულიერების მწვერვალებს არ იყო მიმწვდარი. მაგრამ დავით აღმაშენებელმა ავთანდილივით ზუსტად იცოდა, როდის უნდა ყოფილიყო სულიერების ტრიფალი და როდის – ნივთიერების.

მე მგონა, როცა სულიერებისა და ნივთიერების შერწყმა-შეერთებაზეა ლაპარაკი, ეს ორი პიროვნება – ერთი რეალური და ისტორიული, მეორე კი შეთხული – განსაკუთრებული დაკვირვების საგანი უნდა გახდეს. თუ ელასიკური ხელოვნების მთავარ ნიშან-თვისებას ქართულმა მწერლობამ რამე შემატა, ეს ავთანდილის სახეა. თუ ინდოეთი კაცობრიობის სულიერებისა და ნივთიერების შერწყმის

ის პარმონიაა, რომელსაც ავთანდილი ავლენს. მე არ შეგულება მეორე პერსონა-ჟი ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ავთანდილივით ათავსებდეს ერთმანეთ-თან სულიერებასა და ნიკოლერებას. ამით არის იგი ბუნება-ზეარსი.

ჩვენს ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ამგვარი ფართო მასტების პერსონაჟი, ასე ღრმა შინაარსის მქონე პერსონაჟი, „ვეფხისტყაოსანის“ შემდევ აღარ დახატულა, მოუხედავად იმისა, რომ ქართულმა ლიტერატურამ დახატა ისეთი პერსონაჟი, როგორიც არის ვაჟას მინდია. ქართულმა ლიტერატურამ დახატა სიბრძნის უმაღლესი განსაზღვრება მინდიას სახით, მაგრამ აპსტრაქტული სიბრძნის განსახიერება, რომელიც რეალურ სინამდვილეში ვერ პოვებს განხორციელებას და აქედან, ბუნებრივია, იბადება სიკვდილის აუცილებლობა. და ვაჟას მინდაც თვით-მკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. მიზეზი ამისა მაფიოა: მინდიას სიბრძნე და სინამდვილე შეუთავსებელია, როდესაც ავთანდილის სიბრძნე და სინამდვილე შეიძლება შეთავსდეს და თავსდება კიდეც. ავთანდილის სიბრძნე პრაქტიკული სიბრძნეც არის. ამით აღემატება ის მინდიას, მოუხედავად იმისა, რომ, როგორც გითხარით, მინდიასათვის დამახასიათებელია ის კოსმიტი სიყვარული, რაც გაოცებს ადამიანს, როდესაც „გველისმჭამელს“ კითხულობ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არის ჭვრეტაში, აპსტრაქტიკიაში და არა – რეალობაში.

ჩვენი ცხოვრებაც და ლიტერატურული საქმიანობაც რატომძაც ორი მიმართულებით წარმიართა და აღბათ ამის მიზეზი ჩვენი რეალური სინამდვილეა, ჩვენი ისტორიაა. ავთანდილი ერთი მიმართულებით განვითარდა – როგორც პრაქტიკიზმი კვაჭი კვაჭანტირაძის სახით და მეორე მიმართულებით – როგორც სიბრძნე მინდიას სახით. როგორც ერთი, ისე მეორე რეალობას სრულიად მოკლე-

ბულია, რადგან ერთი არის მხოხავი ემპირიზმის¹ წარმომადგენელი – კვაჭი კვაჭანტირაძე, რომელსაც თავისი სამყაროს მეტი არაფერი აინტერესებს, რომელიც მხოლოდ უარსაყოფი, ბნელი პიროვნებაა თავისი შინაგანი სამყაროთი და მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკიზმის მონაა და მეორე – მართალია, უდიდესი სიბრძნითაა აღჭურვილი, მაგრამ აპსტრაქტიკინისტი და განუხორციელებელი სიბრძნის მატარებელია იმის გამო, რომ მას პრაგმატიზმთან კავშირი არ აქვს. ამ მხრივაც არის საყურადღებო ავთანდილი. და თუ ჩვენ მას, როგორც გარკვეულ მაგალითს, შევადარებთ სხვა პერსონაჟებს მთელი ქართული მნერლობის ისტორიიდან, და-ვინახავთ, რომ ის უნიკალური პიროვნებაა. ჩემი აზრით, სწორედ აქ ჩანს ყველაზე მეტად და ფართოდ რუსთაველის, როგორც ავტორის, სიბრძნე და სიდიდადე.

რუსთაველმა იცის, რომ ცალკე პრაქტიკიციზმი მხოლოდ ემპირიზულ მხოხავ ჭიებს ბადებს. ცალკე აპსტრაქტიკიზმი მაღალ ადამიანებს, მაგრამ უუნაროს პრაქტიკული ცხოვრებისათვის, ამდენად, უუდევგოს თავიაზო საქმიანობაში. ამათი შეწყვია საჭირო და ამ შეწყვიაში უნდა განხორციელდეს სიბრძნეც, გონიერებაც, კეთილშობილებაც, მაღალი ზნეობაც. ამიტომ არის, ჩემი თვალსაზრისით, ავთანდილი განსაკუთრებული პერსონაჟი არა მარტო ქართული მნერლობისა, არა-მედ საკაცობრიო მნერლობისაც. იმისათვის, რომ ერთმანეთთან შეეკავშირებინა სიბრძნე და პრაქტიკიზმი, სერვანტესს ორი კაცი დასჭირდა – დონ კახოტი და სანჩი პანსა, რადგან ვერ წარმოედგინა ერთ კაცში გაერთიანებული ეს ორივე უნარი, რუსთაველმა წარმოიდგინა და ერთ კაცში განახორციელა ეს.

რაც მთავარია, როდესაც თქვენ „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობთ, არასოდეს გიჩნდებათ ავთანდილის მიმართ რაიმე ხინჯი, გულატეენობა, მკითხველში არ

¹ მხოხავი ემპირიზმი – აქ: სულიერ ლიტერატულებებს მოკლებული ეგოისტური ქმედება.



რჩება ემოციური უუმაყოფილება. მკითხველი იმთავითვე, პირველი სტრიქონიდან უკანასკნელ სტრიქონამდე ავთანდილის ემოციური თაყვანისმცემელია, ავთანდილის მიმართ ემოციური ინტერესი, ემოციური სიყვარული არ ქრება. აი, ეს არის, ჩემი აზრით, რუსთაველის კიდევ ერთი დიდი ძალა. ძალიან ძნელია, მსოფლიო ლიტერატურაში დაასახლო მხატვრული ნანარმოები, სადაც ადამიანი ადამიანს კლავდეს და მევლელის გულში რაიმე ხინჯი არ გაუჩნდეს მკითხველს. ავთანდილი, როგორც პერსონაჟი, განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში და ამიტომ მას ღრმა ანალიზი და ღრმა შესწავლა სჭირდება.

გარდა ამისა, ავთანდილი არის ის ორიენტირი, რომელიც შეიძლება ყველა გასაჭირში და ყველა როგორ ისტორიულ ვითარებაში გარკვეულ მაგალითად, გარკვეულ გეზის მიმცემად გამოადგეს ჩვენს საზოგადოებას. მე მხედველობაში მაქეს დღევანდელი ვითარებაც, როდესაც საქართველოში მიმეგობა სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს ეროვნული თავისუფლებისათვის. ჩვენთვის ავთანდილს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, აი, ამ ვითარებაში, რადგან ის ძალიან მკაფიოდ და ნათლად გვასწავლის, როგორ და რანაირად შეიძლება იყოს გამოყენებული მისი სიბრძნეც და პრაქტიკიზმიც, ანუ უნარი, ყველა კონ-

კრეტულ ვითარებაში იპოვოს გამოსავალი და იპოვოს გზა ხსნისა.

თუ ჩვენ გავყვებით ავთანდილის გზას, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იდეალს, რომელიც რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ დასახა, მივაღწევთ, ესე იგი, შევქმნით სამყაროს, სადაც ადამიანთა საზოგადოებას შეეძლება, წყარად, მშვიდად იცხოვოროს; ერთი სიტყვით, ისე, როგორც ბიბლიაშიცაა ნათევში და კერძოდ „ვეფხისტყაოსანშიც“, რომ თხამ და მგელმა ერთად მოძოვოს.

ქართველ ხალხს მისი გრძელი ისტორიის მანძილზე სამი დიდი წიგნი ჰქონდა სიბრძნის სასწავლად და გზამკევლევად. ეს წიგნები გახდავთ – „ბიბლია“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“. ამ სამ წიგნს ეყრდნობა ქართული კულტურა, ქართველი ხალხის ისტორიული ყოფა და ცხოვრება. მომავალშიც ამ სამ წიგნს უნდა დაეყრდნოს ხალხის არსებობა. თუ ჩვენ ყველაფერ ამას მკაფიოდ და კარგად განვჭრეტო, გავითვალისწინებთ, ჩატვირთვით და გავიგებთ, რაშია და როგორ არის საქმე, მაშინ მკაფიოდ დავინახავთ, რა ძალის ჰატრინები ვართ სულიერად და ბუნებრივია, რომ ამ ძალის გათვალისწინებით ყველა იდეალის განხორციელება შეგვიძლია და ამ იდეალის დროშაზე, ჩემი აზრით, ისეთი პიროვნება უნდა ეხატოს, როგორიც „ვეფხისტყაოსანის“ ავთანდილია.



დინო გუჩატი

მოგზაურობა ჩვენი დროის კოჯორები

| რთული დავალება

კაბინეტში კურიერმა შემოყო თავი და მამცნო, რომ მთავარ რედაქტორს ჩემი ნახვა სურდა. გასაკვირია, ჯერ მხოლოდ თერთმეტის ნახვავარია, რამ მოიყვანა ასე ადრიანად რედაქტორაში?

— ნუთუ ის უკვე მოვიდა? — დავეკით-ხე მაცნეს.

— არა მგონია... თორმეტისთვის არ მოდის ხოლმე?

— აბა, ჩემთან ვინ გამოგვზარათ?

— მდივანმა დარეკა.

უცნაურია, როგორც წესი, ჩვენს გაზეთში ყველაფერი თორმეტისთვის გეთდება და ინფორმაცია ხელიდან ხელში პირდაპირ გადადის. ფანჯრებს იქთ ჩემულებრივი, სადაც მიღანური დილა იდგა. ნაცრისფერად მოღუშული ცა საწიმრად ემზადებოდა.

ზუსტად თორმეტი საათისთვის შეფი მოვიდა და მეც სასწრაფოდ გავეშურ მისკენ. 37 აპრილი იდგა, წვიმა უკვე თქმებად ასხამდა. უზარმაზარ კაბინეტში შუქი ენთო.

თავაზიანი მისალმების შემდეგ სავარძელა შემიმთვაზა.

— ძვირფასო ბუცატი, ამ ბოლო დროს რაღაც ვეღარ გხედავთ. ჩემს კაბინეტში რა ქარმა შემოგაფრინათ?..

— უკაცრავად, მაგრამ გადმომცეს, რომ მექებდით.

— მე? თქვენ? რალაც გაუგებრობაა.

ნამდვილად არ დაიბარებისართ. თუმცა, მოხარული ვარ, რომ გხედავთ.

რედაქტორს ყოველთვის გულთბილი და ბეჭინიერი სახე აქვა, მაგრამ ხანდახან გრძნობები უორკეცდება — სწორედ მაშინ უნდა ელოდო მისგან რაღაც უცნაურობას. საერთოდ, გულთბილობის ამგვარი, მოულოდნელი გამოვლინებები ჩვენში, თანამშრომლებში, დაბაბულობას და გაუკვეველ ნინაოგრძნობებს იწვევს.

მთავარი იჯდა მასიურ, ყოველგვარი ფურცლისაგან თავისუფალ საქმიანი ადამინის სამუშაო ადგილას. მან ტუჩებზე ნელა გადაისვა ხელი, თითქოს აზრებს უყრიდა თავს.

— ოოჳ, გამასენდა, მხოლოდ ახლა გამახსენდა... მართალი ბრძანდებით, გუშინ გეგებდით, მაგრამ არა უშაგს, არაფერი მნიშვნელოვანი.

— სარედაქციო დავალების მოცემა ხომ არ გსურდათ?

— არა, არა. ვეღარც კი ვიხსენებ. — მომერვენა, თითქოს ფიქრებში ჩაიძირა. ხანგრძლივი პაზუსის შემდეგ გამოფხიზლდა და უცებ მომმართა — აბა, ბუცატი, მითხარით, თავს როგორ გრძნობთ? თუმცა, მეც რას ვეითხულობ, ვხედავ, ფანტასტიკურად გამოყურებით.

„ნეტა, რას ხლართავს შეფი?“

ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ... გაუმარჯოს... რაღა თქმა უნდა... რატომ?.. ალბათ, შემდეგ კვირაში... ამ შემთხვევაში აჩქარება არ გვარგებს, მე მგონი, მთავარია, შეცდომა არ

დინო ბაცარი

დავუშვათ...

ნასასვლელად წამოვინიე. მან უესტით შემაჩირა და ტელეფონზე საუბარი განაგრძო:

- შესაძლებელია... მაგრამ დავალებაც არის და დავალებაც... ამ შემთხვევაში... არა, ჯერ-ჯერობით არ მითქვამს... არა-მეტქი, გეუბნები... ყოჩალ, მეც ასე ვფიქრობ. - ხანგრძლივა დამიღილი, - საჭიროების შემთხვევაში, ვფიქრობ... ბუნებრივია... პირველივე შემთხვევაში გავესაუბრები... თანამამა ვარ... აბა, კარგად, მეგობარო.

მთელი ამ დროის განმავლობაში მიყურებდა უსიტყვოდ, გაფანტულად, თითქოს მის წინაშე ადამიანი კი არა, კედელი ან ავეჯი იდგა.

ბუნებით საქმაოდ ეჭვიანი გახლავართ და გულმა რეჩხი მიყო, ჩემს შესახებ ხომ არ საუბრობდა შეფი, მით უფრო, რომ მისი მანერები შესწავლილი მაქვს, მაგრამ მისი მზერა სანინააღმდეგოს ამტკიცებდა. მე მიყურებდა, მაგრამ აშეარად სხვაზე ფიქრობდა. მუქლურჯ პიჯავში, თეთრ პერანგსა და ბორდოსფერ ჰალსტუხში გამოპრანჭული პერიანად გამოიყურებოდა.

უერმილი დაკიდა და სხვათა შორის მამცნო:

- სტაცი რეკავდა რომიდან. კვიპროს-ზე ადგილი განთავისუფლდა. ალბათ, გსმენიათ, რომ ვაპირებთ, იქ საკუთარი კორესპონდენტი გავგზავნოთ, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ...

- არა, არაფერი გამიგოა.

- ერთი მითხარით, ფოსომბრინიზე რას ფიქრობთ?

- რა გითხრათ, კარგად არ ვიცნობ, ურიგო ახალგაზრდა არ უნდა იყოს.

- ჰომ, ჯერ დუღი, მაგრამ დალენდება. - აქ შეფირა რაღაც ძველმოღურად ჩაიყო საჩვენებელი და შეა თითო უილეტის ჯიბეში, თითქოს, ბოლოს და ბოლოს, რაღაც პრობლემის მოგვარებას შეუდგა, თუმცა პრობლემა ხომ არც არსებობდა.

- მაშ ასე, ძვირფასონ ბუცატი...
- უკაცრავად, მაგრამ ჩემს გაგზავნას ხომ არ აპირებთ კვიპროსში?
- კვიპროსში? ოჲ, არა, იქ მე თქვენს ადგილს ვერ ვხედავ... მაგრამ, თუ მაინ-

ცდამანც დავალებაზე მიდგება საქმე, უფრო სერიოზულს, საპასუხისმგებლოს დაგვალებთ...

დავემშვიდობე, შემოვბრუნდი და ოთახიდან გამოსვლისას კიდევ ერთხელ შეეხედე შეფს. დაძაბული სახით, დაუინდული მზერით მაცილებდა - ზუსტად ისე, როგორც გამოცდილი ადვოკატი უმზერს მიმავალ კლიენტს, რომელსაც ეს ეს არის, ეხუმრებოდა, თუმცა დარწმუნებულია, რომ სასჯელისაგან ვერაფრით დაიხსნის.

სწორედ მაშინ მივხვდი: დილით კურიერის უცნაური ვიზიტი შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. ჩემთვის რაღაცას ამზადებენ (ამნიფებენ), შესაძლოა ჩემს სანინააღმდეგოდაც... არა, ეს არ იქნება ახალი სამსახური, ახალი პოსტი ან შორეული მივლინება, არა, ამ დავალებამ ჩემი ცხოვრება თავდაყირა უნდა დააყენოს!

- შენც დაგიბარეს? - ზურგს უკიდან სანდრო ჯეპარდის ხმა შემომეშამა, რომელიც შეფის მოსაცდელში მოუთმენლად ცუმდა ბოლთას.

- რა, შენც გამოგიძახეს?

- მარტო მე კი არა, ყველა დაბარებულია - ჯელფი, დამიანი, პოსპიშილი, არმერინი. მხოლოდ შენი ამბავი არ ვიცოდით.

- რა ხდება, ხომ არ იცი?

- მგონი, ახალი საქმეა - საიდუმლო საქმე.

- შენ რა იცი?

- აბა, რა ვიცი. ვერ ხედავ, რა ფორი-აქია ატებილი? თითქოს...

რედაქტორის კაბინეტის კარი გაიღო. ჩვენ შემოვბრუნდით. შეფი კარის ზღურბლზე იდგა და უხმოდ გვიყურებდა.

- ჯეპარდის გაუმარჯოს.

- გამარჯობა.

შემოვბრუნდი და სწრაფად დავუშვი ქვემოთ, რომ იქაურობას დროზე გავრიდებოდი, მაგრამ ზემოდან ხმა თოფივით გავარდა:

- ბუცატი!

შემოვბრუნდი (კაციშვილი არ ჩანდა).

- ბატონ მთავარ რედაქტორს სურს... ბატონი მთავარი რედაქტორი გიბარებთ... ბატონი მთავარი რედაქტორი



გიბრძანებთ... ბატონი მთავარი რედა-
ააქტორითი...

სადღაც შიგნით, ყველაზე ღრმა, მგრძნობარე ადგილას რაღაც ჩამწყდა, თითქოს ბედისწერის კვერთხი შემახეს ზურგზე.

ანგარიშმიუცემლად შემოვბრუნდა და კასეს ავეყვევი. ყურში ჩამესმოდა ჩქარი, მკეთრი და ბავშვობიდან ნაცნობი ნაბიჯების ხმა... ოპ, ღმერთო, ყოველთვის ვიცოდი, ველოდი, რომ იგი სადღაც და-მეწეოდა და დამლუპავდა.

სმამ თქვა:

- რედაქტორი გიბარებთ.

მთავარი რედაქტორი თავის უზრმა-ზარ მაგიდასთან იჯდა და თვალებში შე-მომცეროდა.

- თქენთვის სამუშაო მაქვს, ბუცატი.

- მიღლობება? საით?

- შესაძლო...

აქ იგი შეყოვნდა, თითები გადააჯვა-რედინა, რამაც ნათელი გახადა თუ რა როული, მნიშვნელოვანი ამოცანა ედო ნინ. მე ველოდი.

- შესაძლებელია... მე საერთოდ არ მიყვას ილუზიებთ ცხვრება, თუმცა... ამ შემთხვევაში მეც დაეჭვებული ვარ... მაგრამ, შეიძლება ისეთი შემთხვევის ნი-ნაშე ვდგავართ, რომ...

- მანც რა შემთხვევის?

ის მოხერხებულად გადაწვა სავარ-ძელზე და პირდაპირ საქმეზე გადაიდა:

- ძვირფასო ბუცატი, შეგიძლიათ, რომ მეტროპოლიტები უაღრესად სერი-ოზული საქმე გამოიძიოთ?

- ...პოლიტენში? - ექიდ გავიმეორე გაოგნებულმა.

მან სიგარეტი შემომთავაზა და თვი-ოთონაც მოუყიდა.

- მავანმა ტორიანიმ, მუშამ, მეტრო-პოლიტენის შენებლობისას თითქოს აღ-მოაჩინა... სიმპლონის გვირაბის გაყვანის დროს... მოკლედ...

- მოკლედ, შემთხვევით... - შევეცა-დე, გამემხნევებინა.

- დიახ, შემთხვევით აღმოაჩინა... - ამოიოხრა და თვალი თვალში გამიყარა.

- იცით, მე თვითონ ვერ ვიჯერებ...

- ბატონ რედაქტორი, იქნებ, მით-ხრათ ბოლოს და ბოლოს... - მოთმინება

დავეარგე აღელვებულმა.

- ამბობს, ჯოჯოხეთის კარი... რომ... რაღაც კარგის მიაგნო.

გამიგონია, რომ თვეთ ყველაზე მედ-გარი, ყველაზე ძლიერი ადამიანებიც კი, როდესაც პირისპირ შეეჩებიან იმას, რაზეც ყველაზე მეტი უფიქრიათ, უბად-რუს არარაობად ქცეულან და შიშისაგან თავგზა აბნევიათ.

მანც ვიკითხე:

- როგორ, იქ შესვლა შესაძლებელია?

- ამბობენ, შესაძლებელია.

- სად, ჯოჯოხეთში?

- დიახ, ვის ყველა ნრეში?

- დიახ, მის ყველა ნრეში.
დუმილი.

- ნუთუ მე?..

- ეს მხოლოდ შემოთავაზებაა... მხო-ლოდ შემოთავაზება... მეც ვგრძნობ ამ ყველაფრის...

- ვინმემ იცის ამის შესახებ?

- არავინ.

- ჩვენ საიდან შევიტყვეთ?

- სრულიად შემთხვევით. ის ვიღაც ტორიანი ჩვენი ძევლი ექსპედიტორის სიძეა.

- მარტომ აღმოაჩინა ის კარი?

- არა, მეწყვილესთან ერთად იყო...

- დავიჯერო, მეორეს არავისთვის უთქვამს?

- რა თქმა უნდა, არა.

- რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

- იმიტომ, რომ მეორე, ისე, ცნობის-მოყვარეობის გამო კარში შევიდა და იქი-და აღარ გამოსულა.

- მეც უნდა შევიდე?

- გამეორებთ, ბუცატი - ეს მხოლოდ შემთხვაზებაა... ბოლოს და ბოლოს, თქვენ ამ საქმის სპეციალისტი ხომ არა ხართ?

- მარტო?

- უმჯობესია, თუ მარტო შეხვალთ. ზედმეტი ყურადღება რომ არ მიიქციოთ. საჭიროა შეუმჩნევლად ჩანერგვა. ხომ იცით, იქ საქვებს არ იძლევიან, არანაირი კავშირი მათთან არა გვაქს. ჰმ, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც მე ვიცი, არა გვაქს.

- მაშ, ვერც ვერგილიუსთან ერთად შევალ?



დინო ბუცატი

— დიახ, ვერც ვერგილიუსთან ერთად.
— როგორ? უნდა დავაჯერო, რომ, უბრალოდ... ტურისტი ვარ?!
— უნდა ჩაეწერგოთ. ტორიანი ამბობს, რომ მან მხოლოდ თვალი შეავლო იქაურობას და იქ ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენთან, გარეგნულად მაინც. ჩვენნარი, ხორციელი ადამიანები დადიან... ისე კი არა, როგორც დანტესთან. ჰყვება, რომ ზუსტად ისეთი ქალაქია, როგორიც ჩვენთან — ქუჩების განათება, ავტომობილები... ასე რომ, ხალხს თუ შეერევით, ადვილად გაითქვიფებით ბრძოში, მაგრამ, მეორე მხრივ, მიდი მერე და უმტკიცე, რომ უცხოელი ხარ...

— იმის თქმა გსურთ, რომ შესაძლოა გენისის ცეცხლში ჩამაგდონ?

— რა სისულეელა! ჩვენს დროში რაღად დროს ცეცხლშე საუბრებია, ბუცატი. ხომ გთხარით — ყველაფერი ისეა, როგორც აქ — სახლები, მაღაზიები, ბარები და კინოთეატრებიც კი... სწორედ ის შემთხვევაა, როცა არც ისე საშიშა ეშმა, როგორც...

— კი, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ტორიანის მეწყვილე რატომ აღარ დაპრუნდა?

— რა გითხრათ... შეიძლება გზა დაუბნა... გამოსასვლელს ვერ მიაგნო... იქნებ, საერთოდაც, მოენონა იქაურობა...

— საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც მილაში და არა სხვაგნ?

— არა, მთლად მასეც არ არის. როგორც ჩანს, ამგვარი კარი ყველა ქალაქშია, თუმცა მის შესახებ არავინ იცის... ან არავინ ამბობს... და მაინც, ბუცატი, დამეტანხმეთ, ამგვარი შანსი განა ბევრ ურნალისტს მისცემია?

— ოოო, ეგ მართალია... მაგრამ, ვინ დაგვიჯერებს? როგორ დავამტკიცოთ, რომ იქ მართლაც ჯოჯოხეთა? ფოტოები მაინც რომ გადაგვალებინა...

ფეტვის მარცვალივით დავიძნი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის — შენ ნინაშე სწორედ ის კარი იხსნება! ამ თამაშიდან ღირსეულად ვერ გახვალ — ამის ყოველგვარი მცდელობა დეზერტირობა იქნება — სამარცხვინ დეზერტირობა. მაგრამ ძალიან რომ მეშინოდა!..

— ბუცატი, მისმინეთ, ნუ მივიღებთ

ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. მე თვითონაც არ ვარ ბოლომდე დარწმუნებული. ამ ამბავში იმდენი გაუგებრობაა, რომ... თავი რომ დაკანებოთ იმას, რომ ეს ამბავი ცოტა არ იყოს, დაუკერებელია, და საერთოდ... ტორიანის პირადად ხომ არ გაესაუბრებოდით?

ამ სიტყვებით ფურცელი გამომიწოდა. მასზე მისამართი ეწერა.

II

მილანის მეტროს საიდუმლო

გავეშურე ტორიანის საძებნელად, რომელიც მეტროპოლიტენს შექნებლობაზე მუშაობდა და ვინაც მინისქეშ ჯოჯოხეთში შესასვლელი კარი აღმოჩინა.

მისამართი მისი სიმამრისაგან, ჩვენი გაზეთის ძელი ექსპედიტორისაგან შევიტყვე.

ფურიო ტორიანი პორტა-ვიტორიას უბანში, სან-რემოს ქუჩაზე, N32-ში ცოლთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობდა. კარი თვითონ გამიღო.

— მობრძანდით, პროფესორი, — შემიპატიუ მისალებში, — მაგრამ ვშემობ, რომ...

— იცით, ბოდიშს გიხდით შეწუხების-თვის, მაგრამ მე პროფესორი არ ვ-გახლავართ.

მაღალი, მხარეჭჭიანი ორმოც წლამდე მამაკაცი იყო. ტანთ ტვიდის კოსტიუმი და თეთრი პერანგი ეცვა. დახვენილი, თხელი ხელები ჰქონდა. პიჯაპის ჯიბიდან ღოვარითმულ სახაზას ამორეყო თავი.

ნუთუ უბრალო შავი მუშაა? გაირკვა, რომ არა. ტორიანი სამრეწველო ექსპერტი აღმოჩინდა, შემევეთი ფირმის კონსულტანტი, რომელიც მინისქეშა სამუშაოების ხარისხს ამონმებდა. პალუელებისთვის დამახასიათებელი შეუცოვრობა სჭვიოდა მის სახეში, ლალი ლიმილი, მოკრივესავით ღონიერი მაჯება... არა, ნამდვილად არაფრით ჰეგდა მინისქეშეთიდან ამოგზავნილს.

— გთხოვთ, მობრძანდეთ... არა, უმჯობესია სავარძელში დაბრძანდეთ... მსურს,



თავიდანვე გაგაფრთხოლოთ, რომ...

— სენიორ ტორიანი, გთხოვთ, „არა“-ს თქმას ნუ იჩქარებთ. ჩვენ მხოლოდ...
მან გადასარხარა.

— სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი,
საიდან აგორდა ეს ჭორები.

— როგორ, ეს ყველაფერი სიცრუეა?

— თოთქოს კისრიდან უზაბაზარი ლოდი
მოწყდაო. მაში, ეს ყველაფერი სიზმარია,
ფანტაზიის ნაყოფი. ჯოჯოხეთური მივ-
ლინების საშიშროება კვამლივით გაერა.

— პირდაპირ გაოცებული ვარ! მერ-
წმუნეთ, არც მე, არც ჩემს მეუღლეს ამის
შესახებ არავისთან... ღმერთმა იცის, ეს
ჭორები საიდან გავრცელდა! თანაც ასე-
თი წვრილმანებით! თითქოს ჩემი ახლო-

— მაინტერესებს, ვინ არის ის თქვენი
ახლობელი?

— არანაირი ახლობელი იქ არ ყოფი-
ლა!

— მაპატიეთ, სენიორ ტორიანი, ხომ
გაგიგონიათ ცეცხლი უკვამლოდ არ
ჩნდება...

— ცეცხლი უკვამლოდ? ხა-ხა-ხა, მშვე-
ნიერია! — დაუინებით შემომხედა და გა-
დაიხარხარა.

საგარდლიდან ავდექი, საოცარ სიმ-
სუბუქეს ვერძნობდი, ისეთს, როგორსაც
ექიმთან შინაგანი ძრნოლით მისული ადა-
მიანი განიცდის გასინჯვის შემდეგ, როცა
გაარკვევს, რომ ყველაფერი კარგად არის
და მის სიცოცხლეს საფ-
რთხე არ ემუქრება.

უკვე გამოფიზლე-
ბულმა გუნდებაში ჩემს
თავს და რედაქტორს
შევუკურთხე, ეს იდი-
ოტური ზღაპარი რეა-
ლობად როგორ ალვიქ-
ვი?... ჯოჯოხეთი მი-
ლანში? ამგვარი კარი
ეკონომიკური სასწაუ-
ლის ქალაქში? საშინ-
ლად მომინდა მოწევა.

— კიდევ ერთხელ
გიბდით ბოდაშს შე-
ნუხებისთვის. რას ვი-
ზამთ, ასეთი პროფე-
სია გვაქვს...

— რას ამბობთ, რი-
სი შენუხება, პირი-
ქით, მოხარული ვარ
თქვენ გაცნობით.

...და უცებ, სრუ-
ლად შემთხვევით,
მაგიდაზე გადაშლილ
დორეს მიერ ილუს-
ტრირებული „დვთა-
ებრივი კომედიის“
ძველთაძველ გამო-
ცემას მოვკარი თვა-
ლი. წიგნი სწორედ იქ
იყო გადაშლილი, სადაც
დაბრტყე და ვერგილიუსი

ბელი ცნობისმოყვარეობის გამო შიგნით
შევიდა და აღარ დაბრუნებულა.

უზაბაზარი, მრუმე კლდეების ნაპრა-
ლებში მიძერებიან, რათა შავ, საშინელ



გუსტავ დორე. დანტე და ვერგილიუსი ჯოჯოხეთის კარიბჭესთან.

ბელი ცნობისმოყვარეობის გამო შიგნით
შევიდა და აღარ დაბრუნებულა.

დინო ბუგატი

უფლესულამდე მიაღწიონ.

ეს ნაბათის ხმა გახლდათ, შესაძლოა, თოვეს მარყუების შეხება კისერზე.

ზურგს უკან ტორიანის სასიამოვნო ხმა გაისმა:

— ეს მოხდა ღამით. ცვლებში ვმუშაობდით... ექსკავატორმა რომ გაიარა, კედლიდან ლოდები და ტალახი ჩამოცვიდა და უცებდა.

— დმტრი, დიდებულო, ნუთუ მართალია?

— პრიფესორო, ასე რამ შეგაშინათ?! თუ გნებავთ, ზუსტად მიგითითებთ იმ ადგილს.

მიღანის მეტროპოლიტენის ინჟინერი რობერტო ვიჩედომინი, რომელსაც ამ ამბის, რა თქმა უნდა, ერთი სიტყვაც კი არ სკეროდა, მაინც განსაუთორებული თავაზიანობით დაგვთანხმდა მე და ტორიანის, სადგურ ამენდოლას მოედნამდე გავეცილებინეთ. წევიამ გადაიღო. ციატებდა დამცხრალი, უცლი მთვარე. ქუჩის ელექტროსაათი პირველსა და ორმოცდა-ათ წუთს აჩვენებდა. სულ ათი წუთი ა-ელდა საბედისნერო დროს. მორიგემ შექი აანთო და ცენტრალური კიბის ცხაურიანი კარი გააღო.

ქვემოთ, ვესტილიულში, ყველაფერი მზად იყო: იფიქრებდით, საცაა ზარი გაისმება და მოყაყანე ბრძოლა აქაურობას გადაავსებს. მაგრამ ახლა სხვა – სიჩუმის აღლუმის დრო დამდგარიყო.

— რა ლამაზია, — შევიძნე, რათა თავი გამემხნევებინა. — მშვენივრად მოგიპირებული დიოთებიათ.

ინჟინერი ვიჩედომინი ტორიანის ირო-ნიულად შეეკითხა:

- აპა, გვიჩვენებ თუ არა?
- პლატფორმა A-ს ბოლოში, — უპასუხა კონსულტანტმა.

შესასვლელი და გამოსასვლელი ტურნიკეტები არ მუშაობდა. არ მუშაობდა სიგნალიზაცია, არც ელექტრომონტობილობები ანათებდა. ყველაფერი დიდი რბოლის დაწყების დროს – დიღის დადგომას ელოდებოდა.

ჩვენ ქვემოთ დავვწიოთ და ერთი ბოლოდან მეორემდე გადავჭრით პლატფორმა, რომლის კიდემდე თრი მეტრით აქეთ ტორიანიმ თეთრ-წითელ მოსაპირ-

კეთებელ პანელს მიარტყა თითი.

— აქ არის, — სრულიად სერიოზული სახით განაცხადა მან.

— კი მაგრამ, აქ ხომ კედელია ამოშენებული.

— კედლის პანელები იოლად იხსნება. მათ უკან კაბელებია ჩალაგდული, გათვალისწინებულია, რომ მათი დაზიანების შემთხვევაში ადვილი შესაკეთებელი იყოს. ასე არ არის?

ინჟინერმა თანხმობის ნიშანად თავი დაიკინა.

— კი, მაგრამ ის ჩემი ცოდვით სავსე კარი ხომ უნდა ამოქმოლათ?

— მხოლოდ სამი-მეოთხედით, — განმარტა ტორიანიმ. — ძირში ფოლადის კარი დაუყენეს, თუ დაიჩიქებთ, იოლად შეეტევით.

— ტორიანი, ჩემო კარგო, თქვენ აცნობიერებთ თქვენს სიტყვებს? — ინჟინერი ვიჩედომინი გამგირავი მზერით უყურებდა კონსულტანტს.

— ვფიქრობ, ვაცნობიერებ, სენიორ.

ახლად აშენებული სადგურის დარბაზი დამთრგუნველი სიჩუმის ხმას მოეცა. მხოლოდ შორიდან, გვირაბის სილრმიდან მოისმოდა არანაკლებ დამთრგუნველი ყრუ გუგუნი.

— თქვენ ისევ ამტკიცებთ, რომ აქ, ამ კედლის უკან არსებობს ხერელი, გვირაბი თუ რალაც გალერეა, რომლის შესახებ მხოლოდ ემმავა უწყის?

— დიახ, ვამტკიცებ.

— ნუთუ აქ მომუშავეთაგან ვერაფერი შენიშვნა?

— რატომაც არა, შენიშვნეს. მაგრამ გადაწყვიტეს, რომ ეს ისეთივე ქველი გვირაბი იყო, როგორიც სფორცების სასახლის გარშემო აღმოაჩინეს ამას ნინათ. მე კი შეგნით შევედი, რომ დამეოთვალიერებინა.

— მარტო შევედით?

— დიახ, მით უმეტეს, რომ აქვე, ახლოს, მინა ჩამოწვა და კინაღმა გვირაბი ჩაიქცა.

— ნუთუ? ამ ადგილას? — იკითხა დაეჭვებულმა ინჟინერმა.

პლატფორმის ბოლოებში მატარებლის ბაქაზე შემოსვლასა და გასვლას ორი



ტელეკამერა ადევნებდა თვალყურს. ერთი მთელ პლატფორმას აკონტროლებდა, მეორე კი შორეულ ზონებს ადიდებდა. მორიგე გადაწყვეტს თუ რომელი კამერა უნდა ჩართოს. მაგრამ ახლა, ამნუთას, მორიგეს წინაშე ეს დავალება არ იდგა. არც კი მოსულყოყ. ორომტრიალი დღიდან დაწყება, მგზავრებიდან კი დარბაზში მხოლოდ ერთი იმყოფებოდა და ისიც სულ სხვაგან, ძალიან შორს მიემგზავრებოდა.

- ოციოდე მეტრის გავლის შემდეგ,
- თქვა ტორიანიმ, - სილრმეში ნაპრალი დაგონახე. და კიდევ, ვინწო კიბე, რომელიც ზემოთ ადიოდა.
- აუცელი ზემოთ?
- დაახ.
- საით მიდიოდა კიბე, ნუთუ სახეთა ბაზრობაზე?

- კიბე ქუჩაზე გადიოდა, რომელიც აქამდე არ მენახა - მანეანებით გადაჭედილ ქუჩაზე. ისეთი საცობი იყო, რომ განძრევაზე ფიქრიც არ ლირდა. რაც შეეხება ტროტუარს, იქ იმდენი ხალხი ირეოდა, ჭიანჭველის ბუდეს რომ დაადგამ ფეხს...

- სულ ეს არის თქვენი ჯოჯოხეთი? ვგონებ, ქუჩა ვერ იცანით, ძვირფასო, არადა, აქვე იყავით სადღაც.

- გამორიცხულია. გარდა ამისა, ბატონი ინუინერო, როდესაც გვირაბში შევძერი, ღამის ორი საათი იყო, იქ კი შეუადლე. როდესაც უკან მოვპრუნდი, საათის დაცხედე: სულ რაღაც ათი ნუთი გასულყოყ და ისევ ღამე იდგა. ეს თუ ჯოჯოხეთი არ არის, მაშ...

- მაშ, იქნებ, განსანმენდელია? ჰო, მართლა, გოგირდის სუნი იგრძენით? იქნებ, კოცონს მოპარით თვალი?

- არანაირი კოცონი იქ არ მინახაეს, თუმცა ცეცხლი... იმ უბედურების თვალებში ცეცხლი ნამდვილდ ენთო.

მომეჩვენა, რომ ინუინერი გაბრაზდა, რადგან გადაწყვიტა, რომ დასცინოდნენ.

- კარგი, რაც არის, არის. ბოლოს და ბოლოს შევხედოთ ამ დაწყევლილ კარს! გაინძრით, ბატონი ტრორიანი, თორემ, ვერ ხედავთ, ბუცატი გადაიღალა - ერთ სულზეა, როდის გაივლის თქვენს ნაკვალევზე.

ტორიანი შეტრიალდა და სამარისებურ სიჩუმეში დარბაზში ჩამოსასვლელ კიბეს შეჰვირირა:

- ანსელმონ-ო-ო-ო!

მინისქვეშა თაღები გამაყრუებელმა ექომ შეაზარბარა.

თითქოს მიწიდან ამოძრაო, ისე გაჩნდა კომბინეზონში გამონყობილი კაცი, რომელსაც მხარზე ზურგჩანთა ეკიდა.

ტორიანიმ ნიშანი მსცაცა. მუშამ, იგი მართლაც მუშა აღმოჩნდა, ხელი მოჰკიდა პანელს, რომელიც ადვილად დაჲყვა

მის ნებას, თითქოს ასანევი კარი ყოფილყოყ. პანელის უკან მსხვილი კაბელების რიგები დაგხევდა - დანიშნულებისამეტრ

- ნითლად, ყვითლად, მწვანედ და თეთრად იზოლირებული.

- აი, - ისიც, თქვა ტორიანიმ და მიგვითითა დაბალ, მრგვალ რკინის კარზე, რომელსაც ანჯამა ზემოთა მხარეს ჰქონდა. ქვედა მხარეს სამი, კბილებიანი დამჭერი ჩანდა, სადაც უზარმაზარი სახარანისები შედიოდა, სწორედ ისე, როგორც ხომალდის ილუმინატორებზე ხოლმე.

- ეს ხომ ჩვეულებრივი საკანალიზაციო ლუკია! - შეჰვირირა ინუინერმა, აბა, მეგობარო, ღონივრად მოაბრუნე. ახლა ჩვენ წყლის ხმას გავიგონებთ. ოპჰ, რა სუნი ამოვარდება!..

მუშამ სახარანები მოატრიალა და კარი გააღო.

- ყველანი დავიხარეთ. უკუნი წყვდიადი იდგა.

- რაღაც, წყლის ხმა არ მესმის, - შენიშვნე მე.

- რა წყალი, რის წყალი! - საზეიმო ხმით გამომეტმაურა ტრორიანი.

- ინუინერმა რაღაც წაიბურტყუნა და განზე გადგა. ალბათ, დაიბნა ან, იქნებ, შეემინდა.

რა საოცარი ხმა მოდიოდა გვირაბის სიღრმიდან? რა უნდა ყოფილყოყ ეს საშინელი ღმუილი. თითქოს უმეცართა გუნდი ღნაღოდა. დროდადრო შეიძლებოდა, გაგერჩიათ ყვირილი და ადამიანთა ხმები, სწრაფი, ნერვული საუბრის ნაგლეჯები იქნებ, მსწრაფულადსარება, რომელსაც უცცარი სიკვდილის სტუმრობის უამს ახერხებს ცოდვილი მოხუცი და მხოლოდ ორიოდე ნამს გრძელდე-



ბა). იქნებ, ეს ავტომობილების ღმუილი იყო – ადამიანის მიერ ნათრევი, ძევლი, დამტკრეული, გაუზღუდურებული მანქანების ტიროლი, ჩივილი და ვედრება? იქნებ, კაშხალი გაირღვა სადმე და რაღაც უზარმაზარი, მძიმე და უცხო, ცხოველური შიშინით გადმოენარცხება ზემოდან, რათა დანოქას ყოველივე, რაც სუსტია, ავადმყოფი, ნაზი.

- გთხოვთ, იქნათ არ წახეიდეთ! -
ძლივს წაილულულა იწყინერმა.

გვიანია! მე უკვე გამოვეწყვე კომბინეზონში, ელექტროფანარს ხელი წავავლე და მუხლებზე დავიჩიძე.

- მშვიდობით, პრიფესიონალი, - ღი-
მილიანი თანაგრძნობით დამტკიცილობა
ტორიანი, - მაპატიეთ, ალბათ, ჩემი ბრა-
ლია. უნდა გავწეომიბულიყვავთ.

თავი გავუავი ლრიფში და გავცოცდი. შორეული ხმები მიახლოვდებოდა და უკ-ვე გრუბუნად ჩამოსიდა. ქვემოთ, სილ-რმაში სინათლეები ჯამოჩნდა.

III

შესასვლელიდან ოციოდ მეტრში გვი-
რაბი კიბის ვიწრო საფეხურს მიადგა. ზე-
მოთ უკვე ჯოჯონებით იყო.

დღის ბუნდოგანი და ნაცრისფერი შუქი ჩემამდე აღწევდა. კაის მხოლოდ ერთი ფრთა, სულ რაღაც ოცდათი საფეხური, ეძვინებოდა რკინის ცხაურს. მის იქით სწრაფი ნაბიჯებით მოძრაობდნენ ადამიანთა სილუეტები, რომელთა მხრები და თავები მოჩანადა მხოლოდ.

შილებედავად იმისა, რომ იქიდან მომა-
ვალ სამინერალ გრუბებს ვერაფრით დაარ-
ქმევდით ქუჩის ხმაურს, დროგამოშვებით
მართლაც მოისმოდა კლასიზონების ხმიძი.

გულაქჩეროლებული მოვაუხლოვდი
ცხაურს. გამვლელები არანაირ ყურად-
ლებას არ მაქტევდნენ. რა უცნაურია
ჯოჯოხეთი, ჩვეულებრივი ადამიანები,
როგორც თქვენ და მე, ისეთივე აღნაგო-
ბისა და ისეთივე ჩაცმულობის, როგორც
კველა ხორციელი დედამინაზე.

ნული ინჟინერი ვიჩემომინი მართალი

იყო? ვათუთ, ეს მხოლოდ უბამსი ხუმრობაა და მე უკანასკნელი იღიოტევით ნამოვეგე ამ სატყუარანს? განა შეიძლება, ასეთი იყოს ჯოგორეთი? არა, ეს მხოლოდ მილანის ჩემთვის უკანობი უბანია.

ମାଘରାତ ଯେ, ରାମିଥିବୁ କ୍ରମରୀବନ୍ଦି ଶେଷପ୍ରେସଟା,
ରିହିଟ୍‌ରୋଫିଲ୍‌ବୁ ଗାମରୁପାନାଦ ରିହିପରିଦା: ଅଧିକାରୀଙ୍କ ମାଧ୍ୟମରେ
ରିହିଟ୍‌ରୋଫିଲ୍‌ବୁ ନେବା ରିହିଟ୍‌ରୋଫିଲ୍‌ବୁ ସାଧଗୁରୁଣ୍ୟ
ଲାଭମିଳିବା ଏବଂ ସାମାଜିକ ଗାମରୁପାନାଦ, ଏହି କିମ୍ବା ଶ୍ରୀମଦ୍-
ଭଗବତ୍... ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ୍ କେବଳ ଏହି ଅଛି?

ირგვლივ მიმოვისხედე. გარემო ისეთია, როგორსაც ტორიანი აღწერდა. არაფერი ეშმაკეული და მორჩია. ცხოვრება ისე ჩქეფდა, როგორც ჩვენი ყოველდღიურობა.

ნაცნობი და მშობლიური, ნაცრის-ფრად შებოლილი ცა, რომლის მიღმა იქ-ყიტება ის, რასაც მზესაც ვერ უწოდებ, უბრალოდ გიგანტური ნათურა, ჩვენთან რომ არის ხოლმე, ისეთი, ადამიანებს რომ ლოის და თრჯუნავს.

საბლებიც ჩევნნაირია. ძველები და სუპერთანამედროვეები, საშუალოდ, ოთ-ორმეტიდან თვრამეტ სართულამდე, არც ლამაზები და არც მახინჯები, მინიდან ბუჩქ-ბუჩქად ამოსულები; განათებულ ფანჯრებში მოჩანს შრომაში გართული ქალობისა და მამა ყველის სილუურგიები.

ରୋଗାନ୍ତରାତ୍ର ଡାକ୍ତାରିମ୍ବାରୀରେ ପାଇଲା ଏହାରୁ
ରୋଗାନ୍ତରାତ୍ର ଡାକ୍ତାରିମ୍ବାରୀରେ ପାଇଲା ଏହାରୁ

ქუჩებშიც არაფერი საოცარი არ ხდებოდა, თუ არ ჩავთვლით გზაზე გაჩერებულ, უთვალავი რაოდენობის მანქანას. პლ. ამას ხომ ტოროიანიც ამბობდა.

ავტომბილები არც საკუთარი სურ-
ვილით დამდგარიყვნენ, არც წითელ შუქს
შეეჩერებინა მოძრობა. სადღაც ორმო-
ციონულე მეტრში შუქნიანი მწვანეს, თავი-
სუფალ გზას აჩვენებდა. როგორც ჩინდა,
საცობს მთელი ქალაქი მოეცვა და მანქა-
ნებს, უპრალოდ, საძროობა აღარ ჰქონ-
დათ არა წინ, არა უახნ.

მანქანები ძრითადად მამაკაცები
ისხდენ. სისხლისა და ხორცისაგან შექ-
მნილი ადამიანები. მათი ხელები საჭეს
მიტივებოდა. სახეები ნარკომანებივთ გა-
შექმნათ. ავტომან გადმოსულაზე ხომ
საიბრივ ზომიერი ყოველი აქტი.

ლოს იდგნენ – კარი კარზე. ზანტად, ყოველგვარი განცდისა და ემოციის გარეშე იცირებოდნენ ისინი გარეთ. დროდადრო ვიწმე ხელს დააჭერდა კლაქსონს, ისე, ყოველი შემთხვევისთვის და გაისმოდა მოქლე, არაფრისმთქმელი ხმა, სადაც იგივე უიმედობა სჭვიოდა, რაც სახეებზე ეხატა ყველას. განირილი ხალხი...

სწორედ მაშინ ჩავეკითხე ჩემს თავს, განა ეს არ არის დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ნამდვილად ჯოვოხეთში ვარ?



თუ მინიერ ქალაქებშიც ასეთი ამბავია?

პასუხი არ მქონდა.

ავტომობილებში გაქვავებული, განწი-

რული სახეები დამთრგუნველად მოქმედებდა ჩემზე.

უცებ იქვე, ჩემს გვერდით, ვიღაცის მტკიცე, შეუპოვარი ხმა შემომესამა:

– აზია ამათზე!

დაახლოებით ორმოცი წლის მაღალი, ღამაზი ქალი კმაყოფილებით აღსილი აკეირდებოდა ამ სცენას. ფოლადივით ნაცრისფერი კაბა ეცვა. ჩემგან ნახევარ მეტრში იდგა. ნებისყოფიან, ძალაუფლებისმოყვარე არსებას უხდებოდა ბერძნული პროფილი.

– კი მაგრამ, რატომ? – ნამომცდა ინსტინქტურად.

შემობრუნება არც უფირია, ისე მიპასუხა, ოდნავ განელილი, მაგრამ ბრწყინვალე იტალიურით:

– მომიწყვეს აქ ერთსაათიანი ვაკანალია თავიანთი კლაქსონებით. ძლივს დაშოშმინდნენ ეს წყველები.

და თავისი ცისფერი, ელექტრული თვალებით შემომანათა.

– თქვენ რა, კი ბით ამოხვედით?

– დამცინავად შემეკითხა იგი.

– მაგრამ... მე...

– მომყვევით, სენიორ.

ჩავეკითხო! თან რა სულელურად! რა მინდოდა, ვინ მექაჩებოდა ენაზე? ამაზონთა დედოფალმა მინის დიდი კარი შეაღო და მიმიპატიუა:

– აქეთ მობრძანდით, გეთაყვა.

მიმართვამ – გე-

თაყვა – უფრო დამცეცხლა, ვიდრე სამხედრო ბრძანება შექმნინდს ახალნებულს. მითხარით, შემეძლო მე, საიდულოდ შე-

დინო ბაცატი

მოპარულ დაუპატიუჟებელ სტუმარს, წინააღმდეგობის განვევა? მის ზურგს უკან მიმავალს ოზნის მსუბუქი წიავი მინანავებდა.

ლიტტში შევედით. კაბინაში ჩვენს გარდა კიდევ შვიდი ადამიანი იმყოფებოდა. სივნერვისგან უნებლიერ ერთმნეთს მივეკარით და მე სრულიად ხორციელი შეხება ვიგრძენი. მაშ, არანარი განსხვავება არ ყოფილა უკვე გასამართლებულ ცოდვილებსა და ჯერ კიდევ ცოცხლებს – ჩვენს შორის. სახეები, ტანისამისი, ენა, უურნალ-გაზეთები, სიგარეტიც კი – ყველაფერი ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენთან (ვიღაც ტიპმა, ბულალტერს რომ წაგავდა, ჯიბიდან რომაგფილტრანი „ნაციონალის“ მთელი კოლოფი ამოილო).

როგორც იქნა, გაებედე და ვიკითხე:

– საით მივდივართ?

პასუხი არ იყო.

ლიტტიდან მეთე სართულზე გამოვედით. ჩემმა გამცილებელმა ხელი ჰკრა კარს, რომელსაც არანარი ნარჩერა არ ჰქონდა. ასე აღმოვჩნდი უზარმაზარ ოთაში, კედლის მაგიერ ფანჯარა რომ ამშევებდა და რომელიც კაბინეტი უნდა ყოფილიყო. აქედან მთელი ქალაქის ტყვიისფერი პანორამა იშლებოდა.

როგორც მისალებს შეეფერება, ოთახის მთელ სიგრძეზე მაგიდა განლილოყო. შევ ჰერანგებასა და თეთრმაქმანებიან საყელოებში გამოპრანჭული ათიოდე ქალიშვილი მისხდომოდა და საქმიანობდა. ვიღაც საბეჭდ მანქანას უკაუნებდა, ზოგიერთი კი უცნაურ, უამრავლილაკან მექანიზმს. სხვანი მართვის პულტებთან ისხდნენ (ყოველ შემთხვევაში, მე, არაპოვნებინალს ასე მომერვენა).

ყველაფერში იგრძნობოდა სიმდიდრე, თანამედროვეობა, ეფექტურობა. მაგიდის გვერდით სამი ტყავის სავარძელი და მინის პატარა მაგიდა იდგა, თუმცა ჩემს გრაფინის დაჯდომა არ შემოუთავაზებია.

– მაშ, ცნობისმოყვარეობამ გადმოგაგდოთ ჩვენს მხარეში? – ყოველგვარი რევერანსების გარეშე დაიწყო მან.

– მე... მხოლოდ ცალი თვალით... იცით, უურნალისტი ვარ...

– ყველაფერი ნახოთ, ყველგან ჩაყოთ ცხვირი, ბევრი გაიგოთ, უფრო მეტი ჩაინეროთ უბის ნიგნაჟში, ასე არ არის? მერე კი ისე გამართოთ, თითქოს არაფერი მომხდარა? არა, ბატონო ჩემო, არა! ასე არაფერი გამოგივათ... აქ მოხვედრილმა ყველაფერი უნდა გაიაროს, ყველაფერი, გვეშიმით? თორემ სხვაგვარად ხომ ძალიან მოსახერხებელი იქნებოდა... როზელა! როზელა! – დაიძახა მან.

მოსრილდა ოვრამეტიოდე წლის გოგონა; ბავშვური სახე, ოდნავ ანეული ზედა ტუჩი, მკვრივი და ელასტიკური კანი; უმანკოდ, გაოცებული მზერა.

ჯოჯოხეთა თუ არა, აქაურობა იმგვრი ქმნილებებით არის დასახლებული, რომ საშიში, ვგონებ, არაფერია, – გავიფიქრე მე,

– როზელა, – უბრძანა ქალბატონნა პრეზიდენტმა, ჩამოართვი ამ ბატონს საპასპორტო მონაცემები და ცენტრალურ კარტიოთეკაში გადაამონმე, შემთხვევით...

– გასაგება, – წინადადება არ დასრულებინა, ისე უპასუხა როზელამ, როგორც ეტყობოდა, უალრესად ნიჭიერმა თანაშემწერ.

– შემთხვევით – რა? – ავდელდი მე.

– უნდა გავიგოთ, აქამდე ხომ არ ყოფილხართ რეგისტრირებული. – მშვიდად მიპასუხა პატრონესამ.

– კი მაგრამ, მე ხომ ეს წუთია მოვედი!

– მერე რა, ყველაფერი ხდება... რატომ არ უნდა შევამონმოთ კიდევ ერთხელ?

როზელას მორჩილად ვუჟარნახე სახელი და გვარი; ისიც სასწავლოდ მიუჟდა რკინის პატარა ყუთს და კლავიშებით მანიპულირება დაიწყო. გაისმა მანქანის ზუზუნი. აინთო წითელი სახიგნალო ნათურა, რაღაც გატეაცუნდა და მანქანიდან მართეულთა ვარდისფერი ქაღალდი გამოსრიალდა.

პენტესილეა ქაღალდს დასწევდა, გადაიკითხა და, როგორც ჩანს, ფრიად ქმაყოფილი დარჩა.

– ასეც ვფიქრობდი... როგორც კი ქუჩაში თვალი მოვეკარი, მაშინვე მივეცდი... ამგვარი გამომეტყველების მქონე...



— რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

შექმნილმა მდგომარეობამ როზელას გარდა კიდევ სამი გოგონა დააინტერესა და ყველანი ჩვენები გამოეშურნება — როზელაზე ოდნავ დაბლები, თუმცა ისეთივე ნორჩები, მოსაზრებულები, თანამედროვენი.

— ეს იმსა ნიშნავს, ძვირფასო ბატონი ბუცატი, რომ შენ თურმე, კარგა ხანია, ჩვენიანი ხარ, სასწრაფოდ გადავიდა შენობით მიმართვაზე.

— მეე?

დირქეტრისამ ქალალდი ცხირნინ ამიტრიალა.

— მისმინეთ, სენიორა. აქ რაღაც შეცდომაა. ჯერ ერთი, არ ვიცი, ზუსტად ვინ ბრძანებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსურს, თქვენთან ბოლომდე გულაბდილი ვიყო... შეიძლება, გაგეცინოთ... შეიძლება, ცრემლები გადმოგცევიდეთ სიცილისაგან... თუ ნარმოგიდებენიათ, რას ვფიქრობით აქაურობაზე? უფრო სწორად, განტერესებთ, რაში მარწმუნებდნენ სხვები?

— მაინც, რაში?

— რომ აქ... ერთი სიტყვით, რომ... რომ აქ ჯოჯოხეთია. —სახედაჭიმულმა სიცილი დავიწინე.

— ამაში სასაცილოს ვერაფერს ვხედავ.

— ჰო, მაგრამ ეს ხომ ხუმრობაა.

— ხუმრობა?

— აქ ხომ ყველანი ცოცხლები ხართ. თქვენ... თქვენ რა, ცოცხალი არა ხართ? ან ეს გოგონები? ნუთუ ჯოჯოხეთი საიქიოში კი არა, ამქევნად არის?

— ეგ ვინ გითხრათ?

ჩვენმა საუბარმა თოხივე გოგონა ძალიან გაამზარულა.

მე თავის მართლებას მოვყევა:

— აქ არასოდეს ვყოფილვარ. საიდან იცით ჩემზე ყველაფერი?

— აჲ, ამ სახლში ჯერ არ ყოფილხარ? შესაძლოა, მაგრამ ქალაქი, რომელიც შენ ნინაშეა, შენთვის ძალიან ნაცნობი და ძალიან ძვირფასია.

ქალაქს გადავხდე, მაგრამ არ შეცნაურა.

— ვერ იცანი? ეს ხომ მილანია! აბა, სად გეგონა, რომ იყავი?

რა თქმა უნდა, მილანია. იმავდროულად ლონდონი, ამსტერდამი, თბილისი, ჩიკაგო, ტოკიო...

— ოპ, რა გაოცემული სახე გაქვე! შენ პროფესიის პატრონს უნდა მოგეხსენებოდეს, რომ... მინდა, რაც შეიძლება სხარგად გამოვთქვა... რომ იორ, სამი, ან ათი სამყარო ურთიერთგამსჭვალვის გზით შესაძლოა ერთად არსებობდეს... აუცილებელია, რომ ეს ყველაფერი აგიბ-სნა?

— მაშ, მე... მაშ, მე, თქვენი აზრით, ცოდვილი ვარ?

— ვფიქრობ, სწორად მიხვდი.

— ასეთი რა საშინელება ჩავითქნე?

— არ ვიცი. მნიშვნელობა არა აქვა, შენ იმთავითვე ცოდვილი ხარ, შენნაირიბი ჯოჯოხეთს ბავშვობიდან საკუთარ თავში ატარებენ, დაბადებიდან...

აქ უკვე სერიოზულად შემეშინდა.

— თქვენ, სენიორა, თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით?

გოგონებმა საყვარლად ჩაიხითხითეს. მასაც გაეცინა, ოლონდ რაღაც უცნაურად.

— იქნებ, ისიც განტერესებს, ეს გოგონები ვინ არიან? რა მშვენიერი ქმნილებები არიან, არა? გამოტყდი, ხომ მოგონის ისნი? თუ გნებავს, ახლავე ნარმოდები მათ.

გოგონების მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა.

— პატრონება ვერ მშვიდებოდა. — აქეთ მოინიე და შეხედე, ვერ ცნობ? ეს ხომ ჯოჯოხეთი! თავი ისე უნდა გეგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში.

მან ხელი ხელში ჩამჭიდა და ფანჯრისენ ნამათრია.

— მთელი სიცხადით ნარმომიდგა თვალწინ ქალაქი, მყრუებული გარეუნდების ჩათვლით. ნელ-ნელა ქრებოდა ნარმაგალი დღის მღვრიე ლურჯი შექი. ფანჯრები სინათლები ენთო. მილანი, დეტროიტი, დიუსელდორფი, პარიზი, პრაღა ელვარებდა სახურავებისა და ფლატების სიზმარეულ მორევში, ხოლო იქ, შექით განათებულ კუბებში, ნირალებდნენ ადგინები — ულმობელი დროის ულმობელი სვლით ატაცებული მიქრობები. საშინელი, დიადი, მათ მიერვე



Շեշմինոլո մանջանա քրուալեպճա, և ըսցագ մատ. ուսոն յո արատոյ ար գարծոճնեն մօսցան, პորոյտ, եյլս չէրազդնեն, սարմաս շագանակնեն յրտմանցտս, հատա եռուցսասա- կապամճա პորազելապօ մօսւլուպնեն.

յալճապոնո ոնսպյեթորո մեարնչ շե- մեծ.

- նամոգո, այշտ մօցոնոտ. ჩիմո նալի- րա յազդրաժեպօ մալուան դաթզենոլ տամամ շեմոցտացանչեծ.

տաթծո մըոցմա ցրոցնեմա տացո սայ- մյու անյեծ և առ յուցուուտա և նոոյոտ ցարս շեմոցցըրթպնեն. սրուալուսո լրէ- նոյոտ ալժուրուլ դարձանչու ցադացնապ- ցլուր, րոմելուց սաթուալուոնո սկուածաս մոցցարոնեպճատ.

մոմենուլապմա րոնչելամ րյոնցնուս ուսրուուս ցագամպան ծերոյալու մօնուալու- րուլ ասլու նաազլու եղու և դանիու սա- մոնցու դրամա.

IV

ԱՔԻՆԱՐԱՑԱ

յինարմանարո յանջարութան յալայու- րինցուս նանորմամա ցագամլուլա. ծորմին- չեմի? սունցու? ուսայա? տօնլուսո? մոլա- նո? րոմել մատցանս չեցազա յաջուետու?

առ, ուսնուց իյմ տալունոն - գոգո րծո- լուս մոնանունո - շունքուլուպօ, մոյրո- ծեծո, ագամինանցո... սաոտ մործունուն ան րուտապու? ուսոն յուրոճնեն, սցումքնեն, րյուզնեն, ներճնեն, յուբունուն, յամ- տունուն, յեսութեպուն, յոյշրութնեն, եցազան, ոցոնեպճնեն, ჭամքնեն, եսնուն- նեն, սպարութնեն, ჭորճնեն, սցրուն, յեցազա մատ դաժմուխունու սաելուցծ, ցամոեցու նոնցուծ, մոերուլ մերցծ, տալուս յուշեպօ ցարինու նաուքեծ - չո, մոնացանո ցուպելուտ դայուրուլուլ տա- լուցծ, րոմելուց օլսացս ուր բանջազուտ, սոնարծուտ, մուշեպօտ, սուրուլուպուտա և մուոտապուտ.

իյմ նյուրգս յայան սպանայր մանջանց մոյրունուլու իյմո յալճապոնո և մօսու յելյազեութեպօ ուցնեն.

մետասրո մոցուդա և մյուտա:

- եցազա?

յըմոտ, սանամ տալու մոմինազդեպու,

ցագամլուլուպ ագամունշուրո լունչազուս մույլու ոյյանց. մյացուու չեցազա ըմունապ, րո- ցոր օձրմուն, տրտուն, օցոնուն, նուն- նեն, մոյրութազդնեն, յըմունքնեն, յալայ մոյրութազդնեն, ույց յըմունքնեն, օմ- լունուն, սայունուն, օլունուն, լունուն, լունուն, օյցուպելուն ագամունշուրո... և պոցալուցու օմ նուտու մյուտու նորունուն- նեն, րոմելուց սնճա դագցես, օմ ուսու- րուս, րոմելուց սնճա ալսրուլուց, օմ սույտուս, րոմելուց...

- յալա յո յուրագլուպու, - մոմիմարտա ցեցոյալմա.

մարչազուս եղու հիսքու ծերոյալու և դա մմուն, նյու-նյուա ցագամպան նոն. սա- տու մեցայ մանունուն լույցընաթիւ ուսար մարչազուն դաուրու. դա մմանամ յա- լային մունուրու յացա յմնուն յա յուն- մրա, յըորպա, անրուալդա. յը ար ուր յան- սալու մոմերուա, մատ ամուրացա պճատ յա- յըման, յելլու և, ցագուրու յա յուն սերուա նարմացեծսայակ, րատա մառունու սնամ- լույս յունչ ասցա դամիսասրուն, դաթ- յենց ագամանուրու, սապուաց ցամարչա- պեծու. իյմ նոնամ յալայիս սրու տա- ցա ցաննուտ յերմուդա սնիւն յուն. մատ յուստից յա յունինին յա յուն դա, սաեցու դամանուլունուսցան դայուրումուր- յունու լույցընաթա, եմըն յո միշե...

ման յուցա ուգու ցագանա ծերոյալու. դա մամու ոյց, յըմոտ, յմմծուացրումա մա- լու նարմակապա յացա նոն, տացանտո մունցիսայակ. մատու յալայիս լույցըն յու յունապա.

- առ, ուսու.

րոնչելաս մըլունուրմա եմամ յալա- սնեյնուրագ դոգու լույցընարանուսայըն մո- մանց անցա սաճապ մամայապու յուցուրու դա- լունանց. յըրան սայուտարո ծերոյալու դա սեցա անցա լուու յունուն յա յուն մարտազա.

որմուցանուտ նյու մուկանունու մա- զան ուս “ յարտո, լաման յա յունշուրու ոյց- ճա ինանց, մնունունու ուսու յունուն” մա- զան ուսու յունունու ուսու յունուն յուն- ինցուն.

ոմնուտաս ոցու լույցունուտ սայունու- ճա.

- արա, րոցուրու ար սնճա յըմունուտ, սուլուրուտա, արագուրո ցամոցցատ... ցը-



თანხმებით, ასე შეიძლება, შევთანხმდეთ... დიხ, ეს გარიგება სამი წლის ნინათ დავდეთ... ძალიან სერიოზული მოზეზები გვექნდა... შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სატერს ან ჩემს მეგობარ როვეს კონსორციუმიდან... არა, ამ დღეებში მე სხვა რამით ვარ დაყავეპული... ბატონი? ხელები გექვებათ? რა?.. გნებათ, უსიამოვნება შემხვდეს?..

შემოვიდა მდივანი მთელი დასტა ქალადებით, დარეკა მეორე ტელეცონმა, მდივნმა უპასუხა.

— სამართველოდან დარეკეს.

გალიმებული კაცი ყურმილს დასწვდა.

— მაპატიეთ, — ჩასძასა პირველ ტელეფონს, — გამიმიძახეს, სხვა დროს მოვილაპარაკოთ, და გმაღლობთ ყველაფრისთვის. — იქვე მეორეს დასწვდა: — აა, ძვირფასო ღოქტორო ისმანი... ველოდი თქვენს ზარს... დიახ, დიახ... რაც შეეხება კეთილ სურვილებს, ალბათ, ხვდებით, მათ ნაკლებობას არ განვიცდით... რა თქმა უნდა... რესპუბლიკის სახელით, ასე არ არს? არა და არა, ბატონი ისმანი, ეს ჩემთვის არ უნდა გეყადრებინათ, ნამდა და კომისახურებდი ამ სიტყვებს... მდივანი ქალი შემობრუნდა.

— მისტერ კომპტონი გელით მოსაცდელში.

— აა, ვედარ მოვიშორე ეს სირიელი ჭირ! — ნამოიძახა გალიმებულმა. — როგორც კი გეტყვით, შემოუშეით.

ნორჩი როზელა აღფრთოვანებული შესცეკროდა ეკრანს.

— ეს ვინ არის? — ვიკითხე მე.

— მისი მეგობარია, — ნითურთმიანმა გოგონამ მრავალმნიშვნელოვანი მზერა გააპარა როზელასკენ.

— გასაგბია, მაგრამ ვინ არის?

— მრეწველი სტეფანონ ტირაბოსკი.

— რომელ სფეროში მოღვაწობს?

— რა მნიშვნელობა აქვს, რაღაცას ანარმოებს.

ამ დროს კაბინეტში მსუქანი, ბეცი სირიელი შემოდის. დარეკა პირველმა ტელეფონმა, შემდეგ შემოვიდა ხელვეითი ინჟინერი, რომელმაც მესამე საამქროში ავარიის შესახებ აუწყა უფროსს. სტეფანონ ქვემოთ გაიკა, სადაც შედა ტელეფონით დაუკავშირდნენ და შეატყობინეს,

რომ ხაზება შტუტგარტი, სირბილით ამობრუნდა ზემოთ, კაბინეტში. ზღურბლზე ქარხნის შიდა კონტროლის ხელმძღვანელებს შეეფეთა, რომლებიც მოთმინებით ელოდნენ, სანამ შტუტგარტითან საუბარს მორჩილოდა, ამ დროს მეორე ტელეფონზე ძევლმა მეგობარმა — ინგალიმა აუგუსტომ დაიჭირა, რომელიც მარტომისაგან სიგიურის პირას იყო და ვიღაც თავისიანთან სურდა საუბარი. ყოველივეს მიუხედავად, სტეფანოს სახეს გაცისროვნებული ღიმილი არ შორდებოდა.

ჯოჯოხეთის პირველმა ლედიმ იდაყვინაარტყა როზელას:

— აა, ჩემი მშვენიერო გოგონა, საქმეს შეუდექი. ვიმედოვნებ, მასთან, ზედმეტ ცერემონიებს არ დაიწყებ.

— ეგღა მაჟლია! — სერიოზულად ინყინა როზელამ და ზედა ტური გაებუსხა. იმავდროულად, ბერკეტი თავისკენ მოზიდა.

— ინჟინერი ტირაბოსკის კაბინეტში თითქოს რაღაც შეიცვალა. ასე ხდება, როდესაც სააბაზანოში ონკანს მოუშევებ, აბაზანაში კი შემთხვევით ტარაკანი აღმოჩნდება. წყალი ზემოთ ინჟენერის, ტარაკანი გავეშებული დაძრნის ერთი მხრიდან მეორისაკენ, შფოთიანად აწყდება ემალის პრიალა ზედაპირს, რომელიც მისთვის სულ უფრო ციცაბო და გადაულახავი ხდება. რიტმი ჩქარდება, მღელვარედ, ტალლისებურად იზრდება ექსტაზი, უნებლივ მოძრაობები და უნებლივ ფიქრები.

ის ტელეფონით საუბრობდა: — არა, თქვენ ეს არასოდეს გამოგივათ, რამდენიც უნდა ეცადოთ, შეგიძლიათ, ჩემს მეგობარს ან სატერს დაეკათხოთ, შემოვიდა მდივანი, დარეკა მეორე ტელეფონმა; სამმართველოდან; მაპატიეთ; გმაღლობთ; მერე; ძვირფასო ღოქტორო; რა თქმა უნდა; კეთილი სურვილებით, მდივანი, მისტერ კომპტონი, ტელეფონი; ავარიის მესამე საამქროში; გამოძახება შტუტგარტიდან; ქარხნის შიდა კონტროლის კომისია... და მაინც, იდგა ტირაბოსკი ლალი, ღიმილიანი, მონესრიგებული. ეკრანერს იტყოდი, მაგარი იყო.

ეკრანთან შეჯგუფული ლამაზმანები



თვალყურს ადგენებდნენ ეკრანზე მიმდინარე ფანტასტიკურ ოპერაციას: მართლაც, ჭუის კოლოფია როზელა, რა დელიკატურად მიუდგა წამებას, მშვენიერი როზელლა...

ამასობაში ეკრანზე მდგომარეობა დაიძაბა. ინუინერ ტირაბოსკის ყოველდღიურობაში, როგორც რნყილებმა ან ტკიპებმა, ისე დაინყეს წრიალი სხვადასხვა შემანუებელმა არსებებმა. ტელეფონზე, კარტზე, დერეფინდან, მისალების გავლით. დროის თავისუფალ ღრიფობები, როგორც სოლები, ისე ერჭობოდნენ ბასრი, სისხლისმშელი სიფათები და მათი გამრავლება შეუქცევადი ხდებოდა. მთხოვნელები, გამომგონებლები, მეცენატები, საზოგადო მოლვანენი, ენციკლოპედიის გამომცემლები, მეგობართა მეგობრები, აბეზარები, სიმპათიურები და არასიმპათიურები, ნებოვანი მზერითა და განსაჯუთობებული სუნით გამორჩეული გულითადი სახეები.

– მშვენიერია, – შენიშნა ქალბატონმა, – ახლა დააკვირდით მის მუხლს.

მასირებული წწების ქვეშ მყოფმა სტეფანომ ღიმილი შეწყვიტა. მისმა მარჯვენა ფეხმა ნერვული ტოკვა დაიწყო. მუხლი სანერი მაგიდის შიდა კედელს ეხეთქებოდა და დოლის ხმა ექიდ გაისმოდა.

– მიდი, როზელა, უფრო სწრაფად! აუქერე, როზელა, მოუმატე სიჩქარეს! ოდნავ მანც მოუმატე!

როზელამ რაღაც უცნაურად მოღრიცა პირი, ბერკეტი რეინის სამაგრით დაამაგრა და ტელეფონისკენ გაიქცა. სტეფანომ ყურმილი სასწრაფოდ აიღო.

– შენ, რა, გადაიფიქრე? უკვე ნახევარი საათია, გელოდები, – ქალი პირდაპირ იერიშზე გადავიდა. – რას ჰქვია, ურ მოხვალ?! დღეს ხომ პარასკევია, ძვირფასო, ხომ შემპირდი; შენ შემპირდი, რომ ზუსტად ხუთ საათზე გამომივლიდი.

კაცის სახეზე ლიმილის ნატამალიც აღარ ჩანდა.

– ძვირფასო, არა... ვგონებ გემლება, დღესთვის არ შეგპირებივარ, ვერაფრით ვერ შევძლებ, უამრავი საქმე მაქვს.

– აპ, ასე, არა? – აზუზუნდა კუდრაჭა.

– ყოველთვის ასეა, საკმარისია, რამე მოვინდომო, რომ... ნესიერი კაცები ასე

არ იქცევიან... მოკლედ, ნახევარ საათში აქ თუ არ იქნები, გეფიცები...

– როზელა!

– გეფიცები, ვეღარასოდეს მნახავ! – და ყურმილა დააგდი.

ეკრანზე გამოსახული ადამიანი ქოშინებდა, სადღაც გაქრა მისი ახალგაზრდული მხხრა-მოხრა. მასირებული იერიშისაგან აქეთ იქით ქანაობდა, გამომახება ლივორნიდან; შეხვედრა პროფესორ ფოქსთან; გამოსვლა „როტარი ქლაბში“; შეიღს საჩუქრად თოვინა დაბადების დღისთვის; მოხსენება როტერდამის კონგრესზე; მდივანი ქალი, სატელეფონო ზარი; „ტამპომატიკის“ რეკლამა; მდივანი; ტელეფონი ტელეფონი.....აქ ვერავის ვერ ეტყვი „არას“, ვერ დაიმალები, უნდა ირბინო, ირბინო ჩორთით, უნდა გათვალი დრო, მოასწრო, რადაც უნდა დაგივადეს, თორემ ეს შხამიანი ყვაველი, ბავშვისახიანი მკვლელი აუცილებლად მიგატოვებს.

ინუინერი ტირაბოსკის მუხლი რიტმულად ეხლება სანერი მაგიდის კედელს, რომელიც საპასუხო ექოთი ყრუდ ეხმაურება.

– მზად არის, გადაიწვა! – სიამოენებისაგან კვენების ნითურთმიანი ალექსი. მიდი, როზელა, ბოლომდე მიაჭირ!

ვერაგმა როზელამ დაბატულობისაგან კბილი კბილს დააჭირა, ბერკეტს ორივე ხელით ჩაეჭიდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავისეკნ მოზიდა, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაესრულებინა ყველაფერი.

ეს უკანასკნელი აჩქარება გახლდათ, ბოლო გრიგალი, განკითხვის დღის ზღურბლი. სტეფანონ კი არა, გაგიცებული მარიონეტი დაქროდა კაბინეტში, ყვიროდა, ხაოდა, ხტოდა ერთი კუთხიდან მეორეში: ბოლოს და ბოლოს საშინელი, დამანგრეველი ძალის დარტყმა მისნედა უბედურს. როზელა ჭარხალივით განითლებულიყო.

– კი მაგრამ, ინფარქტი?! სად არის ბოლოს და ბოლოს, ჩემი საყარელი ინფარქტი? – ყვედრებით იქითხა ქალბატონმა. – აი, მესმის ნინაალმდეგობა!

როზელამ შეუმჩნეველი, სპაზმატიკური მოძრაობა გააეკთა თავისეკნ – და



სტეფანო ეპილეპტიკურ ქრისტენები ჩავარდა. სწორედ ამ დროს, როცა ცდილობდა ტელეფონის ყურმილი აეღო, რომ თითქოს ზამბარამ აისროლაო ჰაერში; ფრენისას მისი თავი მარჯვნივ, მერე მარცხნივ დატრიალდა, თითქოს ქარმა ქაღალდის ნაგლეჯი ააფრიალა. სტეფანო ძირს დავარდა და უსულოდ განერთხა იატაქს.

— ოსტატური ნამუშევარია! — კმაყოფილებით აღნიშნა დასასხლისმა. და იქვე ასლციაციურად ჩემზე გადმოიტნა გმჭვილი მზერა. — ამ ტიპზე ხომ არ გამოვცადოთ?

— გამოვცადოთ, გამოვცადოთ! — აპყვა პატრონესას წითურომიანი.

— გთხოვთ, არ გინდათ, გთხოვთ, მე ხომ აქ საქმეზე ვარ მოსული.

ქალბატონმა მკაცრი, შემფასებლური მზერით შემათვალიერა.

— მაშ, კარგი. მიდი, ისუნსულე, დაძებნე, ჩაინერე. როდესაც დამჭირდები, მოგძები... ჯერჯერობით კი გაიქცი, გამოიქცი, შემდეგისთვის გამოგადგება.

V

ბარტოსული

ურიად უცნაური სახლები აქვთ ჯოჯოხეთში. კორპუსი, რომელშიც ბინა მომიჩნევა, გარე ფასადის მხრიდან ბრნყინვალე სანახაობას ნარმოადგენს. ხვავრიელი, მშრალი თოვლი, შობის ნინა დღეები, ფერადი ნათურები და ფანრები — ნინასადლესასნაულო ფრინაქი; ყველაფერი ბრნყინვაგს, ერთმანეთს აესებს. ამ სიმორიდან, რა თქმა უნდა, ვერ არჩევ, ადამიანები ნაღვლიანები არიან თუ მხიარული, მაგრამ შეიმჩნევა მოძრაობა, მღელვარება, ციებ-ცხელება. ფანჯრის რაფაზე იზმორება მთვლემარე კატა, მაისის მზეს რომ მიფიცხვია, საათი თერთმეტის ნახევარს უჩვენებს — სწორედ იმ დროს, როცა სავაჭრო ბირჟების ბრნყინვალე დარბაზებში, იქ სადაც ირიბად დაცემული მზის სხივები „მარლოროსა“ და „პერის“ ცისფერ ბოლს ერწყმის, სამრეწველო და საფინანსო ბობოლების უამი დამდგარა. ოქტომბრის საღამოების

ცისფერი და უძირო ცა, როცა ფანჯრებზე და ალუმინის სახურავებზე ნელ-ნელა კვდება ჩამავალი მზე; დრო, როდესაც უნივერსიტეტში იწყება სასწავლო ნელი, რომანტიკული და მშვენიერი სტუდენტური ნელინადი; ლამაზ პალტოში გამოწყობილი სიფრიფანა გოგონა დგას სკვერში, მნიაზე დაფუძნებით ფოთლებში, და თროთოლ ელის მიჯნურს პარველ პატანზე! მნვანე ხედები, ნეიმისაგან განბანილი, საპორტო უბნის ჩიხები, ქარისაგან გაქარული, სადაც ნავი კაფეების დაკიდებულ აძრებს აქრიალებს. პატარა, ჯოუტი ტალღები, სირენის მოგუდული ხმები, ჩრდილთა თამაში თუ ბაღების მწვანე შრიღილი — ყველაფერი შრომისაკენ უბიძგებს ადამიანს. ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანს.

დიახ, გეჩევნება. ამასთან, არსებობს სახლოს სხვა ნაწილი, მისი შიგანი, საშო, ადამიანურ საიდუმლოებათა დაფარული ბუდე. არც შობის დღეებია, არც მაისის თვე; მით უფრო, არც ბრილივით ნებინდა საღამოა ირგვლივ, მხოლოდ მღვრიე ნაცრისფერი შუქი ეზოში, დაცემული, როგორც უფსკრულში; და დრო არის ორის ოცი წუთი ან შუადღის თხეომეტი წუთი, იქნებ, სულაც სამს უელია მოსაბეზრებელი ნახევარი საათი კერიას, თბილ, უაზრო, დაწყევლილ კვირადღეს.

ხედავთ, სწორედ ჩენებს ქვემოთ, საიდუმლოებით მოცული სარქმლებიანი კედლის ქვემოთ ზუსტად ის გასასვლელია, საიდანაც შუქი ძლიერივობით აღნევს შიგნით. სადაც ადამიანები ბუდობენ და ჰგონიათ, რომ მათ ვერავინ ხედავს. კედლებს გარეთ სიცოცხლე დუღს, მანქანები ზრიალებენ, იქ ფულია, ენრეგია, სამკევდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. აქ კი, უნივერსალური საერთო საცხოვრებლის ეზოში, გამეფეხულა ჩემი და თქვენი უსახური მარტოობა.

მეცხრე სართულზე ფანჯარაა ღია. ოთაბში ულამაზო, კარგად ჩაცმული ექვსიოდე ნელის ბავშვი ზის; სათამაშოების გარემოცვაში გაუნძრევლად დამჯდარა იატაზე; მამა სამსახურმია, დედა კი მეორე ოთაბში, ვიღაც კაცთან. შეხედეთ, ფეხზე დგება, რა სერიოზული სახე აქვს, ნელა მიემართება კარისაკენ. ზურგიდან



ორმოცდათვრამეტი წლისას ჰგავს, ზუსტად ასეთი იქნება, როცა დაბეჭდება. პატარა ხელს სახელურს ჩაავლებს და ატრასლებს, ანგება, მაგრამ კარი არ იხსნება: ისინი ხომ მეორე მხრიდან ჩაიკეტნენ. „დედა... დედა“, მხოლოდ ორჯერ დაიძხებს. უზომოდ სერიოზული ბრუნდება შეუაგულ მოახში. იატაკიდან რომელიდაც თოჯინას იღებს, აქედან ხომ არ ჩანს, გადაიფიქრებს და დააგდებს იატაკზე. მსუბუქად ჩაჯდება, როგორც მხოლოდ ბავშვებს ძალუბთ; ფანჯრისევნ არც იყურება, ხვდება, ალბათ, აზრი არა აქვს. სადაც, უჩინარ კუთხეში იცქირება დაუინებული მზერით. ცოტა ხნის შემდეგ გადაიყისისებს – „ოი, ოი“. ისევ სიჩუმე ჩამოვარდება. ჩანს მხოლოდ, როგორ აისვრის ხანდახან ხელებს ზემოთ სლუკუნით, თოტებს რაღაც უჩინარის დაჭრა უნდა.

მერვე სართული, უზარმაზარი კაბინეტი – სუპერთანაბამედროვე ავეჯი. სანერ მაგიდასთან მჯდარი მამაკაცი ხვალინდელი მოხსენების ხელნარებს უნდა ასწორებდეს, თუმცა ხელი გაუნძრევლად უდევს მაგიდაზე. ორმოცდაბუთი წლისა იქნება; ამშვენებს სათვალი; წვრილი ულვაში; მდიდარია – მბრძაბებლობას ჩვეული. დასრულდა სამუშაო დღე; წავიდა მდივან ქალი, წავიდნენ კომისიონერები, შეკვეთები, კონსორციუმების ნდობით ალტურული პრინციპები; გაკრეფილან მრჩევლები, დღლებატები, ამერიკის ელჩები, ბანკირები, სრულუფლებანი ნარმომადგენლები; საღამოა – სამუშაო დღე ნამდვილად დასრულებულია და იგი აღარავის ალარ სჭირდება. მთელი ძედის შრომით გადაღლილ ხუთი შავი ტელეფონი დადუშებულია. მამაკაცი მღვდლვარედ შესცექრის მათ აუხდენელ სასწაულის მოლოდინში. ნუთუ ასე ეცოტავება მას ყველაფრი, რაც კი მოუპოვებია – დიდი, მყარი, დიდებული – სხვებში შურის დამბადი? რა აკლია მას? თავისულება? თავქარიანობა? ახალგაზრდობა? სიყვარული? დგება, დადგა საღამო. ვხედავ, ასეთი გავლენინი, მრისხანე და პატივცემული როგორ დასწვდა ჯერ ერთ ტელეფონს, მერე მეორეს, მერე კიდევ სხვას. როგორ დაიდებს თითოეულს მუხ-

ლებზე, რა ნაზად უსვამს ხელს, როგორ ეფერება, თითქოს განებივრებული კატები იყვნენ და არა უსულო საგნები. აბა, ჩემი ბებერო თანამებრძოლებო, ამდენი გადატანილი ბრძოლების მოწმენო – დარეეთ, აზრიალდით, გამომიძახეთ, გამაგიუეთ – ოლონდ ნუ იქნება ციფრები, საუბრები განვადებაზე. ერთხელ მარც ვისაუბროთ რაღაც უმნიშვნელოსა და სისულელეზე. მაგრამ ხუთი კატუნიადან არც ერთი არ ინძრევა, ჯოუტად არ სურთ, უპასუხონ გაყინული ხელების ლაქუცს. იქ, ოთხ კედელს იქთ, მის უზარმაზარ სამეფოში, რა თქმა უნდა, ცველამიცის სახელი მისი, უფრო მეტიც, აღმერობენ, მაგრამ ახლა დგება საშინელი ლამები და არავინ ეძებს, არავინ ეძახის, არავის ენატრება იგი: არც ქალს, არც მეგობარს, არც ფეხშიშვერას მანანალას, ძალლასაც კი, იმიტომ რომ სამუშაო დღე დამთავრდება და იგი აღარავის სჭირდება.

მეშვიდე სართული. ჩანს მხოლოდ ორი ფეხსაგული, უძრავი და მარტოსული, როგორც იქსო გარდამოხსნის შემდეგ. ცალ-ცალკე გაიკინენ დაქალები და მეგობრები, ნათესავები თავ-თავიანთ საქმებზე გვიდნენ, ჩუქად გაიძურნა კეთილი დონ ჯვრვაზონი უნის სამრევლო ეკლესიიდან, სკოლის დირექტორი, მასნავლებელი, ექიმი, პოლიციოს კომისარი, საყვაიოლეს მეპატრონე, მუდამ მოლუშულსახიონ დამკალავი აგენტი, სკოლის მეგობრების ხროვა – ცველანი ნავიდნენ... ათიოდე ნუთის წინ მწუხარებას იზიარებდნენ, განიცდიდნენ, სლუკუნებდნენ, ცრემლებს მალულად და ლიად ინმენდნენ, ახლა კი სადღაც დარბაზი, ფრიაქიბენ, საუბრობენ, იცინიან, ეწვიან, მიირთმევენ კრემიან ეკლერს. მათგან სახლში ალარავინ დარჩა, ცველაფერი დაწყნარდა, დამშვიდდა, ახლა უკვე შეუძლია, ნენარად განბანოს ტახტზე დასვენებული შვილი. სუფთა და კრიალა ნავიდეს უკანასკნელ გზაზე. ის საბარგო მანების ან მატარებლის ქვეშ მოჰკვა; მდინარეში დაიხრჩი; ცუნამის ტალღამ გადაუარა. ამ უბედურებამ მთელი ქალაქი აღაპარაკა, მასზე ნერდნენ გაზეთები, რადიო არ გაჩირებულა მთელი დღის განმავლობაში, ეს ხომ ძალიან

ბევრს ნიშნავს. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, საჭიროა რბილი ღრუბელი, თბილი წყალი, საბავშვო ფხვნილი, სინაზე, ალარავინ შეუძლის ხელს, არავინ შეაშფოთებს, რადგან ყველანი სხვა საზრუნვით არიან დაკავებულნი. ზემოდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩამესმის მისი ხმა, მაგრამ არ ისმის არც ქვითინი, არც უიშედობა, უბრალოდ, ისმის მშვიდი საუბარი, ჩვეულებრივი სიტყვები, რასაც დედები ყოველდღე ეუბნებან შვილებს, თუმცა ეს უკანასნელად ხდება.

– თუ იცი, ვინ მყავხარ? შენ ხარ ჩემი პატარა გოჭი. შეხედე, ყურები რას გიგავს... ო-ო! კისერზე რა უბედურება გიტრიალებს... წარმომიდგენია, ასე რომ მიხვიდე სკოლაში... მე რომ არ გყავდე... რა დაგემართა დღეს? რაღაც ძალიან დამჯერედ იქცევი – არ წრიალებ, არც ყვირი....

მერე ისმის უეცარი დგაფუნი და სცენაზე გრძელებულიანი ურჩხულის სახით შემობრძანდება დიადი სიჩუმე.

კიდევ ერთი მრეცხავის შესახებ ვთქვათ, ქვემოთ, მეექვსე სართულზე. მუხლებზე დამდგარი გულმოდგინედ რომ ხეხავს იატაზე გადლაბნილ ლაქას. ზემოდან არ მოჩანს მისი სახე, მხოლოდ მისი ხელები, ხელები, რომლებიც წრიული მოძრაობით გამამაგებიან წმენდას და წმენდას. რადომიმდებიდან ხრიალითა და სტკენით მოისმის ჯაზური კომპოზიცია. ფერით სისხლს წააგავს წაგრძელებული მუქი ლაქა. და აი, ხელები მოემცებიან ჩვარს და ქრებიან თვალთახედვის არედან. იგი უკვე ფანჯარასთან დგას, ახალგაზრდაა, ასე, ოცდაათ წლამდე, წვრილი, მოდური ულვაშით, ჯანმრთელი, ღონიერი, სპორტული აღნაგობის. იცქირება ფანჯარაში, თავისთვის იღიმის, სიგარეტს ეწევა. მასზე უფრო მშვიდი არის, ნეტავ, ვინმე?

თითქოს არაფერი მომხდარა.

რესპექტაბელური, გემოვნებიანი სახლი.

ეწევა წელა, ღრმა ნაფაზებით, რატომ უნდა ჩჩქაროს? მოისვრის ნამწვა და ფანჯარას შორდება. გაღვივებული ნაკერეჩალი ნახევარნერს მოხაზავს და სიბძლეში ჩაიკარგება. ისევ ბრუნდებიან

თეთრი ხელები იატაკთან და აგრძელებენ ნებნდას და წმენდას, ლაქა კი ამასობაში უფრო მუქდება და გრძელდება, ისლება მოულ ოთაბზი, ზარ-ზემით იზრდება საცევაო მუსიკის, სამბას, ტვისტის რიტმებზე, იმ სამყაროს ხმაზე, რომელშიც ეს ახალგაზრდა კაცი ვეღარასოდეს ვერ დაბრუნდება.

ჩემგან კიდევ ერთი, მეხუთე სართული ჩანს, იქც მამაკაცი იყო. სულაც არ გეტყვით, რომ ის არსებობდა: ის იყო. ეზოში ჩამომავალი მკვდრული ნათება ნელ-ნელა ქრებოდა და გვშორდებოდა, როგორც ბებერი ოფიციანტი აცილებს უკანასკნელ კლიენტს. ზემოდან მას თითქმის ვერტიკალურ მდგომარეობაში ვხედავდი. ის იდგა გაუნძრევლად, როგორც დაკარგული, ჩაძირული გემის უილბლო, გადარჩენილი კაპიტანი; იდგა მრისხანები, პირქუში, თვალუნვდენელი ოკეანის პირისპირ. ვხედავდი მის ოდნავ მოხრილ მხრებს, კეფას, შეცოტავებულ ჭაღარა თმას. თითქოს „სმენაზე“ იდგა, ხეტა, რის წინაშე?

ვუცქერდი, დაუინებით ვუცქერდი, და ბოლოს კეფის დამახასათებელი ფორმებით მაინც ვიცანი. რა თქმა უნდა, ის არის! ძელი მეგობარი! რამდენი წელი-წადი გავატარეთ ერთად, ერთი და იგივე ფიქრები, იგივე მისწრაფებები, სურვილები და გასართობები, იგივე იმედგაცრუებანი. შეუხედავი, მაგრამ ჩემთვის ძვირფასი. და აი, დგას იგი სარეის წინაშე, გამართული და მოხრილი, ამაყი და ფერცვებული ბატონი და მონა. საიდან გაჩნდა მისი თვალის უჟები ახეთი მწარე ნაოჭები?

რატომ დგას ასე გაუნძრევლად? რა სჭირს? გაასხენდა რაიმე? ძელი დამამცირებელი ჭრილობა ხომ არა, რომელიც დროდადრო იხსნება და სისხლად იღვრება? იქნებ, სინდისი ქენჯნის? თუ, იმას ფიქრობს, რომ შეცდომაა მთელი მისი ცხოვრება? დაკარგული მეგობრები? სინანული?

რა აქეს სადარდებელი? ახალგაზრდობა, რომელიც უცრად გაქრა? არადა, რა მისცა მას ახალგაზრდობამ იმედგაცრუებების გარდა? მიუფურთხებია მისთვის, მეტიც, დასცინის მას, ხა-ხა-ხა! შეიძლება



ითქვას, რომ მისი ცეკვა სურვილი ახდა. არა, უკან მიმაჯეს ჩემი სიტყვები. ცეკვა თუ არა, ნანილი მაინც აუხდა. ისე, კარგად რომ დაცვიქრდეთ და სიმართლე ვთქვათ, არაფრიც არ ასრულებია.

ფანჯრიდან თავი გამოვყავი და ჩავძახე მას:

— „გაუმარჯოს, გახსოვარ?“ ჩენენ ხომ მეგობრები ვიყავით!“

ის კი არც შემობრუნდა, ისე დაიქნია ხელი, თითქოს მეუბნებოდა: — გაიარე, რა!

— მაშინ მშვიდობით.

ნაცრისფერი პიჯაკი... გულის ჯიბეში კალამი და ფანქარი, კეფაზე ნაცნობი ღრმული. უნდა გრახათ, როგორ ცდილობდა, ბოლომდე გამართული დარჩენილიყო... ძველი ოფიცერივთ თეძოებთან გასწორებული ხელები... იდიოტი! ილიმებოდა კიდეც.

ეს მე ვიყავი.

ჩემდა გასაოცრად, ქვემოთა სართულზე ფანჯარა გაიღო. უზარმაზარი, შექით განათებული დარბაზი, რომლის შიდა მხარეს ჩემი თვალი ვერც კი წვდებოდა, ხალხით გადავსცებულიყო. ესენი მაინც არ არიან მარტონი, — გავიფრერ ჩემთვის.

იყო შიღება, კონცერტი, კოტეტილი, კონფერენცია, ასამბლეა, მიტინგი. ისე-დაც გადაჭედილ დარბაზს სტუმრები ემატებოდნენ და ემატებოდნენ — ნარმო-უდგენერი ხალჩრავლობა იყო.

შევნიშნე, რომ იქაც ვიყავი, ჩავედიზედა სართულიდან. ბევრს ცენტრიდა, სამსახურის ამხანაგებს, კოლეგებს, რომლებითანაც წლების განმავლობაში ვმუშაობთ, მაგრამ არ ვიცნობთ და ვერც ვერასდროს გავიცნობთ; მეზობლებს, ჩვენგან სულ ნახევარ მეტრში რომ სძინავთ, ისე, რომ მათი სუნთქვა გვესმის, მაგრამ არ ვიცნობთ და ვერც ვერასოდეს გავიცნობთ. იქ იყვნენ ექიმი, ყასაბი, ფარების მეპატრონე, პორტიკ, ოფიციანტი, კიოსკის გამყიდველი, ადამიანები, რომლებსაც ათეული წლების განმავლობაში ყოველდღე ვხდებით, ვესაუბრებით, მაგრამ არ ვიცნობთ და ვერც ვერასოდეს ვერ გავიცნობთ, თუ ვინ არიან ისინი. ამ საღამოს რაღაც ძალამ ისინი მჭიდროდ დაპრესა ერთმანეთზე, მარწუხები მო-

ამწყვდა მთელი ბრბო. ისინიც იდგნენ მოწილად უცემერდნენ ერთურთს თვალებში, მაგრამ სულ ტყუილად, ერთმანეთს მინც ვერ ცნობდნენ.

ამიტომ, როდესაც პიანისტმა „აპასიონატის“ დაკვრა დაიწყო, ხოლო ნამუშავანმა ჩაახველა და თქვა „მაშ ასე“, როცა ოფიციანტმა „მარტინი“ ჩამოატარა, ცეკვამ, ნელიდან ქვიშაზე ამოგდებული თევზებივით, თითქოს პირით ჰაერის დაჭერა გადაწყვიტა, იქნებ, როგორმე ერთი ყლუპი ის უცნაური, უფერული და საოცრად უგემური სუბსტანცია შეხვედროდათ, რასაც სიყვარული და თანაგრძნობა ჰქვაოს. მაგრამ ვერავინ შეძლო განთავისუფლება, ვერავინ დაუსხლა რყინის მარწუხებს, რომელიც დაბადებიდან უჭერდა თითოეულს ამ იდიოტური, უმოწყალო ცხოვრების ნიუარაში.

VI L'ENTRUMPELUNG

ჯოჯოხეთის დედაქალაქში ისეთი დღესასწაულებიც ჰქონიათ, რომელსაც ცეკვა ზეიმობს. ერთ-ერთი მათგანი, მაისის შუა რიცხვებში იმართება და „Entrumpelung“ ენოდება. როგორც ჩანს, ჩვეულება გერმანულია და განთავისუფლებას, საყოველთაო განწმენდას ნიშავს. მიღებული წესია, რომ ყოველი წლის თხუთმეტ მაისს ყოველგვარი ძველმანი თავიდან უნდა მოიშორო, საკუჭნაოში გადამალო ან პირდაპირ ქუჩაში გადაყარო. ჯოჯოხეთის მცხოვრები დამტვრეული, დახეული, გაცვეთილი, უსარგებლო, გამოუყენებელი და მოძებრებული ნივთებისაგან თავისუფლებიან. ოჟ, ეს ნამდვილად ახალგაზრდობის, იმედების ალორდინების ზეიმია!

ერთხელ, დილით, ჩემს პატარა საცხოვრისში, რომელშიც იმ საშინელმა არსებამ, აქ მოსვლის პირველივე დღეს რომ შევეჩეხე — ქალბატონმა ბელზებულმა შემასხლა, მშვიდად მეძინა, რომ უცრად ავეჯის გადატანის საშინელმა ხრიგინმა გამალვიდა. ნახევარი საათი გავუძღლი ამ ხმაურს, სირბილს, ფორიაქს. მერე მაღ-



ვიძარას დავხედე: შვიდის ნახევარია. ხალათი გადაყცვი და გარეთ გამოვედი, რომ გამეგო, რა ხდებოდა. ყველა ყვიროდა, ერთმანეთი ეძახდა. მომეჩვნა, მთელი სახლი ფეხზე იდგა.

კიბის ბაქანზე ავინიე, ხმაური სწორედ იქიდნ მოდიოდა. ზემოთ, თავისი სახლის კართან ასე, სამოცდაათი წლის მოხუცი ქალი იდგა, ჩემსავით ხალათში გამოწყობილი, მოწესრიგებული, კოტა, ახალი ვარცხნილობით.

— ხომ ვერ მეტყვით, რა ხდება?

— ნუთუ არ იცით? სამ დღეში ხომ გაზაფხულის დიდი დღესასწაულია, — ღიმილით მომიგო მან.

— მანც რომელი?

— „Entrumpelung“. ყველა უსარგებლო, ნახმარ ძეველმანს ვაშორებთ თავიდნ. ავეჯი, ნიგნები, დამტკრუეული ჭურჭელი, ქალალი — ყველაფერი ერთად გროვდება ქუჩაში, მერე მუნიციპალური ფურგონი მოდის და ეს ნაგავი გააქვს.

უაღრესად თავაზიანმა, კეთილგან-წყობილმა, ასაკის მოუხედავად ახალგაზრდულად გამომზირალმა ქალბატონმა ღიმილით ჩამიკაელა ყველაფერი.

— მოხუცებს თუ მიაქციოთ ყურადღება? — მოულოდნელი კითხა დამისა მან.

— უკაცრავად, რომელ მოხუცებს?

— ნებისმიერს. ამ დღეებში ისინი განსაკუთრებულად თავაზიანები, მომთმენი, ზრდილობიანი ხდებიან. თუ ხვდებით, რატომ?

მე ჩუმად ვუსმენდი.

— განწმენდის დღეს, — ამისხსნა ქალბატონმა, — სასურველია, უფრო მეტიც, საყველთამ მოვალეობაა, გაანადგურონ ყოველივე უსარგებლო. ამიტომაც მოხუცებს ჯართან და ნაგავთან ერთად მოისვრით გრეთ.

— მაპატეთ, ქალბატონ, უკაცრავად, მაგრამ, თქვენ... განა თქვენ არ გეშინაათ?

— ოხ, რა მიამიტი ბრძნებით! — შეძახა მან. მეშინია თუ არა? რის? რომ გარეთ გადამაგდონ? რა მშვენიერია!

მან გადამდებად გაიცინა, მერე გააღოთახის კარი, რომლის დაფაზეც ამოტკიფრული იყო გვარი „კელანენი“ და ხმა-მაღლა დაიძახა:

— ფედრა! ჯანი! აქეთ მოდით, თუ შეიძლება.

ნახევრად ბნელი დერეფნიდან ისინი — ჯანი და ფედრა გამოჩნდნენ.

— ბატონი ბუცატი, — ნარმადგინა მოხუცმა ქალბატონმა. — ჩემი დილინული ჯანი კვლანენი და მისი მეუღლე ფედრა. — შემდეგ სუნთქვა დაიმირჩილა, — ჯანი, ჩემი კარგო, ერთი, მოუსმინე ამ ბატონს, ისეთი რამ თქვა, პირდაპირ გასაგიურებელია! იცი, რა მეოთხა ბატონმა ბუცატიმ?

ჯანმ ცერად გადახედ მას.

— მან იკითხა, მეშინია თუ არა მომავალი დღესასწაულის. მეშინია თუ არა, ხომ... ხომ არ... ფანტასტიკური კითხვაა, არა, ჯან?

ჯან და ფედრა ილიმებოდნენ და ნაზად და სიყვარულით შესცემოდნენ მოხუცს. მერე, როგორც ჩანს, გაიაზრეს ამ სიტყვების მთელი უაზრობა და სიცილი აუტყდათ. როგორ უნდა მოუვიდეთ თავში ასეთი მერეხელური აზრი, თავიდან მოიცილონ შეუდარებელი, საყვარელი დედა ტუსი, ვისგანაც ასერიგად იყვნენ დავალებული.

თოთხმეტში, ღამით, წარმოუდგენელი ხმაური ატყდა. ჭრიალებდნენ სატკორიოების მუხრუქები, ფანჯრებიდან გრუსუნით ცვიოდა ავეჯი; იღებოდა და იკეტებოდა კარები; რაღაც იმსხვრეოდა. დილით სახლიდან გამოსულს მომეჩვნენა, ქუჩებში ხებივით გაზრდილიყვნენ ბარიკადები. ათასგვარი ხარაზურისაგან აძენებული მთები იდგა ყოველ სახლთან. ძველი, ჭიებისგან დახვრეტილი ავეჯი, უანგიანი რადიატორები, ღუმელები, ძველებური ლითოგრაფიები, დაგლეჯილი ბენვის ქურქები, დროის ულმობელი მოცევეს მიერ ნაპირზე დატოვებული ჩვენი საცოდავი თანაბეჭავრები — მოდიდან გამოსული ლამპები, ყელმოტეხილი ლარნაკები, ცარიელი გალიი, წაუკითხავი ნიგნები, გახუნებული ეროვნული დროშა, ლამის ქოთხები, დამპალი კარტოფილით სავსე ტომარა, ნახერხით გატენილი ტრმარა, ტომარაში დავიწყებულო პოეზია!

დიდხანს ვიდეტი კარადების, კომიდების, სკამების უზარმაზარ გროვსათან, გახვრეტილ დაფუძნებთან, უძველეს ველო-სიპედებთან; ჭინჭებთან და ნახევებთან,

დინო ბაცარი

რომელთაც სახელიც კი არ შერჩენიათ; გახრწინილ კატეგორია, სიდამპლესტან, დაბზარულ უნიტაზებთან; მრავალნიანი თანაცხოვრების წარმოუდგენლად საცოდავ ნარჩენებთან – ფარდებთან, ტანსაცმელთან, უსირცხვილოდ გაცვეთილ ინტიმურ თეორეულთან. აქედე ნაცრისფერ, უშველებელ შენობას, შექს ქვემით რომ არ უშვებდა და ათასი დაბინდული ფანჯრით იყო დაუნინდული. უცრად ძირს დაგდებულ ტომარას მოვარი თვალი, საიდანაც ხრინინანი, მოგუდული და მორჩილი კვნესა მოისმოდა.

შემკრთალმა აქტო-იქით მიმოვიხედე.

ხორაგით დატვირთულმა გამვლელმა ქალმა ნიშნის მოგებით ნაისისინა:

– აბა, როგორ გეგონათ? მისმა საათმაც ჩამოჰკრა, დრო მოუვიდა, ასე არ არის?

საიდანლაც თაეხედმა, ცქაფმა ბიჭუნამ ამოყვინთა და ტომარას ჭვინტი წაპკრა, ტომარამ პასუხად ამოიხსრა.

საბაყლოდან წყლით სავსე სათლით ხელში გაღიმებული ქალბატონი გამოცურდა და მკვნესარე ტომარას მოუახლოვდა.

– დილიდან გუნება მომინამლა. შენ რა, ვედარ დატები სიცოცხლით? მანიც უქმაყოფილო ხარ? თუ ასეა, ესეც მიირთვი!

და ტომარაში მომწვდეულ ადამიანს მხოლოდ იმიტომ შეასხა წყალი, რომ ის მოხუცია, დასუსტებული და აღარ შეუძლია არსებობისითვის აუცილებელი ნორმის გამომუშავება. იმიტომ, რომ ვეღარ დარბის, ვერ ანადგურებს, ვეღარ მრავლდება. ცოტა, ძალიან ცოტა დარჩა. სულ მალე მუნიციპალიტეტის რწმუნებულები გამოჩნდებიან და მას ქალაქების კლოაკაში მოისვრიან.

მხარზე ვიდაც შემეხო. ოჟ, რა თქმა უნდა, მისი უდიდებულესობა, მშვენიერი მადამ ბელზებული, ამორძალთა დედოფალი, დასწევევლოს ღმერთმა!

– გამარჯობა, ლამზო! გინდა, ზემოთ გავისირნოთ? გაჩვენებ, რა ხდება ირგვლივ.

მერე ხელში ჩამავლებს ხელს და მიმათვევს. ისევ ის შემწული კარი, ჯოვნებთში მოსვლის პირველ დღეს რომ

შემიყვანეს, ლიფტი პირველ სართულზე, ოფის-ლაბორატორია. ისევ ის ვერაგი გოგონები და ეკრანები, სავსე მილონი-ბით მძფოთვარე, მოფუსფუსე არსებით.

აქედან ყველაფრის დანახვა შეგიძლია, საძინებლისაც კი. საწოლში ოთხმოციოდე წლის აკადმიკოზი ქალი წევს. წელამდე თაბაშირი ადევს. იგი უაღრესად ელეგანტურ, შეახნის ქალს ესაუბრება.

– ყველასთვის უკეთესი იქნება, საავადმყოფოში ან სულაც მოხუცთა თავშესაფარში თუ გამირებთ. მე ხომ აღარავრის თავი აღარ მაქვს, არ მინდა, კისერზე დაგანვეთ.

– აბა, რა სისულელეს ამბობ, ძვირფასო ტატა? ხომ არ შეიძალე? დღეს მოვიყვანთ უქიმის და მერე გადავწყვიტოთ, თუ...

ამასობაში, მინიკოფთაში გამოკვართული სატანა მიხსინის სიტუაციას:

– მოხუცი დედამისის გადია იყო. თვითონაც მისი გაზრდილია, მისი შეილები და შეილმებილებიც მან დააყენა ფეხზე... ორმოცდაათ წელზე მეტი იმსახურა ამ სახლში და ამას ნინათ მენჯის ქალი მოიტეხა. ნახე, რა მოხდეს ახლა.

იმის მოახლოებული ნაბიჯის ხმა, ოთახში შემოცველდება ხუთი პატარა, რომელთაც ორი ახალგაზრდა დედოფა მოჰყება. ყველანი აღფრთოვანებულები ჩანან.

– უქიმი მოვიდა, უქიმი! ახლა ტატას მოარჩენენ! – ამ შეძახილებით საწოლს ფანჯრისაკენ მიაგორებენ.

– ტატას სუფთა ჰაერი გამოუწერეს. შეხედეთ, შეხედეთ, როგორ გაფრინდება იგი! – და ყველანი ერთად, სამი ქალი და ხუთივე ბავშვი უხეშად დაავლებს მოხუცს ხელს, საწოლიდან გადაათრევენ და ფანჯრის რაფაზე შემოსვამენ, ხელს ჰკავენ, კიდევ, კიდევ...

– გაუმარჯოს ტატას!

დაცემული სხეულისა და დამტვრეული თაბაშირის ხმები ერთმანეთში იზიდება...

მისის ბელზებელი ძალით მიმათრევს შემდეგი ეკრანისაკენ.

– შეხედე, ცნობილი ვალტერ შტრამპი, ფოლადსაბონბი ქარხნების მეპატრონე, უზარმაზარი დინასტიის შემქმნელი.



სწორედ ახლა მიანიჭეს შრომის გმირის ტიტული და ამას მთელი ქარხანა ზეი-მობს.

მოჩანს ქარხნის ვრცელი ეზო. წითელი ხალიჩა... ტრიბუნაზე ადის გულაჩუყებული შტრამპი, ცრემლებს ვერ იკავებს და დამსწრე საზოგადობას მაღლობებს უძლენის. ტრიბუნაზე მდგარ მოხუცის ზურგიდან ორი ჩინოვნიკი უახლოვდება და ფოლადის გვარლისგან შეკრულ მარყუს შეუმჩნევლად შემთარტყამს ფეხებზე, შემდეგ გაიმართებან და გვარლს თავის-კენ მოქაჩავენ.

- თქვენ, ყველანი, ჩემთვის ღვიძლი შეილებითა ხართ და მსურს, რომ თქვენც გიყვარდეთ შშობელ მამა... - ამ სიტყვებზე მოხუცი ყირვდება და თავს მტკავნეულად ურტყამს ტრიბუნას. ჭერიდან ამნეს კაუჭი ჩამოეშვება, ფეხები გამოედება და, როგორც ღორის ხორცს საყასბოში, ისე წაათრევს დაბნეულ, შეშინებულ, ინერციით ჯერ კიდევ მოლაპარაკე, მობუტბუტე ბერიყაცს.

- ეი, ბებერო ნაძირალა, მოვიდა შენი დროც?

დემონსტრანტებივით ჩადგებიან მუშები რიგში, ჩაუვლიან შტრამპს და, როგორც ტიკინას, აფურთხებენ, მხეცურად ცემენ. ათიოდე დარტყმის შემდეგ იგი კარგავს სათვალეს, ეპილებს, გონებას. ამნე მაღლა სწევს მის სხეულს და სადღაც მიაქვს.

ჩვენ მესამე ეკრანთან ვართ. ბურუების მყუდრო, სასიამოვნო სახლი, სახეებიც რაღაც ნაცრობია... ეს ხომ ჩემი მეზობლები არიან. სათონ, ძეირფასი დეიდა ტუსი და მისი დისნული სიმპათიური მეუღლითა და შეილებით; კომფორტულად მოკალათებულან სუფრასთან, საუბრობენ დღესასანაულის შესახებ და დასტირიან უძედურ მოხუცებს. განსაჯუთობულ აღმფოთებას ჯანი და ფედრა გამოხატავენ. კარებზე ზარია. ოთახში ქუდებსა და თეთრ ხალათებში გამოწყობილი ორი ზორბა მამაკაცი შემოდის მუნიციპალიტეტიდან.

- თქვენ ბრძანდებით ტერზა, იგივე ტუსი ელანენი? - კითხულობენ ისინი და რაღაც საბუთებს იღებენ ჯიბიდან.

- დიახ, მე გახლავართ. რა ხდება?

- უკაცრავად, უნდა ნამოგვყვეთ.

- ვერ გავიგე! სად უნდა ნამოგვყვეთ? ასე გვიან? რატომ? - დეიდა ტუსი ფითრდება, უმნერდ იცემორება აქეთ-იქით და საშინელი ნინათგრძნობით ატანილი მუდარით უყურებს მდუმარე დისნულსა და რძალს.

აბა, ღაპარაკი არ იყოს! - აცხადებს ერთ-ერთი რნმუნებული. - საბუთები სრულ ნესრიგშია, თქვენი დისშვილის ხელისმონერაც აქვთ.

- შეუძლებელია! - ნამოიკივლებს დეიდა ტუსი. - ჩემი დისნული ასეთ ქაღალდს ხელს არ მოაწერდა, არავითარ შემთხვევამი არ მოაწერდა... ხომ ასეა, ჯანი?! ხმა ამოიღე, ჯანი, აუხსერი ამათ, რომ შეცდომა მოხდა, გაუგებრობა...

მაგრამ ჯანი არავის არაფერს უხსნის, დუმს, თითქოს ენა გადაყლაპაო; დუმს ფედრაც... ბაგშვები ხალისობენ მხოლოდ.

- ჯანი, გვედრები, თქვი... რამე თქვი ჯანი! - ქვითინებს ღონეგამოცლილი დეიდა ტუსი.

სანიტარმა ხელი წაავლო ბავშვივით გამხდარ მავაში.

- გაინძერი, ბებერო კუდიანო. დასრულდა შენი ქიფი!

